კვირის პალიტრა

ფეხი

N22(155) 29/V.-4/VI.2003. ფასი 60 თ.

„ეცნობი“ თბილისში ალარ ცხოვრობს და სკოლაში გაკვეთილებს ატარებს

1168
2003

ნაყიდი პატიოსნება – რა ღირს ქალწულობის აღდგენა

რა მოხდა კანდელაკის ქუჩაზე

საკანისტური გზავნილები მორბენალ სტრიქონებში

ტელეწამყვანებს ფეხმძიმობის „ვირუსი“ შეეყარათ

«რეიტინგ ჯგუფი»
38-68-77
877 46-58-49
თქვენი კარიერის ჰარმონია

კვირის პალიტრა
№23 (156)
5 — 11 ივნისი 2003
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
„ციხეს რად უნდა რკინის კარები“... 3
ერთი კითხვა 4
ქვეყანა
„ქართული პოლიტიკის თეატრი“ და მისი მიღწევები 6
სცენა
ავთანდილ ვარსიმაშვილი: „ქართული პოლიტიკა აბსოლუტური სტრიპტიზია“ 8
სასიძო
● გიორგი იასაკაძეს თანასკოლელი ეხმიანება;
● დათო ხუჯაძე ქალისადმი თავის მოთხოვნებს გვიმხელს 10
კრიმინალი
● რძალმა დედამთილი მკვლელობამდე ჩანგლით აწამა 12
● დამნაშავემ პოლიციის მანქანას ხელყუმბარა ესროლა 14
● რუსთაველი კრიმინალი შეურაცხადად ცნეს 15
თვალსაზრისი
რამდენად მყარია სტუდენტობისას შექმნილი ოჯახი 16
შეამოწმეთ თქვენი ცოდნა
ტესტი ერუდიციაზე 17
ქალი საჭესთან
მართვის მოწმობის ნაცვლად, მომღერალი პოლიციელებს ავტოგრაფებითა და აუდიოკასეტებით ასაჩუქრებს 18
გემოვნება
კონტრასტული ფერების, იეროგლიფებისა და ეგზოტიკური ნივთების გარემოცვაში... 19
პროგლემა
მშობიარობის დროს, ქალის ინტელექტის გამომძღავნება ხდება 23
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-მემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 24
მსახიობი
სიცილის დედოფლის ნაღვლიანი აღსარება 26
სადაურსა სად წაიყვან
პაპუასების მიერ შეჭმული ჯეიმს კუკის შთამომავალი თბილისელი ქალბატონი 28
დიზაინერი
პარიზული შტრიხებით აღბეჭდილი, 70-იანი წლების მოდა 31
საოჯახო ფსიქოლოგია
● უქმნის თუ არა ბავშვი საფრთხეს ოჯახურ ბედნიერებას? 32
● რჩევები დაბნეულ ქალებს 33
ტაძარი
რა უნდა ვიცოდეთ „ფსალმუნებთან“ დაკავშირებით? 34

ავთანდილ ვარსიმაშვილი: „ქართული პოლიტიკა აბსოლუტური სტრიპტიზია“

სტრიპტიზის სცენა ძალიან ზუსტად ეწერება სპექტაკლის კონტექსტში. ჩვენი ქართული პოლიტიკა აბსოლუტური სტრიპტიზია... ამიტომ მაყურებლები აღიქვამენ, როგორც მეტაფორას და არა როგორც ეროტიკას.

8

დათო ხუჯაძე ქალისადმი თავის მოთხოვნებს გვიმხელს



ქალმა თავისი საქმე უნდა იცოდეს — ხაჭაპურის გამოცხობაც და სარეცხის რეცხვაც. თუ არ ეცოდინება, ჩემოდნებში ჩავულაგებ ტანისამოსს და სადარბაზოში გავდგამ, მასაც გარეთ დავაყენებ და კარს ზურგს უკან მივუკეტავ...

10

რძალმა დედამთილი მკვლელობამდე ჩანგლით აწამა

პელაგია ბეჭაშვილი, რომელსაც ქმარი ადრე გარდაეცვალა და ერთადერთი ვაჟი — 14 წლის გიორგი ქუჩაში, უპატრონოდ დარჩა, თავს დამნაშავედ არ ცნობს. იგი მკვლელობას კატეგორიულად უარყოფს და ირწმუნება, რომ მისი დედამთილი ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა.

12

მართვის მოწმობის ნაცვლად, მომღერალი პოლიციელებს ავტოგრაფებითა და აუდიოკასეტებით ასაჩუქრებს

ფეხი „გაზზე“ მქონდა მიჭერილი და უცბად ქუსლი ჩამეჭედა პედლის ღარში. ვერაფრით შევძელი პედლიდან ფეხის აღება. არადა, მამაჩემი განწირული ყვიროდა: დაამუხრუჭე, დაამუხრუჭეო!..

18

დღესასწაული

იესო ქრისტემ სძლო სიკვდილს, დათრგუნა და განაქარვა სიკვდილი 35

ქართველები

„სიცოცხლეში ადრე დაღამებული პოეტი“ 36

სასარგებლო აზრები

აუორიზმების ენციკლოპედია 37

საკლუბო ფეხბურთის გრანდები

„მილანი“ – სუპერკლუბის გზა დაარსებიდან დღემდე 39

რომანი

რუსულიდან ბერიძე. დაგვიანებული რეისი მოსკოვი-თბილისი (გაგრძელება) 42

ვარსკვლავი

კირსტენ დანსტი დაოჯახების პასუხისმგებლობას ვერ კისრულობს 46

სპორტული მოზაიკა 48

უფლისწულები

ბრიტანელ პრინცებს პრესისგან სამხედრო აკადემიის კედლები დაიცავს 49

ავტო 50

სპორტული დარბაზი

კუნთების დასაყენებლად ბოდიბილდინგს 82 წლის ქალიც მისდევს 52

ტესტი

ერთგული მკითხველი 53

ეკრანს მიღმა 54

პირადი ცხოვრება 55

ჯანმრთელობა

- გულის არითმეტიკა 56
- როგორ დავბრუნდეთ მოგზაურობიდან ჯანმრთელნი 57
- დიასახლისის კუთხე 58
- კითხვა-პასუხი 59

იუმორი 60

სკანვორდი 61

ჰოროსკოპი

კვირის (9-15 ივნისი) ასტროლოგიური პროგნოზი 62

ტესტი

კმაყოფილი ხართ თუ არა თქვენი ქორწინებით? 63

კალეიდოსკოპი

ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი

მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

სიცილის დედოფლის ნაღვლიანი აღსარება

რა უნდა ჰქონოდა საერთო მეათეკლასელ ბიჭს მეხუთეკლასელთან?! დავურეკავდი და ჩავურთავდი ხოლმე „ჩუ-ჩუ“-ს. წყალტუბოში ყველა ერთმანეთს იცნობდა. უთხრეს: „ჩუ-ჩუ“ მზიას აქვსო.

26

პაპუასების მიერ შეჭმული ჯეიმს კუკის შთამომავალი თბილისელი ქალბატონი

დეიდებმა რამდენჯერმე შემოუთვალეს – ან შენ ჩამოდი, ან რომელიმე შვილი გამოგზავნე, რომ მემკვიდრეობა დავუტოვოთო. მაგრამ ჰერტრუდამ ვერც ერთი შვილი ვერ გაიმეტა უცხოეთში გადასაკარგავად.



28

კირსტენ დანსტი დაოჯახების პასუხისმგებლობას ვერ კისრულობს

ჰოლივუდის მიერ კირსტენ დანსტის თაობა ასე მოინათლა – „ასაკისათვის შეუფერებლად ჭკვიანი მოზარდები“. ამ კომპანიაში მასთან ერთად მოიაზრებიან: ქრისტინა რიჩი, კლერ დეინსი და ნატალი პორტმანი. ამერიკის დღევანდელი საზოგადოება სწორედ ასეთ მოზარდებზე ამყარებს იმედებს.

46

დაგვიანებული რეისი მოსკოვი-თბილისი

მესამე დღეს, მოსკოვის აეროპორტში, თვითმფრინავის ტრაპზე ჩამომავალ დეას უცბად, კინაღამ მუხლები მოეკვეთა: ტრაპის წინ ეშმაკურად მოღიმარი გიგოლა იდგა...

42

ბოლო ზარი, ბოლო ზარი, ლამაზი და მშვენიერი!..



მიყვარს, დღესასწაულები ერთმანეთს რომ მიეწყობა. მაგალითად, 26 და 29 მაისი. 26 მაისი ხომ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეა, 29 მაისი კი, მეთერთმეტეკლასელების „დამოუკიდებლობის“ დღე ანუ ბოლო ზარი. ამ ორივე დღესასწაულს განსაკუთრებულად აღნიშნავენ არა მარტო მოსწავლეები, არამედ პოლიტიკოსებიც: განა სწორედ პოლიტიკოსების დამსახურება არ არის, საქართველოს დღევანდელი დამოუკიდებლობა?!. მართალია, საქართველო დამოკიდებულია (და „დაკიდებულიც“) ევროპასა და ამერიკაზე, მათ სესხებსა და ვალებზე, სამაგიეროდ, საქართველო აბსოლუტურად დამოუკიდებელია ქართველი ხალხის ინტერესებისა და მოთხოვნებისაგან...



რაც შეეხება ბოლო ზარის დღესასწაულს, ჩვენი პოლიტიკოსები მას ცოტა მოგვიანებით — შემოდგომაზე აღნიშნავენ და სხვაგვარად, არჩევნებსაც უწოდებენ. უკვე დაწყებულია ამ ზეიმისათვის მზადება, ახალ-ახალ კოსტიუმებსა და ნიღბებს ირგებენ, რომ ვერავინ იცნოს „საშემოდგომო მასკარადზე“. მაგრამ ბევრი მათგანისათვის მაინც დაირეკება ბოლო ზარი. გამიხმეს ეს პროვოკატორი ენა, თუ მართალს არ ვამბობდე!..

უბრალო ხალხისათვის კი, ბოლო ზარი მართლაც ტკბილ მოგონებებთანაა დაკავშირებული. მაგალითად, მე: პატარაობიდანვე ხომ პირწავარდნილი პროვოკატორი ვიყავი, მაგრამ მაინც მიყვარდა სკოლა და გუშინდელივით მახსოვს თითოეული დღე, 11-ჯერ 365 დღისა... სკოლასთან ახლოს ვცხოვრობდი და ზარი რომ დაირეკებოდა, მაშინ გავდიოდი სახლიდან. დედაჩემი ნაგავს მატანდა ხოლმე — ბარემ გადაყარეო. ხანდახან მეშლებოდა და ჩანთას სანაგვეში ვცლიდი, ნაგავი — სკოლაში მიმქონდა... მაინც ყველას ვუყვარდი, რადგან თითოეული მასწავლებლის (დირექტორისაც) საიდუმლო ცოდვები ვიცოდი... ერთხელ, დირექტორს ტუჩთან ახლოს პომადა შევამჩნიე და ვუთხარი: მათემატიკის მასწავლებლის პომადა გცხიათ-მეთქი... გაბრაზდა, მაგრამ მაინც შევუყვარდი, რადგან მისი ცოლიც ჩვენ გვასწავლიდა...

კარგი მასწავლებლები მყავდა, ნამდვილი პედაგოგები. ქართულის მასწავლებელი ყოველთვის ცდილობდა, ლექსი კი არ დაგვეზეპირებინა — შეგვეგრძნო, როგორც პოეტმა შეიგრძნო თავის დროზე. ჰოდა, „ფიქრნი მტკვრის პირას“ რომ აგვიხსნა, მთელი კლასი მდინარეზე ჩაგვიყვანა დეკემბერში. საცოდავი, დარჩა ისე გაუთხოვარი... ეს კიდევ რა? — „მთაწმინდის მთვარე“ რომ მოგვცა სასწავლად, მთელი ღამე, სასაფლაოზე გაგვატარებინა ორმოც ბავშვს; სამი გაგიჟდა, ოთხი იქვე დარჩა დღემდე...

შრომის გაკვეთილი რომ დაგვემატა, კლასი ორად გაყვეს: ბიჭები ზეინკლობას სწავლობდნენ, გოგონები — კულინარიას. მე ავდექი და გოგონებთან ჩავეწერე. ისეთ ნამცხვრებს აცხობდნენ გაკვეთილზე, რა მინდოდა ბიჭებში?! მასწავლებელი არ მიღებდა, მაგრამ ვუთხარი: წუხელ, თქვენი სახლის ფანჯარაში ფიზკულტურის მასწავლებელი დავინახე-მეთქი, — და მას მერე, ნამცხვრებს სულ მე მაჭმევდა...

მუყაითი ყოველთვის ვიყავი. ქიმია მიყვარდა გამორჩეულად: მარილები, მჟავები, განსაკუთრებით — კიტრის მჟავეზე ვგიჟდებოდი... წყვილად მიყვარდა მეცადინეობა. სულ ერთ თანაკლასელ გოგონასთან ერთად ვმეცადინეობდი. სკოლიდან მასთან შინ მივდიოდი და სანამ მშობლები მოვიდოდნენ, სულ ვმეცადინეობდით და ვმეცადინეობდით...

მალე, ეროვნული მოძრაობაც დაიწყო. რუსეთის იმპერიის ბორკილების დამსხვრევა მოითხოვა ახალგაზრდობამ. მე ვერაფერი გავიგე, მაგრამ მაინც მომეწონა ეროვნული მოძრაობა — ბევრი გაკვეთილი გვიცდებოდა. სამაგიეროდ, იქვე — მიტინგებზე ვიღებდით განათლებას. ერთხელ, სკოლაში მივედი და მასწავლებელს ვუთხარი: მიტინგზე ახალი ლექსი — „ჩემო კარგო ქვეყანავ“ — ვისწავლე-მეთქი... მიპასუხა: მაგი, შე ჩლუნგო, მე-8 კლასში გავიარეთო...

აი, როგორი სკოლა იყო მაშინ — თურმე, მე-8 კლასში გვისწავლია:

„ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია,

აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი შენია...“

ეტყობათ კიდეც, ჩვენი მთავრობის წევრებს, მაშინდელ სკოლაში რომ სწავლობდნენ: დღემდე ამას გვეუბნებიან: კი გვიჭირს, მაგრამ თუ ისევ ჩვენ მოგვცემთ ხმას, მალე გვეშველებაო... მაგრამ მგონი, გაგრძელება აღარ ახსოვთ: თუმცა ძველნი დაგვშორდნენო, — და არას დიდებით არ გვშორდებიან...

ეჰ, რა სწავლა იყო მაშინ! აბა, დღევანდელი პედაგოგი, პედაგოგია?! რატომ უზღუდავთ ბავშვს ფანტაზიას და რატომ ეუბნებით, რომ შოთამ მხოლოდ საქართველოზე დაწერა „ვეფხისტყაოსანი“ და აკაკიმაც მხოლოდ ქართულ მიწა-წყალს მიუძღვნა „ცა — ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო“?! ჩვენ კი, პირიქით, გვასწავლიდნენ, რომ ქართველმა პოეტებმა და მწერლებმა საუკუნეების წინ შექმნილი შედევრებიც კი საბჭოთა კავშირს მიუძღვნეს: ლადო ასათიანმა რომ დაწერა: „ჯერ ხომ მცხეთის სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში საქართველოს ცხელი გული ასვენია“, — თურმე ლენინი იგულისხმა, მავზოლეუმში მწოლიარე... თემებსაც შესაფერისს გვაწერინებდნენ: „300 არაგველი სტალინგრადის მისადგომებთან“, ან კიდევ: „ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი კომუნიზმის ხარაჩოებზე“...

ახლა ყველაფერი შეიცვალა: „ბევრ ქისტს მააჭრა მარჯვენა — ანუ სადომაზოხიზმი რუსეთ-ჩეჩნეთის ომში“... ან კიდევ: „ხომ ლამაზია ეს ჩემი ცოლი, მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა“ — ანუ სექსუალური რევოლუცია ქართულ პოეზიაში“... დღევანდელი სკოლა, სკოლაა? ან დღევანდელი ბოლო ზარი, ზარია? რაც ზარები იყო, ფერად ლითონებად ჩააბარეს სუყველა და ახლა, ტაფაზე ჩაქუჩის დარტყმით რეკენ გაკვეთილის დამთავრების მაუწყებელ ზარს. ხმაც ისეთი აქვს, რომ ჩემი არ იყოს, ჩანთას უნდა დაავლო ხელი თუ ნაგავს — ვერ გაიგებ...

P.S. გაკვეთილზე დაგვიანებულმა მოსწავლემ კლასის კარი შეაღო და მასწავლებელს პარკით ხამსა მიაწოდა.

— ეს რა არის, ბიჭო?!

— ხომ მითხარით, მასწ — ასეთი „უხამსო“, გაკვეთილზე არ დაგინახოო...

პროვოკატორი

„რეგიონს გამგებლები უნდა განაგებდნენ და არა ვიღაც მათხოვრები“

— სამეგრელოში სხვადასხვა შეიარაღებული დაჯგუფების არსებობა უშიშროების მინისტრმაც დაადასტურა და სიმშვიდის შესანარჩუნებლად, სამოქალაქო თანხმობისკენ მოუწოდა პოლიტიკურ პარტიებს. მაინც რა ხდება სამეგრელოში და რეალურად ვინ მართავს იქ პროცესებს?

კოტე კემულარია, *მაჟორიტარი დეპუტატი ხობის რაიონიდან:*

— ამ რეგიონში მართლაც რთული ვითარებაა, რომელიც არჩევნების მოახლოებისთანავე, თანდათან კიდევ უფრო დაიძაბება. სამეგრელო სხვადასხვა სპეცსამსახურის პოლიგონადაა გადაქცეული. რეგიონის ხელმძღვანელობა უსუსურია და მათი ყოველი ფიზიკური გადადგილებაც კი, უკანონო დაჯგუფებებთან შეთანხმების შემდეგ ხდება. სამხედრო ფორმირებათა ლიდერები არ მალავენ, რომ ისინი ჩაატარებენ არჩევნებს. დარბიან გამგებლებთან, ზოგს ფულს სთავაზობენ, ზოგს აშანტაჟებენ და აშინებენ. რას ნიშნავს სამოქალაქო თანხმობა? ამას შევურიგდეთ და თვალი დავხუჭოთ? მეცოდება სამეგრელოს ადგილობრივი ხელისუფლება. მე არ მინდა, რომ ამ რეგიონს შეშინებული გამგებელი მართავდეს. რეგიონს გამგებლები უნდა განაგებდნენ და არა ვიღაც მათხოვრები.

ჯემალ გოგიტიძე, *პარლამენტარი:*

— ჩვენ ვაპროტესტებთ იმას, რომ ბოროტი ენები სამეგრელოს რეგიონის იარაღით მომარაგებაში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასაც ადანაშაულებენ. ვაპროტესტებთ იმასაც, რომ შეიარაღებულ ქვედანაყოფებს სხვადასხვა რეგიონში თვითონ ხელისუფლება აფუძნებს. სვანეთში ქვედანაყოფის შექმნასთან დაკავშირებით, მე პარალელს, „მხედრიონის“ ჩამოყალიბების პროცესთან გავავლებ. თოფიანი კაცი მშიერი რომ არ გაჩერდება — ეს აწ გარდაცვლილი ჯაბას დროინდელი თეორემაა... 300-კაციანი ბატალიონების შექმნა მარტო სვანეთში კი არა, სხვადასხვა რეგიონშიცაა დაგეგმილი. ამ ქვედანაყოფებს არჩევნების დროს გამოიყენებს ხელისუფლება. და ეს მაშინ, როდესაც თავდაცვის სამინისტრო უკვე არსებულ სამხედრო ნაწილებს ვერ აფინანსებს, ყაზარმებში მყოფ ჯარისკაცებს ათასნაირი ავადმყოფობა, შიმშილი და ტილები აწუხებს... აქ სხვა მზაკვრული გეგმაა ჩაფიქრებული. შეიარაღებული სვანი ხელფასს რომ ვერ მიიღებს, ამაში ეჭვი არ მეპარება. რეგიონის დაცვის მაგივრად, იქ უმძიმესი ვითარება შეიქმნება. შემდეგ, ისინი მოძრაობას დაიწყებენ, ჯერ სამეგრელოში, იმერეთში და ბოლოს, თბილისშიც აღმოჩნდებიან. მე სვანებს პირობას ვაძლევ: თუ არჩევნებში ნეიტრალიტეტს დაიცავენ, არსებული ხელისუფლება აუცილებლად შეიცვლება. ■

„მათზე, ვინც „ესენგეში“ შესვლას მისცა ხმა, თოთხმეტ-ნახევარი ადამიანის სიცოცხლე მოდის...“

— შალვა ნათელაშვილი ე.წ. „ზვიადისტების“ იმ ნაწილს, რომელიც სააკაშვილის გვერდით დგას, ექსპრეზიდენტის ღალატში ადანაშაულებს და მათ „პრივატიზებულ ზვიადისტებს“ უწოდებს. თუ არ ვცდები, ნათელაშვილის იდეა იყო ისიც, რომ 26 მაისს, თავისუფლების მოედნისთვის, გამსახურდიას სახელი დაერქმიათ. გამოდის, რომ ლეიბორისტები უფრო მეტად ცდილობენ გამსახურდიას სახელის რეაბილიტირებას, ვიდრე მისი ყოფილი თანამებრძოლები...

ნოდარ ნათაძე, *„სახალხო ფრონტის“ თავმჯდომარე:*

— შალვა ნათელაშვილი არის ერთ-ერთი იმათგანი, ვინც „ესენგეში“ შესვლას მისცა ხმა. მაშინ, ამ გადაწყვეტილების მხარდასაჭერად, 126-მა კაცმა ასწია ხელი. გარდა პოლიტიკური და სტრატეგიული შედეგებისა, „ესენგეში“ საქართველოს ჩათრევას მოჰყვა, რუსების ხელშეწყობით, აფსუა პოლიციელების მიერ დაახლოებით 2 ათასი კაცის მოკვლა. ე.ი. თითო მათგანზე თოთხმეტ-ნახევარი ადამიანის სიცოცხლე მოდის. ეს საკმარისია იმისათვის, რომ განისაზღვროს, აქვს თუ არა რომელიმე მათგანს მორალური უფლება, ბრალდებები წამოაყენოს... რაც შეეხება იმას, რომ თავისუფლების მოედანს ზვიად გამსახურდიას სახელი დაერქვას — ეს, რბილად რომ ვთქვათ, დიდი სისულელეა. იმიტომ, რომ ერის ორიენტაციის გამომხატველი, ღირებულებებია და არა პიროვნებები. კი, ბატონო, პიროვნების სახელი უნდა ერქვას პროსპექტს, ქუჩას, მოედანს, მაგრამ — არა სახელმწიფოს ცენტრალურ მოედანს. მას უნდა ერქვას სახელი, რომელიც ღირებულებას გამოხატავს და არა სახელს და გვარს... ეს ნათელაშვილის იდეა არ არის და არც მისი წამოყენებაა მისი მოფიქრებული. ეს დივერსიული აქტი ვინც მოიფიქრა, ის ბევრად უფრო მაღალი კვალიფიკაციის ფსიქოლოგი და პოლიტიკოსია და, რა თქმა უნდა, ქართველი არ არის. ალბათ რომელიმე კვალიფიციური კონსულტანტია, რომელსაც საქართველოს მმართველი ხროვა და რუსეთის ხელისუფლება უხდის ფულს. ■



„არჩევნებში მილიონი ადამიანის ხმა დაკარგულად მიმაჩნია“

— ბატონო ვახტანგ, თქვენ ამბობთ, რომ საქართველოდან წასული ხალხის ხმებს ხელისუფლება არჩევნების გასაყალბებლად გამოიყენებს. რა მექანიზმი არსებობს ამის თავიდან ასაცილებლად?

ვახტანგ ხმალაძე, *პარლამენტარი:*

— მე დაახლოებით მილიონი ადამიანის ხმა დაკარგულად მიმაჩნია. ამ პრობლემის მოგვარების წესი ჩადებული იყო, ინტერფრაქციული ჯგუფის მიერ წარდგენილ, საარჩევნო კოდექსის ცვლილებების პროექტში. წესი მარტივი იყო: ამომრჩეველთა სიებში უნდა მოხვედრილიყვნენ მხოლოდ ის ამომრჩევლები, რომლებიც გაივლიდნენ საარჩევნო რეგისტრაციას. ამით, ერთი მხრივ, ამომრჩეველთა ორგანიზებაც მოხდებოდა, მეორე მხრივ კი — ამ გამუდმებული მიგრაციის პირობებში, მათი აღრიცხვაც. თუ უცხოეთში წასული, მილიონი ადამიანი იქ გაივლიდა რეგისტრაციას, მიიღებდა ამომრჩევლის მოწმობას და ეს ადამიანი ავტომატურად შევიდოდა ამომრჩეველთა სიაში. რომ დავუშვათ, არჩევნების დროისთვის მათი საქართველოში დაბრუნება — სატრანსპორტო საშუალებების გათვალისწინებით, ყოველდღიურად, მაქსიმალური ინტენსივობითაც რომ დაიწყონ ჩამოსვლა, ამას 3 წელი დასჭირდება. აქედან გამომდინარე, ასეულათასობით ადამიანი სიაში იქნება,

მაგრამ არჩევნებში, ფაქტობრივად, მონაწილეობას ვერ მიიღებს. ასეთ შემთხვევაში, უწესო ხალხს საშუალება ექნება, მათ ნაცვლად, ხელი მოაწეროს და ბიულეტენი ურნაში ჩააგდოს. საქართველოდან გასული ადამიანების ხმებით რომ არავინ ისარგებლოს, ოპოზიცია საარჩევნო სიებიდან მათ ამოღებას მოითხოვს, მაგრამ სახელისუფლებო ბლოკი ამაზე არ მიდის. ერთადერთი, რასაც ჩვენ ვითხოვთ, არის ის, რომ შედგეს იურიდიული სიები და მარტო ისინი შევიყვანოთ, ვინც რეგისტრაციას გაივლის — ე.ი. მარკირება შემოვიღოთ. გაყალბება მაინც მოხდება, მაგრამ მიზანი, ამ გაყალბების მასშტაბის შემცირებაა. ■

„იძულებული ვარ, „ახალ მემარჯვენეებს“ დავუჭირო მხარი“

— ბატონო ირაკლი, როგორც შევიტყვეთ, დავით გამყრელიძესთან შეთანხმდით, რომ დიდუბის რაიონში მაჟორიტარ დეპუტატად იყრით კენჭს. მართალია?

ირაკლი წერეთელი, *ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ლიდერი:*

— მართალია. თავდაპირველად, საბურთალოზე ვაპირებდი, მაგრამ იქ, ჩემ გარდა, ბიძინა გეგიძეც იყრის კენჭს, მე კი არ მინდოდა, მას დავპირისპირებოდი. დიდუბეში იმიტომ გადავწყვიტე, რომ ბავშვობა იქ მაქვს გატარებული და უამრავი ხალხი მიცნობს. ვინაიდან ჩემი პარტია, უსახსრობის გამო, არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს, მე იძულებული ვარ, მხარი დავუჭირო „ახალ მემარჯვენეებს“, რადგან მათი პრინციპები ჩემსას ემთხვევა. დავით გამყრელიძეს შევხვდი და ის ვიცი, რომ ისინი დიდუბეში საკუთარი კანდიდატურის წამოყენებას არ აპირებენ. შეხვედრისას ითქვა ისიც, რომ ისინი მე დამიჭერენ მხარს. მე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობიდან მოსული, ერთადერთი ცოცხალი პიროვნება ვარ. განვლილი მაქვს სახელოვანი პოლიტიკური გზა და აქედან გამომდინარე, ჩემი მოწოდება ალბათ საკმარისი იქნება იმისათვის, რომ დიდუბის მცხოვრებლებმა ხმები „ახალ მემარჯვენეებს“ მისცენ. ■

„საუკეთესო ბიზნესმენის ტიტულისთვის ფული არ გადამიხდია...“

— მედია-ჰოლდინგ „ჯორჯიან თაიმსისა“ და მარკეტინგული კვლევის ასოციაცია „გორბის“ მიერ ორგანიზებულ, 2002 წლის ბიზნესრეიტინგში, წლის საუკეთესო კერძო კომპანიად სააქციო საზოგადოება — „გაერთიანებული ქართული ბანკი“, ხოლო კერძო სექტორში წლის საუკეთესო ბიზნესმენად, თქვენ დაგასახელეს. ბევრი თქვენი მოშურნე ამბობს, რომ საქართველოში, ისევე, როგორც უამრავი სხვა საპატიო ტიტული, საუკეთესო ბიზნესმენის წოდებაც იყიდება. რას გვეტყვით ამის თაობაზე?

ვანო ჩხარტიშვილი, *„გაერთიანებული ქართული ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე:*

— ყველაფერი შეიძლება თქვან და ყველანაირი შეკითხვის დასმაა შესაძლებელი, მაგრამ მე მიმაჩნია, რომ ამის თქმა აბსოლუტური სისულელე და აბსურდია. მე არ გავხდი ამ თემას პოლემიკის საგნად, უბრალოდ, ყველა ბიზნესმენს ვუსურვებ, ჰქონდეს წარმატებული ბიზნესი და იპოვოს საკუთარი ადგილი საქართველოს ეკონომიკაში. საქართველო განვითარებადი ქვეყანაა, აქ იქნება დიდი კონკურენცია, უფრო დაიხვეწება ბიზნესსტრუქტურები და კიდევ ბევრი ბანკი დასახელდება საუკეთესოთა შორის. ის, რომ „გაერთიანებული ქართული ბანკი“ ყველაზე წარმატებულ კომპანიად დასახელდა, ბანკის ყოველდღიური შრომის შედეგია. ეს არის ის, რასაც ჩვენ 4 წლის შრომის შედეგად მივაღწიეთ. მიმაჩნია, რომ ეს ჩემთვის დიდი პატივია, დიდი პასუხისმგებლობაა და კვლავაც უნდა ვიშრომოთ იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ და ბოლომდე გავამართლოთ ეს წოდება... რეიტინგით საუკეთესო კომპანიები და შესაბამისად — ბიზნესმენები კერძო სექტორის 21 და სახელმწიფო სექტორის 11 საუკეთესო კომპანიას შორის გამოვლინდა. ჩვენ, რეიტინგში მონაწილე კომპანიების ხელმძღვანელებმა, თვითონ დაგვასახელეს, რისთვისაც კიდევ ერთხელ ვუხდი მათ მადლობას და გარწმუნებთ: საუკეთესო ბიზნესმენად დასახელებისთვის ფული ნამდვილად არ გადამიხდია. ■

ბელეხამეკვანეებს ორსულობის «ვირუსი» შეეყარათ

სასიხარულო ინფორმაციით დავიწყებ: თურმე სამშობიარო სახლებში იმდენი ფეხმძიმე მიდის, რომ ექიმებს, შეუსვენებლად უწევთ მათი მიღება-გასტუმრება... სასიხარულო ტენდენციამ ტელეეკრანზეც იჩინა თავი: ოთხი ფეხმძიმე ჟურნალისტი, ყოველგვარი კომპლექსის გარეშე, ყოველდღე გაღიმებული გვესალმება და სტუდიაში მუშაობას იწყებს... ერთ-ერთმა მათგანმა — თეა გვასალიამ, რომელიც მშობიარობამდე ოთხი დღით ადრე დაგვემშვიდობა, — უკვე განიცადა შვილის დაბადების სიხარული და როგორც შეგვპირდა, თვე-ნახევარში, ისევ აპირებს საკუთარი პროგრამის გაძღოლას. რაც შეეხება ნანიკო ხაზარაძეს, ნატო ნიჟარაძესა და ეკა ბერიძეს — ისინი თავად მოგვიყვებიან, თუ რატომ გადაწყვიტეს, განსაკუთრებული მდგომარეობის მიუხედავად, მაინც შეინარჩუნონ საქმიანი ქალის იმიჯი.

ნანა ქიბიმაური

„მე არ ვარ ინვალიდი, მე ფეხმძიმედ ვარ და ეს მშვენიერია!"

ნანიკო ხაზარაძე:

— როცა დავფეხმძიმდი, ჯერ კიდევ ე.წ. სამოქალაქო ქორწინებაში ვიმყოფებოდი. მე და ჩემმა მეუღლემ 15 აპრილს, პირდაპირ ეთერში მოვაწერეთ ხელი. ჯვარი კი ახლახან — 24 მაისს დავიწერეთ. ახლა, ყველა წესისა და რიგის დაცვით გათხოვილი ქალი ვარ. ზოგის აზრით, 7 თვის ფეხმძიმე ვარ, ზოგის აზრით კი — 8-ის. არ ვიცი, ალბათ ჩემი პატარა თვითონ გადაწყვეტს, როდის დაიბადოს. ჯვრისწერამდე რამდენიმე დღით ადრე გავიგე, რომ გოგო მყავს. არადა, ყველა მეუბნება: ისეთი მუცელი გაქვს, რომ ბიჭი გეყოლებაო.

— ისე, როგორი ხასიათი უჩანს — მოძრავი და მოუსვენარია?

— ამბობენ, თუ ბავშვი მუცელში ჭკვიანად იქცევა, მერე ცელქი და გიჟი იქნებაო — და პირიქით. რა ვიცი, ჩემს შვილს სიგიჟეს ვერ დავაბრალებ. თუ რაიმემ არ შეაწუხა, დღის განმავლობაში, ნაკლებად მოძრაობს. არ მოსწონდა, ჯინსი რომ მეცვა, ალბათ უჭერდა და შიგნიდან მირტყამდა ხოლმე...

— მე მგონი, ფოტოგრაფების წინ პირველად შიშველმა ფეხმძიმემ, დემი მურმა იპოზიორა და ყველაზე მკაცრმა კრიტიკოსებმაც კი აღიარეს, რომ ის მშვენიერი იყო...

— მე კეტრინ ზეტა-ჯონსმა მომხიბლა, როდესაც ოსკარის დაჯილდოების ცერემონიაზე წარდგა მართლაც, მშვენიერი მუცლით. ის მართლაც, ყველაზე მშვენიერი იყო, თავისი გაბარიტებისა და ზედმეტი კილოგრამების მიუხედავად. იმის შემდეგ ვამბობ, რომ მინდა კეტრინ ზეტა-ჯონსი ვიყო.

— არავინ გირჩევთ, რომ ახლა თქვენთვის ჯობს, უფრო მშვიდი ცხოვრების წესი აირჩიოთ?

— კი, ბევრი მეუბნება, მაგრამ რატომ უნდა დავანებო მუშაობას თავი? ფეხმძიმე ვარ — ინვალიდი ხომ არა?! ჩემს თავს არაფერზე ვეუბნები უარს. ეკრანზე საკუთარ თავს რომ ვუყურებ, მუცელი არ მიჩანს. სახეზეც არა ვარ იმდენად გასუქებული, რომ ეკრანთან არ დამსვან. ასე რომ, მოსწონს ეს ვინმეს თუ არა, მაინც ვაპირებ, ბოლომდე ვიმუშაო.

— როგორც ვიცი, სპეციალური ფსიქოლოგიური მომზადების კურსს გადიხართ, რათა გაგიადვილდეთ მშობიარობის პროცესი.

— მავარჯიშებს ექიმი მედიკო მახარაძე. ძალიან მეშინოდა მშობიარობის და ვფიქრობდი, რომ ბუნებრივი გზით ამას ვერ შევძლებდი. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ საკეისროს გაკეთება გადავიფიქრე და დღეს თანახმა ვარ, ფიზიოლოგიურად ვიმშობიარო. მაგრამ თუ რაიმე გართულდება, ნემსს გამიკეთებენ ზურგში და... როგორც ვიცი, დღესდღეობით, ეს გაუტკივარების საუკეთესო საშუალებაა. „ლეჩკომბინატში", სადაც მე ვაპირებ მშობიარობას, 10 ფეხმძიმე ქალიდან 9, ამ მეთოდს მიმართავს. კახა ცისკარიძის მეუღლემ, მირანდამ იმშობიარა ახლახან. მასთან რომ მივედი, პირველი სიტყვები, რაც მითხრა, იყო: „არ იმშობიარო!"

— როგორც ვიცი, კახა დაესწრო მშობიარობის პროცესს...

— კი, სანამ მირანდას ტკივილები ჰქონდა, კახა მის გვერდით იყო. ასევე მეუღლის

გვერდით იყო სოსო თოლორაია. ჩემი მეუღლე, ლევანიც აპირებს, დაესწროს ჩემს მშობიარობას. დედამისი გინეკოლოგია. თვითონაც აპირებდა სამედიცინოზე ჩაბარებას და ხშირად ესწრებოდა ამ პროცესს... მეც არ ვარ წინააღმდეგი. როცა ყველაზე მძიმე წუთებში, შენ გვერდით საყვარელი ადამიანი დგას, ეს ყველაზე მეტად გამხნევებს ადამიანს. თან მპირდება, რომ ბოლომდე დარჩება.

— ლევანის შესახებ ვიცი ის, რომ „ტელე-იმედში“ მუშაობს და რომ ის მოსკოვიდან თქვენ გამო ჩამოვიდა. ამბობენ, იქ მან საკმაოდ კარგად აწყობილ საქმეზე თქვა უარი.

— მე და ლევან ნუცუბიძემ ზღვაზე გავიცანით ერთმანეთი. მერე მოსკოვში წავიდა, ჩამოვიდა, კიდევ წავიდა, კიდევ ჩამოვიდა. ბოლოს რომ წავიდა, დამირეკა; ჩავალაგე ჩემოდანი და მასთან წავედი. ჩემი ოჯახის წევრებიდან, მხოლოდ დედას ჰყავდა ნანახი. ჩემმა ახლობლებმა ის მას შემდეგ გაიცნეს, რაც უკვე მისი ცოლი გავხდი. დამთავრებული აქვს „რეკლამის რეჟისურა და ფოტოაკადემია“. მუშაობდა თავისი სპეციალობით, ტელევიზიასა და ჟურნალში. ლევანი დილის გადაცემას წაიყვანს. ჩვენ სხვადასხვა არხზე ერთდროულად გავალთ ეთერში. არ ვიცი, როგორი იქნება ის ტელეწამყვანის ამპლუაში. მე მთელი გულით ვუსურვებ წარმატებას. მე ნატა ამაღლობელს შევცვლი, რომელსაც ძალიან დაძაბული დღის რეჟიმი აქვს, ძალიან იღლება და მას შევენაცვლები ხოლმე. ლევანი ამბობს, რომ ეკრანიდან ჩემგან დადებითი მუხტი მოდის და მეუბნება: ის ენერგია, რაც გაქვს, არასოდეს არ უნდა დაკარგოო... ის ჩემზე მეტად აქტიურია. როგორც წესი, ერთნაირი ადამიანები ერთმანეთს არ იზიდავენ, ჩვენს შემთხვევაში კი, პირიქით არის — შესანიშნავად ვეწყობით ერთმანეთს.

— თუ ამ პერიოდში, გამორჩეულად ეტანები რომელიმე კერძს, ამბობენ, რომ მერე, შენს შვილსაც ის ეყვარება...

— მე მიყვარდა და მენატრებოდა ყველი „Российский“ და „Бородинский хлеб“. აქაც იყიდება, მაგრამ აქ რაც არის, იმას სულ სხვანაირი გემო აქვს. ახლახან, მოსკოვიდან ლევანიკოს მამამ ჩამომიტანა ორივე და სხვა არაფერი მინდა.

— ვის გინდათ, რომ ბავშვი ჰგავდეს?

— ძალიან კარგი იქნება, რომ მამას დაემსგავსოს. პირველად რომ ვნახე ექოსკოპიის დროს, კარგა ხანს, გაოგნებული ვიყავი: რაღაცას ღეჭავდა, მერე, ერთი გემრიელად დაამთქნარა და გვერდზე გადაბრუნდა. ორი საათი ველოდით, რომ გადმოტრიალებულიყო და სქესი დაგვედგინა.

— ერთნაირ მდგომარეობაში ყოფნა, ქალებს უფრო აახლოებს ხოლმე ერთმანეთს. წარმომიდგენია, რაზე საუბრობთ ყველაზე ხშირად. ამ დროს, თქვენი მეუღლეები რითი ირთობენ ხოლმე თავს?

— ჩემი მეგობრების უმრავლესობა ფეხმძიმედაა. ზოგმა უკვე გააჩინა. სტუმრად რომ მივდივართ ერთმანეთთან, 7-8 ფეხმძიმე ვზივართ. რა იქნება ჩვენი სალაპარაკო თემა? — მშობიარობა, ექიმი, ჭიპლარი... ჩვენი მეუღლეები კი, ჩვენკენ არც იყურებიან, ისე ამბობენ: ამ ქალებმა ხომ წაიღეს ტვინი თავიანთი პრობლემებითო.

— რას ეტყოდით თქვენს მდგომარეობაში მყოფ ქალებს, რომლებიც ყოყმანობენ — დაანებონ თუ არა მუშაობას თავი?

— ქალებს ვეტყოდი: თუ მათ მართლაც მოსწონთ თავიანთი საქმე და თავს ჯანმრთელად გრძნობენ — მხოლოდ იმის გამო, რომ ფეხმძიმედ არიან, მუშაობას თავს ნუ დაანებებენ. ჩემი ლოზუნგი ასეთია: „მე არ ვარ ინვალიდი — მე უბრალოდ, ფეხმძიმედ ვარ და ეს მშვენიერია!“

„რატომ დავიმალო? დიახ — 5 თვის ფეხმძიმე ვარ და ეს არაესთეტიკური კი არა, არაჩვეულებრივია!“

ნატო ნიჟარაძე:

— ჩემი რეჟიმი არ შეცვლილა. დილით ვდგები შვიდის ნახევარზე, გავდივარ ქუჩაში და ვიწყებ დილის ტელეეთერისთვის სიუჟეტის მომზადებას. ჩემზე და ჩემს პატარაზე, რომელიც ჯერ არ დაბადებულა, ზაფხულის სიცხე მთლად კარგად არ მოქმედებს, მაგრამ რას ვიზამთ? ერთხელ, პირდაპირი ეთერის დროს, ისე ცუდად ვიგრძენი თავი, რომ ვიფიქრე: ახლა გული წამივა და რა მეშველება-მეთქი?!. ხუთი თვის ფეხმძიმე ვარ, მაგრამ ისე მომწონს საქმე, რომელსაც ყოველდღიურად ვაკეთებ, რომ ვერ წარმომიდგენია, როგორ დავჯდე შინ აბსოლუტურად ჯანმრთელი ადამიანი იმის გამო, რომ ფეხმძიმედ ვარ.

— კი, მაგრამ ისეთ მძაფრ შეგრძნებებზე, რომელსაც განცდიდით — ცხენზე მიბმა, მოტოციკლეტზე ამხედრება და სახანძრო კიბეზე ჰაერში გამოკიდება, მაინც მოგიწევთ უარის თქმა.

— სამწუხაროდ, ასეა. ბოლო ტრიუკი შევასრულე პირდაპირ ეთერში, სადაც ასეთი თემა შევარჩიეთ — „ვითომ ხანძარია!“ ფეხმძიმობისას, ქალი თურმე უფრო გულჩვილია. ისე შევიჭერი როლში, რომ მეგონა, მართლა ვიწვებოდი. სახურავზე ოპერატიულად ამომძვრალი მეხანძრეები რომ დავინახე, თვალებზე ცრემლები მომადგა...

— ზოგს მიაჩნია, რომ არაესთეტიკურია, ყოველდღიურად ფეხმძიმე ქალის ეთერში გამოჩენა, რომ ფეხმძიმეებისთვის არსებობს დეკრეტული შვებულება... თქვენ არ გრძნობთ თავს უხერხულად?

— ერთმა ქალბატონმა პირდაპირ მითხრა: ძალიან კარგია, რომ ფეხმძიმედ ხარ, მაგრამ ეს არაესთეტიკურად ჩანს ეკრანზე და ისე უნდა გადაგიღონ, რომ მუცელი არ გამოგიჩნდესო. პირველად მაშინ დავფიქრდი, რომ შეიძლება, ვინმეს არ სიამოვნებს ფეხმძიმე ქალის ყურება და საშინლად დავკომპლექსდი. გადავწყვიტე კიდეც, დროებით აღარ გავსულიყავი ეთერში და ეს „რუსთავი-2“-შიც ვთქვი. იცით, რა პასუხი მივიღე? — შენ ხომ არ გაგიჟდიო?! ცოტა ხანს კიდევ ვიფიქრე და საბოლოოდ, მე მგონი, ყველაზე სწორი გადაწყვეტილება მივიღე: ფეხმძიმობა არ არის ავადმყოფობა, ეს არაჩვეულებრივი მდგომარეობაა. ასე ახლოს არასოდეს გრძნობ შვილს და არასოდეს გამოიყურები უფრო კარგად. უწინ, საქართველოს მთიანეთში ფეხმძიმე ქალი გარეთ არ გამოდიოდა, მარტოს ტოვებდნენ სახლ-

ყველაზე დიდი უზნეობა ის არის, რომ ხელი მოჰკიდო საქმეს, რომლისაც არაფერი გაგეგება.

ნაპოლეონ ბონაპარტე

ფრაზა გენიალური

რას ვაკეთებ თბილისიდან უჯრაში?

უკვე ექვსი თვეა, რაც უცნობი საცხოვრებლად საგურამოში გადავიდა. თბილისში მხოლოდ მაშინ ჩამოდის, როცა ან გადაღება აქვს, ან ჩაწერა. ინტერვიუსთვის ძველი კინოსტუდიის ეზოში მივაკითხე, სადაც მისი ახალი კლიპის გადაღებები მიმდინარეობდა. რაზე მუშაობს უცნობი ახლა? რას საქმიანობს საგურამოში? და რა ბედი ეწია მის ცნობილ მოტოციკლეტს? ყველაფერ ამაზე თავად გვიამბობს.

ნათია თენიეშვილი

— პარალელურად ორ კლიპზე ვმუშაობ. ის, რომლის გადაღებებიც ახლა მიმდინარეობს, არის სიმღერა-აქცია ეკოლოგიის თემაზე. ეს არის 9-წუთიანი სიმღერა და მინიფილმივით იქნება. პირველ ნაწილს მე ვმღერი, მეორე ნაწილში კი, ძალიან ბევრი მსახიობი და მომღერალი ვართ. ბავშვებს ჰყავთ თავიანთი კერპები და საქციელში მათ ჰბაძავენ. ამ კლიპის შემდეგ,ბავშვები მიხვდებიან,რომ არ შეიძლება, სადარბაზოში მოშარდონ, ქუჩაში ნაგავი დაყარონ და ა.შ. ჩვენ, ეკოლოგი-

მასში მამა-შვილის ურთიერთობა და დღევანდელი სოციალური სიტუაცია იქნება გადმოცემული

იდან მოშორებულ ქოხში; მარტო მშობიარობდა. ჩვენ ხომ იმ დროში აღარ ვცხოვრობთ?! რატომ დავიმალო? დიახ — 5 თვის ფეხმძიმე ვარ და ეს არაჩვეულებრივია! თუ ამ დროს, ცალკე დაჯექი და ყველაფერს გამოაკლდი, შეიძლება, ფეხმძიმობა არცთუ ისე სასურველ მდგომარეობადაც კი მოგეჩვენოს; დაკომპლექსდები, დაჩაგრულად, გარიყულად იგრძნობ თავს... ამ მდგომარეობას მე ვერაფრით შევეგუები...

— **იცით ბავშვის სქესი?**

— კახა ტატიშვილმა მითხრა, რომ ბიჭია. მას ვენდობი.

— **ანასტასიაც ჯერ პატარაა, მაგრამ ალბათ უკვე ამზადებთ იმისათვის, რომ ოჯახში კიდევ ერთი პატარა გაჩნდება...**

— ანასტასიამ იცის, რომ მუცელში ბაიაა და სულ ეფერება. რატომღაც ამბობს, რომ იქ გოგოა. გოგო თუ დაიბადა, ვიცი, რასაც დავარქმევ, მაგრამ ბიჭის სახელი ჯერ შერჩეული არა მაქვს. მხოლოდ ერთი რამ ვიცი: მშობლების სახელს არ დავარქმევ. მე მგონია, დედას გული უგრძნობს, რა უნდა დაარქვას შვილს. ყველა სახელი, რაღაც აურის მატარებელია და დედა გრძნობს, თუ მის შვილს როგორი აურა სჭირდება, სახელთან ერთად რა უნდა დააბედოს შვილს.

— **მეუღლე ხომ არ აპირებს, მშობიარობას დაესწროს?**

— არა, არა მაქვს ამის სურვილი. მამაკაცი ვერასოდეს იგრძნობს, თუ რეალურად რა შეგრძნება აქვს ქალს ამ დროს. არანაირ დამატებით ძალას ეს მე არ მომცემს. ტკივილის ყურებისთვის კი, ვერ ვიმეტებ.

— **ნანიკო ხაზარაძე მეუღლის თანდასწრებით აპირებს მშობიარობას...**

— ეს მისთვის პირველი ფეხმძიმობაა და ძალიან განიცდის. წაიკითხა თითქმის ყველა წიგნი, რაც კი ამ თემაზე არსებობს. მინდა, ყველა ახალბედა დედა დავამშვიდო: ქალი მანამდე, სანამ ბავშვი დაიბადება და ჩვილის მოვლის დროსაც, ინსტინქტურად გრძნობს, თუ რა სჭირდება მის პატარას, ამიტომ, ტყუილად ნუ ინერვიულებენ გამოუცდელობის გამო.

— **დღეს ფეხმძიმობისთვის შესაფერის ტანსაცმელს თითქმის აღარავინ არჩევს...**

— მე კერვა მეხერხება. ამ დროს, თვითონ ვიკერავ ტანსაცმელს და მინდა, განსაკუთრებით კარგად გამოვიყურებოდე.

— **კვება?**

— არ ვიცი, რა მემართება: ხორცი, ძეხვეული მიზიდავს... მოკლედ, ხორცეულის გარდა, არაფერი მინდა... ერთადერთი, რასაც ვერ ვიტან, ეს არის დახურული სივრცე და სიგარეტის ბოლი.

„პირდაპირ ეთერში არხის
გახსნიდან ერთი თვის
განმავლობაში ვიმუშავებ"

ეკა ბერიძე:

— ხუთთვე-ნახევრის ფეხმძიმე ვარ, მაგრამ ვფიქრობ, ეს ხელს არ შემიშლის მუშაობაში. „მზე" ეთერში პირველ ივნისს გავა. მე და ირაკლი იმნაიშვილი საინფორმაციო გადაცემას წავიყვანთ, რომელიც დღის განმავლობაში, რამდენჯერმე გავა ეთერში. პირდაპირ ეთერში არხის გახსნიდან ერთი თვის განმავლობაში ვიმუშავებ. მშობიარობა აგვისტოს ბოლოს ან სექტემბრის დასაწყისში დამეწყება.

— **როგორ ემზადებით საამისოდ? დღეს, უკვე ბევრი ქალი ფიქრობს, რომ აუცილებელია, წინასწარი ფიზიკური და ფსიქოლოგიური მომზადება.**

— ფეხმძიმობის პირველი ეტაპი შედარებით რთული იყო ჩემთვის, მუცლის მოშლის საშიშროებაც კი იდგა. ვარჯიშების შესახებ, ორ ექიმთან მქონდა კონსულტაციები და მათ მირჩიეს, რომ ჩემთვის ფიზიკური დატვირთვა მაინცდამაინც მიზანშეწონილი არ იყო. რაც შეეხება ფსიქოლოგიურ სამსახურს — მყავს ფსიქოთერაპევტი, რომლის კონსულტაციებსაც აბსოლუტურად ვენდობი. მასთან ხშირად მაქვს კონტაქტი, მაგრამ ფეხმძიმობის პერიოდში, განსაკუთრებით ხშირად ვურეკავ ხოლმე.

— **კვების რეჟიმზე რას გვეტყვით? თუ არის რომელიმე კერძი, რომელიც განსაკუთრებით შეგიყვარდათ?**

— ვიკვებები ჩვეულებრივად, როგორც ფეხმძიმობამდე. თუმცა, ვცდილობ, გარკვეულ საათებში და შედარებით ნაკლებად კალორიული საკვები მივიღო. მართალია, სახეზე იმდენად არ მეტყობა, მაგრამ 10 კილო მაქვს მომატებული და ვცდილობ, ისეთი ტანსაცმელი შევარჩიო, რომელშიც შედარებით გამხდარი ვჩანვარ. ვცდილობ, წონა მაინც გავაკონტროლო. ამ მიზნით, ვიყავი ელენე გიორგაძესთან და მისი მეთვალყურეობის ქვეშ ვიმყოფები. გადავედი სპეციალურად ჩემთვის განკუთვნილ დიეტაზე და ვფიქრობ, მშობიარობის შემდეგ, ჭარბი წონისგან სწრაფად გავთავისუფლდები.

■

ის თემაზე ლექციებიც წავიკითხეთ სკოლებში. მე სამი გაკვეთილი ჩავატარე მეოთხეკლასელებთან.

— როგორი რეაქცია ჰქონდათ ბავშვებს, როცა მათთან კლასში მასწავლებლად, უცნობი შევიდა?

— ისეთი რეაქცია ჰქონდათ, რომ მგონი, ცხოვრებაში არაფერს დაყრიან და დააბინძურებენ...

— დავიჯერო, თქვენ არასდროს დაგიგდიათ ქაღალდი ქუჩაში?

— მეც ქართველი ვარ და ჩვენ ეს გვჩვევია. რომ ვთქვა, ჩამოყალიბებული, წესრიგის დამცველი ვარ-მეთქი, მოგატყუებთ. მაგრამ ახლა უკვე ვცდილობ, დავიცვა ის წესები, რომელიც ქალაქის დაბინძურებას შეამცირებს. ეს ჩვენი ქალაქია და ჩვენ თუ არ მოვუარეთ და გავასუფთავეთ, ჩვენ მაგივრად ამას არავინ გააკეთებს. ამას წინათ მეგობრები ვლაპარაკობდით: იქნებ, ის დამლაგებლები და მენაგვეებიც, რომლებიც ადრე იყვნენ, საზღვარგარეთ სამუშაოდ წავიდნენთქო?! მენაგვეებიც კი გაგვექცნენ და ქალაქში მენაგვე რომ არ გეყოლება, ვინღა უნდა დაგავოს და დაალაგოს?..

— თქვით, პარალელურად მეორე კლიპზეც ვმუშაობთ. რომელ სიმღერაზე იღებთ იმ კლიპს?

— როცა ამ კლიპის გადაღებები დამთავრდება, მერე დავიწყებ იმაზე მუშაობას. ჯემალ სეფიაშვილის მუსიკა და რატი ამაღლობელის ლექსია; ვასრულებთ მე და თიკა ჯაბურია. მასში მამა-შვილის ურთიერთობა და დღევანდელი სოციალური სიტუაცია იქნება გადმოცემული. მე მგონი, ესეც ძალიან საინტერესო უნდა გამოვიდეს.

— როდის ვიხილავთ ამ კლიპებს ეკრანზე?

— პირველს ალბათ ივნისის შუა პერიოდში უკვე იხილავთ. რაც შეეხება მეორე კლიპს — შეიძლება, სექტემბრამდე არ შედგეს პრეზენტაცია, იმიტომ, რომ ზაფხულია, ივლისსა და აგვისტოში ხალხი ქალაქიდან გადის, მკვდარი თვეებია. სექტემბერში რომ ჩამოვა ხალხი ქალაქში, მაშინ შევთავაზებთ კლიპსაც.

— თქვენ სად აპირებთ დასასვენებლად წასვლას?

— მე უკვე ექვსი თვეა, თბილისში აღარ ვცხოვრობ. საგურამოში ვარ, იქ ვმუშაობ და იქ ვქმნი, თუ რამეს ვქმნი. ძალიან მიყვარს ეს მხარე. რაღაცნაირად დავწყნარდი, თბილისს რომ მოვშორდი. თან სიარულიც არ არის ძნელი. თუ დამჭირდა, 10 წუთში თბილისში ვარ. მაგრამ საღამოობით, ერთი სული მაქვს ხოლმე, აქედან როდის გავაღწევ. რამდენიმე დღის წინ, ვაპირებდი აქ დარჩენას, მაგრამ ვერ დავიძინე. ავდექი და ისევ საგურამოში წავედი. თან იქ ბიძაჩემი, ჩემი ახლობლები და ნათესავები ცხოვრობენ. მეც ოჯახთან ერთად ვარ წასული. მიწაზე ვმუშაობ, ჩემს ეზოში ხეებს ვრგავ, ახლა ბალახი დავთესე და ა.შ. მე მგონი ძალიან საინტერესო ცხოვრების წესით დავიწყე ცხოვრება. თბილისი ძალიან დამძიმებული ქალაქია. თუ ხშირად მიწევს აქ ყოფნა, მეც ვმძიმდები და მირჩევნია, დროზე მოვშორდე აქაურობას, წავიდე იქ და დავისვენო.

— ალბათ საგურამოელი ბავშვებიც სულ უკან დაგდევენ?

— ბავშვებს საერთოდ ვუყვარვარ და მე ეს ძალიან მიხარია. ისინი გულწრფელები არიან და სხვა ადამიანის გულწრფელობასაც კარგად გრძნობენ. ბავშვს რაც მოსწონს, იმაზე პირდაპირ ამბობს, რომ მოსწონს, რაც არ მოსწონს — არ მოსწონს და მორჩა.

— ეი. მთელი ზაფხული საგურამოში აპირებთ ყოფნას?

— ჯერჯერობით მაგაზე არ მიფიქრია. არ ვიცი, შეიძლება, სადმე წავიდე. ვნახოთ.

— ახლა ზაფხულია, სეზონი მოვიდა, არ აპირებთ თქვენი მოტოციკლეტით სარგებლობას?

— არა, იმიტომ, რომ ის მოტოციკლეტი შარშანვე გავყიდე. უკვე ისეთ ასაკში ვარ, მე მგონი, აღარ არის იმის დრო, რომ თავზე ბენდენა შემოვიკრა და ქუჩაში მოტოციკლეტით ვიარო. გამოვედი მაგ ასაკიდან...

— თუ საიდუმლო არ არის, ვის მიჰყიდეთ?

— იყიდა ჩემმა თანასკოლელმა და ბავშვობის მეგობარმა, იურისტმა — ირაკლი ხუნწარიამ.

— გული არ დაგწყდათ, რომ გაყიდეთ?

— ცოტა კი, მაგრამ მანქანა მყავს და ძირითადად იმით დავდივარ.

— ცოტა ხნის წინ, საკმაოდ ხმამაღალი პოლიტიკური განცხადება გააკეთეთ და ოპოზიციას გაერთიანებისკენ მოუწოდეთ. კიდევ ხომ არ აპირებთ ამ სფეროში რაიმე ნაბიჯის გადადგმას?

— ეს პოლიტიკურ განცხადებაზე მეტად, ქვეყნის მდგომარეობის გამო, ჩემი ტკივილის გამოხატვა იყო. მე რასაც ვფიქრობდი, იმის შესახებ გავაკეთე განცხადება იმიტომ, რომ უკვე მართლა აღარ შეიძლება ასე დაქსაქსულად ცხოვრება. არა მხოლოდ პოლიტიკაში — ნებისმიერ სფეროში დღეს, დაქსაქსულობას და დაყოფას ვხედავთ. გვინდა თუ არ გვინდა, დღეს, ჩვენ

უკვე ისეთ ასაკში ვარ, მე მგონი, აღარ არის იმის დრო, რომ თავზე ბენდენა შემოვიკრა და ქუჩაში მოტოციკლეტით ვიარო

ვცხოვრობთ საქართველოში და ცუდები ვართ თუ კარგები, ჩვენ უნდა ავაშენოთ ეს სახელმწიფო. ცუდსაც და კარგსაც ჩვენ უნდა მოვუაროთ. მომავალი თაობისთვის და ჩვენი შვილებისთვის მაინც ვიზრუნოთ! ვეცადოთ, რომ ნორმალური ქვეყანა დავუტოვოთ მათ. სულ ეს იყო ჩემი განცხადების არსი. შეიძლება, ზედმეტად პოლიტიზებული გამომივიდა, მაგრამ პოლიტიკაში შესვლას, მერწმუნეთ, არ ვაპირებ იმიტომ, რომ ეს უდიდესი პასუხისმგებლობაა შენი ერისა და მამულის წინაშე და თუ ამისთვის მზად არა ხარ — არავითარ შემთხვევაში არ უნდა გააკეთო. დღეს, პოლიტიკოსებს ჰგონიათ, რომ თუ პოლიტიკაში მოვიდნენ, ქვეყანამ უნდა იმუშაოს მათთვის და არა მათ ქვეყნისთვის. არადა, ყველაფერი პირიქით არის: პოლიტიკოსი ხალხის მიერ დაქირავებული ადამიანია, რომელმაც უნდა იმუშაოს ხალხისთვის და არა საკუთარი ჯიბისთვის. სანამ ამას არ შეიგნებენ, მანამდე არაფერი გამოვა და ჩემი განცხადებაც ზუსტად ამას ნიშნავდა.

— თქვენ პროფესიით მსახიობი ხართ. თეატრში რატომ არ მუშაობთ? შემოთავაზებები არ მიგიღიათ თუ თქვენ არ გაქვთ სურვილი?

— ძალიან ბევრი შემოთავაზება მაქვს ახლაც და მქონდა ადრეც, მაგრამ ფიზიკურად ვერ ვასწრებ სპექტაკლებში მონაწილეობას. ჯერჯერობით სიმღერების ჩაწერით და კლიპების გადაღებით ვარ დაკავებული. თუმცა მალე, მაგის დროც მოვა და აუცილებლად მიხილავთ სცენაზეც...

■

ალბათ მიხვდით – დღევანდელ ნომერში რუბრიკის პრემიერას გთავაზობთ. „სასიძოს" ზოგჯერ „სარძლო" შეენაცვლება... ჩვენი პირველი რესპონდენტი, მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელე, ახალგაზრდა ჯაცი გიორგი ისაკაძეა.

გიორგი ისაკაძე დაოჯახების სურვილმა შეიპყრო

მარი ჯაფარიძე

კოლეგებისგან მსმენია — გიორგის გული მოსდის, როდესაც მასმედიაში სასიძოდ მოიხსენიებენ: გამოდის, სასურველი სასიძო მხოლოდ იმიტომ ვარ, რომ სახელმწიფო მინისტრის მოადგილის სავარძელი მიკავია და მატერიალურადაც საკმაოდ მყარად ვდგავარ ფეხზეო... ვფიქრობ, გიორგი, მართლაც, პირველ რიგში, თავისი პიროვნული თვისებებითაა საინტერესო და ვეცდები, სწორედ ამ კუთხით წარმოვაჩინო და როგორც მას შევპირდი... მაჭანკლობაც კი ვითავო — თავად ხომ, პირადი ცხოვრებისთვის სულ ვერ იცლის. ასე რომ, გოგონებო — ქერათმიანებო და შავგვრემანებო, მაღლებო და „მინიატურულებო", ლამაზებო თუ უბრალოდ შარმიანებო — დაცქვიტეთ ყურები!.. მით უმეტეს, რომ ძმისშვილის, პატარა სალომეს ამქვეყნად მოვლინებამ გიორგი ისაკაძეს ოჯახის შექმნის სურვილი გაუმძაფრა...

დედა-შვილს — გიორგისა და ქალბატონ თამარს — ვერაზე, მათ მყუდრო ბინაში ვესტუმრე. მინდა გითხრათ, რომ ქალბატონი თამარით მართლა მოხიბლული დავრჩი და გულიანად ვიცინოდი, როცა ყოველი წინადადების ბოლოს მის მიერ ნათქვამს — „გენაცვალოს დედა" — გიორგი უხერხული შმუშვნით ხვდებოდა და — არა, არა, ჯობდა, მამაჩემისთვის მეთხოვა, შინ დარჩენილიყოო... — ამბობდა.

— ქალბატონო თამარ, როგორი ბავშვი იყო გიორგი?

— ძალიან საყვარელი, ჩუმი, დამჯერი, მაგრამ თავისებური ბავშვი იყო, ენაცვალოს დედა! ასეთი კი არ იყო, როგორიც ახლაა. ძალიან გამხდარი დახვეულთმიანი, „მონმარტრის" ბავშვებს ჰგავდა. იმდენად გამხდარი იყო, სულ ვეხვეწებოდი, „ქაში" ეჭამა... 18 წლის რომ გახდა, მის საქმეებში ჩვენ უკვე აღარ ვერეოდით. აბსოლუტურად დამოუკიდებელი გახლდათ და ცხოვრებაშიც გზა თავად გაიკვლია.

გიორგი:

— მე იმ თაობას ვეკუთვნი, რომელსაც ბავშვობა არ ჰქონია. თითქოს პირდაპირ დიდები გავხდით. სამაგიეროდ, სხვანაირი წრთობა მივიღეთ და დიდი ცხოვრებისეული გამოცდილებაც შევიძინეთ: მიჩხუბია კიდეც, პურის რიგშიც ვმდგარვარ და არც ამა თუ იმ მნიშვნელოვანი მოვლენის მიღმა დავრჩენილვარ. თბილისის ომი ჩემი ხელით მაქვს გადაღებული, სულ ვიდეოკამერით დავდიოდი. მაშინ შედარებით გრძელი თმა მქონდა, ყვითელ მაისურს ვიცვამდი, რომ უცხოელი ჟურნალისტი ვგონებოდი და ისე ვიღებდი იმ ბრძოლებს, მთავრობის სასახლესთან რომ მიმდინარეობდა... შემდეგ, უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ფაკულტეტზე ჩავაბარე, პირველი კურსის დამთავრების შემდეგ, დავიწყე მუშაობა და იქიდან მოყოლებული, დამოუკიდებლად ვცხოვრობ.

— ქალბატონო თამარ, ხომ არ ნერვიულობთ იმის გამო, რომ გიორგი უცოლოა?

— არა, ძალიან არ განვიცდი, მაგრამ სასურველია, დაოჯახდეს — უკვე 27 წლისაა და დროა, ცოლი მოიყვანოს.

— გიორგი, თქვენ არ გაქვთ დაოჯახების სურვილი?

— როგორ არა?! მაგრამ ეს ალბათ რაღაცნაირად, თავისით უნდა მოვიდეს. ვფიქრობ, რომ ცხოვრებაში ყველაფრის დაგეგმვა შეიძლება, ამის გარდა. მე ამას ხელოვნურად ვერ დავაჩქარებ. როდესაც ჩვენს ოჯახს ჩემი ძმისშვილი — პატარა სალომე შეემატა, ოჯახის შექმნის სურვილი უფრო გამიმძაფრდა. ბავშვს სიცოცხლე და ხალისი შემოაქვს ოჯახში. მთელი ჩვენი „შემადგენლობა" მასზე ვართ გადართული: ჩემი ძმა, ლაშა თავისი ცოლშვილით ცალკე ცხოვრობს და თითქმის ყველანი თავს იქ ვიყრით ხოლმე; როცა ისინი ჩვენთან მოდიან, აქ ვგროვდებით. ასე დავყვებით პატარა სალოს.

— ქალბატონო თამარ, რძალთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?

— შესანიშნავი. ძალიან კარგი გოგონაა, მშვენივრად ვუგებთ ერთმანეთს. ვმეგობრობთ. ძალიან მიყვარს. ჩემი და შალვას (მეუღლის) ოცნება იყო, რომ ქალიშვილი გვყოლოდა. ღმერთმა ორი ვაჟი მოგვცა. ნუციკომ კი, შესანიშნავად შეავსო ის სიცარიელე, რომელიც გოგონას არყოლამ დაგვიტოვა. ამას ხელი შეუწყო იმანაც, რომ ლაშა და ნუციკო დაქორწინებამდე, კარგა ხანს ხვდებოდნენ ერთმანეთს და ის თითქმის ყოველდღე მოდიოდა ჩვენთან სტუმრად. რძალი ისე არ უნდა მიიღო, როგორც უცხო — შენიანად უნდა აღიქვა და ყველაფერი კარგად იქნება. თუ შვილი გიყვარს, მისი მეუღლეც უნდა გიყვარდეს, შვილად მიიღო.

— გიორგი, ცოლის მოყვანას რომ გადაწყვეტთ, დედის აზრს გაითვალისწინებთ?

— მე ყველა გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად ვიღებ. ეს ჩემმა ოჯახმა იცის, ამიტომ, ასეთ მნიშვნელოვან საკითხსაც თავად გადავჭრი...

— როგორი უნდა იყოს გოგონა, თქვენ რომ მოგხიბლოთ?

— ერთგული, ყურადღებიანი, თბილი და მოსიყვარულე. მე ნამდვილი, მყარი და ლამაზი ოჯახი მინდა მქონდეს. ჩემმა მეუღლემ უნდა შეიყვაროს ჩემი ოჯახი, თუ საჭირო იქნება, შეეხიდოს დედაჩემს იმ საქმეში, რასაც ის აკეთებს, უნდა შეეთვისოს ჩემს სამეგობრო წრეს და ყურადღება გამოიჩინოს იმ ადამიანების მიმართ, ვინც ჩემ გარშემო ტრიალებს. ამ საკითხში შეცდომას ვერ დავუშვებ; არ მინდა, ისე მოხდეს, რომ მერე ვიფიქრო: რატომ ვიჩქარე-მეთქი?!.

— მის გარეგნობას თუ ექნება თქვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა?

— რა თქმა უნდა, კარგი გარეგნობა უნდა ჰქონდეს. წარმოიდგინეთ — მთელი დღის განმავლობაში, რამდენჯერ უნდა ამიარ-ჩამიაროს ცხვირწინ... ხომ უნდა გსიამოვნებდეს მისი ყურება?

— როგორი ხართ, შეყვარებუ-

ლობისას?

— ამ გრძნობის „არანორმალურობა“ ბავშვობიდან მახსოვს... როცა შეყვარებული ვარ, დადებითი ემოციებით ვიმუხტები. ეს ადამიანისთვის დიდი სტიმულია. ძალიან კარგი რამეა სიყვარულის განცდა! თუ სურვილი გამიჩნდება, შემიძლია, უამრავი სიურპრიზი მოვუწყო საყვარელ ადამიანს. მისთვის ყვავილების ჩუქება ხომ ჩვეულებრივი ამბავი იქნება. თუ შემიყვარდება, ფიალაში დანთებული ცეცხლით ხელში, მის ფანჯრებთანაც ვიმღერებ და გაქროლებული მანქანის კაპოტზეც კი დავჯდები, ხელებს გავშლი და ისე ავუხსნი სიყვარულს... საჩუქრების მირთმევა საერთოდ, მიყვარს; ჩემს მეგობრებს, მათ შვილებსა და მეუღლეებსაც ხშირად ვასაჩუქრებ დიდი, ფუმფულა სათამაშოებითა და ყვავილებით.

— რაიმე სარფიან გარიგებაზე თუ წახვიდოდით? მაგალითად, უსიყვარულოდ, მაგრამ იმის გარანტიის შემთხვევაში, რომ ვთქვათ, ეს ქორწინება მყარი კარიერის გაკეთებაში დაგეხმარებათ.

— არა, ვეცდები, პირადი ცხოვრება და პოლიტიკური გარიგებები ერთმანეთს არ დავუკავშირო. ჩემთვის მთავარია, ვიგრძნო, რომ ეს ის — „ის“ არის, ვიგრძნო, რომ მიყვარს და პატიოსანი ოჯახის შვილია, მის წარმომავლობას, გვარს, მამის საზოგადოებრივ მდგომარეობას დიდ მნიშვნელობას არ მივანიჭებ...

— ინიციატივა ქალმა რომ გამოიჩინოს, როგორ შეხვდებით ამ ამბავს?

— ჩვეულებრივად. როგორც თქვენ, მანდილოსნები გრძნობთ ხოლმე სიმპათიას ჩვენგან, ასევე ჩვენ, მამაკაცები ვგრძნობთ იმას, თუ როგორაა განწყობილი ჩვენ მიმართ ესა თუ ის ქალი. საერთოდ, მამაკაცმა თავისი ფუნქცია უნდა შეასრულოს, ქალმა — თავისი. შესაძლოა, სუსტი სქესის წარმომადგენელმა სიმპათია გაგრძნობინოს, მაგრამ პირველი ნაბიჯი, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მამაკაცმა უნდა მიიღოს.

— რამდენად მომთხოვნი ხართ? მაგალითად, აუცილებელი იქნება თუ არა, რომ შინ გვიან მოსულს, მეუღლე ფხიზლად დაგხვდეთ?

— ზედმეტ ყურადღებას ნამდვილად არ მოვითხოვ — როცა მშიერი არა ვარ. როცა მშია, აუცილებლად უნდა დამაკმაყოფილონ. რაც შეეხება დალოდებას, მე ამას ვერავის ვაიძულებ. თვითონ გადაწყვიტოს, როგორ უნდა მოიქცეს. ცოლ-ქმარს შორის ბევრი რამ თავისთავად, გულის კარნახიდან გამომდინარე უნდა მოხდეს. ამ კუთხით დედაჩემი და მამაჩემი, იდეალური წყვილია ჩემთვის.

— დედა რომ გეფერებათ, მოგწონთ?

ძმისშვილთან ერთად

— რატომაც არა?! მას ეს ისე კარგად და ისე ბუნებრივად გამოსდის, რომ სხვაგვარად ვერც კი წარმომიდგენია. ზუსტად ისე მეფერება, როგორც პატარა სალოს. მისთვის მეც იმავე ასაკში ვარ, რომელშიც ჩემი ძმისშვილია... მეამყება კიდეც, ასე რომ მექცევიან. მიყვარს, როდესაც სითბოსა და სიყვარულს გამოხატავენ. როდესაც ოჯახში ამას გრძნობ, მაშინ გარეთაც მყარად და დამაჯერებლად გრძნობ თავს.

— გიორგი, ქალის მოტაცებაში თუ მიგიღიათ მონაწილეობა?

— მოტაცებაში — არა, მაგრამ ჩემი ძმაკაცის მომავალი მეუღლე კი, პირდაპირ ნიშნობიდან წამოვიყვანე... მივედით ოჯახში ქალის დასანიშნად. მეგობარმა წინასწარ გამაფრთხილა: დღესვე ჩემთან მინდა წამოვიყვანო და იქნებ, რამენაირად მომიხერხოო. მისი სასიმამრო შევაბი და ქალი „ჩვენსას“ წამოვიყვანეთ. ასე რომ, მოტაცებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩემი გამოყენება შეიძლება: მაქვს იმის უნარი, რომ ადამიანი ლაპარაკით ბევრ რამეში დავარწმუნო.

— ოჯახის მუჭუჭი თუ ხართ?

— კი, კი, ვარ. მიყვარს ოჯახზე ზრუნვა. თუ ვიცი, რომ რაიმე სჭირდებათ, უთქმელად ვყიდულობ და მომაქვს ხოლმე.

— დათმობა თუ შეგიძლიათ?

— კომპრომისები მიყვარს, რადგან, ამის გარეშე, შედეგს ვერ მიიღებ; ვიღაცა აუცილებლად უნდა წავიდეს ხოლმე დათმობაზე.

— ქალბატონო თამარ, როგორია გიორგი, როცა ნასვამია?

— ძალიან საყვარელია, სულ გეფერება. მშვენიერი მოლხენა იცის. მისი მეგობრები ხშირად იკრიბებიან ხოლმე ჩვენთან. გიორგი მშვენივრად მღერის, ცეკვავს კიდეც.

გიორგი:

— ამისთვის დალევა არც არის საჭირო. თუ ცეკვა და სიმღერა მინდა, ფხიზელიც მშვენივრად მოვახერხებ ამას. მეგობრებთან ხალისიანი დროს ტარება კი, ძალიან მიყვარს.

— გიორგი, მოგწონთ, როდესაც ბავშვებს ბებიისა და ბაბუის სახელს არქმევენ?

— მე დედა ძალიან მიყვარს. ჩემს ძმას არ მივეცი უფლება, რომ თავისი შვილისთვის თამარი დაერქმია, რადგან თამუსია ჩემს შვილს უნდა დავარქვა. თანაც — ძალიან მინდა, ბევრი, უამრავი შვილი მყავდეს...

— რომ გიმაჭანკლოთ, ამის წინააღმდეგი ხომ არ იქნებით?

— მაჭანკლობას სკეპტიკურად ვუყურებ, თუმცა — რატომაც არა?! მიმაჭანკლეთ, გენდობით! ოღონდ, მიმაჩნია, რომ გარიგება იმ შემთხვევაშია გამართლებული, როცა გაცნობას შემდგომ, სიყვარული მოსდევს!..

P.S. ჩემი მაჭანკლობის პირველი რაუნდი ამით დასრულდა. ახლა ჯერი თქვენზეა: გამოგვეხმაურეთ და თუ გიორგი ისაკაძე თქვენი სიმპათიის ობიექტია, შეეცადეთ მოაწონოთ თავი — გნებავთ, სიტყვიერად და გნებავთ — ფოტოსურათით. „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთში ჩაგდებული, თქვენი გზავნილი უმოკლეს დროში მოხვდება ჟურნალ „გზის“ რედაქციაში (შეგიძლიათ აგრეთვე მე დამიკავშირდეთ, ტელ.: 8.77. 45-68-61). ჩვენ კი, თქვენს ღირსებებს თქვენი სიმპათიის ობიექტის სამსჯავროზე წარვადგენთ... ■

დედ-მამასთან, რძალთან და ძმისშვილთან ერთად

ქეიფის შემდეგ, ოთხმა მეგობარმა მეგობარს ცემით ამოხადა სული

პატიმრები, რომელთაც საშინელ მკვლელობაში ადანაშაულებენ, ამ ბრალდებას უარყოფენ

ოთხ პატიმარს — ბაგრატ ასლანიანს, ალექსანდრე პაპუნაშვილს, ბესიკ გოგოლაშვილსა და ზურაბ ნამოევს მალე სასამართლოს წინაშე, ერთი წლის წინ მომხდარი, საშინელი მკვლელობის ახსნა მოუწევთ. პროკურატურა მათ სიღნაღის რაიონში მცხოვრები თამაზ ქოქოაშვილის სადისტურ მკვლელობაში ადანაშაულებს. არც ერთი პატიმარი თავს დამნაშავედ არ ცნობს, თუმცა გამოძიების მასალების მიხედვით, ქოქოაშვილს მათ, ასლანიანის საცხოვრებელი სახლის აივანზე, ცემით ამოხადეს სული.



მოკლული თამაზ ქოქოაშვილი

მომხდარი ფაქტის გამო, სიღნაღის რაიონის პროკურატურაში, სისხლის სამართლის საქმე 2002 წლის 18 აგვისტოს აღიძრა. პოლიციამ საცხოვრებელი სახლის უკან მდებარე ვენახში ჩაგორებული „ჟიგული“ იპოვა, ავტომანქანის სალონში კი მოკლული ქოქოაშვილის გვამი აღმოჩნდა...

გაირკვა, რომ დანაშაული წინა ღამით მოხდა. ეჭვმიტანილები მეორე დღეს უკვე გაქცეულები და მიმალულები იყვნენ. მართალია, რამდენიმე დღეში სამართალდამცავებმა ისინი დააკავეს, თუმცა როგორც პროკურატურა დასძენს, გამოძიებისთვის რეალური სურათი არც ერთ მათგანს არ აღუწერია. ძიების მასალების მიხედვით კი, მკვლელობა ასე მოხდა:

2002 წლის 17 აგვისტოს, საღამოს, დაახლოებით 10 საათზე, ბაგრატ ასლანიანი და მისი მეგობრები — ალექსი პაპუნაშვილი და ზურაბ ნამოევი ქალაქ წნორში მცხოვრებ, ვალენტინა ბორისოვასთან მივიდნენ სტუმრად. ბორისოვამ მაშინვე გააწყო სუფრა და სტუმრებმა ქეიფი დაიწყეს. სულ მალე მათ თამაზ ქოქოაშვილი და ბაგრატის ძმა — მამუკა ასლანიანი შეუერთდნენ. ამ უკანასკნელს მეგობარი ქალი — ნატალია სუკაჩოვაც ახლდა. სუფრის წევრები არაყს სვამდნენ. მხიარულად ატარებდნენ დროს, მაგრამ თანდათან სიტუაცია იძაბებოდა, მამაკაცები რამდენჯერმე წაკამათდნენ კიდეც, თუმცა დანარჩენები ყოველთვის ახერხებდნენ მათ დაშოშმინებას. მიუხედავად ამისა, რაც უფრო თვრებოდნენ, ერთმანეთის მიმართ მით უფრო აგრესიულები ხდებოდნენ. მოსალოდნელი ჩხუბის თავიდან აცილება ქალების გარდა, განსაკუთრებით მამუკა ასლანიანს უნდოდა, რომელიც, სხვათა შორის, აწ გარდაცვლილი თამაზ ქოქოაშვილის უახლოესი მეგობარი გახლდათ. შეკამათება სწორედ ქოქოაშვილსა და მამუკას ძმას — ბაგრატ ასლანიანს შორის მოხდა. მამუკამ მეგობარს სთხოვა: ძალიან მთვრალი ხარ და შინ წადიო. ქოქოაშვილი დათანხმდა და დატოვა კიდეც ვალენტინა ბორისოვას სახლი.

მისი წასვლის შემდეგ, ალექსანდრე პაპუნაშვილმა ბაგრატ ასლანიანს უსაყვედურა: თამაზისთვის დედის გინება ასე იოლად არ უნდა შეგერჩინა, შენს ადგილას ასეთ შეურაცხყოფას მას არავითარ შემთხვევაში არ ვაპატიებდი და თუკი პასუხის გაცემა არ შეგიძლია, მე გადავუხდი სამაგიეროსო.

ამ სიტყვებიდან დაახლოებით 10 წუთში, მამუკა ასლანიანი თავის მეგობარ ქალთან ერთად ამ უკანასკნელის სახლში წავიდა. ბორისოვას ბინა დანარჩენმა სტუმრებმაც დატოვეს. ბაგრატ ასლანიანმა, იქვე ახლოს მცხოვრებ მეგობარს — ბესიკ გოგოლაშვილს მიაკითხა შინ. გოგოლაშვილიც ნასვამი აღმოჩნდა და ეძინა. ასლანიანმა გააღვიძა იგი, ქოქოაშვილთან შელაპარაკების შესახებ მოუყვა და სთხოვა მას, გაჰყოლოდა.

მამუკა ასლანიანის მეგობარი ქალის სახლს რომ მიუახლოვდნენ, ჭიშკართან თამაზ ქოქოაშვილის ავტომანქანა შენიშნეს. ბაგრატმა გადაწყვიტა, ქოქოაშვილი მოტყუებით თავის სახლში წაეყვანა და სწორედ ამ განზრახვით სთხოვა მას — ფეხით ვართ და მანქანით სახლში გაგვიყვანეო. ცოტა ხნის წინანდელი წყენის მიუხედავად, ქოქოაშვილი დათანხმდა, ოთხივე — პაპუნაშვილი, გოგოლაშვილი, ნამოევი და ბაგრატ ასლანიანი მანქანაში ჩასვა და ამ უკანასკნელის სახლისკენ, ალაზნის ქუჩისკენ გასწია.

პროკურატურის მასალების თანახმად, სახლთან მისვლისას, ასლანიანმა და მისმა მეგობრებმა ქოქოაშვილი ძალით აიყვანეს მეორე სართულზე. ღია აივანზე რომ გავიდნენ, წააქციეს იგი და ოთხივემ ერთად, ხელებითა და ფეხებით დაუწყო ცემა. გულაღმა წაქცეულ ქოქოაშვილს ისინი სახისა და თავის არეში, გამეტებით ურტყამდნენ.

სახლში ამ დროს ბაგრატ ასლანიანის მეუღლეს — მარინა გალუსტოვას ეძინა. ხმაურზე ოთახიდან გამოვიდა და ასეთი სურათი რომ დაინახა, ქმარს სთხოვა, სასწრაფოდ შეეწყვიტათ ცემა. ქალის ხვეწნა-მუდარას ყურადღება არც ერთმა არ მიაქცია. უკვე საშინლად ნაცემი ქოქოაშვილისთვის წიხლების რტყმას ისევ განაგრძობდნენ, მალე კი ისიც შენიშნეს, რომ ის აღარ იძროდა. სადისტური ცემის შედეგად თამაზ ქოქოაშვილი ადგილზე გარდაიცვალა.

გამოძიების მასალების მიხედვით, დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით, დამნაშავეებმა ახალი გეგმა შეიმუშავეს. ქოქოაშვილის გვამი მათ მისივე ავტომანქანის საბარგულში ჩადეს, მანქანა კი დაღმართზე, ვენახისკენ დააგორეს და მიიმალნენ.

მანქანა შემთხვევის ადგილიდან დაახლოებით ორ კილომეტრში გაჩერდა. ბოროტმოქმედები ავტომანქანასთან მივიდნენ, გვამი საბარგულიდან ამოიღეს და სალონში გადაიტანეს. ამის შემდეგ იქაურობა მიატოვეს და მიიმალნენ.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტებმა გარდაცვლილი ქოქოაშვილის სხეულზე, კერძოდ, თავის მიდამოში მძიმე ხარისხის დაზიანებები დააფიქსირეს.

მათი თქმით, დაზიანებული გახლდათ ქალა, ტვინში სისხლი იყო ჩაქცეული, ქალის ძვლები და კისრის მალები კი — მოტეხილი. ექსპერტთა მტკიცებით, დაზიანებები რაღაც ბლაგვი საგნის ზემოქმედებით იყო მიყენებული, ხოლო გამოძიებით დადგინდა, რომ — ფეხების ძლიერი, მრავალჯერადი, ინტენსიური დარტყმის შედეგად.

დაკვებულმა ბაგრატ ასლანიანმა ჩად-

ენილ განზრახ მკვლელობაში თავი დამნაშავედ არ ცნო. მან მხოლოდ ხელყუმბარის უკანონოდ შეძენა-შენახვა და ტარება აღიარა, რაშიც პროკურატურა ზემოთ აღნიშნული ბრალდების გარდა ადანაშაულებს.

ბაგრატ ასლანიანის თქმით, შემთხვევის დღეს თამაზ ქოქოაშვილთან ერთად მართლაც იქეიფა, თუმცა მასთან არც შელაპარაკება მოსვლია და არც შურისძიების მიზნით წაუყვანია ის შინ და უცემია. თავის ჩვენებაში მკვლელობა ასლანიანმა მეგობარს – ნამოევს გადააბრალა.

ბაგრატ ასლანიანი. წინასწარი გამოძიებისას მიცემული ჩვენებიდან:

„... სუფრასთან თამაზმა უსაფუძვლოდ შემაგინა დედა, მაგრამ მე ამას ყურადღება არ მივაქციე. ის ყველაზე ადრე წავიდა შინ. ცოტა ხანში ჩვენც ავიშალეთ, გზაში კი, თამაზი მანქანით ისევ შეგვხვდა და მას სახლში წაყვანა ვთხოვეთ. მიუხედავად ამისა, მე მას ბოლომდე არ გავყოლივარ. ძმაკაცის სახლთან შევაჩერებინე მანქანა, ჯიხურთან არაყი ვიყიდე და გადავწყვიტე, ცოტა ფეხით გამესეირნა. პაპუნაშვილმა, ნამოევმა და გოგოლაშვილმა კი გზა მანქანით განაგრძეს. ცოტა ხანში, გზაში პაპუნაშვილი შემხვდა და მითხრა, შენი სახლის აივანზე, ქოქოაშვილი ნამოევს ცემაში შემოაკვდაო. რახან ეს ამბავი ჩემს სახლში მოხდა, მეც გადავწყვიტე დანარჩენებთან ერთად მივმალულიყავი, რადგან, პოლიციასთან პრობლემები მექნებოდა.“

თავდაპირველ ჩვენებაში ზურაბ ნამოევმა ბაგრატ ასლანიანის სიტყვები დაადასტურა და მკვლელობა აღიარა. დასძინა, რომ დანარჩენ სამ ეჭვმიტანილს მომხდართან კავშირი არ ჰქონდა. გამოძიებამ არც ერთი ჩვენება არ მიიჩნია სარწმუნოდ და ჩათვალა, რომ ნამოევი დანაშაულს თავზე იღებდა და ამით მეგობრებისთვის პასუხისმგებლობის აცილებას ცდილობდა. მალე ასეც აღმოჩნდა, რასაც თავად ნამოევის მომდევნო ჩვენებები მოწმობს. მან სამართალდამცავების წინაშე პირველი აღიარება კატეგორიულად უარყო და განაცხადა, რომ იმ ღამეს შემთხვევის ადგილას საერთოდ არ იმყოფებოდა. ბაგრატ ასლანიანი მომდევნო ჩვენებებშიც იმავე პოზიციაზე დგას, პაპუნაშვილი და გოგოლაშვილი კი მის სიტყვებს ადასტურებენ.

რაც შეეხება მოკლულის მეუღლეს, დაზარალებულ – მარიამ ქოქოაშვილს, ის ბრალდებულებთან თავისი ქმრის მეგობრობას უარყოფს. აღნიშნავს, რომ პატიმართაგან მხოლოდ ბაგრატ ასლანიანს იცნობს, რომელიც მკვლელობის დღეს პირველად, საკუთარ სახლში ნახა.

მარიამ ქოქოაშვილი:

„ჩემი ქმარი 41 წლის იყო. მისგან ორი არასრულწლოვანი შვილი დამრჩა, რომელთაც ახლა მარტო ვზრდი. მეუღლესთან ძალიან კარგი ურთიერთობა მქონდა, რადგან თავად იყო ბუნებით ისეთი, რომ სხვანაირად არც შეიძლებოდა. მეტად ყურადღებიანი, მშვიდი და გულისხმიერი გახლდათ, როგორც ჩემ მიმართ, ასევე ბავშვებთანაც. წლების მანძილზე ინკასატორად მუშაობდა და სწორედ ის უბანი ჰქონდა მიბარებული, სადაც მკვლელობა მოხდა. ყოველთვის ვიცოდი, სად იმყოფებოდა, რადგან თავად მატყობინებდა. თუკი საქეიფოდ აპირებდა წასვლას, აუცილებლად დამირეკავდა ხოლმე და მეუბნებოდა, დამაგვიანდება, ამა და ამ ადგილას ვარ და არ ინერვიულოო.

იმ დღესაც ჩვეულებრივ გავიდა შინიდან. როგორც მოგვიანებით შევიტყვე, უბანში „შემოვლაზე“ ყოფილა. სწორედ იმ უბანში, ერთ-ერთ ოჯახში ასლანიანი და მისი მეგობრები დაბადების დღეზე ყოფილან სტუმრად. ჩემი ქმარი რომ მისულა, შეუპატიჟიათ – დაბადების დღეა და ერთი ჭიქა დალიეო. ასლანიანებს, პაპუნაშვილს, გოგოლაშვილსა და ნამოევს თამაზი იცნობდა, რადგან სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად ხშირად უწევდა მათ ოჯახებში მისვლაც. თუმცა, ნამდვილად ვიცი, რომ არც ერთ მათგანთან არ მეგობრობდა. ჩემი ქმრის ყველა მეგობარს ვიცნობდი.

სალამოს, მოგვიანებით, თამაზი ბაგრატ ასლანიანთან ერთად ჩემს მაღაზიაში შემოვიდა. ლუდი აიღეს, შემდეგ კი სახლში შევიდნენ. იმ მომენტში მეც შინ ვიყავი. ვხედავდი, რომ ოთახში ისხდნენ და რაღაცაზე საუბრობდნენ, მაგრამ რის თაობაზე, არ ვიცი. არც ერთი სიტყვა არ გამიგონია, რადგან საკმაოდ დაბალ ხმაზე ლაპარაკობდნენ. ცოტა ხანში, ადგნენ, ჩემი ქმრის მანქანაში ჩასხდნენ და წავიდნენ. თამაზს ჩემთვის არაფერი დაუბარებია. მთელი საღამო ველოდი, რომ ან მოვიდოდა, ან დამირეკავდა და მეტყოდა, სად და ვისთან იყო. ამაოდ, მისგან არაფერი ისმოდა. მიკვირდა მისი ასეთი საქციელი, მაგრამ არ ვნერვიულობდი. ღამითაც რომ არ მოვიდა, შევშფოთდი. გული ცუდს მიგრძნობდა, რადგან ასლანიანზე და მის მეგობრებზე წნორში კარგი ხმები არ დადიოდა. ამიტომაც, დილით მათ უბანში წასვლა გადავწყვიტე. იქ ერთ ქალს ვიცნობდი, რომელსაც ყველაფერი ვუამბე და დახმარება ვთხოვე. ასლანიანის სახელი რომ გაიგონა, მითხრა: არ არსებობს, რაღაცას დაუშავებდნენ, მანქანას წაართმევდნენ ან დაუმტვრევდნენ, ცოცხალი თუ გაუშვეს, მადლობა თქვიო. იმ ქალმა დაუყოვნებლივ პოლიციაში წასვლა მირჩია.

განყოფილებაში ერთად მივედით. პოლიციის თანამშრომლებმა მითხრეს, მორიგე ჯგუფი გასულია და თუ რაიმე გახდება ცნობილი, თქვენც შეგატყობინებთ, ჯობს სახლში წახვიდეთო. თურმე, უკვე ჩემი მკვდარი ქმარი ნაპოვნი ჰყავდათ, მაგრამ იმწუთს ამის თქმა არ უნდოდათ. ასლანიანზე ეჭვი მაშინვე გამიჩნდა და ამის შესახებ პოლიციასაც ვუთხარი. როგორ არ ვიეჭვებდი, როცა მთელი წნორისთვის იყო ცნობილი, რომ ორი ადამიანი ჰყავდა მოკლული და ჩამოყალიბებული ბოროტმოქმედი იყო. რამდენიმე წლის წინ, მეზობლად მცხოვრები ქურთი ქალი – ზინა, ფულისთვის მოკლა. ამის გამო სასჯელიც მოიხადა, შემდეგ კი ვიღაც რუსი – სვეტაც მოუკლავს. იმ სვეტას პატრონი არ ჰყავდა, პოლიციაში არავის უჩივლია და ასლანიანი ციხეს გადაურჩა“.

სამართალდამცავებმა ბაგრატ ასლანიანი და ბესიკ გოგოლაშვილი ქალაქ წნორში,

განსასჯელი
ბაგრატ აბრამიანი

სულხან-საბას ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ სახლში დაკავეს. მათი იქ ყოფნის შესახებ ინფორმაცია მიუღიათ და პოლიციის ჯგუფს აღნიშნული სახლისთვის ალყა შემოურტყამს. სწორედ ამ დროს, ბაგრატ ასლანიანი, რომელსაც ღობესთან ჩასაფრებული პოლიციელები შეუნიშნავს, ფანჯრიდან გადამხტარა – მარჯვენა ხელში კი სწორედ ის ხელყუმბარა სჭერია, რომლის უკანონოდ შეძენა-ტარებაშიც მას პროკურატურა ადანაშაულებს.

გამოძიების მასალების მიხედვით, ასლანიანი პოლიციელებს აფეთქებითა და მოკვლით დაემუქრა, თუ ისინი მათ დაკავებას შეეცდებოდნენ. თანამშრომლებმა გამაფრთხილებელი გასროლაც მოახდინეს, მაგრამ ეჭვმიტანილები რომ არ დანებდნენ, ასლანიანის დაჭრა და მისი ამ გზით დამორჩილება გადაწყვიტეს. საქმის მასალების თანახმად, ასეც მოიქცნენ, თუმცა არც ასლანიანი და არც გოგოლაშვილი პოლიციელთათვის წინააღმდეგობის გაწევასა და მოკვლის მუქარას არ ადასტურებენ.

■

სიგარეტის გამო დაწყებული ჩხუბი ძალიან დანაშაულით დასრულდა

გამოძიების ვერსიით, ფოთელი ესებუა ძმებს დანით გაუსწორდა

2002 წლის 5 მაისს, საღამოს 7 საათისთვის, ხობის რაიონის სოფელ ხეთში მცხოვრები, 31 წლის პაატა ესებუა, ქალაქ ფოთში თავის ძმას – ბადრი ესებუას ესტუმრა. მას თან ქვისლი – ლაშა შენგელია და მისი მეუღლე ახლდნენ. ოჯახის დიასახლისმა სტუმრად მისულ ნათესავებს სუფრა გაუშალა. ვახშმობისას მამაკაცებმა ღვინოც დალიეს და დაახლოებით ნახევარ საათში, სუფრიდან წამოიშალნენ. გადაწყვიტეს, ლაშა შენგელიას დეიდაშვილის – ნინო მურვანიძის ოჯახში გაეგრძელებინათ ქეიფი.

ყველანი ერთად, მათ შორის, ბადრი ესებუაც, მურვანიძის ბინაში წავიდნენ და იქ ღამის 12 საათამდე დაყვეს. უკან დაბრუნებულები, ცოტა ხნით ავტომანქანასთან გაჩერდნენ, ძმები ესებუები კი, სახლში შევიდნენ. დაახლოებით 10 წუთში, ბინიდან გამოსულმა პაატა ესებუამ დაინახა, რომ მის ქვისლს უცნობი პიროვნება რაღაცას ედავებოდა. ცოტა ხანში, იმ უცნობის ვინაობაც გაირკვა – ის იქვე, ახლოს მცხოვრები, 27 წლის რომან წულაია აღმოჩნდა. პაატა დავაში ჩაერთო და ქვისლს დაუჭირა მხარი, რამაც სიტუაცია კიდევ უფრო დაძაბა და საბოლოოდ, სიტყვიერი შელაპარაკება ერთმანეთის გინებასა და ცემაში გადაიზარდა.

როგორც გამოძიების მასალებშია აღნიშნული, ნასვამმა პაატა ესებუამ განიზრახა, მოწინააღმდეგესთან დავა დანით გადაეწყვიტა. პროკურატურის ინფორმაციით, სწორედ ამ მიზნით, მან ჯიბიდან დასაკეცი დანა ამოიღო, გახსნა და ამ განზრახვის განხორციელება დააპირა, როცა რომან წულაიამ თვალი მოჰკრა იარაღს. ამ უკანასკნელმა სცადა, გაქცევით აერიდებინა საფრთხისთვის თავი. რომან წულაიამ საკუთარ სახლს შეაფარა თავი, მაგრამ პაატა ესებუას საბოლოოდ, მაინც ვერ დაუსხლტა ხელიდან. ეს უკანასკნელი მას დაედევნა, სახლშიც შეჰყვა და მიუახლოვდა თუ არა, მუცლის არეში ჩაარტყა დანა.

გამოძიების დასკვნით, ესებუას, წულაიას მოკვლა უნდოდა, მაგრამ განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, კერძოდ – დაჭრის ფაქტს წულაიას დედა შეესწრო, რომელმაც მაშინვე, კივილი ატეხა და შვილისთვის დანის მეორედ დარტყმის საშუალება არ მისცა ესებუას. რამდენიმე წუთში, დაჭრილი, ქალაქის საავადმყოფოში მიიყვანეს, სადაც მას სასწრაფო ოპერაცია გაუკეთეს და საბედნიეროდ, სიცოცხლე შეუნარჩუნეს.

მომხდარის შემდეგ, პაატა ესებუა სახლიდან გავიდა. ეზოში მას რომანის ძმა – რუსლან წულაია შეხვდა. პროკურატურის ინფორმაციით, ესებუამ ახლა, დანით მასთან გასწორება განიზრახა და დანა მას მუცელსა და წელის არეში ჩაარტყა. რუსლან წულაიამ საკმაოდ მძიმე ჭრილობები მიიღო, მას მუცლის ღრუში ნაწლავები დაუზიანდა.

საბრალდებო დასკვნაში აღნიშნულია, რომ პაატა ესებუამ ვერც ამჯერად მოიყვანა განზრახვა სისრულეში, რადგან რუსლან წულაიამ შეძლო, ხელიდან გასხლტომოდა მას.

შემთხვევის ადგილზე უმალ, ხალხი შეგროვდა, რის გამოც ესებუა იძულებული შეიქნა, იქაურობა სასწრაფოდ მიეტოვებინა. იგი ქვისლის ავტომანქანში ჩაჯდა და ფოთიდანაც წავიდა. დაჭრილი რუსლან წულაია იმავე საავადმყოფოში მიიყვანეს, სადაც რამდენიმე წუთის წინ, მისი დაჭრილი ძმა მოათავსეს. სასწრაფო ოპერაციის შედეგად, სიცოცხლე 29 წლის რუსლანსაც შეუნარჩუნეს.

რომან წულაია:

„...ავტომანქანასთან ორი უცნობი პიროვნება იდგა. იქვე ახლოს ჩემი მეზობელი – ჟივლერ ჯიბლაძეც დავინახე. შევნიშნე, რომ იგი ერთ-ერთ უცნობს სიგარეტს სთხოვდა. მე მაშინვე მივედი ჟივლერთან და ვუთხარი: არ გინდა, სიგარეტს მე მოგცემ-მეთქი, – ამის შემდეგ კი, უმისამართოდ შევიგინე. სწორედ ამ გინებამ გამოიწვია კამათი. ჩხუბში მეორე ახალგაზრდაც ჩაერია; მოგვიანებით გავიგე, რომ ის პაატა ესებუა ყოფილა. მან, სიტყვიერის გარდა, ფიზიკური შეურაცხყოფაც მომაყენა, მერე კი, ჯიბიდან დანაც ამოიღო...“

ამის შემდეგ, დაზარალებული რომან წულაია ზუსტად ისე აღწერს მოვლენებს, როგორც საბრალდებო დასკვნაშია წარმოდგენილი. რაც შეეხება პაატა ესებუას – პოლიციამ ის, მომხდარი ფაქტიდან რამდენიმე დღეში დააკავა. ესებუამ თავი დამნაშავედ არ ცნო, დუმილის უფლება გამოიყენა და გამოძიებას ჩვენება არც ერთ ეტაპზე არ მისცა. სასამართლოს წინაშე კი, ის მომავალ კვირაში წარდგება.

პროკურატურამ ესებუას ორი მუხლი (19, 109 და 19, 108) – განზრახ მკვლელობის მცდელობა, დამამძიმებელ გარემოებებში და განზრახ მკვლელობის მცდელობა – წაუყენა.

■

რუბრიკა მოამზადა მეგი ცანავამ

ევროპის ჩემპიონატზე მიმავალი მოჭადრაკე გოგონა იმედიანადაა განწყობილი

ახლახან 16 წლის ქუთაისელი მოჭადრაკის ნანა ძაგნიძის სპორტულ ტიტულებს ერთიც მიემატა — 20 წლის ასაკის გოგონათა შორის საქართველოს ჩემპიონი გახდა. რა ტიტულებს ფლობს ნანა, რას აპირებს სამომავლოდ და შეძლებს თუ არა გააგრძელოს ქართველ ქალთა საჭადრაკო ტრადიციები — ამის შესახებ ჩემპიონის ინტერვიუდან შეიტყობთ.

სალომე ზომიტაშვილი

— ნანა, ჯერ შენი ყველაზე დიდი მიღწევების შესახებ ვუამბოთ მკითხველს...

— ვარ სპორტსმენი-მოჭადრაკე. წელს სამჯერ გავხდი ქვეყნის ჩემპიონი — 18 და 20 წლამდე ასაკის გოგონათა შორის და ქალთა შორის. ასაკობრივ ჯგუფებში მრავალჯერ მოვიპოვე მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის წოდება, შარშან მოსკოვში ოლიმპიური ჩემპიონიც გავხდი ახალგაზრდებს შორის...

— მოკლედ, ამდენ ტიტულში კაცს შეიძლება დავთარი აერიოს. და მაინც, რომელი წოდებაა შენთვის ყველაზე პრესტიჟული?

— ჯერჯერობით, საქართველოს ჩემპიონობა ქალთა შორის.

— თამაში როდის დაიწყე?

— ხუთი წლის არც ვიყავი, მამამ *(ზურაბ ძაგნიძე ჭადრაკზე შეყვარებული ქუთაისელი კაცია. — ავტ.)* ქუთაისელ მწვრთნელთან, ხათუნა გუბელაძესთან მიმიყვანა. აქედან „დავუმეგობრდი" ჭადრაკს.

— პირველი სერიოზული წარმატება რომელი იყო?

— 9 წლისა ესტონეთში ევროპის ჩემპიონი გავხდი გოგონათა შორის.

— შენი იდეალი ვინ არის ჭადრაკში?

— იუდიტ პოლგარი.

— რატომ მაინცდამაინც იუდიტი?

— ვთვლი, რომ ყველაზე დიდი მოჭადრაკეა ქალებში. როგორც ამბობენ, თამაშის სტილიც უფრო პოლგარისა მაქვს.

— რას ნიშნავს, რომ იუდიტის თამაშის სტილი გაქვს?

— არა, ასე არ მინდოდა მეთქვა. ალბათ, ცოტათი ვგავარ. მისი სტილი რომ მქონდეს, მაშინ დიდი მოჭადრაკე ვიქნებოდი...

— სკოლაში როგორი ხარ?

— რა ვიცი, ყველას წესიერად არც ვიცნობ, ქუთაისის მე-10 სპორტულ ლიცეუმში ვსწავლობ დაუსწრებლად. იქ ყველა ჩემი გულშემატკივარია... ისე, ბიჭებთან უფრო ვმეგობრობ, თანაც ჩემზე უფროსებთან.

— ვაჟკაცური გოგო ხარ?

— კი, კი *(იცინის)*, ვაჟკაცური ხასიათი მაქვს.

— ხომ არ გიჩხუბია?

— სად?

— ეზოში, სკოლაში...

— ჩხუბისთავი ვიყავი, როგორ არ მიჩხუბია...

— თაყვანისმცემლები თუ გყავს?

— კი, მე მგონი...

— გირეკავენ?

— არ მიყვარს ამაზე ლაპარაკი... თქვენ უნდა ნახოთ, მამაჩემი რომ ჩამოდის ქუთაისიდან, მაშინ რა ხდება. ვინც დარეკავს, პირველად მამა იღებს ყურმილს. ბიჭებიც ხომ მირეკავენ, ჩემი მეგობრები, გაწამებული ჰყავს ყველა — დაუწყებს დაკითხვას...

— ამ ბოლო დროს, პრესაში შენზე წერენ, როგორც უძლიერეს მეტოქეზე და რატომღაც მაყურებლის მთავარი „ძალები" იმათ მხარეზე უფროა, ვინც შენს წინააღმდეგ გამოდის...

— ჰო, ეს მეც შევამჩნიე. რაც უფრო დიდ ასპარეზზე გავედი, მით უფრო ცივ დამოკიდებულებას ვგრძნობ. ჩემში ყველა, მოწინააღმდეგეს ხედავს (მე კი ყველას გამარჯვება მიხარია), თანაც მოჭადრაკეებზე უფრო, მათი მშობლები აქტიურობენ... ხან რას მომიგონებენ და ხან — რას. ხან რომელ სასახლეს „მჩუქნიან" და ხან რომელ მანქანას. არადა, არანაირი პირობები არა მაქვს. ბიძის ოროთახიან ბინაში ორი ოჯახი ვცხოვრობთ, წყლის გაცხელებაც კი ხშირად ძალიან დიდი პრობლემაა ხოლმე...

— ყველაზე მეტად ვინ გეხმარება ჭადრაკში?

— ჩემი მწვრთნელი ლაშა ჯანჯღავა. იგი საუკეთესო თეორეტიკოსია. მალე მინდა შევიძინო ის ცოდნა, რაც ლაშას დებიუტებში აქვს... მაშინ ვერავინ მომიგებს ქალებში საერთოდ...

— ჭადრაკის გარდა, რა გიტაცებს?

— კალათბურთზე დავდივარ. დღეში რვა საათი ჭადრაკის დაფას ვუზივარ და ფიზიკური ვარჯიშიც ხომ აუცილებელია. კითხვაც მიყვარს, ოღონდ ამისთვის დრო ბევრი არა მაქვს. ფეხბურთის ყურებაც მიყვარს...

— ექსპერტად თუ გამოდგები?

— ფეხბურთის? კი, გამოვდგები. ბოლო 3-4 წლის მანძილზე, მსოფლიო ფეხბურთში რაც ხდება, ყველაფერი ვიცი. ასევე ვერკვევი ჩოგბურთში, კალათბურთში...

— უახლოესი მატჩები როდის გელის?

— ევროპის ჩემპიონატი ანკარაში თვის ბოლოს იღებს სტარტს. 70-მდე მონაწილიდან, პირველ-მეჩვიდმეტე ადგილებზე გასულები პირდაპირ მიიღებენ მონაწილეობას მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც ერაყის ომის გამო გადაიდო და როდის დაიწყება, ჯერ არავინ იცის... ანკარის შემდეგ, ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი მელოდება აზერბაიჯანში. მერე ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატები, ასაკობრივ ჯგუფებში, იუგოსლავიასა და საბერძნეთში.

— იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ანკარიდან ქალთა მსოფლიო ჩემპიონატზე გახვალ. მერე?

— ამაზე მერე გიპასუხებთ...

■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა ლეკალი
უბის წიგნაკიდან:

1. სტალინის სკამი კოტე მახარაძეს გორის მუზეუმმა აჩუქა.

2. ვაზის ჯვარი წმინდა ნინოს საკუთარი თმით ჰქონდა შეკრული.

3. ჟან პოლ ბელმონდო ახალგაზრდობაში პარიზის ჩემპიონი იყო კრივში.

4. რკინის მოხრილ დანას, რომლითაც ტყავს ამუშავებდნენ დემური ჰქვია.

5. „ჭურში თუ ზიხარ, ღვინო მაინც სვი“ – რჩევას იძლევა კოტე ყუბანეიშვილი.

6. სამამულო ომში აჭარიდან 25000 ჯარისკაცი წავიდა. აქედან 7000 იყო ქალი.

7. ფილმ „ლოთებში“ მონაწილეობის მისაღებად მიკი რურკმა წინა ორი კბილი ამოიღო.

8. ჩინეთის კომუნისტური პარტია ყველაზე მრავალრიცხოვანი პარტიაა მთელ მსოფლიოში.

9. სიცივეს, ჭყაპსა და ტალახს, რომელსაც ხანგრძლივი და უსიამოვნო წვიმა ერთვის ძანძახი ჰქვია.

10. სადამ ჰუსეინის მრჩეველი ტარიკ აზიზი ერთადერთი ქრისტიანი იყო ერაყელი დიქტატორის გარემოცვაში.

11. ჯარის ნაწილს, რომელიც მთავარი სამხედრო ძალის უკან დგას და ზურგიდან იცავს მას, არიერგარდი ეწოდება.

12. კობრი ჩეხეთში საფრანგეთიდან გავრცელდა. მის გამრავლებაზე, როგორც სამარხვო საკვების წყაროზე, ძირითადად ბერები ზრუნავდნენ.

13. დუდუკს წინა მხრიდან რვა თვალი აქვს და ერთი – უკანა მხრიდან. ეს ინსტრუმენტი ჭერმის ხისაგან, იშვიათად თუთისა და ბზისგან მზადდება.

14. ფაშისტების ლეგენდარულ გემ „ბისმარკზე“ დაყენებული ზარბაზანი ტონიან ჭურვს 32 კილომეტრის მანძილზე ისროდა.

15. ფერწერა ეს პოეზიაა, რომელსაც ხედავენ და პოეზია ეს ფერწერაა, რომელსაც ისმენენ, – ამბობდა ლეონარდო და ვინჩი.

16. ნინო სალუქაძის მეუღლე გოჩა მაჭავარიანი ყოფილი მორაგბე გახლავთ. იგი აფხაზეთის ომში იბრძოდა, მაგრამ ნინოზე უკეთ მაინც ვერ ისვრის. P.S. ნინოზე უკეთ ვერავინაც ვერ ისვრის.

17. სიტყვა კლიმატი ბერძნულიდან მომდინარეობს და მზის სხივებისადმი დედამიწის ზედაპირის დახრილობას ნიშნავს.

18. ჯაკომო როსინიმ „სევილიელი დალაქი“ 14 წლის ასაკში 14 დღის განმავლობაში შექმნა. ამ ოპერას თავდაპირველად „ალმავივა, ანუ უსარგებლო სიფრთხილე“ ერქვა.

მეზობლის ქალს ხელს ნუ ახლებ...

ავთო მარგველაშვილი

კაცს ამ ქვეყანაზე ბევრი რამ ეკრძალება და სწორედ იმისკენ მიუწევს გული, რაც და ვინც ეკრძალება... ამ მხრივ გამონაკლისს არც მალხაზ ბარაბაძე წარმოადგენდა. ცოლიც ჰყავდა, რომელთანაც სქესობრივ კონტაქტს არავინ უშლიდა, მაგრამ გული მაინც მეზობლის ქალებისკენ მიუწევდა. ბავშვობიდანვე ასეთი იყო: მაგალითად, სადღაც აუდიოკასეტა იშოვა, რომელზეც მხურვალე სექსუალური აქტების ხმები იყო ჩაწერილი და დღე და ღამე უსმენდა. ერთხელ, მაგნიტოფონი ჩართული დარჩა და ბებიამისი შემოვიდა ოთახში. უსმინა, უსმინა და მერე შვილიშვილს უთხრა:

– გამორთე, ბებო, მაგ რადიო – ცოდვაა, ხომ ხედავ, წუხს...

ასე „წუხილსა და კვნესაში“ დავაჟკაცდა ჩვენი მალხაზი. ერთხელ, მეგობრებში დაიჩივლა: ახალი მეზობელი მყავს, ყოველდღე ქალების აბანოში დადის. ხოხო, რას დაძვრება! როგორ მშურს მისიო!..

– მერე სთხოვე, შენც წაგიყვანოს, – უთხრეს მეგობრებმა.

– ხომ არ გადაირიეთ? არ მომკლავს მისი ქმარი?

ჰოდა, დაადგა თვალი ახალ მეზობელს და მალე იმდენი მოახერხა, რომ მასთან სარეცელიც გაიზიარა. ქალის ქმარი ვერაფერს ხვდებოდა და ცხრა თვის თავზე, ამ ჩვენს მალხაზს შუაღამით დაუკაკუნა კარზე: ცოლს მუცელი ასტკივდა და სამშობიაროში წამაყვანინეო.

მეზობელი სიამოვნებით დათანხმდა დახმარებაზე და მოლოდინის ნერვიულობაც ქმართან ერთად გადაიტანა. მალე ექიმი გამოვიდა და მამა იკითხა. ორივე მეზობელი ერთდროულად წამოიჭრა ფეხზე.

– საკეისრო გარდაუვალია და თქვენი თანხმობაა საჭირო, – თქვა ექიმმა.

– რადგან ასეა, თანახმა ვარ, მეტი რა გზაა?! – ჩაილუღლუღა ქმარმა.

– ოღონდ ფრთხილად გაჭერით – ხალს მოერიდეთ! – იაქტიურა მეზობელმა და საკუთარი თავი გაყიდა.

– შენ რა იცი, ჩემს ცოლს რომ ხალი აქვს? – აიქოჩრა ქმარი.

– რა გაყვირებს? ჩემი ცოლი იყო გუშინ შესული, ტკივილი რომ დაეწყო შენს მეუღლეს და იმან მითხრა, – არ დაიბნა მალხაზი და ქმარიც დამშვიდდა.

ერთ საათში, ბიჭის დაბადებაც აღნიშნეს და ხალის ამბავიც სამუდამოდ დაივიწყეს. იზრდებოდა ბავშვი და დღითი დღე, სულ უფრო ემსგავსებოდა მალხაზს. ქმარს კვლავ გაახსენდა – ხალს მოერიდეთო, რომ უთხრა, – და ეჭვის ჭიამ გულის ღრღნაც დაუწყო. იმ საღამოსაც ადრე დაბრუნდა ქმარი შინ და ჩვენი მალხაზიც თავის ცოლთან ჩახუტებული იხილა.

შეტევა საუკეთესო თავდაცვააო, – გაახსენდა „ბაბნიკ“ მეზობელს და ისე იყვირა: ნახეთ, მეზობლებო, ცოლის გაბოზებას მაბრალებსო! – რომ ქმარმა აქეთ დაუწყო დამშვიდება:

– სუ! კაი, თუ კაცი ხარ, გაჩერდი, თორემ მომეჭრა თავი; წადი ახლა სახლში და ხვალ მოდი კიდე, მე მაინც მორიგე ვარ. ოღონდ ნუ შემიყრი მეზობლებს.

ასე მშვიდობიანად „კოლეგიალურად“ მოილაპარაკეს მამაკაცებმა და მალხაზიც

ჩაუჯდა მირიგეობის გრაფიკში საყვარლის ქმარს.

— ხვალ რომელ საათზე მოხვალ სამსახურიდან? — ჰკითხა მალხაზმა.

— 7 საათზე, — უპასუხა ქმარმა.

— მაშინ მე მოვალ 6-ზე.

— მე ვეცდები, 5-ზე მოვიდე.

— კარგი, მოდი, — „იმღერე რამეში“ რომ ხდება ხოლმე, ისე ივაჭრეს „პადელნიკებმა“ და გრაფიკიც შეადგინეს. მაგრამ ცოტა ხანში, ჭირმა თავი მაინც არ დამალა და მეზობლებმა ენა ისე ხმამაღლა მოიფხანეს, რომ ამ ამბავმა მალხაზის ცოლის ყურამდეც მიაღწია. ცოლმა ნიშადურის სპირტი და ვალერიანის წვეთები მოიმზადა და მაშინ იკივლა, როცა ეზოში მალხაზი თავის ორ ძმაკაცთან ერთად, მორიგი ორგიის შედეგებს აჯამებდა.

— აუ, რა ქალები გავჩითეთ გუშინ! — ამაყად ჰყვებოდა იგი. — შენიც მაგარი იყო და შენიც, მაგრამ ჩემი ჯობდა ორივეს.

— რა ქენი მერე? — ჰკითხეს ძმაკაცებმა.

— რა ვქენი და სექსში ვარ სუფთა რონალდო.

— რატომ?

— ორი „გოლი“ ვჭედე! — თავი მოიწონა მალხაზმა — შენ რა ქენი?

— მე სექსში დელ პიერო ვარ. ერთი გოლი გავიტანე, მაგრამ სასწაული, — წაიტრაბახა მეორემ. — შენ რა ქენი? — ჰკითხა მესამეს.

— მე ვარ სექსში ვიერი, — მორცხვად ამოილუღლუღა მესამემ.

— რატომ ვიერი?

— „ტრავმა“ მქონდა და „ვაბშე“ ვერ ვითამაშე, — ყურები ჩამოყარა მესამემ, ბიჭებმა გადაიხარხარეს და მალხაზის სახლის ფანჯრიდან კივილიც გაისმა.

შეშინებული მალხაზი ძმაკაცებთან ერთად შინ შევარდა, რამდენიმე მეზობლის ქალი უკვე იქ იყო და „გულშემატკივრობდა“.

— შემირცხვინეს ოჯახი მაგ უნამუსებმა! — ყვიროდა ქალი. — აღარ მინდა სიცოცხლე, მომეცი „ბრიტვა“, ვენები უნდა გადავიჭრა!..

— სადაა „ბრიტვა“? — ჰკითხა ქმარმა.

— გადავაგდე... დანა მომეცი! — არ ცხრებოდა ქალი.

— დანა სადაა?

— დავმალე... მოხსენი შტეფსელი, ხელი უნდა შევყო! — „სიაფანდ“ ცრემლებს ღვრიდა მალხაზის „კამიკაძე“ ცოლი.

— შუქი რომ არაა?!.

— მე გავთიშე „სოჩიკი“...

— შენ არ გნდომია, ქალო, თავის მოკვლა და თუ გინდა, ჩაქუჩს ჩაგარტყამ, — გულგრილობდა ქმარი.

— არა. ჩაქუჩი მტკივნეულია, — გადაიფიქრა ცოლმა. — კაი, ბატონო, ქალი მაინც ქალია და შეიძლება დაგიწვა... — ჭკუის სწავლება დაუწყო ქმარს. — მაგრამ შენ ხომ ხარ კაცი?.. გადააბიჯე, გააგრძელე გზა..

— მასე ვქენი ზუსტად... — მწარედ დაიგინა ქმარმა. — ის რომ იყოს ჩემი ცოლი და შენ მეზობელი, შეიძლება, მართლა მეღალატა, მაგრამ შენ მყავხარ ცოლად და მასთან გიღალატო?!.

— ვა, შენ შემოგევლე, ჩემო მალხაზო!.. — კომპლიმენტმა ცოლს გული მოულბო. — ვიცი, რომ გაკრიალებული, სუფთა ხარ ამ საქმეში, მაგრამ შანტაჟს მიწყობენ, უნდათ, ქმარი მომტაცონ. ვერ მივართვი! ჯერ, სად ჩემი ფიგურა და სად მაგისი? „მერსედესივით“ ქალი ვარ და როდის იყო, კაცი „მერსედესიდან“ „ზაპოროჟეცზე“ გადამჯდარიყოს... ჰო, მახო?

— ჰო, ჩემო „შესოტკა“, დაწყნარდი ახლა, დაიძინე. მე მანამდე, წავალ „ბე-ემ-ვე“-ზე „წავიკატავებ“ პატარას... — სიცილით თქვა გამოუსწორებელმა ქმარმა და გარეთ გავიდა...

საღამოთი, „ბე-ემ-ვე“-ზე ნასეირნები მალხაზი შინ ნასვამი დაბრუნდა და ცოლს, რომელსაც ბინიდან კახპა მეზობლის გასახლების მოთხოვნის განცხადება უკვე დაეწერა, გულის ამაჩუყებელი ამბავი აუწყა:

— დახიე ეს განცხადება, ცოდვაა ის ქალი... ისე ინერვიულა თურმე, ეს ჭორი რომ გაიგო, თავის მოკვლის მიზნით, ბენზინი დალია.

— მერე?.. — შეშინდა ცოლი.

— მერე, აუტანელი ტკივილები იგრძნო, იხოხა, იხოხა უახლოეს საავადმყოფომდე, მაგრამ...

— მოკვდა?

— არა, ბენზინი გამოელია.

— უი, საცოდავი!.. იყოს, იცხოვროს, არ დავეძებ. ოღონდ, შენ დაგანებოს თავი, — განცხადება დახია ქალმა და ზედა ღილი შეიხსნა...

ასე შერჩა ბინას ახალი მეზობელი, რომლის ქმარი ისევ იმავე გრაფიკით მორიგეობდა და ჩვენი „რონალდოც“ აგრძელებდა ახალ-ახალი „სპორტული მწვერვალების“ დაპყრობას...

■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალი
უბის წიგნაკიდან:

19. ინგლისში ბავშვებისთვის საგანგებოდ გამოუშვეს უხევი, ცეცხლგამძლე წიგნი. საჭიროების შემთხვევაში მისი გარეცხვაც შეიძლებოდა, მაგრამ ბავშვებს სულაც არ მოეწონათ იგი: აბა, ის რა წიგნია, რომელსაც ვერაფერს უზამ.

20. „კამა-სუტრას“ თანახმად, ინდოელ კურტიზან ქალებს აუცილებლად უნდა სცოდნოდათ მინერალოგიაც, რათა იმ შემთხვევაში, თუ მათ გასამრჯელოდ ძვირფას ქვას მისცემდნენ, შესძლებოდათ მისი შეფასება.

21. საყოველთაოდ ცნობილი ფრანგი მსახიობი ლუი დე ფიუნესი ახალგაზრდობაში საიუველირო მაღაზიაში მუშაობდა. ერთხელ პირწავარდნილი ქურდები შეძლებულ მყიდველებად მიიღო და ძვირად ღირებული მარგალიტის კოლიე გარკვეული დროით ათხოვა. მისი ოჯახი ამ ამბის შემდეგ ხუთი წლის განმავლობაში იხდიდა დანაკარგის საფასურს.

22. ლეგოგიე სოფელია სენაკის რაიონში. ლეგულორდავე — სოფელი მარტვილის რაიონში, ლედარსალე — სოფელი ჩხოროწყუს რაიონში. P.S. „ლე — ე“ სვანური აფიქსებია და უდრის ქართულ „სა — ო“ დანიშნულების სახელების მაწარმოებელ აფიქსებს: ქართულად ეს ასე ჟღერს: საგოგიაო, საგულორდაო, სადარსალიო.

23. ამერიკელი ფსიქოლოგები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ჟურნალისტებს მსოფლიოში ყველაზე ნერვიული სამუშაო აქვთ. მათი პროფესია გაცილებით მეტ ნერვიულობასთან არის დაკავშირებული, ვიდრე მყვინთავების, მფრინავების და საწარმოთა ხელმძღვანელების საქმიანობა.

24. ბრიუსელის მოქალაქემ ბრუნო ლიონენმა ერთდროულად ორი რეკორდი დაამყარა: მან მსოფლიოში ყველაზე ხანგრძლივი ავიამოგზაურობა განახორციელა და ამავე დროს, ყველაზე გრძელი ავიაბილეთის მფლობელი გახდა. ამ ბილეთის სიგრძე 13 მეტრი იყო და 1 კილოგრამს იწონიდა.

25. მიზანა ბრეგვაძეს არისტო სირბილაძის ერთი ქოთანი ამოზელილი ლობიო, ნახევარი წველა ყველი, ცივად მოხარშული დედალი, ოთხი კეცი მჭადი და 3 ჩაფი ღვინო ემართა. ქრიშობელასი კი ნიძლავში წაგებული სამი სიმღერა: „ჩიტი გვრიტი მოფრინავდა“, „ბროლის ყელსა მოგეხვიე“ და „ალიფაშამ გვიღალატა“. P.S. ელდარ შენგელაის „შერეკილებს“ რუსულად „ჩუდაკი“ ჰქვია.

■

დამოუკიდებლობის 12 წელი

რა ვიკითხეთ, სახელმწიფოს სიმბოლიკის შესახებ

ორშაბათს, 26 მაისს საქართველომ კიდევ ერთხელ აღნიშნა თავისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დღე. ნებისმიერი დღესასწაული, საზეიმო გამოსვლებთან, კონცერტებთან და მასობრივ სეირნობებთან არის დაკავშირებული. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დღე, ნებისმიერი ქვეყნისთვის განსაკუთრებულია (ან უნდა იყოს...). როგორია იგი ქართველთათვის და როგორ ვზეიმობთ ამ დღეს? ამ კითხვებით რამდენიმე ცნობილ პიროვნებას მივმართეთ.

ავთო მარგველაშვილი

***ირაკლი ბათიაშვილი**, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე:*

— ყველას ვულოცავ 26 მაისს! ეს ერთ-ერთი უძვირფასესი დღესასწაულია და მე ერთ-ერთი მათგანი ვარ, სხვათა შორის, ვისაც მართლაც დიდი უფლება აქვს ამის თქმისა: 1988 წელს, სწორედ ჩვენ აღვნიშნეთ დამოუკიდებლობის დღე, ზვიად გამსახურდიასთან, მერაბ კოსტავასა და გია ჭანტურიასთან ერთად. რა თქმა უნდა, დაგვარბიეს კომუნისტური რეჟიმის ჟანდარმებმა. მაგრამ მიუხედავად უდიდესი წინააღმდეგობისა, ყველაფერი გადავიტანეთ, ეს დღეც დავიბრუნეთ და დამოუკიდებლობაც. სანამ სამყარო იარსებებს და ისტორია იქნება, 26 მაისიც იქნება საქართველოს დამოუკიდებლობის დღე.

— როგორია ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის თქვენეული ფორმულა — ანუ რა პირობებია დამოუკიდებლობისათვის შესასრულებელი?

— მთავარი პირობა დამოუკიდებლობის ბოლომდე რეალიზაციისა არის ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. მანამდე, ის სრულფასოვანი არ იქნება; მეორე — რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანა; მესამე — უსაფრთხოების სისტემა, რომელიც იქნება სუვერენიტეტის დაცვის რეალური გარანტი; სახელმწიფო უნდა დაემსგავსოს მოწესრიგებულ სახელმწიფოს... სანამ ხელისუფლებასა და ხალხს შორის ჩატეხილი ხიდი არ აღდგება, საფრთხეც სულ იარსებებს? უცხოური აგენტურებიც ხომ სწორედ ამაზე მუშაობენ!..

— დღეს საკმაოდ აქტიურად კამათობენ სახელმწიფო სიმბოლიკაზეც. ამასთან დაკავშირებით თქვენი აზრი როგორია, ბატონო ირაკლი?

— ჰიმნი ძალიან მომწონს, გერბიც მომწონს, დროშაც პატივსაცემია; რომ ამბობენ — მენშევიკების დროშაოო, — არ არის მართალი. საქართველოს სამფეროვანი დროშა, ევროპული სახელმწიფოების თანამედროვე მოდელის დროშაა. წითელჯვრიანი დროშის მიმართაც დიდი სიმპათიით ვარ განწყობილი. მით უმეტეს, რომ იგი პირველად, ქრისტიან-დემოკრატებმა შემოვიტანეთ. ეს ჩვენი პარტიის დროშა იყო... ისე კი, მთავარია, ხალხს უყვარდეს თავისი ქვეყანა, სჯეროდეს საკუთარი ხელისუფლებისა და არც დროშა გახდება დავა-კამათის საგანი და აღარც გერბი...

***ირაკლი მელაშვილი**, „ეი-ი-ეს თელასის“ ლობისტი:*

— რა თქმა უნდა, დიდი დღესასწაულია. მინდა მთელ საქართველოს, ქართველ ხალხს მივულოცო.

— ბატონო ირაკლი, როგორ ახერხებს საქართველო საკუთარი

დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნას?

— საქართველო ვერ ახერხებს ამას. სამწუხაროდ, ეს არის ვითომ საზეიმო განწყობის შექმნა, როგორც საბჭოურ პერიოდში იყო. ბუნებრივიცაა — როგორი ხელმძღვანელობაც ჰყავს ქვეყანას, ზეიმიც ისე იზეიმება. ნამდვილი სახალხო დღესასწაული და „საოცდაექვსმაისო“ განწყობა კი ხალხში 1989 წლის 26 მაისს იყო.

— თქვენ 1990 წელს არჩეული, უზენაესი საბჭოს დეპუტატი იყავით და დამოუკიდებლობის აქტზეც გაქვთ მოწერილი ხელი. რამდენად დამოუკიდებელია დღევანდელი საქართველო?

— იცით, ამის შეფასების კრიტერიუმები არ არსებობს, მაგრამ ქვეყანა, რომელიც ვერ უზრუნველყოფს თავისი მოსახლეობისათვის ელემენტარული პირობების შექმნას, მხოლოდ ფორმალურადაა დამოუკიდებელი. დღევანდელი ხელისუფლება ხომ ძველი სახელმწიფო მოხელეების სტერეოტიპებით ხელმძღვანელობს.

— რას იტყვით სახელმწიფო სიმბოლიკაზე?

— დამისახელეთ ქვეყანა, რომელიც

თავის სკოლაში არ ასწავლის ჰიმნს, რომლის მოქალაქის პირადობის მოწმობაში არ არის სახელმწიფო გერბი და ა.შ. მოსახლეობამ თავისი ქვეყნის ჰიმნი არ იცის და რომც მოუნდეს სწავლა, კარგა ხანს უნდა ირბინოს,რომ ტექსტი იპოვოს. ეს არ არის ხალხის არაპატრიოტიზმის ბრალი – უბრალოდ, ისეთი პირობებია შექმნილი, რომ არ იცოდე, ვერ ისწავლო... იგივე ითქმის დროშაზეც: როგორ შეიძლება აგინო საკუთარ დროშას პატრიოტული მოტივებით?!

– ალბათ გახსოვთ, 1993-98 წლებში დროშასთან დაკავშირებით ატეხილი დავაკამათი. დღეს, მისი შეცვლა საშიშია, რადგან საზოგადოება მრავალ ნაწილადაა გახლეჩილი. თუ ოდესმე გადავწყვეტთ სიმბოლიკის შეცვლას, ეს უნდა მოხდეს არა რომელიმე პოლიტიკოსის ან პარტიის ხუშტურით, არამედ ფართო საზოგადოებრივი კონსენსუსის ნიადაგზე.

ზურაბ ქაფიანიძე, *მსახიობი, პარლამენტის წევრი:*

– ქვეყანა წელში გამართული უნდა ხვდებოდეს თავის დამოუკიდებლობის დღეს, ჩვენ კი წელში გაწყვეტილები ვხვდებით. წელგამართულნი ვცხოვრობდით და აღარ ვისურვეთ; გვეგონა, თავისუფლება კარგი იქნებოდა და კარგიც უნდა ყოფილიყო, მაგრამ ილიას ჯარისკაცებს არ ჩაუვარდათ ხელში. როცა ბიუჯეტში 1 მილიარდზეა დავა და მისი გვერდის ავლით, ხუთი მილიარდი მიდის ჯიბეებში, ეს რაღა დამოუკიდებლობაა?!.

— აბა, ვისზე ვართ დამოკიდებულები, ბატონო ზურაბ?

– ვაჭრობაზე! საკმარისია, ერთი დღე, გარედან არ შემოიტანონ საკვები, რომ მშიერი მოკვდები. ამაზე, სერიოზული გარე ძალები მუშაობენ: უომრად დაგიპყრობენ, არ დაგათესვინებენ ერთ მარცვალ ხორბალს, არ აგაღებინებენ მოსავალს, რომ



მათ იმედად დარჩე.

— ამ „დამოკიდებულ“ ქვეყანას დროშა, ჰიმნი და გერბი მაინც ხომ აქვს?

– არც დროშა მომწონს, არც გერბი და არც ჰიმნი.

— ჰიმნი თუ იცით, ბატონო ზურაბ?

– არ ვიცი და ვფიქრობ, მოსახლეობის 90-მა პროცენტმაც არ იცის. თავისი სახელმწიფოს ჰიმნი უნდა უყვარდეს ხალხს. რომ უყვარდეს, უნდა ესმოდეს და ისწავლოს, ამას აქ არავითარი ყურადღება არ ექცევა და არც არავის აინტერესებს...

თემურ წიკლაური, *მომღერალი:*

– საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, 12 წლისაა, ე.ი. ეს არის ბავშვი, რომელიც სწავლობს სიარულს, ცოტა არ იყოს, უყურადღებო მშობლები ჰყავს და ხშირად ეცემა... არა უშავს – ბავშვი ხან დაეცემა, ხან იტირებს...

— ბავშვი ტირილში იზრდებაო, გინდათ თქვათ...

– ჰო, ამ დროს, ფილტვები უმაგრდება.

— ისე, ფილტვებს სიცილიც ამაგრებს, ბატონო თემურ...

– ეგეც მართალია, მაგრამ ამ „ბავშვს“ ტირილი უფრო ხშირად უწევს ხოლმე. არა უშავს, დაველოდოთ მის დავაჟკაცებას.

— თქვენი აზრით, რამდენად დამოუკიდებელია დღეს საქართველო?

– დამოუკიდებლობა მხოლოდ ქაღალდზე დაწერილი დეკლარაცია ხომ არ არის? მართალია, ცუდი სოციალური მდგომარეობაა, მატერიალური სიდუხჭირეა, მაგრამ მოდით, მე გკითხავთ: დამოუკიდებელი აუცილებლად უნდა იყოს მაძღარი?

— არა, მაგრამ სასურველია...

– ჰოდა, დაწერეთ: „მშიერი დამოუკიდებელია“... ეს ხუმრობით. სერიოზულად კი – რაღაცისათვის გვამზადებს უფალი, ეტყობა, ამ გაჭირვებაში უნდა გამოიბრძმედოს ქართველი ერი. 3000 წელი ვითმინეთ და ცოტაც კიდევ მოვითმინოთ. ჩვენი მეზობლები და არა მეზობლები არც მალავენ, რომ არ უნდათ ხელიდან ჩვენი გაშვება; მარტო გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო კი არა – სხვა მადლი აქვს ამ ქვეყანას. გავიხსენოთ ლერმონტოვი, გრიბოედოვი, შალიაპინი და სხვები, რომლებიც აქედან პოეტებად, მწერლებად და მომღერლებად დაბრუნებულან უკან. მავანმა იცის, რომ აქ უდიდესი ენერგიის წყაროა...

— ალბათ ჩვენც იმიტომ ვკინკლაობთ ასე ენერგიულად: მართლა 12 წლის ბავშვებივით ვერ ვთანხმდებით დროშაზე, გერბზე და ა.შ.

– ეყოფათ, რა! ეს არ არის სამშობლოს სიყვარული! არც მე მომწონს დროშა: შავი – გლოვის ფერია; გვეყოფა ამდენი გლოვა. არც ჰიმნი მომწონს – გერმანელებისას ჰგავს – მაგრამ არ შეიძლება ამაზე გაუთავებელი კამათი და დავა, როცა ქვეყანაში გაცილებით მძიმე პრობლემებია მოსაგვარებელი.

— თქვენ უამრავი სიმღერა გიმღერიათ სამშობლოზე, ბატონო თემურ. ჰიმნი თუ იცით?

– ტექსტი არა...

ეკა კახიანი, *მომღერალი, მსახიობი:*

– მიუხედავად იმისა, რომ 26 მაისი მართლაც დიდი დღესასწაულია, მისი აღნიშვნის ტრადიცია რატომღაც არ არსებობს. ტარდება კონცერტები და სხვა ღონისძიებები, მაგრამ როგორც ახალ წელსა და შობას აღნიშნავს ყველა ოჯახი, 26 მაისს ასე არ ხდება, არც ჩემს ოჯახში და არც სხვაგან.

— მერე როდემდე იქნება ასე?

– ალბათ, სანამ СНГ-ში ვართ, სანამ რუსეთის ჯარი არ გავა, სანამ აფხაზეთს და სამაჩაბლოს არ დავიბრუნებთ – მანამდე, არც დამოუკიდებლობა იქნება სრულფასოვანი და არც მისი აღნიშვნა.

— როგორც ხელოვანი ადამიანი, როგორ აღიქვამთ საქართველოს სახელმწიფო დროშას და ჰიმნს?

– სამწუხარო დროშის ფერთა შერწყმა არ მომწონს. ალბათ უფრო ლამაზია ის, რომელზეც დაობენ – არის თუ არა ბაგრატოვანთა დროშა.

— ხუჯვრიანი?

– დიახ. ხოლო რაც შეეხება ჰიმნს – მომწონს.

— ტექსტიც გეცოდინებათ...

– ტექსტი არ ვიცი... ■

საქართველოში, დასამარხი მობილური აპარატები შემოდის

ნანა ქიბიშაური

— ქალბატონო მარინა, დავიწყოთ იმით, თუ რა ნივთიერებებია გამოყენებული მობილური აპარატის შექმნისას და რამდენად საშიშია ეს ნივთიერებები ჩვენი ჯანმრთელობისათვის?

— მობილური ტელეფონების მწარმოებელი ფირმების წინაშე უკვე აქტიურად სვამენ საკითხს — დაიცვან აუცილებელი ნორმატივები. თავის მხრივ, დამკვეთი ფირმები საწარმოებს ე.წ. „ელექტრონული ნაგვის“ შემცირებისაკენ მოუწოდებენ და დღითი დღე უფრო მეტ მოთხოვნებს უყენებენ. ამ მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მათ მკაცრი საჯარიმო სანქციები ემუქრებათ. კანონი, რომლის მისაღებადაც ევროკავშირი მთელი სერიოზულობით ემზადება, მწარმოებლებს დაავალდებულებს, ტელეფონებში გამოყენებული ლითონის და სხვა ნივთიერებების მკაცრი ანგარიში აწარმოონ და აღნიშნონ, თუ გარემოსათვის რა ზიანის მიყენება შეუძლია მობილურის აკუმულატორებში გამოყენებულ ნივთიერებებს. განსაკუთრებული სიმკაცრით ძველი თაობის ის ტელეფონები შემოწმდება, რომელშიც კადიუმს იყენებდნენ. ერთ ძველ აკუმულატორში არსებული კადიუმის რაოდენობა 600 ათასი ლიტრი წყლის მოსაწამლად არის საკმარისი. ახალი აკუმულატორები ლითიუმისა და ნიკელის ჰიბრიდითაა დამზადებული, რომლის ამოღება უფრო ადვილია. თუმცა, მომწამლავი ნივთიერებები ყველა მობილურ ტელეფონშია. ამ ნივთიერებების ამოღება აუცილებელია მანამდე, სანამ ტელეფონს ნაგავსაყრელის გზას გაუყენებენ. მობილური ტელეფონის მიკროსქემა და პლატა მომწამლავი ლითონების მთელ „თაიგულს“ შეიცავს, რომელიც ნაგვისთვის, ცოტა არ იყოს, დასანანიცაა — მასში არის: ოქრო, დარიშხანი, ტყვია, ნიკელი, ვერცხლი და თუთია. ამ ნივთიერებათა უმრავლესობა კანცეროგენურია და თუკი გარემოდან ადამიანის ორგანიზმში მოხვდება, მძიმე ნევროლოგიურ ცვლილებებს იწვევს. ადმინისტრაციული ზეწოლის შემთხვევაში, თავად კომპანიები იზრუნებენ მომხმარებელთა ძველი ტელეფონების ბედზე. ინტერნეტით გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე უნდა შეიქმნას ძველი აპარატებისათვის განკუთვნილი, სპეციალური სამარხები და მათი ნარჩენები ისევე უნდა დაიმარხოს, როგორც რადიოაქტიური ნარჩენები.

— ისევ უცხოეთში თუ

როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, მსოფლიოს მალე ახალი სერიოზული პრობლემა შეაწუხებს — რა მოუხერხოს ძველ მობილურ ტელეფონებს, რომლის ექსპლუატაციის ვადაც ამოიწურა? ბრიტანეთში, სადაც წელიწადში 15 მილიონი მობილური ტელეფონი იყიდება, უკვე რამდენიმე წელია, მოქმედებს სისტემა — „დააბრუნე ტელეფონი“. თუმცა, ამ ლოზუნგს სერიოზულად ბრიტანელების მხოლოდ 10% აღიქვამს. მოსახლეობის 75%-ს ერთი ან ორი მობილური ტელეფონი აქვს და წელიწად-ნახევარში ერთხელ იცვლის. ახალი აპარატის ყიდვისას მომხმარებელს სთხოვენ, მაღაზიაში ჩააბაროს ძველი, რომელსაც ნაწილებად შლიან და ახალ აპარატებს აწყობენ, შემდეგ ე.წ. „მესამე მსოფლიოს“ ქვეყნებში აგზავნიან — ისეთ ქვეყნებში, რომელშიც ნაკლებად უზრუნველყოფილი და ნაკლებად ინფორმირებული მოსახლეობა სიამოვნებით შეიძენს იაფად აპარატს და მისი მეშვეობით ათასგვარი დაავადების გამომწვევ მიზეზს შეიტანს შინ. გადასაგდები ტელეფონებისათვის განვითარებულ ქვეყნებში სპეციალური უფასო საფოსტო მომსახურებაც არსებობს, მაგრამ ხალხი ამ სისტემით ნაკლებად სარგებლობს.

ვინ უნდა გააკონტროლოს ჩვენში ეს პროცესი? არსებობს თუ არა აპარატურა, რომელიც საშუალებას მისცემს საბაჟო სამსახურს, გააკეთოს შესაბამისი დასკვნა და ის აპარატები, რომელიც ჩვენს ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის, ქვეყანაში არ შემოატანინოს? ან რა ზიანი შეიძლება მოგვიტანოს ნახმარმა აპარატმა? — ამ საკითხებზე ვესაუბრეთ ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, რადიოლოგიისა და რადიაციის ეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის თანამშრომელს მარინა ნიკოლაიშვილს.

დამარხავენ, თორემ ჩვენთან ცოტა ხანში, ტელეფონი კი არა — შეიძლება, მკვდარი დარჩეს დასამარხი...

— ჩვენთან შემოსული ტელეფონების უმრავლესობა ისეთი ნახმარია, რომ მართლაც დამარხვის მეტი აღარაფერი სჭირდება. ეს პროცესი აბსოლუტურად გაუკონტროლებელია, თუმცა, ამასაც აქვს თავისი ობიექტური მიზეზი: უმეტესად, შემოაქვთ იაფფასიანი, დაბალი ხარისხის აპარატები, მაგრამ რამდენად საზიანოა ეს ჩვენი ჯანმრთელობისათვის, ამის შესახებ კონკრეტულად ვერავინ საუბრობს, რადგან ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში არ არსებობს ის ხელსაწყო, რომელიც მობილურის შესამოწმებლადაა განკუთვნილი. ის საკმაოდ ძვირად ღირებულია, თანაც, თუ სიმართლეს ბოლომდე ვიტყვით, მისი დამონტაჟება ბევრს არ აძლევს ხელს. მობილურების მწარმოებელი დიდი ფირმები „შეკრულები" არიან ექსპერტებთან და იმდენს იხდიან საინფორმაციო ქსელში მათთვის სასურველი დასკვნის მოსათავსებლად, რომ მთელ მსოფლიოში იმის შესახებ, მავნებელია თუ არა საერთოდ მობილური აპარატი, არაერთგვაროვანი ცნობებია გავრცელებული. თუმცა, ერთ საკითხში ბევრი მეცნიერი ეთანხმება ერთმანეთს: არ არის სასურველი, რომ მობილური ტელეფონი გულზე ჩამოკიდებული ან წელზე დამაგრებული ატაროთ — მოკლედ, ინტენსიურ ფიზიკურ კონტაქტს უნდა მოვერიდოთ. განსაკუთრებით დაუშვებელია ტელეფონით სარგებლობა მაშინ, როდესაც ის ელექტროქსელშია ჩართული — როდესაც აკუმულატორი იმუხტება, მისი ელექტრონული ველი და დედამიწის მაგნიტური ველი ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდის და ორგანიზმში სხვადასხვა ბიოქიმიურ ცვლილებებს იწვევს, მაგრამ თუ არ ვიცით, როგორია რეალურად ტელეფონის ელექტრომაგნიტური ველის სიხშირე, ვერ გამოვიკვლევთ მის გავლენას ცოცხალ ორგანიზმზე. ვიცი, რომ ამ პრობლემის წინაშე ქართველი მეცნიერებიც დადგნენ, როდესაც მათ ძაღლებზე დაამაგრეს აპარატები და ცხოველთა ქცევას დააკვირდნენ: ცხოველებში გაიზარდა აგრესიულობა და დაქვეითდა ემოციურობა; აქტიურად მიმდინარეობს მუტაციის პროცესიც, მაგრამ ამ მოვლენის დაკვირვებისა და მეცნიერული შესწავლისათვის საჭიროა ცხოველზე ხანგრძლივი დაკვირვება, ისინი კი მალე ბერდებიან და კვდებიან. 20-30 წელია საჭირო, რომ გენების გადაგვარების პროცესი გამოიკვეთოს. ერთი რამ ცხადია — რაც უფრო მაღალია სიხშირე, მით უფრო ნაკლებად სახიფათოა მობილური ტელეფონი ადამიანისათვის, თუმცა, მაღალი სიხშირის დროს, ხდება წერტილოვანი ზემოქმედება ტვინსა და მთლიანად ცოცხალი ორგანიზმის სასიცოცხლო საწყისებზე, მაგრამ ეს ზემოქმედება, დაბალი სიხშირისგან განსხვავებით, გაცილებით ხანმოკლეა. ამიტომაა, რომ ახალი, ძვირად ღირებული ტელეფონები უანტენოა. ანტენიანი ტელეფონი დაბალი სიხშირისაა — ანტენა სიგნალის გასაძლიერებლადაა საჭირო. ჩემი აზრით, სანამ ბოლომდე არ იქნება შესწავლილი ანძების და აპარატების გავლენა ადამიანის ორგანიზმზე, მანამდე სჯობს, მშობლებმა ელემენტარული რჩევები გაითვალისწინონ, რადგან ბავშვის ორგანიზმი განსაკუთრებით მგრძნობიარეა რადიაციისა და ელექტრომაგნიტური ფონის მიმართ: ნუ დატოვებთ მობილურ ტელეფონს ჩართულს ღამით; გამორთული აპარატიც კი ჯობს საძინებელს მოარიდოთ; ნუ მისცემთ ბავშვს ელექტროქსელში ჩართული ტელეფონით სარგებლობის უფლებას; ჯობს, ბავშვს აპარატი ჩანთაში ედოს და არა გულის ჯიბეში, ან მკერდზე ჩამოკიდებული ატაროს. რადგან რჩევებს ვთავაზობთ, ვისარგებლებ შემთხვევით და მკითხველს ელექტრონული ველის შესახებაც ვეტყვი რამდენიმე სიტყვას. მისი მავნებლობის შესახებ სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები უკვე მივიდნენ ერთიან დასკვნამდე. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, იქ, სადაც ბავშვს სძინავს, იდგეს ქსელში ჩართული მაცივარი, ტელევიზორი, მუსიკალური ცენტრი ან ენთოს ნათურა. ტელევიზორის გამორთვისას არ უნდა დავკმაყოფილდეთ მხოლოდ დისტანციური მართვის პულტით მისი გათიშვით — ის ქსელიდან უნდა გამოირთოს. ნუ გამოიყენებთ ბავშვის კვების დროს მინის ჭურჭელს, რომლის ჩამოსხმის ტექნოლოგიაში რადიაციული დასხივება ხდება, ამიტომ სჯობს, ძველი, რუსული ფაიფურის ჭურჭელი გამოიყენოთ. სადილის მომზადებისას კი, ხარშვის პროცესში, აუცილებელია, დროდადრო ჩაამატოთ ცივი წყალი: დუღილისას, წყალბადი ორთქლდება, მავნე იზოტოპი კი, სიმძიმის გამო რჩება. საერთოდ, არ უნდა დაგვავიწყდეს — საქართველოში ისედაც ბევრ ანომალიას აქვს ადგილი. მაგალითად, წყალტუბოში დიდი რაოდენობით რადიოაქტიური ნივთიერება — როდონია და აუცილებელია, ვთქვათ, მკურნალობის კურსის გავლისას, ზუსტად დავიცვათ ექიმის მიერ განსაზღვრული აბაზანების რაოდენობა. თუმცა, პარადოქსიც იმდენია, რომ თვით მეცნიერებსაც უჭირთ ხოლმე ზოგიერთ კითხვაზე პასუხის გაცემა. მაგალითად, საბურთალოზე, სადაც იზოტოპების ქარხანაა (რომელიც ამჟამად არ მუშაობს), რადიაციული ფონი მაღალია, მთაწმინდაზე კი — დაბალი, მაგრამ სიმსივნეთა შემთხვევა მთაწმინდის მცხოვრებლებში გაცილებით მეტია, ვიდრე საბურთალოს რაიონში... რაც შეეხება იმ თემას, რითიც საუბარი დავიწყეთ — იმ შემთხვევაშიც კი, თუ საქართველო მოახერხებს მობილური აპარატების სიხშირის გასაზომი ხელსაწყოს შეძენას, შექმნილ მდგომარეობას ადვილად თავს ვერ დავაღწევთ, რადგან ჩემი აზრით, ამ ეტაპზე, ის კორუფციის კიდევ ერთი წყარო გახდება... ■



სახელმწიფოს მართვის საქმეში მთავარია, ყველა ფორმალობა დაიცვათ, აი მორალზე კი, ერთი წამითაც არ უნდა დაფიქრდეთ.

მარკ ტვენი

ფრაზა

გენიალური

www.shopge.com

სიცრუის დეტექტორი TRUSTER – „ტრასტერი"

თითოეულ ჩვენთაგანს ყოველდღიურად გვატყუებენ. გვატყუებენ მეგობრები, პარტნიორები, შემთხვევითი ნაცნობები, პოლიტიკოსები და ჩვენთვის ყველაზე ახლობელი ადამიანებიც კი. ტყუილის მიზეზი სხვადასხვა შეიძლება იყოს: შური, ძალაუფლების წყურვილი, შიში, სიამაყე. უკეთეს შემთხვევაში ჩვენ შეიძლება მოგვატყუონ ხუმრობის ან გათამაშების მიზნით. ნებისმიერ შემთხვევაში, არც ერთ ჩვენთაგანს არ სურს იყოს მოტყუებული, რადგან ტყუილი შეიძლება გახდეს ფინანსური დანაკარგების, ოჯახური კონფლიქტების, სხვადასხვა ცხოვრებისეული პრობლემისა თუ უბრალოდ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნის მიზეზი.

სიცრუის დეტექტორი TRUSTER შეიქმნა რამდენიმე წლის წინ ისრაელის სპეცსამსახურის - "მოსადის" შეკვეთით და მიეკუთვნებოდა გასაიდუმლოებულ ტექნოლოგიათა რიცხვს. ახლა უკვე იგი ხელმისაწვდომი და მოსახერხებელია ნებისმიერი ადამიანისათვის. დღესდღეობით იგი მსოფლიოში ერთადერთი ჯიბის სიცრუის დეტექტორია. განსხვავებით ძვირად ღირებული პოლიგრაფისაგან, რომელიც ადამიანის სხეულზე მიერთებას მოითხოვს, TRUSTER-ი შეგიძლიათ გამოიყენოთ სხვებისაგან შეუმჩნევლად, არ საჭიროებს მიერთებას, მოსახერხებელია სატარებლად: მისი წონაა 50 გრამი და თავისუფლად ეტევა ხელისგულზე, ბევრად იაფია კლასიკურ პოლიგრაფზე, უერთდება მობილურ ტელეფონს და შეუძლია სამეტყველო ენის მიუხედავად განსაზღვროს ტყუილი. ამასთანავე, სიცრუის დეტექტორი TRUSTER-ი ზომავს ნებისმიერი ადამიანის სტრესის დონეს, რაც საშუალებას გაძლევთ უფრო ყურადღებით ადევნოთ თვალყური თქვენს ჯანმრთელობას.

- ყოველთვის გულახდილნი არიან თქვენი მეგობრები?
- დარწმუნებული ხართ, რომ თქვენს რჩეულს უყვარხართ?
- ერთგულია თუ არა თქვენი მეუღლე?
- ხომ არ გატყუებენ თქვენი პარტნიორები და კოლეგები?

სიცრუის დეტექტორი TRUSTER-ი – ეს არის თქვენი შანსი იცხოვროთ ეჭვებისა და სტრესის გარეშე!

ფასი: 270 ლარი

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: **www.shopge.com**
ელ-ფოსტა: **contact@shopge.com**
ტელ: (995 32) 53 74 60

როცა მიხეილ ჭიაურელმა თეკლე დედოფლის როლზე მიმიწვია ფილმში „გიორგი საakაძე“, მხოლოდ 15 წლის ვიყავი

დავით თორაძის ჩიხი №3. არატიპური, სამსართულიანი სახლის მესამე სართულის ღია ფანჯრებიდან კლასიკური მუსიკის ხმა ისმის. უბრალო დამთხვევაა თუ ჩვეულება, ტრადიცია, რომელსაც აქამდე ვერ ღალატობენ? — გავიფიქრე და ნელა ავუყევი კიბეს. ან კი, როგორ შეიძლება სხვაგვარად? ამ ჩიხის მცხოვრებნი ხომ წლების მანძილზე ისმენდნენ აქ დაბადებულ, ხორცშესხმულ ჰანგებს. პირველად, სწორედ ამ ფანჯრებიდან გამოიჭრა დავით (გუგული) თორაძის ბალეტის — „გორდას“, ნინო ჭავჭავაძისა და ალექსანდრე გრიბოედოვის სიყვარულისადმი მიძღვნილი ოპერა „ჩრდილოეთის პატარძლის“, მშვენიერი კინომუსიკისა და გალაკტიონის ლექსის — „ქებათა ქება ნიკორწმინდას“ მიხედვით დაწერილი მეორე სიმფონიის დაუვიწყარი მუსიკა. აქედანვე გაისმოდა მისი შვილის, მსოფლიო რანგის პიანისტის — ლექსო თორაძის მიერ ბავშვობიდანვე გამორჩეულად, თამამად აჟღერებული მუსიკალური შედევრები...

გამოჩენილი მუსიკოსების დედა და მეუღლე, ეკრანის ვარსკვლავი ლიანა ასათიანი

თამარ კაპანაძე

ახლა სასტუმრო ოთახში, „მოწყენილი“ დგას შავი როიალი, რადგან მის კლავიშებს უსაშველოდ „ენატრება“ დავით და ლექსო თორაძეების ჯადოსნური თითების ჟრუანტელის მომგვრელი შეხება. როიალის ზედაპირი, ოთახის კედლები და წიგნის თაროები ერთგვარი ფოტოვერნისაჟის ფუნქციას ასრულებს. მასში დიდი ადგილი აქვთ დათმობილი, შორეულ ამერიკაში, ჩიკაგოსთან ახლოს მდებარე ერთ პატარა, მყუდრო ქალაქში მცხოვრებ, სახელოვანი მამისა და ბაბუის მოსახელე ბიჭებს. აქ კი, ამ ბევრის მომსწრე თბილისურ სახლში სრულიად მარტო ცხოვრობს უმშვენიერესი თავადის ქალი — მეუღლე, დედა, ბებია, ლიანა ასათიანი, რომელიც ღირსეულად ინახავს იმ დიდებულ ტრადიციებს, რომელიც ათწლეულების მანძილზე დამკვიდრდა საქართველოსთვის ეგზომ თავმოსაწონებელ ოჯახში:

— მუსიკა ჩემთვის ერთგვარი განტვირთვა, ემოციისგან გათავისუფლება და სულიერი საზრდოა — ისევე, როგორც ყველაფერი, რაც მაღალ მატერიებთან, აღმატებულთან და გამორჩეულთანაა დაკავშირებული, — ამბობს ქალბატონი ლიანა და თან სუფრას თავისივე ხელით დამზადებული, უგემრიელესი და მშვენიერი ნახელავით ავსებს, რაშიც თავის მამიდას — ყველასათვის კარგად ცნობილ, რეზო და თამაზ გამყრელიძეების დედას დამსგავსებია, ყოველთვის დიდი ქვაბებით რომ ამზადებდა თურმე სადილებს და სტუმრების მიღება-გამასპინძლებაც დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა.

ამერიკელებმა ლექსო ჯერ იტალიაში გააპარეს ესპანეთიდან, შემდეგ ნიუ-იორკში გადააფრინეს

— სხვათა შორის, ნინოც (ქალიშვილი. — ავტ.) ჩემნაირია. როცა ის საცხოვრებლად ინგლისში წავიდა და ნახა, რომ იქ სამეზობლო ურთიერთობანი საერთოდ არ არსებობს, მოახერხა, რომ მთელი კვარტალი გაეერთიანებინა. შეხვედრები — დაბადების დღეებისა თუ სხვა მნიშვნელოვანი თარიღების ერთად აღნიშვნა ჩვეულებად უქცია იქაურებს და ყველაფერი ქართული შეაყვარა. ასეა — ქალი ყველგან და ყველა შემთხვევაში შენი ქვეყნის ღირსეული შვილი და ნამდვილი პატრიოტი უნდა იყო. მგონი ქალობაც ეს არის, არა?

— დიახ, მაგრამ დღევანდელმა პირობებმა ბევრ ქალს წაართვა და დაავიწყებინა ქალობა — ლამის ქუჩაში გამოაგდო და მხოლოდ ოჯახის მარჩენლის ფუნქციაღა დაუტოვა...

— ოჯახი, სტუმარ-მასპინძელი და შვილები მუდამ იყო ქალის ტვირთი, მაგრამ თუ ამას შემომტანის ფუნქციაც ემატება, რასაკვირველია, ცუდია. ასე არ უნდა გაიმეტოს ქალი მამაკაცმა.

— ბატონი დავითი ალბათ კარგი მეუღლე იყო, არა?

— ათი ათასში ყოველნაირად გამორჩეული: ნიჭით, პიროვნული თვისებებით, აურით, მაგრამ იგი სულით ხორცამდე

ხელოვანი იყო და მაქსიმალურად ვუწყობდი ხელს მუშაობაში. მეტსაც გეტყვით: მიუხედავად დიდი სიყვარულისა და პატივისცემისა, ოჯახის ჭაპანი მაინც მარტომ გავწიე. გუგული შემოქმედი ნატურა იყო, მას სულ სხვა ინტერესები ამოძრავებდა – რკინის ქალამანს ჩაიცვამდა და ხელში რკინის ჯოხს დაიჭერდა, ოღონდ სხვისთვის დახმარება გაეწია. ამ დროს, ეგებ ჩემთვის ბაზარში წაყოლაზე უარი ეთქვა და უამრავი პროდუქტის მოტანა მარტოს მრგებოდა წილად, მაგრამ რადგან ჩვენი ჰონორარები ასე თუ ისე, ნორმალური ცხოვრების საშუალებას იძლეოდა, ჩემს მოვალეობას მაინც სიამოვნებით ვასრულებდი და, თუმცა დროდადრო, დამხმარე ქალიც გვყავდა, შვილებსაც თავად ვზრდიდი, რადგან არაფრით შემეძლო, ისინი მხოლოდ სხვისი მეთვალყურეობის ქვეშ მყოლოდნენ.

— იქნებ, ამიტომაც არ თანხმდებოდით მიწვევებს თეატრში და მარტო კინოთი იფარგლებოდით?

– რა თქმა უნდა. თუ მე სულ კინოსა და თეატრში, სპექტაკლებსა და რეპეტიციებზე ვიქნებოდი დაკავებული, ჩემი შვილები ქუჩაში უნდა გასულიყვნენ, ამას კი ვერ დავუშვებდი. ნინოს და ლექსოს საათობით ვეჯექი ინსტრუმენტთან და მოდუნების საშუალებას არ ვაძლევდი. ხშირად ჩაი და ფუნთუშა იქვე მიჭმევია მათთვის, ოღონდ დრო არ დაგვეკარგა. ღვთის შეწევნით, შრომა დაგვიფასდა. რაც შეეხება თეატრს – კარგთან ერთად, მას თავისი უარყოფითი მხარეც ბლომად აქვს და არც შიდაინტრიგებია მხოლოდ ჭორი... მე კი მცირეოდენი წკიპურტის ატანაც არ შემიძლია. თუმცა, ბევრს ძლიერი ქალი ვგონივარ, სრულიად უმნიშვნელო წვრილმანის გამო, ღამეები არ მძინავს ხოლმე... კინოზე მუშაობისას შექმნილი სადადგმო ჯგუფი მხოლოდ სასიამოვნო მოგონებებს გიტოვებს. მე ასეთი დამოკიდებულებები მიყვარს და მიმაჩნია – რაც მეტია ზღვარი, მით მეტია პატივისცემა.

— როდის და სად შეხვდით პირველად ბატონ დავითს?

– „გიორგი საკაძეში", ჩემ მიერ განსახიერებული თეკლე დედოფლის შემდეგ, შოთა მანაგაძემ „ჭირვეულ მეზობლებში" სოფლელი, ზესტაფონელი, თუმცა ემანსიპირებული, არქიტექტორი გოგონას როლზე მიმიწვია. ფილმისთვის მუსიკას გუგული წერდა. ამ დროისათვის ის უკვე ძალიან ცნობილი ახალგაზრდა მუსიკოსი იყო: მან ჩამოაყალიბა პირველი ქართული ჯაზი ვლადიმერ კანდელაკთან ერთად, წლების მანძილზე მუშაობდა კინოსტუდია „ქართული ფილმის" ორკესტრის ხელმძღვანელად... ამავე დროს, ძალზე მომხიბვლელი და სასიამოვნო ადამიანი გახლდათ. გარეგნობა, იმიჯი – ყველაფერი უწყობდა ხელს, რომ გულგრილი არც მე დავრჩენილიყავი და რაკი არაორდინარული ადამიანები ჯერ კიდევ ბავშვობიდან მიზიდავდა, გადაწყვეტილებაც მალე მივიღე.

— თქვენი გმირის — ციალას სახეზე საკმაოდ ხშირად აღბეჭდილი, ანდამატური ღიმილის მიზეზი ალბათ ახალაღმოცენებული გრძნობაც იყო, ხომ?

– არა, მთლად ასეთი რომანტიკულიც არ ვარ. სამწუხაროდ, მყარად ვდგავარ მიწაზე, არასდროს არაფერი მეჩვენება და ბუნებით ნამდვილი მაქსიმალისტი ვარ.

— ეი. სიყვარულიც უჩვეულო გეცოდინებათ...

– შესაძლოა, ოღონდ ჯერ გავარკვიოთ, რა არის სიყვარული? ზოგს ის მხოლოდ სიგიჟეები ჰგონია. მე კი მიმაჩნია, რომ სიგიჟე მხოლოდ ადრეულ წლებში შეიძლება სდევდეს ამ გრძნობას. ვიდრე ბოლომდე არ ფლობ თავს და ანალიზის უნარი არ გაგაჩნია, როცა არ იცი, როგორ იმოქმედო და ილაპარაკო, ეგებ მაშინ იდიოტიც მოგეწონოს... მერე, როცა უკვე აზროვნებ, მიხვდები, რომ სიყვარული დიდი სულიერი ერთიანობა, ერთმანეთის დაფასება და ანგარიშის გაწევაა. მამაკაცი თავისი გონიერებით უნდა გიპყრობდეს, თავისი ინტელექტით, სიძლიერით უნდა გხიბლავდეს და მის ფრთებქვეშ მყუდროდ უნდა გრძნობდე თავს. ასეთ შემთხვევაში რჩები ქალი, განებივრებული, გათამამებული და ლამაზი. ეგებ შენს რჩეულს, უსახსრობის გამო, დაბადების დღის მოლოცვაც არ შეეძლოს, მაგრამ ამის სურვილი ხომ უნდა ჰქონდეს?! მისთვის სულ უნდა არსებობდე, მისი ფიქრის განუყოფელი ნაწილი უნდა იყო. სიყვარული ამაღლებული გრძნობაა, ამაღლებული დამოკიდებულება! შეფასებებში შეუცდომელი არავინაა, მაგრამ იმდენი მაინც ხომ უნდა იგრძნო, ღირს თუ არა ეს ადამიანი შენს სიყვარულად?!

სხვათა შორის, ჩემი ქალიშვილი ნინოც ჩემნაირია

— რა არის თქვენი მარადიული სილამაზის საიდუმლო?

– ქალის სილამაზე მის თავდაჯერებულობასა და მოძრაობაშია. ქალი არ უნდა მოდუნდეს, წლებს არ დაემორჩილოს, არც ღიმილი დაივიწყოს და მომხიბვლელობაც არასოდეს მიატოვებს. ქალი, რომელიც არ იღიმება – კლასიკური ნაკვთებიც რომ ჰქონდეს, მაინც არასასიამოვნო შესახედავია.

— მაგრამ ღიმილს ხომ განწყობა სჭირდება, განწყობას კი, ცხოვრების ნორმალური პირობები?!

– უდავოდ, მაგრამ ადამიანი ძლიერი უნდა იყოს და თავისი პრობლემების მოგვარებაც თავადვე შეძლოს. როგორღაც ისე უნდა იქცეოდეს, თითქოს არანაირი საწუხარი არა აქვს...

— ამას ალბათ ხელოვნება სჭირდება — თამაში, გნებავთ, ზოგჯერ ნიღაბიც...

– ცხოვრება ისედაც თამაშია და არაფერია ამაში ახალი და ორიგინალური. უბრალოდ, თამაში ყალბი არ უნდა იყოს. თუკი შენი თამაშით სხვებს ხასიათს გამოუკეთებ, დაეხმარები, შვებას მოჰგვრი, ვითომ რითია ცუდი?! ნიღაბიც ჩვეულებრივი ყოფითი ხერხია, თუნდაც იმისათვის საჭირო, რომ მავანს გული არ ატკინო და პირდაპირ არ მიახალო მწარე სიმართლე. როცა ბატონმა მიხეილ ჭიაურელმა თეკლე დედოფალზე სათამაშოდ მიმიწვია, მხოლოდ 15 წლის ვიყავი. ომი ახალი დაწყებული იყო და ხალხი შიმშილობდა. მოდიოდნენ ბატონ მიშასთან უცნობილესი მსახიობები და სთხოვდნენ, მასობრივ სცენებში მაინც გადაეღო ისინი, რომ მცირედი შემოსავალი გასჩენოდათ. გული დამწყდა: ისინი თითქოს ჩემს თვალში დაპატარავდნენ, წაიშალნენ... მიმაჩნია, რომ ადამიანი ღირსეულად უნდა უძლებდეს ყველაფერს. საჭიროა, ნებისმიერი ძალისხმევით, მაგრამ მაინც ბოლომდე შეინარჩუნო ავტორიტეტი, რომლის გამოც ხალხს უყვარხარ და გაფასებს. თუ ამ ყველაფერს კარგი ოჯახი და შვილებიც ემატება – მით უკეთესი.

— თქვენ ამ მხრივაც, საამაყოდ

გუგული შემოქმედი ნატურა იყო, მას სულ სხვა ინტერესები ამოძრავებდა

გაქვთ საქმე... გვიამბეთ თქვენს შვილებზე.

— შვილები ჩვენი ყველაზე მკაცრი მსაჯულები არიან. თუ მათ აღზრდაში შეცდომებს დავუშვებთ, ბოლოს სანანებელი გაგვიხდება. ვიდრე ისინი დამოუკიდებელნი გახდებიან, უმჯობესია, ჩვენი მოთხოვნების შესრულება ჩვევად ვუქციოთ, მაგრამ როცა დამოუკიდებლობას მიაღწევენ, მერე ზედმეტად ჩარევაც შეცდომაა. ლექსო და ნინო ისე გაიზარდნენ, არც კი წაკინკლავებულან. 10-11 წლიდან, ლექსოს უკვე კონცერტები ჰქონდა და ნინო ამის გამო პატივისცემით განეწყო მის მიმართ, ახლა, ნინო მუსიკისმცოდნეა და მეუღლესთან — ექიმ თორნიკე ბეგიშვილთან და ქალიშვილთან — ნინისთან ერთად ლონდონში ცხოვრობს. ლექსომ მოსკოვის კონსერვატორია დაამთავრა. მერე კი, როცა ესპანეთში დაგეგმილი მისი კონცერტები სამარცხვინოდ გაიყიდა, იძულებული გახდა, საკუთარი თავისათვის ეშველა. იმ დროსათვის მას, როგორც დიდი ამერიკელი პიანისტის — ვენ კლაიბერნის კონკურსის ლაურეატს, უკვე კარგად იცნობდნენ ამერიკაში, ფილმიც ჰქონდათ მასზე გადაღებული — „ო, ლექსო!“ ერქვა და როცა იქიდან მიწვევა მიიღო, დაუფიქრებლად დათანხმდა. ამერიკელებმა ლექსო ჯერ იტალიაში გააპარეს ესპანეთიდან, შემდეგ ნიუ-იორკში გადააფრინეს და ცხოვრებისა და შემოქმედებისათვის საჭირო ყველა პირობა შეუქმნეს. ჰყავს ირლანდიური წარმოშობის ამერიკელი მეუღლე (ისიც მუსიკოსია) და ორი ვაჟი — დევიდი და ალექსანდრე. მათი ნახვის შესაძლებლობა მაშინ მეძლევა ხოლმე, როცა ტრადიციულად ყველანი იმ ქვეყანაში ვიკრიბებით, სადაც ლექსო კონცერტებს მართავს.

— **ბუნებრივია, უსაზღვროდ ბედნიერია დედა, რომელიც უცხოეთში შვილის წარმატებას და აღიარებას საკუთარი თვალით ხედავს და აღიქვამს...**

— რა თქმა უნდა! წარმოიდგინეთ — ლა-სკალაში, სადაც ძირითადად, მომღერლებს იწვევენ ხოლმე, ლექსომ იქაურ ორკესტრთან ერთად დაუკრა რახმანინოვის მესამე კონცერტი. მსგავსი შემთხვევა კი უამრავია მის ბიოგრაფიაში.

— **მოდით, თქვენი ეკრანული შემოქმედება შევახსენოთ მკითხველს — ის როლები, რომლის გამოც ასე შეგიყვარათ მაყურებელმა.**

— „გიორგი სააკაძესა“ და „ჭირვეულ მეზობლებს“, „გაზაფხული საკენში“ მოჰყვა. შემდეგ იყო „მწვერვალთა დამპყრობნი“ და რადგან მასში ნატო ვაჩნაძე მონაწილეობდა, თუნდაც ამის გამო იყო ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანი... შემდეგ მოდის: „ეთერის სიმღერა“, „მაცი ხვიტია“, „ჭრიჭინა“, „დიდოსტატის მარჯვენა“, „თავადის ქალი მაია“, „ლევან ხიდაშელი“ და ბოლოს, რეზო ესაძის „ჭერი“.

— **თქვენ იმ მსახიობთა გვერდით მოგიხდათ მოღვაწეობა, რომლებმაც ერის ხელოვნების ისტორია შექმნეს...**

— დიახ და ღრმა კვალიც დატოვეს ჩემს ცნობიერებაში. ჯერ კიდევ პატარას, იმ მსახიობებთან მომიხდა შეხვედრა და ურთიერთობა, ვის ფოტოებსაც რუდუნებით ვაგროვებდი და ვის სახელებსაც ვეთაყვანებოდი. რომელი ერთი ჩამოვთვალო: ვასაძე, ხორავა, ანჯაფარიძე, ბაღაშვილი, ღამბაშიძე, ჟორჟოლიანი, შავგულიძე, ზაქარიაძე. მახსოვს, ერთხელ, საგრიმიოროდან ეზოში გადავიხედე და ულამაზეს ქალთა და მამაკაცთა მთელი საკრებულო დავინახე, გულში კი სიამაყით გავიფიქრე: ღმერთო, რამდენ კინოსტუდიას შეშურდებოდა ჩვენი ან, რამდენ კინოსტუდიას დაამშვენებდა-მეთქი მათი სახელები და სახეები!.. მართლა ძალიან ბედნიერი ვარ, რომ თითქმის ყველა მათგანთან მომიხდა ურთიერთობა... როცა თეკლე დედოფალზე მიმიწვიეს, „არსენა“ და „დიადი განთიადი“ უკვე გამოსული იყო ეკრანებზე და ხალხი ჭკუას კარგავდა სპარტაკ ბაღაშვილის გამო, მე კი — პატარა გოგოს — წილად მხვდა ბედნიერება, უშუალოდ მისი პარტნიორი ვყოფილიყავი: საოცარი სულის მატარებელი, რამდენი გაჭირვების გადამტანი, ცხოვრებაშიც ნამდვილი გმირი, ნამდვილი რაინდი იყო. ზამთარში ბაწრით შეკრული ფეხსაცმლით დადიოდა, შიგ წყალი შესდიოდა და ალბათ იყინებოდა, მაგრამ იმდენი შინაგანი ღირსება და სიამაყე ჰქონდა, ამას არ იმჩნევდა და სახე მუდამ გაცისკროვნებული ჰქონდა.

— **თქვენი როლების შესახებ რას იტყვით, სხვებივით, ყველა მათგანი თქვენც შვილებივით გიყვართ, თუ რომელიმე მათგანთან გაქვთ განსაკუთრებული დამოკიდებულება?**

— რა თქმა უნდა, ყველა მათგანი მიყვარს, მაგრამ მიმაჩნია, რომ ჩემი ყველაზე სერიოზული ნამუშევარი „თავადის ქალი მაიაა“.

— **ქალბატონო ლიანა, თქვენ საკმაოდ ახალგაზრდა დარჩით მარტო. რა გშველოდათ, როგორ ახერხებდით თქვენთან აღფრთოვანებული მამაკაცების მოგერიებას?**

— მშველოდა აზრი, რომ ყველაფერი, რაც მიუწვდომელია, სასურველი და მშვენიერია, რომ ხელშევლებული და დაგემოვნებული აუცილებლად კარგავს სურნელს. გარდა ამისა, ყველა ქალმა უნდა იცოდეს, რომ ჯერ მის ღირსებას უნდა სცენ პატივი და შემდეგ მის სილამაზეს, რადგან სილამაზე ღირსების გარეშე, არაფერს წარმოადგენს ღირებულს.

დიახ, უჩვეულოდ ლამაზი და მართლა არაორდინარული, მეტისმეტად ღრმა და ამოუწურავი — აი, როგორია საქართველოში გამორჩეული ერთ-ერთი ოჯახის დიდებული დიასახლისი და ქართული კინოს მშვენება ლიანა ასათიანი, რომელშიც თანაბარი ძალითაა შერწყმული ქალის, მსახიობისა და მოაზროვნე ადამიანის შესანიშნავი თვისებები და რომლის ოჯახში გასულ წელს ერთგვარი საიუბილეო ბუმი იყო: 80 წელი შესრულდა კომპოზიტორ დავით თორაძის დაბადებიდან, 50-ისა გახდა ლექსო, 45-ისა — ნინო. იუბილარია ქალბატონი ლიანაც, თუმცა მის ასაკს, თუნდაც იმიტომ არ გაგიმხელთ, რომ მაინც არ დაიჯერებთ...

■



ჰყავს ირლანდიური წარმოშობის ამერიკელი მეუღლე (ისიც მუსიკოსია) და ორი ვაჟი

www.shopge.com

გასახდომი ქამარი მიოსტიმულატორი – ABTRONIC PRO – „აბტრონიკ პრო"

გასახდომი ქამარი მიოსტიმულატორი **ABTRONIC PRO** ამაგრებს მუცლის, გულმკერდის, ფეხებისა და ბეჭების კუნთებს. გარდა ამისა, იძლევა მინიმალური ძალისხმევით მაქსიმალურად გახდომის საშუალებას. გასახდომი ქამარი დამზადებულია კოსმონავტებისაგან გადმოღებული ტექნოლოგიით, რომელსაც იყენებენ ხანგრძლივი ფრენის დროს ტონუსის შესანარჩუნებლად და კუნთების გასამაგრებლად. ასევე, ეს ტექნოლოგია იძლევა ცხიმების დაწვისა და ცელულიტის დაშლის საშუალებას ყოველგვარი ძალდატანების გარეშე!

ელექტრომიოსტიმულაციის უპირატესობანი.
მიოსტიმულაცია:
- იწვევს ღრმა კუნთურ შეკუმშვებს, ამაგრებს მოდუნებულ კუნთებს და აუმჯობესებს მათ ტონუსს;
- ამცირებს და შლის ცელულიტს;
- მართავს გახდომის პროცესს: პირველ რიგში მოქმედებს სხეულის იმ ნაწილებზე, რომლებიც უფრო მეტად საჭიროებენ გახდომას;
- აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, ხელს უწყობს ორგანიზმიდან ცხოველქმედების პროდუქტების განდევნას;
- აუმჯობესებს კანის სტრუქტურას;
- ეფექტურად ებრძვის ოსტეოქონდროზსა და სქოლიოზს.

შედეგი:
გაძლიერებული გულ-სისხლძარღვთა სისტემა, გაუმჯობესებული სისხლის მიმოქცევა და ნივთიერებათა ცვლა, შლაკების ინტენსიური გამოდევნა ორგანიზმიდან, ძლიერი და ამტანი კუნთები, მკვრივი და ელასტიკური კანი.

მუშაობის პრინციპი:
სუსტი ელექტროიმპულსების ზემოქმედებით კუნთები იკუმშება. ამგვარად, ძლიერდება მუსკულატურა, იწვება ცხიმი და იშლება ცელულიტის უჯრედები. ელექტროდები დამზადებულია ახალი დაპატენტებული ქსოვილისაგან, რომელსაც გააჩნია მაღალი ელექტროგამტარობა და მუშაობის ხანგრძლივი ვადა. შესაძლებელია იმპულსების სიხშირისა და ინტენსივობის რეგულირება, რაც იძლევა მოწყობილობის ინდივიდუალურად გამოყენების საშუალებას. ცხიმების დაწვისა და ფიგურის კორექციისათვის რეკომენდებულია სუსტი იმპულსების მაღალი სიხშირით გამოყენება, ხოლო კუნთების გასაძლიერებლად უმჯობესია გამოიყენოთ ძლიერი იმპულსები ნაკლები სიხშირით. მაღალი სიხშირის იმპულსები იწვევენ კუნთების შეკუმშვას და ქმნიან მასაჟის ეფექტს, რაც ხელს უწყობს ორგანიზმში დაგროვილი ტოქსიკური ნივთიერებების, შლაკების, ზედმეტი სითხისა და ცხიმის სწრაფ გამოდევნას. გარდა ამისა, ქამარი შეიძლება გამოყენებულ იქნას სპორტული ტრავმების რეაბილიტაციის მიზნით.

ქამარი მიოსტიმულატორი ABTRONIC PRO – ნებისმიერ დიეტაზე ბევრად უფრო ეფექტური და იოლი საშუალებაა!

ფასი: 154 ლარი
დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: **www.shopge.com**
ელ-ფოსტა: **contact@shopge.com**
ტელ: (995 32) 53 74 60

®



პროფესია — ჯალათი, წარმომავლობა — გაურკვეველი, ასაკი — 83 წელი, ოჯახური მდგომარეობა — ქვრივი, ჰობი — ოთახის ყვავილების მოშენება... როდესაც მასთან ინტერვიუზე მივდიოდი, მეგონა, რომ ბნელ, უფანჯრო, აბლაბუდებით სავსე და სიგარეტის კვამლით გაჟღენთილ ბინაში მოვხვდებოდი. ქალაქის განაპირას, ერთმანეთის მიყოლებით „მიდგმულ“ პატარა სახლებს შორის ძლივს მივაგენი ერთსართულიან, კოხტა სახლს. ეზო კარგადაა მოვლილი, მოკირწყლულია და უამრავი ყვავილითაა სავსე. სახლი გარედან მთლიანად სუროთია დაფარული, შიგნით კი, იდეალური სისუფთავე და საოცარი სიმყუდროვე სუფევს და კიდევ — უამრავი, ოთახის ყვავილია, რომლის მაგვარი იშვიათად მინახავს. ასეთ გარემოში მოხვედრილ ადამიანს რომანტიკულ თემებზე საუბრის სურვილი უფრო გაგიჩნდება, ვიდრე იმ საშინელი ამბების მოსმენისა, რომელიც პროფესიონალმა ჯალათმა — ბატონმა სანდრომ მომიყვა.

„სიკვდილით დასჯა რომ გაუქმდა, უმუშევარი დავრჩი“

ანუ გამხმარი ყვავილის ქოთანთან მტირალი ჯალათი...

მარი ჯაფარიძე

— თქვენ ნამდვილად სანდრო გქვიათ?

— დიახ, ასე მქვია. თქვენც ნუ შეცვლით სახელს, ასევე დატოვეთ: რა მნიშვნელობა აქვს, რას დამარქმევთ?

— კარგით, მოდით, შორიდან დავიწყოთ და თქვენი შეგნებული ასაკიდან მოყოლებული, დღემდე როგორ მოხვედით, იმის შესახებ მომიყევით.

— ჩემს ბავშვობას რომ ვიხსენებ, პირველი, რაც თვალწინ წარმომიდგება, ჩემი გადახოტრილი და მუწუკებით დაფარული თავია, რომლის ანარეკლს ფანჯრის მინაში თუ ვხედავდი ხოლმე. 1920 წელს დავიბადე, არ მახსოვს — სად და ვის ოჯახში. ვიზრდებოდი უპატრონო ბავშვთა სახლში. ვფიქრობ, რომ ქართველი არ ვარ, თუმცა ქართულის გარდა, არც ერთი ენა არ ვიცი. მახსოვს ისიც, რომ არასდროს მყოფნიდა საჭმელი, ყოველთვის მშიოდა, მეორე ულუფას კი, არ მაძლევდნენ. ძალიან მკაცრად მექცეოდნენ აღმზრდელები. პატარა დანაშაულისთვისაც კი სასტიკად მსჯიდნენ. სულ მობუზული დავდიოდი და დღემუდამ იმაზე ვფიქრობდი, თუ რა გამეფუჭებინა. თითქოს ვცდილობდი, აღმზრდელთა მრისხანება და სასჯელი დამემსახურებინა, შემდეგ კი, თავი ეულად და უბედურად მეგრძნო... ცამეტი წლის რომ გავხდი, იქვე, ჩვენ გვერდით, კერძო ეზოში მკვახე ალუჩა მოვიპარე. ორი დღით, სარდაფში დამამწყვდიეს. გამომიშვეს თუ არა, ერთ საათში, იქიდან გამოვიპარე და იმის შემდეგ,მარტო ვცხოვრობდი, მაწანწალობით ვირჩენდი თავს. კომუნისტური იდეოლოგიით, არ შეიძლებოდა, ბავშვს ქუჩა-ქუჩა ევლო და მოწყალება ეთხოვა, ამიტომ ცდილობდნენ, დავეჭირე და უკან დავებრუნებინე, მაგრამ მათი ხელიდან გასხლტომას ყოველთვის ვახერხებდი.

— ალბათ არც ქურდობაზე ამბობდით უარს...

— კი, მომიპარავს კიდეც. მახსოვს, მთელი დღის უჭმელი ვიყავი, პურის საცხობთან გავიარე და სუნმა კინაღამ წამაქცია. ხაბაზს ვთხოვე, სულ ცოტა პური მომიტეხე-მეთქი. ცოცხს წამოავლო ხელი და — აბა, მოუსვი აქედანო! — მითხრა. იქვე, კუთხეში მივჯექი და ნერწყვს ვყლაპავდი, როცა ახალგაზრდა ქალმა გვერდით ჩამიარა სანოვაგით დატვირთული ჩანთით. ჩანთა ჩემთან ახლოს დადგა, თვითონ კი პურს ყიდულობდა. ჩუმად ჩავიხედე ჩანთაში და უზარმაზარი პომიდვრები დავინახე. ვტაცე ორ ცალს ხელი და თავქუდმოგლეჯილი გავიქეცი. ბევრი ვირბინე. თავი სამშვიდობოს რომ დავიგულე, ორივე პომიდორი თვალის დახამხამებაში გადავსანსლე და სული მოვითქვი...

— როგორ გახდით ჯალათი?

— როდესაც დიდი სამამულო ომი დაიწყო, ოცი წლის ვიყავი. გადავწყვიტე, საომრად წავსულიყავი. წავედი კიდეც. მედალიც მაქვს მიღებული — „За отвагу“. ომი რომ დამთავრდა, საქართველოში დავბრუნდი და ერთ-ერთ ქარხანაში დავიწყე მუშაობა. თავის შენახვა გამიჭირდა, ხელფასი არ მყოფნიდა, მაგრამ რას ვიზამდი? საცხოვრებელი ბინა სახელმწიფომ მომცა. ერთ დღეს, სამსახურიდან შინ მიმავალმა, გადავწყვიტე, ძველი ფრონტელი მეგობარი მომენახულებინა (6 წლის განმავლობაში, მის შესახებ არაფერი მსმენოდა). მივედი. თითქოს არ გაუხარდა ჩემი დანახვა,მაგრამ შინ შემიპატიჟა, საჭმელ-სასმლითაც გამიმასპინძლდა. მაშინ გავიგე, რომ ციხეში მუშაობდა მაღალ თანამდებობაზე. ვთხოვე: იქნებ, მაღალხელფასიანი სამსახური მიშოვო-მეთქი. არც



როდესაც დერეფანში გამოვიყვანე, ძმას გასძახა: ჩემი დრო უკვე მოვიდა, ბიჭო, არ შეგეშინდეს, იქ, იქ გელოდები და გამაგრდიო!.. – ტანში გამცრა

„ჰო“ მითხრა, არც – „არა“. წამოვედი მისგან და კარგა ხანს, სურვილიც არ გამჩენია მისი ნახვისა. 2 წლის შემდეგ, 1959 წლის სექტემბერში დამიკავშირდა და მითხრა: სამსახური გიშოვეო. მივაკითხე. ციხის სამზარეულოში, მზარეულის თანაშემწედ გამამწესა, ორი კვირის შემდეგ კი – ბადრაგად გადამიყვანა. კიდევ ორი კვირის შემდეგ, დამიბარა და დიდი „რეჩი“ წამიკითხა იმის შესახებ, რომ სამშობლოს მოღალატეთა და საზოგადოების ხორცმეტთა მოშორება, სასჯელის აღსრულება და სიკვდილით დასჯა ჩვენი უშუალო მოვალეობაა და რა ვიცი, ათასი ლამაზ-ლამაზი, მაღალფარდოვანი სიტყვა წარმოთქვა და ბოლოს მკითხა: რას იზამ, – შეძლებ, რომ სასიკვდილო განაჩენი სისრულეში მოიყვანოო? – ე.ი. ხალხი უნდა დავხვრიტო-მეთქი? – ვკითხე. თავი დამიქნია... სამი დღე ვიფიქრე, შემდეგ დავთანხმდი, ოღონდ იმ პირობით, რომ ამის შესახებ ვერც ჩემი ოჯახი და ვერც სხვა, ვერაფერს გაიგებდა.

— **ცოლი გყავდათ?**

– დიახ, რუსი გოგონა შემიყვარდა, ჩემთან ერთად მუშაობდა იმ ქარხანაში, სადაც ომის შემდგომ ვმსახურობდი. ერთი შვილიც შეგვეძინა, ვაჟი...

— **თუ გახსოვთ პირველი მსჯავრდებული, რომელიც დახვრიტეთ?**

– მახსოვს, გუშინდელი დღესავით მახსოვს... ახალგაზრდა ბიჭი იყო, თითქმის უწვერულვაშო. პატიმრებს ნომრებით ვიძახებდით, მათ გვარებს არ ვკითხულობდი, არც ვეკონტაქტებოდი, თუმცა, ჩემთან ერთად კიდევ ორი ჯალათი მუშაობდა და ისინი მათი ბიოგრაფიული წვრილმანებითაც კი ინტერესდებოდნენ. მე რომ რომელიმე პატიმარი გამეცნო, შემდეგ ველარ შევასრულებდი ჩემს მოვალეობას..

— **თქვენს პირველ მსხვერპლზე ვსაუბრობდით...**

– ჰო, იმას გეუბნებოდით – ნომერი მითხრეს პატიმრის და ინსტრუქტაჟიც ჩამიტარეს. მანამდე კი, პრაქტიკა სხვების დახვრეტის დროს გავიარე. ეს პატიმარი უკვე დამოუკიდებლად უნდა გამომესალმებინა სიცოცხლისათვის. კამერიდან გამოყვანისას არასოდეს ვეუბნებოდით, რომ დასახვრეტად მიგვყავდა – ან ნათესავთან პაემანი იყო მიზეზი, ან უფროსის გამოძახება... სიკვდილმისჯილთა საკნები მიწის ქვეშ მდებარეობდა. გრძელი, ბნელი დერეფნის აქეთ-იქით განლაგებულ ოთახებში უმეტესად, სიწყნარე სუფევდა. გამოვიყვანე ეს პატიმარი, გავიგდე წინ, ვუყურებ მის კეფაზე იმ ადგილს, სადაც იარაღი უნდა მივაბჯინო და ვფიქრობ: არ უნდა შემეცოდოს! – თან, გონებაში წარმოვიდგინე თითქოსდა მის მიერ ჩადენილი საშინელი დანაშაული, რომელიც სინამდვილეში, მხოლოდ ჩემი ფანტაზიის ნაყოფი იყო...

— **მაინც, რა წარმოიდგინეთ?**

– წარმოვიდგინე, როგორ კლავდა ჩემს შვილს და მის სისხლს სვამდა, წარმოვიდგინე მისი მოთხუპნილი, გასისხლიანებული პირი და ხელები და მივადექით კიდეც იმ ოთახის კარს, სადაც განაჩენი უნდა აღსრულებულიყო. იმ ოთახს იატაკი არ ჰქონდა, მის მაგივრობას ქვიშით სავსე აუზი სწევდა. გავაღე კარი, შევუშვი პატიმარი; ის მიხვდა, რაც უნდა მომხდარიყო და უკან მოხედვა სცადა; უკნიდან თმაში ჩავავლე ხელი, პისტოლეტი კეფაზე მივაბჯინე და გავისროლე. უსულოდ დაეცა. ერთი „კონტროლი“ კიდევ გავისროლე და კარი გამოვიხურე. ჩემი საქმე ამით მთავრდებოდა.

— **ასე დაწვრილებით რატომ აღმიწერეთ ეს სცენა?**

– ამას გონებაში ყოველდღე ვიმეორებ. ალბათ ასობით კაცი მაინც მეყოლება დახვრეტილი, მაგრამ ყოველთვის ის, პირველი მაგონდება...

— **რა განცდა გქონდათ ამის შემდგომ?**

– ოთახში მარტო ვიჯექი და ვტიროდი. მანამდე, მეგონა, რომ უფრო იოლად მოვახერხებდი ამას. თურმე ვცდებოდი...

— **რომ მოგენდომებინათ, ამ სამსახურიდან ვერ წამოხვიდოდით?**

– ვერა, უკვე მაგრად ვყავდი ჩაჭერილი ამ სისტემას, არც მე გამახარებდნენ და არც ჩემს ოჯახს...

— **თუ დაგიყენებიათ საკუთარი თავი იმ პატიმრების ადგილზე?**

– ხშირად მიფიქრია – მათ ახლობლებს რომ ჩემი თავი ჩაუვარდეთ ხელში, დიდი სიამოვნებით ნაწილ-ნაწილ ამკუწავდნენ-მეთქი... პატიმრები ხშირად, საქმეს „აწყობდნენ“, რომ მე დამეხვრიტა: იმედგადაწურულები, იმასლა ამბობდნენ – ამ კაცს „ტკბილი“ ხელი ჰქონია, ისე გამოგასალმებს წუთისოფელს, ბევრს არ იწვალებო... არ ვიცი, ასე რატომ ფიქრობდნენ, ვისაც დავხვრეტდი, იმათგან ხომ ვერ გაიგებდნენ და...

— **თუ უსრულებდნენ ამ თხოვნას?**

– არა, ჩვენ ჩვენი გრაფიკი გვქონდა. ყოველ მესამე დღეს მიწევდა მორიგეობა; ვინც იმ დღეს მოხვდებოდა დასახვრეტთა სიაში, მხოლოდ იმათ უწევდათ ჩემი „მომსახურება“.

— **თუ ყოფილა შემთხვევა, რომ სიკვდილმისჯილი შეეწყალებინათ და ზევით, სხვა პატიმრების გვერდით საკანში გადაეყვანათ?**

გავაღე კარი, შევუშვი პატიმარი; ის მიხვდა, რაც უნდა მომხდარიყო და უკან მოხედვა სცადა; უკნიდან თმაში ჩავავლე ხელი, პისტოლეტი კეფაზე მივაბჯინე და გავისროლე.

— ძალიან იშვიათად. ბევრი პატიმარი ელოდა შეწყალებას, ინსტანციიდან ინსტანციაში დადიოდნენ მათი ახლობლები, მაგრამ უმეტესად, მაინც ვერაფერს აღწევდნენ. ჩემი კოლეგებისგან გამიგონია, რომ ზოგიერთი მათგანი ოთახის ყვავილს ახარებდა იმ ჯურღმულში და ბავშვივით ეფერებოდა... როდესაც რკინის კარში დატანებულ სარკმელს გახსნიდი, პატიმარებს შევუწუხებივარ. ერთადერთხელ, ქალი დამესიზმრა, მეხვეწებოდა: შვილს ნუ მომიკლავო. ვიშორებდი და არ მიდიოდა, ფეხებზე მებღაუჭებოდა, ამ დროს გამეღვიძა... არ ვიცი, რომლის დედა იყო, ალბათ იმის, ვინც მეორე დღეს დავხვრიტე...

— მეგობრები თუ გყავთ?

— არა.

— რატომ?

— იმიტომ!..

— მეზობლებს თუ ეკონტაქტებით?

— არა.

— ისინი არ იჩენენ ინტერესს თქვენ მიმართ?

— არ ვიცი...

— თქვენი კოლეგები სად არიან ახლა?

— ერთი დაიღუპა, თავისსავე სახლში დაიწვა. მეორე სად არის, არ ვიცი.

— თუ მეგობრობდით მათთან?

— არა.

— ერთმანეთს თუ ესაუბრებოდით დახვრეტილი პატიმრების შესახებ?

— არა.

— ამდენი უცხო სახეობის ყვავილი საიდან მოიტანეთ?

— შევაგროვე. ხომ გითხარით, რომ ზოგიერთი პატიმარი ოთახის ყვავილებს ახარებდა. ვფიქრობდი: ნეტავ, რად უნდათ-მეთქი? ალბათ ცოცხალი, ბუნების ნაწილი თავის იმედად ესახებოდათ. ჰოდა, გადავწყვიტე, მეც ასე მოვქცეულიყავი. თანაც, ვინმეზე ან რამეზე ხომ უნდა ვიზრუნო?! შვილებივით დავკანკალებ, თუ რომელიმე მათგანმა მოიწყინა ან გახმა, მთელი გულით განვიცდი და მიტირია კიდეც, როდესაც მისი გადარჩენის იმედი გადამწურვია...

— ასეთი კოშმარული ცხოვრება გაიარეთ... როგორ მიაღწიეთ ამ ასაკს?

— ალბათ ღვთის ნებაა ასეთი — დიდხანს ვიცოცხლო, რომ ვიტანჯო და ბოლოს, წამებაში ამომხდეს სული...

— ახლა არ მუშაობთ?

— არა. სიკვდილით დასჯა რომ გაუქმდა, უმუშევარი დავრჩი. თავს პენსიით ვინახავ...

P.S. ძალიან ბევრი ვეცადე, მაგრამ ვერ შევძელი, წარმომედგინა, გამხმარი ყვავილის ქოთანთან მტირალი ჯალათი..

■

ალბათ ღვთის ნებაა ასეთი — დიდხანს ვიცოცხლო, რომ ვიტანჯო და ბოლოს, წამებაში ამომხდეს სული...

რთა თვალები შიშით შემომცქეროდა. თითოეული მათგანი ფიქრობდა — რომელს დაგვიმახებსო? და თუ მის ნომერს არ ვიტყოდი, ალბათ გულით უხაროდა. თუმცა, რამდენ დღეს ან საათს გასტანდა ეს სიხარული, ღმერთმა უწყოდა მხოლოდ.

— რა ხდებოდა იმის შემდეგ, როცა თქვენს საქმეს გააკეთებდით და კარს გამოიხურავდით?

— სად? ჩემს გულში თუ იმ ოთახში?

— იქ, ოთახში.

— გარდაცვლილ პატიმარს ციხის სასაფლაოზე მარხავდნენ. როდის და როგორ ხდებოდა ეს, არ ვიცი.

— კიდევ რომელიმე მსხვერპლი თუ დაგამახსოვრდათ განსაკუთრებულად?

— კი, ორი ძმა იჯდა, ოღონდ — სხვადასხვა საკანში. ერთ-ერთის დახვრეტა მე მომიწია. როდესაც დერეფანში გამოვიყვანე, ძმას გასძახა: ჩემი დრო უკვე მოვიდა, ბიჭო, არ შეგეშინდეს, იქ, იქ გელოდები და გამაგრდიო!.. — ტანში გამცრა. ხელი ვკარი, რომ გაჩუმებულიყო. ფეხები ამიკანკალდა, გულს ბაგაბუგი გაჰქონდა, ანგელოზივით ბიჭი იყო, მაგრამ რას ვიზამდი?!.

— ისე ლაპარაკობთ, თითქოს ქათამი დაკალით...

— ეჰ, რა უნდა ქნა კაცმა... თქვენი გაკიცხვა არაფერია — ღმერთის მეშინია, ღმერთის!..

— თქვენმა მეუღლემ თუ იცოდა, რა საქმიანობას ეწეოდით?

— არა, მხოლოდ ის იცოდა, რომ ციხეში ვმუშაობდი... მაგრამ ყველაზე მეტად იმის მეშინოდა, შვილს არ გაეგო. თვრამეტი წლის რომ გახდა, ჯარში წავიდა, შემდეგ, ყველა ღონე ვიხმარე, რომ საქართველოში აღარ დაბრუნებულიყო. ახლაც ყაზახეთში ცხოვრობს. მხოლოდ ორჯერ ვნახე...

— გამოდის, შვილი დაკარგეთ?

— ასე გამოდის. ჯობს, შორს იყოს, ვიდრე — აქ და იტანჯოს...

— ღამით კოშმარები არ გაწუხებთ?

— არა, არასდროს დამსიზმრებია ჩემ მიერ დახვრეტილი პატიმარი, არც კოშ-

„კვირის პალიტრის“ სასწავლო კომპიუტერული ცენტრი

გთავაზობთ კომპიუტერის შემსწავლელ ინდივიდუალურ კურსებს:

საოფისე, საგამომცემლო, გრაფიკული და ანიმაციური პროგრამები. პროგრამირება და ვებ-დიზაინი. შეისწავლება აგრეთვე პრინტერთან, სკანერთან და ქსელში მუშაობა, ინტერნეტი.

საგამომცემლო პროგრამების შესწავლისას მსურველები პრაქტიკას გაივლიან „კვირის პალიტრის“ გამოცემებში.

დამწყები და მოქმედი ჟურნალისტებისთვის ისწავლება აუცილებელი კომპიუტერული კურსი.

ახალი ფასები საოფისე პროგრამებზე



მსმენელთა მიღება ყოველდღე, კვირის გარდა 15⁰⁰-დან 18⁰⁰ სთ-მდე „კვირის პალიტრის“ ოფისში.

მისამართი: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან).

დამატებითი ცნობებისთვის დარეკეთ:

33-27-99; 38-68-77; 8(77) 44-24-74.

შესაძლებელია საუკეთესო მსმენელთა დასაქმება

მსმენელებს უფასოდ გადაეცემა სასწავლო ლიტერატურა

ჩა ღირს ქალწულობის აღდგენა

ერთ ცნობილ მეან-გინეკოლოგს საგანგებოდ ვესტუმრე. ორივენი დიდხანს ვყოყმანობდით — გაგვემჟღავნებინა თუ არა მისი ვინაობა, მაგრამ ერთმა საფუძვლიანმა არგუმენტმა, საბოლოოდ გადამაფიქრებინა ექიმის გვარ-სახელისა და მით უმეტეს, ფოტოს დაბეჭდვა: დამარწმუნა, რომ უამრავი გოგონასთვის და მანდილოსნისთვის გაუწვდია დახმარების ხელი. ამიტომ, არ ღირდა მათი აფორიაქება, ეჭვის გაღვივება, რადგან თითქმის ყველას ოჯახი, ქმარ-შვილი ჰყავს და ჩემმა პირდაპირობამ რაიმე გაუთვალისწინებელი არ გამოიწვიოსო. თანაც, როგორც ექიმი, მუდამ პაციენტის ინტერესების დამცველი გახლავართ, საიდუმლოს შენახვა ჩემთვის წმინდაა და ფიცს ვერ გავტეხო — მითხრა. დავეთანხმე და საუბარიც დავიწყეთ:

მაია კახიძე

— უწინარეს ყოვლისა, მაინტერესებს: ქალწულობის აღდგენის ოპერაცია ლეგალურია საქართველოში?

— რასაკვირველია, ლეგალურია და კანონიერი. სხეულის კორექცია, მკერდი, დუნდულა და ა.შ. თუ ლეგალურია, რატომ არ უნდა იყოს საქალწულო აპკის აღდგენა ლეგალური?

— თქვენი აზრით, 21-ე საუკუნეში იკლო თუ, პირიქით, მატულობს ასეთი ოპერაციების მსურველთა რიცხვი?

— თქვენ წარმოიდგინეთ, საგრძნობლად შემცირდა. ჩანს, ქალიშვილობის ინსტიტუტს დიდი მნიშვნელობა აღარ ენიჭება. ადრე ქალის პატიოსნებას სულ სხვაგვარი თვალით უყურებდნენ, დღეს კი „თავისუფლებამ" შთანთქა პატიოსნება, მათ შორის — ქალწულობაც. ხაზგასმით შემიძლია ვთქვა, რომ ქალიშვილობის ინსტიტუტი ნელ-ნელა ფერმკრთალდება. ისე, მერწმუნეთ, ქალი ძალიან ამტანი და გამძლეა. რასაც ქალები იტანთ, მამაკაცები იმის ნახევარსაც ვერ აიტანენ. მაგალითად, მამაკაცის ორგანიზმი ერთი ლიტრი სისხლის დაკარგვას ვერ ეგუება, ქალმა, შესაძლოა, 2 და მეტი ლიტრი სისხლის დაკარგვასაც გაუძლოს.

— გულწრფელად მითხარით, რასაც თქვენ აკეთებთ (სხვა ექიმებიც, რასაკვირველია), არ ნანობთ? ნუ მიწყენთ და, მგონია, რომ ცოდვას სჩადიხართ.

— რატომ? სულაც არ არის ცოდვა! ადამიანების დახმარება როდის აქეთ გახდა ცოდვა? ვფიქრობ, რომ არ ღირს ერთი შეცდომის გამო (ქალწულობის დაკარგვას ვგულისხმობ), მთელი ცხოვრება ტანჯვა-ვება. გამოსავალი არსებობს და რატომ არ უნდა გამონახონ მომავლის გზა?

— კი მაგრამ, გაკერილი აპკით გათხოვება, თავისთავად ცხადია, მოჩვენებითი პატიოსნებაა, ანუ — ტყუილი. ჰოდა, ტყუილით შექმნილი ოჯახი როგორ შეიძლება მყარი იყოს? თანაც „ტყუილს ხომ მოკლე ფეხები აქვს"?

— საკმაოდ კარგად ვიცნობ ქალის ბუნებას. ქალი თუ არ გიყვარს და პაციენტს თუ არ თანაუგრძნობ, მაშინ ხალათი უნდა გაიხადო და წახვიდე. ერთ რამეში ღრმად ვარ დარწმუნებული: ქალი, რომელიც ერთხელ დამალავს წარსულს, უფრო დიდი პატივისცემით არის ქმრის მიმართ გამსჭვალული, უფრო მოსიყვარულეა და, რაც მთავრია — ერთგული. საერთოდ, მეორედ შექმნილი ოჯახები უფრო მყარია, ამის უამრავი მაგალითი ვიცი.

— საუბრის დასაწყისში მითხარით, თითქმის ყველას ოჯახი ჰყავსო. ესე იგი, ვიღაცას მაინც არ გაუმართლა და ქმარმა გაიგო წარსული ცოდვები; ასეა?

— როდესაც ჩემთან ასეთი ოპერაციის გასაკეთებლად მოდის ქალი, სხვა ანალიზების გარდა, მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობასაც ვამოწმებთ. თუ საუბრისას გაირკვა, რომ მომავალ ქმარს გარკვეული ეპიზოდების გამო ეჭვი ეპარება თავისი რჩეულის პატიოსნებაში, მაშინ ყველაფერს ვაკეთებ იმისთვის, რომ ოპერაცია გადაიფიქროს, რათა თანაცხოვრების პერიოდში სწორედ იმ ეჭვებმა არ გაანადგუროს მომავალი ოჯახი. მაგრამ თუ ეჭვი არ არსებობს და მამაკაცს სჯერა საცოლის პატიოსნების, ოპერაციის მერე ვერაფრის გარკვევას ველარ შეძლებს. ყოველთვის ვცდილობ, მეტი ინფორმაცია მქონდეს პაციენტზე.

— ვთქვათ, გოგონას ჯანმრთელობა ოპერაციის გაკეთების საშუალებას არ იძლევა. ფულის გამო მაინც გარისკავთ?

— არავითარ შემთხვევაში. სრულიად ჯანმრთელსაც კი არ შეიძლება გამოკვლევის გარეშე ჩაუტარდეს ოპერაცია. ყველა სათანადო გამოკვლევის და ანალიზის შემდეგ წყდება გაკეთება-არგაკეთების საკითხი. თუ სამკურნალოა, ვმკურნალობთ და მერე აღვუდგენთ საქალწულე აპკს.

— პირადად თქვენთან ე.წ. მაღალი წრის წარმომადგენლებიც მოდიან? ელიტური მანდილოსნებისთვისაც გაგიკერავთ საქალწულე აპკი?

— ერთადერთხელ მქონდა ასეთი შემთხვევა... მათი ცხოვრება მაინც ქონებაზეა დამოკიდებული. ელიტური ოჯახის შვილებსა და ნათესავებს წარსულის ცოდვები ხელს არ უშლის გათხოვებაში. ჩემი აზრით, იღბლიან გათხოვებას ფული და კარგი ცხოვრება განაპირობებს. ასეთ პატარძლებზე „მონადირენი" კი ქალწულობას ყურადღებას არ აქცევენ.

— ახლა ის გვითხარით, ამგვარი ოპერაცია ანესთეზიით კეთდება?

— პლასტიკური ოპერაცია სტაციონარში უნდა გაკეთდეს. პლასტიკური ოპერაციის დროს, საშოს კედლები ვიწროვდება და, რასაკვირველია, ნარკოზი აუცილებელია, მაგრამ სტაციონარში დარჩენის მსურველები თითქმის არ შემხვედრია. ჩვეულებრივ, ამბულატორიულ აღდგენას კი, ადგილობრივი ნარკოზით ვაკეთებთ.

— მაპატიეთ, მაგრამ ერთი პირადული შეკითხვა მინდა დაგისვათ: გყავთ თუ არა ვაჟიშვილი? ან ბიჭი ძმისშვილი, დისშვილი, ბოლოს და ბოლოს, მეგობრის შვილი მაინც ხომ გყავთ?

— რა თქმა უნდა.

— ერთ არამშვენიერ დღეს თქვენივე ხელით „გაკერილი“ პატარძალი რომ იხილოთ ახლო ნათესავის ან მეგობრის შვილის გვერდით, რას იზამთ?

— ჯერ არც ერთი მანდილოსანი არ გამიკერავს, სრული ინფორმაცია რომ არ მქონდეს მასზე და მის საქმროზე. ასე რომ, არა მგონია, ოღესმე ასეთი შეცდომა დავუშვა...

— და თუ მაინც ანონიმურობის დაცვას კატეგორიულად მოგთხოვენ?

— მათი ანონიმურობა საზოგადოებისთვისაა დაცული, მაგრამ არა ექიმისთვის. ვერ დავუშვებ ასეთ რისკს, თუმცა მეანგინეკოლოგის პროფესია თავისთავად სარისკოა, მაგრამ ეს არ შეეხება ქალწულობის აღდგენის პროცედურებს.

— სადმე, ვთქვათ, წვეულებაზე, პირისპირ თუ შეხვედრიხართ თქვენი ხელით „გაქალწულებულებს“?

— როგორ არა! მაგრამ მეუღლეებს ჩემს თავს პირად გინეკოლოგად აცნობენ და რომელ ქმარს შეეპარება ეჭვი იმაში, რომ ქალს გინეკოლოგი სჭირდება? აი, ამიტომ არ მინდოდა ვინაობის გამჟღავნება. ჯობს ყველამ მშვიდად იცხოვროს...

— ბარემ ფასებიც გაგვიმჟღავნეთ: რა ღირს ჩვეულებრივი აღდგენა და პლასტიკური ოპერაცია?

— ამბულატორიული აღდგენა — 80 ლარამდე, უფრო სწორად, ორმოციდან ოთხმოც ლარამდე ჯდება. პლასტიკური ოპერაცია კი — 300 ლარი...

— გათხოვებამდე რამდენი ხნით ადრე ხდება ქალწულობის აღდგენა?

— აი, ამ კითხვაზე პასუხისაგან კი თავს შევიკავებ. არ არის ამის ცოდნა საჭირო.

— ამბულატორიულად აღდგენილი ქალწულობა, ასე ვთქვათ, უფრო „ეფექტურია“ თუ პლასტიკური ოპერაციის შედეგად?

— *(იცინის)* ორივე ეფექტურია. გაჩნია, ვის რისი საშუალება აქვს.

— უფასოდ თუ აღგიდგენიათ ქალწულობა?

— ერთხელ მქონდა ასეთი შემთხვევა. გოგონას დედა და დეიდა მოვიდნენ და იმდენი ცრემლი ღვარეს, შემეცოდნენ. მერე გოგონაც მომიყვანეს. 19 წლის იყო და დღეს ბედნიერი ოჯახი აქვს.

— მაგალითად, შვილის მონათვლა არ უთხოვიათ თქვენს პაციენტებს?

— არა და ასეთი რამ რომც მოხდეს, უარით გავისტუმრებ — მიუხედავად იმისა, რომ ვიცი, უარის თქმა არ შეიძლება.

— ესე იგი, გულის სიღრმეში მაინც გაწუხებთ ყოველივე?

— მე ექიმი ვარ და ადამიანებს ვეხმარები. აი, რა არის ჩემთვის მთავარი და კიდევ ერთხელ — მთა-ვა-რი! ■



ჩვენს საზოგადოებაში საგრძნობლად იმძლავრა ქალთა ემანსიპაციამ, მაგრამ წინა პლანზე კვლავ მამაკაცის ფიგურა რჩება. ძლიერი სქესი მთავარი როლის დათმობას არც სოციალურ პროცესებში აპირებს და არც ოჯახურ ურთიერთობებში. რეალურ ცხოვრებაში მრავლად ვხვდებით ღირსეულ, გონიერ, განათლებულ და მიმზიდველ ქალს, რომელიც მიისწრაფვის იმისკენ, რომ სათანადო ადგილი დაიმკვიდროს საზოგადოებაში. მას ამისთვის ყველა გამორჩეული თვისება აქვს და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, სწორედ ამ გარემოებათა გამო კარგავს ხოლმე მეუღლეს, საქმროს, შეყვარებულს...

რატომ გაურბის ქმარი სახლთან

მთავარია ანგარიშგაწევა

ბუნება ისეა მოწყობილი, რომ ქალმა და მამაკაცმა ერთ ოჯახად უნდა იცხოვრონ. ფილოსოფოსები, ფსიქოლოგები და ექიმები დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ ადამიანი ჯანმრთელი და ბედნიერი მხოლოდ ქორწინებაშია (რა თქმა უნდა, თუ ის იღბლიანია). ქორწინებაში მყოფი ქალები და მამაკაცები (იგულისხმება ჰარმონიული ქორწინება) უფრო დიდხანს ცოცხლობენ, ნაკლებად ავადმყოფობენ და უფრო ადვილად უმკლავდებიან სტრესებს.

მამაკაცის ბიოლოგიურ დანიშნულებას, მოდგმის გაგრძელება წარმოადგეს, მაგრამ ამ სამყაროში ეს მისი ერთადერთი ამოცანა როდია — ძლიერი სქესის დანიშნულება, ავანგარდში ყოფნაა. მისი ფუნქციაა, აწარმოოს აქტიური ძიება ცხოვრების ყველა სფეროში — მეცნიერებაში, პოლიტიკაში, ტექნიკაში, წარმოებაში და ა.შ. და აარჩიოს ყველაზე ღირებული და ფასეული. შთამომავლობისათვის ყველაფერი ამის გადაცემა, ქალის მოვალეობაა.

როგორი მაღალი მდგომარეობაც არ უნდა ეკავოს ქალს საზოგადოებაში, ბუნებით ის ოჯახური კერის დამცველია. ქალებმა შესანიშნავად იციან, რომ სისხლსავსე ცხოვრება მხოლოდ მამაკაცთან კავშირში და მისი თანადგომითაა შესაძლებელი.

როგორი ემანსიპირებულიც არ უნდა იყოს ქალი, მამაკაცი ვალდებულია, უზრუნველყოს ოჯახის მატერიალური კეთილდღეობა. ქორწინებისას მამაკაცი საკუთარ თავზე იღებს განსაზღვრულ მატერიალურ პასუხისმგებლობას. ქალი კი გათხოვებისას ოცნებობს, რომ მამაკაცი მისთვის „ქვის კედელივით“ იყოს და დაიცვას ის ყოფითი ქარიშხლებისაგან. თუმცა, ბევრს ეს ილუზიები მალევე უქრება.

ნუ შეიქმნით ილუზიას

ძნელია, წინასწარ გათვალო, თუ როგორ წარიმართება ქორწინებაში ორი ადამიანის ცხოვრება. თუ წყვილი სიყვარულით შეერთდა, თავიდან ყველაფერი ვარდისფერი ჩანს. ურიგო არ იქნება გაარკვიოთ, თუ რას წარმოადგენს თქვენი ცხოვრების მომავალი თანამგზავრი. ნუ შეიქმნით ილუზიას, რომ თქვენს ხელთაა თქვენი მეორე ნახევრის აღზრდა და გარდაქმნა. ეს ასე არ ხდება — ადამიანი უნდა მიიღოთ ისეთად, როგორიც არის მოცემულ მომენტში და უნდა გადაწყვიტოთ, „გაწყობთ“ თუ არა იგი.

მრავალი ოჯახური კონფლიქტი, რომელსაც საბოლოო ჯამში, გაყრა მოჰყვება ხოლმე, ფსიქოლოგიური უმეცრების გამო ხდება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქალი და მამაკაცი თავიანთი თვისებებით, ხასიათით, მიდრეკილებებით, ქცევით, ფიზიოლოგიით, ფსიქოლოგიით, ფასეულობებით ერთმანეთისგან განსხვავდებიან. ქალს უნდა ახსოვდეს, რომ მამაკაცს თავისი სამყარო აქვს, საყვარელი ქალის გარდა, მას სხვა ინტერესებიც ამოძრავებს: მეგობრები, სამსახური, ჰობი, რაზედაც ის უარს არ იტყვის. გონიერ ქალს არ აშფოთებს, რომ მისი მეუღლე რეალიზებულია, როგორც პიროვნება, რომ მას აქვს საქმე, რომლითაც ის გატაცებულია; ამის გამო არ შეიძლება, ქალმა დამცირებულად იგრძნოს თავი და კონფლიქტური სიტუაციები შექმნას.

ქალისათვის აუცილებელია გრძნობდეს, რომ ის უყვართ

ოჯახური წყვილების უმეტესობა, სადაც განხეთქილება მწიფდება, განსაზღვრულ სტადიებს გადის იმ პუნქტამდე, რასაც გაყრა ჰქვია. როგორც ცნობილია, ყველაფერი წვრილმანებით იწყება. ზოგჯერ, ყველაზე უმნიშვნელო სიტუაციაც კი, ჰბადებს სამწუხარო დასკვნებს იმ ადამიანის ბუნებაზე, რომელიც ცოტა ხნის წინ, უძვირფასესი იყო შენთვის. ქალისთვის აუცილებელია იცოდეს, რომ ის უყვართ. მამაკაცისთვისაც საჭიროა, შეიგრძნოს საკუთარი მნიშვნელობა. საყ-

ბერძენი მომღერალი ქალი მარია ...	პირის ნაცვალსახელი	კღმში	რომელი ქვეყნის დედაქალაქია მანაგუა	„კოკასა ... რაცა დგას, იგივე გადმოდინდება“	ძვ. თბილისური მმართველ	ნიგვზის ნახევარი	„მამ კონ ვი
ჩ ვ ნ ჟ ს ი მ ე ბ ი ს ნ ი ჩ ა ხ ა ვ ა ა უ ი ბ ა ნ ფ ო რ ე ბ ს ნ ი უ							
თბილისის ძველი უბანი	საქართველოს სახელმწიფო ... კვარტეტი	მომღერალი რაფაელა ...	წყალში გასახსნელი ხალებავი	ალგებრული გამოსახულება, რომელიც ნულთან არის გატოლებული	...-იორკი		

ოველთაოდ ცნობილია, რომ ქალი ნაზი, მგრძნობიარე არსებაა, მაგრამ მამაკაციც საოცრად ფაქიზია და ყველაფერი ადვილად სწყინს. სწორედ ქალს ძალუძს ემოციური დაძაბულობის შერბილება და კონფლიქტის მოგვარება. ქალს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ ურთიერთობების ყოველი გარკვევა, კამათი, მისი მხრიდან, ყოველთვის ალერსით უნდა დამთავრდეს. სიყვარულის გამოხატვა და გულახდილობა მძლავრი იარაღია. არაგულწრფელობა სიყვარულს კლავს. მამაკაცი, რომელიც მოკლებულია სიყვარულსა და ურთიერთგაგებას, დაუცველი და უბედური ხდება და მას არ სჭირდება ასეთი ოჯახი.

ყველაფერი ღალატით იწყება

ქორწინებისას ალბათ ვერც ერთი მამაკაცი ვერ წარმოიდგენს, რომ ოდესმე, ცოლთან მისი ურთიერთობა გაყრით დამთავრდება და ამის მთავარი მიზეზი თვითონ იქნება — იმის გამო, რომ მეუღლეს უღალატა.

ამის მიუხედავად, არსებობს მამაკაცთა გარკვეული ტიპი, რომელსაც, შეიძლება ითქვას, სისხლში აქვს გამჯდარი ცოლის ღალატი. თუმცა, ცოლს ვერც კი წარმოუდგენია, რომ შეიძლება ქმარი ღალატობდეს. სტატისტიკა ამტკიცებს, რომ დაქორწინებულ მამაკაცთა 70% ერთხელ მაინც ღალატობს მეუღლეს. მათი უმრავლესობა წლობით აგრძელებს კავშირებს ოჯახის გარეთ. მათ ხშირად უჭირთ თავიანთი ღალატის მიზეზის ახსნა.

სასიყვარულო კავშირები ყოველთვის გაყრით როდი მთავრდება — არსებობს მამაკაცთა კატეგორია, რომელიც „მიდიმოდის“ მეუღლესა და საყვარელს შორის.

სამწუხაროდ, ხშირად, ასეთ მამაკაცს არ შეუძლია, სხვა თვალით შეხედოს მეუღლეს და მიხვდეს, რომ ის მისთვის სასურველი ქალია.

მამაკაცთა შემდეგი ტიპი ქალების გულთამპყრობელია, რომელსაც თავდაჯერებულობისათვის და თავისი მაღალი პოტენციის დასადასტურებლად, ახალ-ახალი სასიყვარულო გამარჯვებები სჭირდება.

ძლიერი სქესის ზოგიერთი წარმომადგენელი ცოლს იმის გამო ღალატობს, რომ ქორწინების ბორკილებში არ იგრძნოს თავი და თავისუფლებას მხოლოდ სასიყვარულო ავანტიურის დროს გრძნობს.



მამაკაცთა ისეთი ტიპი კი, რომლისთვისაც სრულყოფილი ქალი არ არსებობს, მთელი ცხოვრება, იდეალის ძიებაშია და ამიტომ, მის ანგარიშზე რამდენიმე ოფიციალური ქორწინებაა.

რომელ ფსიქოლოგიურ ტიპსაც არ უნდა მიეკუთვნებოდეს მამაკაცი, მან უნდა იცოდეს, რომ ღალატი, ოჯახის მთლიანობის, სულიერი და ფიზიკური ჰარმონიის რღვევის დასაწყისია. ოჯახის დანგრევა კი, თავად მისთვისაც გახდება დისჰარმონიის მიზეზი. ■

სიყვარულის ფილოსოფია

ოსკარ უაილდისაგან

● თავიანთი ქმრების გამო, მხოლოდ უშნო ქალები ეჭვიანობენ; ლამაზებს ამისთვის არ სცალიათ — ისინი სხვისი ქმრების გამო ეჭვიანობენ.

● დაოჯახებული მამაკაცის ბედნიერება მთლიანად იმ ქალებზეა დამოკიდებული, რომლებთანაც მას ოჯახი არ შეუქმნია.

● სიყვარული ოცნებათა ყვავილია, რომელიც ადამიანს გონებას უწამლავს.

● მამაკაცი ნებისმიერ ქალთან ერთად შეიძლება იყოს ბედნიერი — მთავარია, მასზე შეყვარებული არ იყოს.

● თუ გსურთ გაიგოთ, სინამდვილეში რა სურს ქალს, აუცილებლად უყურეთ მას, მაგრამ არ უსმინოთ.

დონ-ჟუანისაგან

● თუ ქალი საკუთარ თავს არ უვლის, მისი მამაკაცი სხვა ქალს მოუვლის.

● შეყვარებული მამაკაცი ყოველთვის როდი უხსნის ქალს სიყვარულს. ის კი, ვინც სიყვარულს უხსნის, ყოველთვის როდია შეყვარებული.

● როცა ქალი და მამაკაცი განმარტოვდებიან, ქალი ფიქრობს: „როგორც იქნა, ერთად ვართ!“, მამაკაცი კი — „როგორც იქნა, მარტონი ვართ!“

● სატირალი ის კი არ არის, რომ ქმარი მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს — სატირალი ის არის, როცა ის სხვა ქალზე ფიქრობს.

● ახალგაზრდობაში ღალატობ იმასაც, ვინც გიყვარს, რადგან სიბერეში იმასაც კი ვერ უღალატებ, ვინც აღარ გიყვარს.

● დაქორწინება თუნდაც იმისთვის ღირს, რომ თვალნათლივ დაინახო, რატომ არ არის ეს ჭკვიანური. ■

როგორ ვებრძოლოთ მრუშობის ცოდვას?

ათი მცნებიდან ერთ-ერთი მცნებაა: არა იმრუშო. მრუშობა მომაკვდინებელი ცოდვაა და ბუნებრივია, მის მიმართ ეკლესიას უარყოფითი დამოკიდებულება აქვს. პროსტიტუციისადმი არც ერში მცხოვრებ ადამიანთა უმრავლესობაა კეთილგანწყობილი, თუმცა ფაქტი ერთია — მრუშობის ცოდვით, ჩვენ ირგვლივ მაინც უამრავი ადამიანი სცოდავს... მრუშობასთან დაკავშირებით გვესაუბრება წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მოძღვარი, დეკანოზი გიორგი სხირტლაძე.

შორენა მერკვილაძე

— მრუშობა, რომ უმძიმესი ცოდვაა, ამის ახსნას დღეს არც ერთი ადამიანი არ საჭიროებს. პავლე მოციქული ამბობს: „ყოველი ცოდვა, რომელსაც ადამიანი სჩადის, სხეულის გარეშეა, ხოლო მეძავი საკუთარი სხეულის წინააღმდეგ სცოდავს“ (I კორ. 6,18). ქრისტიანული თვალსაზრისით, ადამიანის სხეული არის ტაძარი სულიწმიდისა, მრუშობის შემთხვევაში კი, ადამიანი ამ ტაძარს რყვნის. თუ კვლავ პავლე მოციქულის განმარტებას გამოვიყენებთ — ამ ვნების საძაგლობაზე და უარყოფით გავლენაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. მემრუშე ადამიანი შიშვლდება არა მხოლოდ ფიზიკურად, არამედ შიშვლდება ყოველივე მადლისგან, ე.ი. მრუშობის ცოდვის ჩამდენი, ანგელოზებრივი ანუ ღვთაებრივი მადლისგანაც განიძარცვება.

— როგორც ეპისკოპოსი ეგნატე ბრიანჩანინოვი განმარტავს — სიძვის ცოდვის ბუნებრივი ფორმებია სიძვა და მრუშობა. რა განსხვავებაა სიძვასა და მრუშობას შორის და კიდევ — რა ეთვლება ადამიანს მრუშობის ცოდვად?

— სიძვა არის გაუთხოვარი ქალის და უცოლო მამაკაცის ხორციელი კავშირი, ხოლო ოჯახის სიწმინდის ღალატს, ე.ი. ცოლიანი მამაკაცისა და ქმრიანი ქალის ხორციელ კავშირს მრუშობა ჰქვია. მრუშობა, როგორც ხორციელი ვნება, ადამიანში მრავალგვარი არაბუნებრივი სქესობრივი კავშირის სახითაც ვლინდება, მათ შორისაა: მამათმავლობა; ლესბოსელობა; ჩუკენობა (საკუთარ თავთან მრუშობა); სისხლის აღრევა (ნათესავებს შორის ხორციელი კავშირი), რასაც სოდომურ ცოდვასაც უწოდებენ და სხვა.

— მათე მახარებლის „სახარებაში“ წერია: „ვინც ქალს გულისთქმით უყურებს, მან უკვე იმრუშა თავის გულში“ (მათე 5,28). რამდენად თანაბარფარდობითია ზრახვა და ქმედება?

— ბუნებრივია, გულში მრუშობა, ფიზიკურად განხორციელებულთან ვერ მივა, მაგრამ მაცხოვარს იმდენად დიდ სიწმინდემდე ავყავართ, რომ გულისმიერი ვნებაც კი ცოდვად გვეთვლება. გარდა ამისა, როდესაც ადამიანი გონებით მრუშობს, უზნეო ფილმების ცქერითა და ლიტერატურის კითხვით ირთობს თავს, რეალურ საფუძველს იქმნის იმისათვის, რომ იმრუშოს ანუ თავს ავხორცობისთვის ამზადებს. სწორედ ამიტომ გვიკრძალავს უფალი არაწმინდა სურვილებს. აქედან გამომდინარე, ეკლესია ბილწსიტყვაობას, სიძვისეულ გულისთქმებს, სიძვის ოცნებებს, ეროტიკული ფილმების ცქერას და ლიტერატურის კითხვასაც ცოდვად განიხილავს.

— მემრუშე ადამიანთა უმრავლესობა მრუშობის მიზეზად, მატერიალურ გაჭირვებას ასახელებს. ამცირებს თუ არა ეს მიზეზი მრუშობის ცოდვის სიმძიმეს — ე.ი. უტოლდება თუ არა მათ მიერ ჩადენილი ცოდვა, იმ ადამიანების ცოდვას, ვინც მრუშობით მხოლოდ სიამოვნებას იღებს?

— როდესაც საქმე მრუშობის ცოდვასთან გვაქვს, არც ერთი ეკლესიის მსახური არ იტყვის — გააჩნია, რა შემთხვევაში მრუშობს ადამიანიო. ასეთი მძიმე ცოდვის გამართლება არანაირი მიზეზით არ შეიძლება, შესაბამისად ცოდვის სიმძიმეც არ მცირდება.

— მრუშობის ცოდვას ერში, მამაკაცებს უფრო მიუტევებენ, ვიდრე ქალებს. რა დამოკიდებულება აქვს ამ მხრივ ეკლესიას?

— აზიური ცნობიერებით, რატომღაც მამაკაცს უფრო ეპატიება ყველაფერი, ვიდრე ქალს. მაგრამ ქრისტეს მცნებებთან მიმართებაში სქესს, ამ შემთხვევაში, არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. ე.ი. მრუშობა უმძიმესი ცოდვაა, როგორც ქალისთვის, ასევე მამაკაცისთვის. თუმცა, „უნდა ითქვას, რომ ქალის დაცემა უფრო დიდია: ფიზიოლოგიური თვალსაზრისით, ქალის მრუშობას უფრო მძიმე შედეგებამდე მივყავართ — ავიღოთ თუნდაც ორსულობა, რასაც ხშირად, კიდევ ერთი ცოდვა — აბორტი მოჰყვება. ამასთანავე, ქალის მრუშობა უფრო ხშირად ხდება ოჯახის დანგრევის მიზეზი. სწორედ აქედან მოდის ეს დამოკიდებულება — რომ მრუშობა ქალისთვის უფრო ძნელად საპატიებელია, თუმცა, ისევ ვიმეორებ: ღვთის წინაშე ერთნაირად სცოდავს მემრუშე ქალიც და მამაკაციც.

— მრუშობა ადამიანის სულზე უფრო მეტად ახდენს გავლენას თუ ხორცზე?

— ამქვეყნიურ ცხოვრებაში ადამიანი არ არის მხოლოდ ხორციელი არსება, არამედ ადამიანი არის შერწყმა ხილულისა და უხილავის, ე.ი. ადამიანი არის ხილული ხორციც და უხილავი სხეულიც. ზიარებასა თუ სხვა სიწმინდეებს ადამიანი სხეულით იღებს და სხეულიდან შეეთვისება შემდეგ სულს. აქედან გამომდინარე, სხეულსა და სულს შორის მჭიდრო კავშირია, ამიტომ თუ ირყვნება სხეული, ირყვნება სულიც და თუ ირყვნება სული, ირყვნება სხეულიც. არა მარტო მრუშობის ცოდვა, ნებისმიერი ცოდვა ერთდროულად მოქმედებს სულზეც და სხეულზეც, რადგან ცოდვა ჯერ სულიდან მოდის და მერე სხეულზეც ვლინდება, რაც ხშირად ფიზიკურ თუ სულიერ დაავადებებსაც იწვევს.

— მიუხედავად მრუშობის ცოდვის სიმძიმისა, ფაქტია, რომ მრუშობის ცოდვა დღეს, უამრავ ადამიანს აწევს. სად უნდა მოვძებნოთ გამოსავალი ანუ როგორ უნდა დაძლიოს ად-

ამიანმა საკუთარ თავში ავხორცობის ვნება?

— ადამიანმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ქრისტიანობა არ არის მხოლოდ აკრძალვითი რეცეპტების კრებული. როდესაც რაღაცას ვკრძალავთ, სანაცვლოდ ადამიანს მრავალ სიკეთეს ვთავაზობთ. ნებისმიერი ცოდვისგან გამოსავალი, ქრისტიანულ გზაში ანუ ეკლესიურ ცხოვრებაში უნდა ვეძებოთ, სადაც მონანიებისა და განწმენდის უამრავი საშუალება არსებობს. რაც შეეხება მრუშობის ცოდვას, მას საპირისპირო ნეტარებით — უბიწოებით უნდა ვებრძოლოთ, რაც გულისხმობს, რომ განვერიდოთ გულში არაწმინდა სურვილების აღძვრას, თავი შევიკავოთ უხამსი ფილმებისა და ლიტერატურის კითხვისგან, რათა არ გავხდეთ თანაგანმცდელნი მრუშობისა. ე.ი. დავიცვათ მხედველობა და სმენა ყოველივე იმისგან, რაც ავხორც ზრახვებს აღგვიგზნებს. ამასთანავე მრუშობის ცოდვას აღძრავს ნაყროვანება, გადაჭარბებული გართობა-მხიარულება, უხამსი სიტყვები და სხვა. ადამიანს, რომელიც მრუშობის ცოდვისგან გათავისუფლების სურვილი აქვს, ამ ცოდვებსაც უნდა განერიდოს. რაც მთავარია, უნდა ვიფიქროთ იმ საშინელ სასჯელზე, რომელიც ცოდვილი ადამიანის, მათ შორის მემრუშე ადამიანის სულს ელოდება მოუნანიებლობის შემთხვევაში ამასოფლიდან გასვლის შემდგომ: „ნუ შეცდებით: ვერც მეძავი, ვერც კერპთმსახურნი, ვერც მემრუშენი, ვერც ჩუკენნი, ვერც მამათმავალნი, ვერც მპარავნი, ვერც ანგარნი, ვერც მემთვრალენი, ვერც მაგინებელნი, ვერც მტაცებელნი ვერ დაიმკვიდრებენ ღმერთის სასუფეველს“ (I კორ. 6,9-10). პირველ რიგში კი, საჭიროა რწმენაში განმტკიცება. ამასთანავე შეწევნისთვის ხშირად მივმართოთ ღმერთს, რათა ავხორცი ზრახვებისგან დაგვიფაროს.

— ედება თუ არა ეპიტიმია (საეკლესიო სასჯელი) ადამიანს, რომელიც ამ ცოდვის მონანიებას გადაწყვეტს?

— ამქვეყნიური სინანულის შემთხვევაში, ადამიანს ნებისმიერი ცოდვა მიეტევება, მაგრამ აუცილებელია გულწრფელი სინანული და არა ისეთი, რომ მივიდეთ მოძღვართან, აღსარება ვთქვათ და შემდეგ, იგივე ცოდვა ჩავიდინოთ. თუ მოინანიე, სინანულის ნაყოფიც უნდა აჩვენო. თუ დარგე ხე კეთილისა, მისგან ნაყოფიც უნდა მიიღო. უნაყოფო ხე კი, უნდა მოიჭრას... როდესაც ქრისტესთვის რაღაცას უარვყოფთ, მისგან ორმაგი სიკეთე მოგვეცემა. ამის არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება. რაც შეეხება საეკლესიო სასჯელს — ადრე მემრუშე ადამიანი ოცი წლის უზიარებლობით ისჯებოდა. ბუნებრივია, ცოდვის სიმძიმე დღესაც იგივე რჩება, მაგრამ რადგან ადამიანთა უმრავლესობა დღეს რწმენაში განმტკიცებული არ არის, მოძღვარმა შეიძლება, საეკლესიო სასჯელი შეუმსუბუქოს ადამიანს — დაუნიშნოს ლოცვითი კანონი, მეტანიები, გარკვეული პერიოდით დაუწესოს უზიარებლობა და სხვა.

— ხშირად, ადამიანს მოძღვრის წინაშე ეუხერხულება ამ ცოდვის აღიარება, განსაკუთრებით როცა საქმე ეხება მრუშობის გაუკულმართებულ ფორმას — ჩუკენობას, ლესბოსელობას, მამათმავლობას და სხვა. რა უნდა გაითვალისწინონ ასეთმა ადამიანებმა?

— ასეთ შემთხვევაში, ადამიანებმა აუცილებლად უნდა სძლიონ უხერხულობას და ეს ცოდვა მოინანიონ, რათა არ დაკარგონ ცათა სასუფეველი. თუ ადამიანს მოძღვართან პირისპირ ამის თქმა ეუხერხულება, შეიძლება, აღსარება დაწეროს და ისე მიაწოდოს... ■

ვინ არიან უფრჩხილო წვეროსნები და რას პოულობენ ქართველი ეკლესიადიდებლები უცხო რელიგიებში?

ემა გელოვანი

გია, *ექთანი:*

— დაახლოებით ღამის 12 საათზე გამოგვიძახეს კანდელაკის ქუჩაზე. გვითხრეს, რომ ავადმყოფი თავს ცუდად გრძნობდა. კარი უჩვეულოდ დაბალმა კაცმა გაგვიღო. შენობაში მე და ჩემი ექიმი შევედით. ის, რაც გარედან ჩვეულებრივი სახლის შთაბეჭდილებას ტოვებდა, შიგნით საკმაოდ უცნაურად გამოიყურებოდა: შენობას ფანჯრები არ ჰქონდა, უცნაური სუნი ტრიალებდა და საშინელი აურა იგრძნობოდა. პაციენტი, მამაკაცი აღმოჩნდა, გრძელი წვერით და უცნაური გარეგნობით, თუმცა სიმპათიური. სხვათა შორის, ყველა იქ მყოფ მამაკაცს გრძელი წვერი ჰქონდა. რუსულად ლაპარაკობდნენ. როდესაც ვკითხეთ თუ რა აწუხებდა, მამაკაცის ხელებსა და ფეხებზე მიგვითითეს. არც ერთ თითზე ფრჩხილი არ ჰქონდა — თითქოს ძალით დააძრესო, — და ღია ჭრილობები იყო

***საქართველოში მომრავლებული რელიგიური დაჯგუფებები, სექტები რიცხობრივად ტოლს არ უდებენ პოლიტიკური პარტიების სიმრავლეს. აზრთა სხვადასხვაობა და ურთიერთდაპირისპირება სექტებს შორის საკმაოდ მძაფრ ხასიათს ატარებს და ისედაც დანაწევრებულ ქართველ ერს მტრულ ბანაკებად ყოფს. დემოკრატიული წყობა თავისთავად გულისხმობს აღმსარებლობის თავისუფლებას, მაგრამ როცა სექტანტობა საკმაოდ ფართო მასშტაბს იძენს, დაფიქრებისა და შეშფოთების საფუძველიც ჩნდება. სამწუხაროდ, ბოლო დროს, გახშირდა ხმები, საქართველოში სატანისტური სექტების არსებობის შესახებ.*

თბილისის ერთ-ერთი „სასწრაფო სამედიცინო დახმარების“ ბრიგადას, რამდენიმე თვის წინ, უცნაურ პაციენტთან შეხვედრა მოუხდა. ვინაიდან ეს ვიზიტი კონფლიქტით დამთავრდა და ექიმებს, საკუთარი პრინციპებიდან გამომდინარე, სამართალდამცავებისთვის, არაფერი უცნობებიათ და ჩვენც გვთხოვეს, ორგანიზაციის და მედპერსონალის ვინაობა არ გაგვემჟღავნებინა, მხოლოდ სახელებით შემოვიფარგლებით.

დასამუშავებელი. ცუდად ყოფნაც, სწორედ თითების ტკივილებმა გამოიწვია. რა თქმა უნდა, დავინტერესდით ამის გამომწვევი მიზეზით. საკმაოდ ლამაზმა ქალმა გვიპასუხა, რომ ასეთ მსხვერპლს მათი რწმენა მოითხოვდა. ჭრილობების დამუშავება რომ დავიწყეთ, ავადმყოფი გააფთრებული მეცა, გინება დამიწყო და დანარჩენებმაც მას დაუჭირეს მხარი. რის ვაივაგლახით დავაღწიეთ თავი იქაურობას. ვინაიდან არც ერთ კარს შიგნიდან სახელური არ ჰქონდა. დღეს ეს მისამართი ჩვენი

„სასწრაფო დახმარების“ შავ სიაშია შესული.

ლელა ქართველიშვილი, *„რწმენის თავისუფლების ცენტრის“ გენერალური მდივანი:*

– საქართველოში სტანისტური სექტების არსებობის შესახებ ინფორმაციას ჩვენც ვფლობთ. დაახლოებით ორი ან სამი ასეთი ჯგუფი უნდა არსებობდეს. ვიცით, რომ ეს ორგანიზაციები საკმაოდ მზარდია. მათ საკმაოდ მკაცრად განსაზღვრული რიტუალები აქვთ და რიტუალებისა და შავი მაგიის მეშვეობით ახდენენ საზოგადოებაზე ზეგავლენას. მათი მომრავლება საქართველოში გაცილებით დიდ საშიშროებას ქმნის, ვიდრე ვთქვათ, იეღოველების. იეღოველებს აქვთ საკუთარი, გარკვეულ ჩარჩოებში მოქცეული მოძღვრება, რომელიც საზოგადოებისათვის მიუღებელია, მაგრამ სატანისტებისაგან განსხვავებით, ისინი ქველმოქმედებასაც ეწევიან. გვაქვს ინფორმაცია, რომ სატანისტური ორგანიზაციები სხვადასხვა რეგიონშია მიმოფანტული და ისინი ერთმანეთს სატელევიზიო მორბენალი სტრიქონის წარწერებით უკავშირდებიან, რომელშიც კოდირებული ტექსტია ჩადებული.

— რითია განპირობებული რელიგიური უმცირესობების მომრავლება?

– ჩვენი საზოგადოება ახალი გამოსულია ათეიზმის ეპოქიდან. ათეისტური იდეოლოგიის პირობებში თაობები გაიზარდა. მაგრამ ამავე დროს ბევრი ადამიანისთვის, მართლმადიდებლობა თითქოს ჩაენაცვლა კომპარტიის იდეოლოგიას: დღეს ყველა ჩინოსანსა და პოლიტიკოსს მიაჩნია, რომ მისთვის სავალდებულოა, იყოს სანიმუშო ქრისტიანი. ჩვენს ხელთ არსებული სტატისტიკით, საქართველოს მოსახლეობის 99% მართლმადიდებელია, მაგრამ ნამდვილი მორწმუნე აქედან მხოლოდ 3%-ს თუ შეადგენს, სარწმუნოება დღეს ფორმალიზმამდე დავიდა და სწორედ ამან მოიტანა ზემოთ ხსენებული პრობლემა.

— რომელი რელიგიური მიმდინარეობები ითვლება საქართველოში ტრადიციულ რელიგიებად?

– რელიგიები, რომლის ისტორია საუკუნეზე მეტს ითვლის ქვეყანაში, ითვლება ტრადიციულ რელიგიად. საპატრიარქომ ხელისუფლებასთან ერთობლივი განცხადება გააკეთა ტრადიციულ რელიგიებთან დაკავშირებით. ესენია: იუდაიზმი, ისლამი, კათოლიციზმი, ლუთერანობა, გრიგორიანობა, ბაპტისტური მიმდინარეობა და თვით მართლმადიდებლობა. მაგალითად, ბაპტისტურ ეკლესიას 140-წლიანი ისტორია აქვს ჩვენს ქვეყანაში. არის აგრეთვე ახალი რელიგიური მიმდინარეობები – ისეთი როგორებიცაა: „ორმოცდაათიანელები“, იგივე „ხარიზმატები“, „ადვენტისტები“. იეღოველებს ნამდვილად ვერ შევიყვან ამ რელიგიურ სპექტრში, ვინაიდან თვით მსოფლიოს საეკლესიო საბჭო არ ცნობს მათ, როგორც ეკლესიურ მიმდინარეობას – ეს უფრო, საზოგადოებრივი გაერთიანებაა. თუმცა, ამის მიუხედავად, მათ არავინ ხელყოფს მსოფლიოში.

— რა სახის რიტუალები ახასიათებს ამ სექტებს?

– მაგალითად, „ხარიზმატები“ ცდილობენ რიტუალებისაგან თავის დაღწევას ანუ ირჩევენ ღვთისმსახურების თავისუფალ ფორმას. შეუძლიათ, რომ ტაშიც შემოჰკრან ან ცეკვის ელემენტი შეიტანონ ღვთისმსახურებაში. ისინი უპირატესობას სულის თავისუფლებას ანიჭებენ და შესაძლოა, ეს სხვა ფორმებშიც გადავიდეს. ამგვარი სექტები ახალგაზრდებს უფრო მეტ თავისუფლებას ანიჭებს, არ არსებობს შეზღუდვები ჩაცმულობის ელემენტებში და ა.შ. მე არ ვამბობ, რომ ეს საშიშია, მაგრამ ჩვენი კულტურისთვის ნამდვილად მიუღებელია. ამიტომ აუცილებელია, შეიქმნას შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, მაგრამ ჯერ თვით ეს სფერო უნდა შევისწავლოთ საფუძვლიანად...

სექტანტების ერთ-ერთი ძირითადი მიზანია, რაც შეიძლება მეტი ადამიანი შემოიკრიბონ თავიანთ რიგებში. ისინი ასეთ ხალხს დაბალი სოციალური ფენების წარმომადგელებს შორის ეძებენ. აგიტაციისა და საკუთარი მოძღვრების წყალობით, საკუთარი მოძღვრების სამართლიანობაში არწმუნებენ და სოციალური სიდუხჭირის დაძლევის საკუთარ ვარიანტს სთავაზობენ. ამგვარი გზით „ორმოცდაათიანელებში“ ათასობით ადამიანია გაერთიანებული. ეს ქრისტიანული სექტა ამერიკის შეერთებულ შტატებში XX საუკუნის დასაწყისში შეიქმნა და საქართველოში ბოლო ათწლეულის მანძილზე საკმაოდ მყარად მოიკიდა ფეხი. ისინი არ აღიარებენ ეკლესიას, ჯვარს, ხატებს და ქრისტიანულ რიტუალებს. ლოცვების დროს ამ ადამიანებს სჯერათ, რომ მათში სულიწმიდა სახლდება და თავისებურ, არაბუნებრივ ენაზე ალაპარაკებს. ცნობისმოყვარეები ხშირად მიდიან ექსტაზში ჩავარდნილი სექტანტების სანახავად. „ორმოცდაათიანელების“ ყოველი წევრი ვალდებულია, ჯამაგირის მეათედი, სექტაში დატოვოს და ამით შრომისუუნარო წევრებს დაეხმაროს. გარდა ამისა, ხშირია მათი მისამართით უცხოეთიდან გამოგზავნილი სხვადასხვა სახის შემოწირულობაც. ამგვარი პირობები მავანთათვის შესაძლოა, მაცდუნებელი იყოს, მაგრამ ყველა უნდა დაფიქრდეს იმაზე, რომ იქიდან გამოღწევა ძალზედ გაძნელდება... ■

სატანისტური ორგანიზაციები სხვადასხვა რეგიონშია მიმოფანტული და ისინი ერთმანეთს სატელევიზიო მორბენალი სტრიქონის წარწერებით უკავშირდებიან, რომელშიც კოდირებული ტექსტია ჩადებული.

ვიმუშაოთ კომპიუტერთან „კომპიუტერის თვალებით“

კომპიუტერთან ხანგრძლივი მუშაობა, გადაღლილი თვალები, ცრემლდენა, მხედველობის დაქვეითება, თავის ტკივილები.... ხომ ნაცნობი სიმპტომებია. და არა მარტო მათ, ვინც კომპიუტერთან მუშაობს, არამედ ყველა ჩვენგანის თვალებს სჭირდება დაცვა – ტელევიზორი ხომ ჩვენი ცხოვრების განუყრელ ნაწილად იქცა.

■ რა დაიცავს ჩვენს თვალებს ეკრანის გამოსხივებისაგან?

ბუნება გვთავაზობს ნატურალურ კომპონენტებს, ისინი თავმოყრილია პრეპარატში **Computer Eyes.**

■ რას შეიცავს ეს პრეპარატი?

მის შემადგენლობაშია მხედველობის გასაუმჯობესებელი ბალახეული და ანტიოქსიდანტები, მიკროელემენტები და ვიტამინები.

■ რა დანიშნულება აქვთ ანტიოქსიდანტებს?

ამ პრეპარატში შემავალი ანტიოქსიდანტებია ვიტამინი **E** და **C**. ისინი აფერხებენ ორგანიზმში ისეთ რეაქციებს, რომლებიც ხელს უწყობენ თავისუფალი რადიკალების წარმოქმნას. თავისუფალი რადიკალები დიდ ზიანს აყენებენ უჯრედულ მემბრანებსა და ქსოვილებს, რითაც ზრდიან სიმსივნური წარმონაქმნის რისკს. ეს ვიტამინები იცავენ პრეპარატში შემავალ შეუცვლელ ცხიმოვან მჟავებს დაჟანგვისაგან. ცხიმოვანი მჟავების ჟანგვის პროცესშიც წარმოიქმნება დიდი რაოდენობით თავისუფალი რადიკალები.

■ აქვს თუ არა პრეპარატს გვერდითი მოქმედებები და როგორ მივიღოთ ის?

კლინიკურად აპრობირებული მაღალეფექტური პრეპარატი **Computer Eyes** არანაირ გვერდით არასასურველ მოქმედებებს არ მოიცავს. ის დაიცავს თქვენს თვალებს გადაღლისაგან და ცრემლდენისგან, დაგეხმარებათ, ადვილად გაუმკლავდეთ კომპიუტერთან მუშაობით მიღებულ სტრესს.

მიიღეთ 2-3 კაფსულა დღეში.

გრეიპფრუტი - სილამაზე და ჯანმრთელობა



ზაფხული. მზე. ზღვა. სიყვარული და უცბად აღმოვაჩენთ, რომ ამ იდილიის დამრღვევი მიზეზი ჭარბი წონაა.

ჭარბი წონა მრავალი დაავადების განვითარებას უწყობს ხელს და საბოლოოდ მთლიანად არყევს ორგანიზმს. ხშირად შიმშილს, არასწორად დანიშნულ დიეტას სავალალო შედეგებამდე მივყავართ. სწრაფად წონის კლებასთან ერთად ვკარგავთ ორგანიზმისთვის საჭირო ნივთიერებებსაც, რომელთა აღდგენაც შემდეგ დიდ პრობლემებს გვიქმნის.

პირველად საქართველოში ვიტამინებისა და ბიოლოგიურად სუფთა სამკურნალო კვების დანამატების ამერიკული კომპანია **„nutriment house"** გთავაზობთ ამერიკაში და ევროპის ბევრ ქვეყანაში ბესტსელერად ქცეულ გრეიპფრუტის დიეტას.

გრეიპფრუტის დიეტა ვაშლის ძმართან ერთად გახლავთ XXI საუკუნის მიღწევა. ეს არის ერთადერთი პროდუქტი, რომელიც ხელს უწყობს მზარდი მადის შემცირებას, ცხიმების დაშლასა და ორგანიზმიდან მომწამლავი ნივთიერებების გამოდევნას ყოველგვარი უკუჩვენებების გარეშე.

გრეიპფრუტს, როგორც ცნობილია, გააჩნია საუკეთესო დიეტური და სამკურნალო თვისებები. იგი საჭმლის მონელების საუკეთესო საშუალებაა.

გრეიპფრუტის დიეტა აღადგენს ენერგიას და რაც ყველაზე მთავარია, გახდომის დროს არ წარმოქმნის ცელულიტს, კანს კი ბრწყინვალებასა და სინორჩეს უბრუნებს. დახვეწეთ სხეული გრეიპფრუტის დიეტით და გაიხალისეთ ცხოვრება, ის ხომ ძალიან მშვენიერია.
პრეპარატის სწორად დანიშვნაში დაგეხმარებიან ჩვენი ექიმი-კონსულტანტები.

პრეპარატების სწორად შერჩევასა და დანიშვნაში დაგეხმარებიან ექიმი–კონსულტანტები.

„ნუტრიმენტ ჰაუსი“
მის: დ.აღმაშენებლის 150
ტელ: 95-65-03; 96-06-67
სამუშაო საათები:
ყოველდღე 10.30 – 18.00
კვირას 10.30 – 14.00
www.shopge.com

R

ნუტრიმენტ ჰაუსი
NUTRIMENT HOUSE

უეფას ტრიუმფატორი

ალბათ ფეხბურთის ბევრმა გულშემატკივარმა არც კი იცის, რომ პორტუგალიური „პორტუ“ უფრო ადრეა დაარსებული, ვიდრე ისეთი მსოფლიო საფეხბურთო საკლუბო გრანდები, როგორიცაა თვით მადრიდის „რეალი“, „ბარსელონა“ ან „მილანი“. მიუხედავად ამისა, ევროპულ სარბიელზე პორტუგალიურ კლუბს თავისი ისტორიის მანძილზე გაცილებით მოკრძალებული მიღწევები აქვს, ვიდრე ზემოთ ჩამოთვლილ გუნდებს. სხვათა შორის, ევროთასებზე გამარჯვებებით მაინცდამაინც ვერც სხვა პორტუგალიური კლუბები დაიკვეხნიან. სწორედ ამიტომ, უეფას თასის ფინალში, დაძაბულ ბრძოლაში შოტლანდიურ „სელტიკზე“ „პორტუს“ გამარჯვებას მთელი პორტუგალია ზეიმობდა.

საფეხბურთო კლუბი „პორტუ“ 1893 წელს დაარსდა. პორტუგალიური ფეხბურთის იერარქიაში „პორტუ“ ყოველთვის „ბენფიკასა“ და „სპორტინგის“ ჩრდილქვეშ იყო მოქცეული – მანამდე, ვიდრე 1987 წლის 27 მაისს გუნდმა ტრიუმფალურ გამარჯვებას არ მიაღწია ევროპულ სარბიელზე. სწორედ 16 წლის წინ, „პორტუმ“ პირველად მოიგო ევროპის ჩემპიონთა თასი, უეფას სუპერთასი და საკონტინენტთაშორისო თასი. იმ პერიოდში „პორტუს“ არტურ ჟორჟი წვრთნიდა. გუნდი გამოცდილი ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული. კარს პოლონელი იუზეფ მლინარჩიკი იცავდა, თავდასხმაში კი, მაჯერი, ჟუარი და პაულუ ფუტრე ბრწყინავდნენ. ნახევარდაცვის ზონაში საიმედოდ მოქმედებდნენ კიმი, ჟაიმე მგალიაში, სოუზა და ანდრე, ხოლო გუნდის დაცვაზე ჟოაო პინტუ, სელსუ, ინასიუ, ფრაშკო ზრუნავდნენ. აღსანიშნავია, რომ იმჟამინდელი „პორტუს“ შემადგენლობის არაერთი წევრი, ქვეყნის ეროვნული ნაკრების ღირსებას იცავდა და სამი წლით ადრე, პორტუგალიამ ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალამდე მიაღწია.

სხვათა შორის, ჩემპიონთა თასის 1986-87 წლების გათამაშებაში „პორტუს“ ფეხბურთის სპეციალისტთა და ქომაგთა დიდი ნაწილი სერიოზულ ძალად არ მიიჩნევდა და როდესაც ნახევარფინალურ ეტაპზე პორტუგალიური გუნდი კიევის „დინამოს“ ხვდებოდა, საბჭოეთში ბევრი ხარობდა კიდეც იმის იმედით, რომ უკრაინელები ადვილად შეძლებდნენ მეტოქის დამარცხებას. როგორც შემდგომში გაირკვა, „დინამოს“ მრავალრიცხოვან გულშემატკივართა სიხარული ნაადრევი ყოფილა. თუ უკრაინელებმა გასვლით მატჩში ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს მეტოქეს (მიუხედავად იმისა, რომ „დინამომ“ ანგარიშით 1:2 დათმო თამაში) და აწ გარდაცვლილ ვალერი ლობანოვსკის სამართლიანად შეეძლო მსაჯების მიმართ უკმაყოფილების გამოთქმაც (ბლოხინს არ ჩაუთვალეს, წესების სრული დაცვით გატანილი გოლი), საშინაო მატჩში უკვე აშკარად გამოჩნდა, რომ საბჭოთა კავშირის მოქმედი ჩემპიონი „პორტუს“ დამარცხებას ვერ შეძლებდა. სამხრეთევროპელებმა კიევში გამართულ შეხვედრაში სრულ უპირატესობას მიაღწიეს და უკვე თამაშის დებიუტშივე ორი გოლი გაუტანეს მასპინძლებს. „დინამომ“ კი, მხოლოდ ერთის გაქვითვა შეძლო.

1987 წლის ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალი ვენაში გაიმართა და ამ მატჩში „პორტუს“ მეტოქე „ბავარია“ გახლდათ. შეხვედრის უკვე პირველივე წუთზე, გერმანელთა ტანმორჩილმა ფორვარდმა, ლუდვიგ კეგლმა „პორტუს“ მცველთა უხეში შეცდომით ისარგებლა და ანგარიში გახსნა. გაშვებული გოლის შემდეგ პორტუგალიელები უფრო გააქტიურდნენ. მიუნხენელთა კარში „პორტუს“ ალჟირელი ფორვარდის, რაბახ მაჯერის მიერ გატანილი გოლი ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალური მატჩების ისტორიაში ულამაზესად ითვლება. მეორედ კი, „ბავარიის“ კარი, შეცვლაზე შემოსულმა ბრაზილიელმა, ჟუარიმ აიღო. ასე მოიპოვა პორტუგალიურმა კლუბმა თავისი პირველი ევროპული ტიტული.

რაც შეეხება ეროვნულ ჩემპიონატს, ამ ტურნირში „პორტუს“ უმთავრეს მეტოქეებად ყოველთვის ითვლებოდნენ „ბენფიკა“ და „სპორტინგი“. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ქვეყნის პირველ ჩემპიონატში, 1921-1922 წლებში, გამარჯვება სწორედ „პორტუმ“ იზეიმა. მეორედ გუნდი პორტუგალიის ჩემპიონი 1925 წელს გახდა. პორტუგალიის პირველობაში იყო პერიოდები, როდესაც 15-17 წლის მანძილზე, „პორტუ“ წარმატებას ვერ აღწევდა. მაშინ ეროვნულ

სარბიელზე „სპორტინგი“ და „ბენფიკა“ მეფობდნენ. ასეთი ჩავარდნები გუნდს 1940-1955 და 1960-1974 წლებში ჰქონდა. 1994-1999 წლებში კი, „პორტუს“, ოქროს ხანა დაუდგა. ამ პერიოდში კლუბმა ზედიზედ ხუთჯერ გაიმარჯვა ქვეყნის უმთავრეს ტურნირში. სულ „პორტუს“ 22-ჯერ აქვს მოპოვებული პორტუგალიის ჩემპიონის ოქროს მედლები (2002-2003 წლების სეზონის ჩათვლით) და 9-ჯერ – ქვეყნის თასი.

აღსანიშნავია ისიც, რომ 1984 წელს, „პორტუ“ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალში „იუვენტუსთან“ დამარცხდა. 1960-1977 წლების კრიზისის შემდეგ, გუნდის აღორძინების საქმეში უდიდესი წვლილი მიუძღვის აწ გარდაცვლილ მწვრთნელს, ჟოზე მარია პედროტოს, რომელმაც „პორტუს“ 1977 წელს პორტუგალიის თასი მოაპოვებინა, ხოლო 1978 და 1979 წლებში, ქვეყნის ეროვნული ჩემპიონატი მოაგებინა. პედროტოს მიერ დაწყებული საქმე წარმატებით განაგრძო მისმა მოსწავლემ, პორტუგალიის ეროვნული ნაკრების ყოფილმა ცენტრფორვარდმა, არტურ ჟორჟმა, რომელმაც 1987 წელს კლუბი ევროპული საკლუბო ფეხბურთის მწვერვალზე აიყვანა. მოგვიანებით, „პორტუს“, ბრაზილიელი კარლოს ალბერტო და სილვა და ბობი რობსონი წვრთნიდნენ, რომელთა წყალობით გუნდმა ევროპულ საკლუბო ელიტაში გაიუმჯობესა მდგომარეობა. პორტუგალიური კლუბი 1994 წელს, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გავიდა, ხოლო 1997 წელს – მეოთხედფინალში.

2000-2002 წლებში, პორტუგალიის ჩემპიონატში „სპორტინგი“ და „ბოავიშტა“ ბატონობდნენ. წელს კი, „პორტუმ“ შეძლო არა მარტო ქვეყნის პირველობაში გამარჯვება, არამედ უეფას თასის მოგებაც. ამიტომ 2002-2003 წლების სეზონი კლუბის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე ბრწყინვალე პერიოდად შევა.

გასული საუკუნის პირველ ნახევარში, „პორტუ“ საშინაო მატჩებს ძველ სტადიონზე – „კამპო და კონსტიტუსიაუზე“ ატარებდა, ხოლო ამჟამად, გუნდი 76000-ადგილიან „ესტადიუ დაშ ანტაშზე“ ასპარეზობს. თეთრ-ცისფერი მაისური – ეს „პორტუს“ ტრადიციული ფორმაა, რომლითაც გუნდმა ითამაშა კიდეც უეფას თასის 2002-2003 წლების გათამაშების ფინალურ მატჩში.

■

სენსიმ კაპელო აითვალწუნა, ტოტის კი, „რეალისკენ“ უჭირავს თვალი

გასულ უიქ-ენდზე დასრულდა იტალიის ჩემპიონატი, რომლის გამარჯვებულიც ჯერ კიდევ რამდენიმე კვირით ადრე იყო გამოვლენილი. „იუვენტუსმა“ ზედიზედ მეორედ მოიპოვა „სკუდეტო“. სერია A არცთუ ისე სახარბიელოდ დაამთავრა „რომამ“, რომელიც ჩემპიონთა ლიგის ზონაში ვეღარ მოხვდა და მომავალი სეზონიდან, უფრო დაბალი რანგის ევროპულ ტურნირში – უეფას თასის გათამაშებაში იასპარეზებს. გარდა ამისა, გუნდი დიდი ანგარიშით – 1:4 დამარცხდა იტალიის თასის გათამაშების ფინალური ეტაპის პირველ მატჩში „მილანთან“, რამაც მეტისმეტად გააღიზიანა „რომას“ პრეზიდენტი, ფრანკო სენსი, რომელიც ყოველთვის ცნობილი იყო თავისი ფეთქებადი და ემოციური ხასიათით. „კაპელო ვერ ხვდებოდა იმას, თუ რა ხდებოდა მეორე ტაიმში, – განაცხადა სენსიმ, – ემერსონმა ტრავმა მიიღო, მისმა პარტნიორებმა კი, გუნდში დანაკარგის შევსება ვერ შეძლეს. 10 წუთის განმავლობაში „მილანმა“ შექმნილი ყველა საგოლე სიტუაცია გამოიყენა, რაც ისეთი მაღალი დონის სპეციალისტისთვის, როგორიც კაპელოა, სერიოზულ შეცდომად უნდა ჩაითვალოს. თუკი მას ჩვენი დატოვება სურს, ხელს არავინ შეუშლის.

მის ადგილს „ბრეშიას“ ამჟამინდელი მწვრთნელი, კარლო მაცონე დაიკავებს. და კიდევ – უახლოეს მომავალში, მთელ გუნდს ხელფასს შევუმცირებ, მათ შორის კაპელოსაც, რადგან კლუბში ფინანსური პრობლემებია“.

„რომას“ წარუმატებლობებით ძალზედ უკმაყოფილოა ფრანჩესკო ტოტიც, რომელიც უკვე დიდი ხანია, რაც „ოქროს ბურთის“ მოპოვებაზე უიმედოდ ოცნებობს და მიიჩნევს, რომ ამ საპატიო ჯილდოს მფლობელი მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდება, თუ რომელიმე სხვა ევროპულ გუნდში გადავა, ან „რომა“ გაიუმჯობესებს პოზიციებს სერია A-სა და ევროპულ სარბიელზე. „იმედი მაქვს, რომ სენსი მნიშვნელოვან ცვლილებებს განახორციელებს გუნდში, – ამბობს „რომას“ ფორვარდი, – როგორც კაპიტანი, მე ამას ვურჩევდი. მთელი ჩემი ცხოვრება „რომასთანაა“ დაკავშირებული, მაგრამ თუკი სადმე წავალ, მაშინ „რეალს“ ამოვირჩევდი. ეს დიდებული კლუბია, თავისი დიდი ისტორიით. „რომაში“ თამაშით მე სხვა ფეხბურთელებთან შედარებით არათანაბარ მდგომარეობაში ვიმყოფები პირადი ჯილდოების მოპოვების დროს. „რეალში“ რომ ვთამაშობდე, აქამდე უკვე მექნებოდა „ოქროს ბურთი“ მოპოვებული“.

■



კადათის ვაქი იტალიაში ითამაშებს

ლიბიის ლიდერის, მუამარ კადაფის ვაჟიშვილი, ალ-საადი იტალიური ფეხბურთის დიდი ქომაგიცაა და იმაზეც კარგა ხანია ოცნებობს, რომ სერია A-ში მოასპარეზე რომელიმე გუნდში მოხვდეს. ამჟამად, კადაფი-უმცროსი ლიბიის კლუბ „ალ-იტიჰადის“ ღირსებას იცავს. ამას წინათ კი, ალ-საადის იმედი გაუჩნდა, რომ მომავალი სეზონიდან, ოფიციალურ მატჩებში თვით დელ პიეროს ან ფილიპო ინძაგის წინააღმდეგ ითამაშებს. ლიბიის დიქტატორის ვაჟთან კონტრაქტის გაფორმებას „პერუჯა“ აპირებს, რაც უპირველეს ყოვლისა, ალბათ იმით არის გამოწვეული, რომ კადაფების ოჯახი იტალიის ჩემპიონის – „იუვენტუსის“ აქციათა მოზრდილი პაკეტის მფლობელია და სამშობლოშიც ყოველნაირად უწევს პოპულარიზაციას სერია A-ს. მიუხედავად

ამისა, „პერუჯის“ ხელმძღვანელობა ირწმუნება, რომ ახალგაზრდა კადაფისთან მხოლოდ წმინდა საფეხბურთო ინტერესის გამო სურს ხელშეკრულების გაფორმება.

რუნის ყველაზე მეტად დედის ეშინია

ინგლისის ეროვნული ნაკრებისა და „ევერტონის“ თავდამსხმელმა, უეინ რუნიმ განაცხადა, რომ დედის გაბრაზების უფრო მეტად ეშინია, ვიდრე ალბიონელთა ნაკრების მწვრთნელის – სვენ-გორან ერიქსონისა. ამჟამად, 17 წლის ამომავალი ვარსკვლავი მშობლებთან ერთად ცხოვრობს. „დედისგან საყვედურის მიღება უფრო მაშინებს, ვიდრე ის, თუ რას მეტყვის მწვრთნელი. გარდა ამისა, ძალიან მაკრთობს „არსენალის“ მცველი, სოლ კემპბელი, რომელიც ჩემი აზრით, დიდებულად „კითხულობს“ თამაშს: მას ხომ ადვილად ვერასოდეს დაუძვრები. თუმცა, ამ სეზონში, უკვე ორჯერ გავაწბილე სოლიც და მისი გუნდიც“, – ამბობს უეინ რუნი, რომლის დედა, ჟანეტი ერთ-ერთი სკოლის სასადილოში მუშაობს. ■

შტეფი გრაფი ჯერაც თეხმბიმედაა

ანდრე აგასისა და შტეფი გრაფს ნოემბერში, მეორე შვილი ეყოლებათ. გარდა ამისა, თავად აგასის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, შესაძლოა, უახლოეს მომავალში, შტეფი კვლავ დაუბრუნდეს კორტს, თუმცა, ამაზე იგი ანდრემ უნდა დაიყოლიოს. ყოველ შემთხვევაში, ჩოგბურთის გერმანელი ვარსკვლავი მხოლოდ მეუღლესთან ერთად იასპარეზებს. ნიშანდობლივია, რომ გრაფის მიერ „დიდი მუზარადის“ ტურნირებზე მიღწეულ გამარჯვებათა რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება ანდრე აგასის ანალოგიურ მიღწევებს: შტეფის 22-ჯერ აქვს მოგებული „დიდი მუზარადის“ ტურნირი, ანდრემ კი, ჯერჯერობით, მხოლოდ 14-ჯერ მიაღწია გამარჯვებას. აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ ჩოგბურთის ვარსკვლავებმა 2001 წლის ოქტომბრის დასაწყისში იქორწინეს და იმავე თვის ბოლოს, ვაჟიშვილი შეეძინათ, რომელსაც ჯეისონი დაარქვეს. ■

უოკერს თავისი გუნდის თანი შემოღალსა



ბოსტონის პოლიცია და NBA-ს ხელმძღვანელობა იძიებენ „ბოსტონ სელტიკსის“ ფორვარდის, ანტუან უოკერის მიერ გუნდის ერთ-ერთ ფანზე თავდასხმის ფაქტს. აღმოსავლეთ კონფერენციის ნახევარფინალური სერიის მესამე თამაშის მიმდინარეობისას, უოკერს სიტყვიერი შელაპარაკება მოუხდა 43 წლის ქომაგთან, რომელიც ტრიბუნის პირველ რიგში იჯდა სათადარიგო მოთამაშეთა უკან და ანტუანის მიმართ უკმაყოფილება გამოთქვა. „ამას მე მეუბნები?!“ – შეეკითხა მას აღშფოთებული უოკერი, რის შემდეგაც, მაყურებლებში გადავიდა და მეტიჩარა გულშემატკივარს რამდენჯერმე მუშტი სახეში უთავაზა. მატჩის შემდეგ, დაზარალებულმა საჩივარი შეიტანა ბოსტონის პოლიციაში და ინციდენტის გამოძიება მოითხოვა. გასაკვირია, რომ აღნიშნული შემთხვევა არც ერთი ტელეკამერის ობიექტივში არ მოხვედრილა. მისი მომსწრე მხოლოდ Associated Press-ის ორი რეპორტიორი იყო და ორივე მათგანი მზად არის უოკერის საწინააღმდეგოდ ჩვენების მისაცემად. ■

საფეხმბურთო ფანემს ვიაგრა არ სჭირდემათ

დადგინდა, რომ მასშტაბური სპორტული შეჯიბრებებისას ვიაგრაზე მოთხოვნილება მნიშვნელოვნად მცირდება. ეს ფაქტი იმ კვლევების შედეგად დამტკიცდა, რომელიც დამოუკიდებელმა ანალიტიკურმა ჯგუფმა – Isis-მა ჩაატარა. მაგალითად, ფეხბურთში ბოლო მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობისას, მამაკაცური პოტენციის ასამაღლებელი პრეპარატი ორჯერ უფრო ნაკლები რაოდენობით გაიყიდა. Isis-ის სპეციალისტების აზრით, გულშემატკივართა სქესობრივ მოთხოვნილებაზე ან მატჩების რეზულტატების გამო ნერვიულობა მოქმედებდა, ანდა საყვარელი გუნდის თამაშზე სრული კონცენტრირება, რომლის დროსაც სექსისთვის აღარავის სცხელოდა და არც ვიაგრა ახსოვდა... Isis-მა კვლევა მხოლოდ ინგლისში ჩაატარა, თუმცა მიიჩნევენ, რომ მისი რეზულტატი სხვა საფეხბურთო ქვეყნებსაც მიესადაგება. აღსანიშნავია ისიც, რომ ვიაგრასთან დაკავშირებული კვლევა პირველად ჩატარდა და იგი ასეთი მოულოდნელი შედეგით დასრულდა. ■

ბექჰემი Snoop Doggy Dog-ის ფანი ყოფილა



ფეხბურთის გულშემატკივრებისთვის უკვე ცნობილია, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ კაპიტანმა, დევიდ ბექჰემმა ამას წინათ ინგლისის ნაკრების მიერ ჩატარებულ ამხანაგურ მატჩში ხელი მოიტეხა. ცოტა უფრო ადრე კი, მან კიდევ ერთხელ შეიცვალა ვარცხნილობა, რაც ფეხბურთელს დაგეგმილი სულაც არ ჰქონია. დევიდის მიერ იმიჯის შეცვლის მიზეზად ამჯერად არა ვიქტორია ადამსის კაპრიზი, არამედ საფრანგეთის მცხუნვარე მზე იქცა. ინგლისის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ვარსკვლავური წყვილი საფრანგეთის პროვანსის პროვინციაში 1,5 მლნ დოლარად ახალშეძენილ სახლში ატარებდა დღეებს. ვიქტორიას თქმით, იგი გადაუდებელი საქმეების გამო რამდენიმე დღით ინგლისში შეყოვნებულა და როდესაც კონტინენტზე გადასულა, უბრალოდ, საკუთარი მეუღლე ვეღარ უცვნია. მცხუნვარე მზეს დევიდის თმა საოცრად გამოუშრია და მეტისმეტად არაესთეტიკურად უქცევია. ამის შემხედვარე ადამსმა უმალვე მიმართა ადგილობრივ ნაცნობ დალაქს, რომელმაც ბექჰემს რეპერის ვარცხნილობა დაუყენა. სხვათა შორის, თავად ვიქტორიას, ქმრის ახალი ვარცხნილობა ძალიან მოსწონებია. „მისი შეცვლილი იმიჯით აღფრთოვანებული ვარ. თანაც ვიცი, რომ მას ბოლო დროს სწორედ ასეთი სტილი მოსწონს“, — დასძინა ადამსმა. ბექჰემთა ერთ-ერთი ახლობელი აცხადებს, რომ ბოლო დროს, დევიდი ძალიან დაინტერესებულა შავკანიან ამერიკელთა მუსიკალური კულტურით, განსაკუთრებით კი, მანჩესტერელ ვარსკვლავს თურმე Snoop Doggy Dog-ი მოსწონს, რომლის რეჩიტატივსაც დასვენების ჟამს რეგულარულად უსმენს. სკანდალებზე მონადირე რეპორტიორები ახლა, ალექს ფერგიუსონის რეაქციის მოლოდინში არიან. სერ ალექსსა და ბექჰემს შორის ხომ უკვე დიდი ხანია, რაც შავმა კატამ გაირბინა...

„ჩელსიმ“ ბატიგოლს დაადგა თვალი

შესაძლოა, მომავალი სეზონიდან, გაბრიელ ბატისტუტამ ინგლისის პრემიერლიგაში ითამაშოს. არგენტინელ ფორვარდთან კონტრაქტის გაფორმება ლონდონის „ჩელსის“ ხელმძღვანელობამ მოისურვა. როგორც ცნობილია, მომავალ საფეხბურთო სეზონში, „ჩელსი“ ჩემპიონთა ლიგაშიც იასპარეზებს, ამიტომ არისტოკრატების მთავარ მწვრთნელს, კლაუდიო რანიერის სურს, რომ გამოცდილი ფეხბურთელები შემოიკრიბოს და ბატიგოლის აგენტთან მოლაპარაკებებსაც აწარმოებს. ბატისტუტასთან კონტრაქტის გაფორმების სურვილი ამას წინათ, ერთ-ერთმა კატარულმა კლუბმაც გამოთქვა, თუმცა, ვეტერანი არგენტინელი ვარსკვლავი ინგლისში გადასვლას, ალბათ არაბთა სარფიან წინადადებას ამჯობინებს.

„მილანში“ რივალდო აითვალწუნეს

„მილანი“ მზად არის, კონტრაქტის ნაადრევად შეწყვეტისათვის კომპენსაციის სახით სამი მილიონი დოლარი გადაუხადოს რივალდოს. ცნობილია, რომ იტალიური კლუბის ხელმძღვანელობა და თავად კარლო ანჩელოტი უკმაყოფილონი არიან ბრაზილიელი ვარსკვლავის თამაშით. ამიტომ „მილანის“ მესვეურებს აღარ სურთ, ძვირად ღირებულ ფეხბურთელს 2005 წლამდე (ვიდრე კონტრაქტის ვადა ამოიწურება) უხადონ ხელფასი. არსებული შეთანხმების თანახმად, „მილანმა“ რივალდოს, მომავალი ორი სეზონის განმავლობაში 13 მლნ დოლარი უნდა გადაუხადოს. გავრცელდა ხმები იმის თაობაზეც, რომ იტალიური სუპერკლუბის ხელმძღვანელობას ახალგაზრდა ბრაზილიელი ფეხბურთელის, კარლოს ალბერტოს შეძენა სურს, რომელიც თავის სამშობლოში „ფლუმინენსეს“ ღირსებას იცავს. 18 წლის ალბერტომ უკვე განაცხადა, რომ რივალდოსა და სერჟინიოს გუნდში თამაში მისთვის უდიდესი პატივი იქნება. სხვათა შორის, არც იმას გამორიცხავენ, რომ მომავალი სეზონიდან რივალდო კვლავ „ბარსელონაში“ დაბრუნდება.



კაზირაგი „ლენიანოს“ გაწვრთნის

„მონცის“, „იუვენტუსის“, „ლაციოს“, „ჩელსისა“ და იტალიის ეროვნული ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი, პიერლუიჯი კაზირაგი მომავალ სეზონში ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელად მოგვევლინება. 34 წლის კაზირაგი სერია C2-ის კლუბს — „ლენიანოს“ ჩაუდგება სათავეში. „მწვრთნელობა ძალიან მიზიდავს და ერთი სული მაქვს, როდის დავიწყებ მუშაობას. ჩემი გუნდი თამაშის აგრესიული სტილის მიმდევარი იქნება, ისეთის, როგორითაც ინგლისური კლუბები გამოირჩევიან“, — ამბობს პიერლუიჯი კაზირაგი, რომელიც 2002-2003 წლების სეზონში „მონცის“ ახალგაზრდულ შემადგენლობასთან მუშაობდა.

დასაწყისი იხ. „გზა“ №13-21

დაგვიანებული რეისი მისკოვი-თბილისი

რუსუდან ბერიძე

მომავალი ჟურნალისტი დეა ავალიანი საკმაოდ რთულ სიტუაციაშია ჩავარდნილი: მამამ მიატოვა, ძმა მკვლელობის ბრალდებით, ციხეში მოხვდა, დედამ კი, ამდენ უბედურებას ვეღარ გაუძლო და ლოგინად ჩავარდა. ქალიშვილი ერთდროულად სამ მამაკაცს მოსწონს. მათ შორისაა კანონიერი ქურდი გიგოლა, რომელიც მომხიბვლელი ქალიშვილის, ხელში ჩაგდების გეგმას შეიმუშავებს: ციხეში დეას ძმას — თემოს პატრონობს, გარეთ კი, დეას დედის — ელენეს მკურნალობაზე ზრუნავს. ის დედაშვილს ცნობილ ექიმს, პროფესორ ინწკირველს მიუყვანს. დეა ხვდება, რომ გიგოლა მას ნელ-ნელა თავბრუს ახვევს, მაგრამ წინააღმდეგობის გაწევა მაინც უჭირს. მას შემთხვევით გაცნობილი გურამისკენ მიუწევს გული, რომელიც დეასთან შეხვედრისას, უკვე ხელმოცარული ბიზნესმენია და მეორე დღეს, ქვეყნიდან კარგა ხნით მიდის...

თანაკურსელი კახა, რომელსაც დეა ლამის ბავშვობიდან უყვარს, სკანდალურად ცნობილი პარლამენტარის, გიზო ჯღარკავას ერთადერთი შვილია. გაზულუქებული კახა ერთი მარტივი დევიზით ცხოვრობს: „მომწონს?.. ესე იგი, ჩემი უნდა გახდეს!“ ამ დევიზს კახა, დეაზეც ისევე ავრცელებს, როგორც ვთქვათ, თემოს კლასელის — გიორგი აბრამიძის ტყავის ქურთუკზე. სწორედ ქურთუკის გამო ბიჭებს შორის მომხდარ შელაპარაკებას დეა შემთხვევით შეესწრება. მეორე დღეს, კახა დანით კლავს გიორგის...

დეა კახას საწინააღმდეგო ჩვენებას აძლევს გამომძიებელს. გიზო ჯღარკავა ჯერ ავალიანების მოქრთამვას ცდილობს, შემდეგ კი, მუქარაზეც გადადის. ამას შემთხვევით, გიგოლაც შეიტყობს და ისევ სათავისოდ გამოიყენებს. დეას დასანახად, გიზოს უსწორდება, ზურგს უკან კი, მასვე, ავალიანების ოჯახის „ზომიერად“ დაშინებას ავალებს. გიზოს, გიგოლას დიდი ფული მართებს და ამიტომ, უარს ვერაფერზე ეუბნება. თუმცა, დეასთან კამათისას მაინც გადაამლაშებს... გიგოლა ამის შედეგადაც, კუთილშობილი რაინდის როლის თამაშს აგრძელებს და იმასაც კი მოახერხებს, რომ თემო ცოტა ხნით ციხიდან გამოაპაროს და სულთმობრძავი დედის სანახავად მოიყვანოს. დეა მომხდარით საბოლოოდ შეძრწუნდება, თემო კი გიგოლათი იმდენად აღფრთოვანდება, რომ დას ასეთ ვერდიქტს გამოუტანს: ციხიდან მე ვერ მოგხედავ, ამიტომ შენი თავი გიგოლას ჩავაბარე და ყველაფერი უნდა დაუჯერო. თემოს გადაწყვეტილებით აღშფოთებული დეა სამზარეულოში შეიკეტება, საიდანაც იარაღის გასროლის ხმა გამოიყვანს...

გიგოლა და თემო რიგრიგობით არწმუნებენ დეას — იარაღი შემთხვევით გაგვივარდაო, — მაგრამ მდგომარეობიდან გამოსულ დეას უკვე ისიც კი ეჩვენება, რომ მის ირგვლივ ყველაფერი ვიღაცის მიერ წინასწარ დაწერილი, მზაკვრული სცენარით ვითარდება. თემოსა და გიგოლას წასვლის შემდეგ, ცეცხლზე ნავთს პროფესორი ინწკირველიც დაასხამს: თემო და გიგოლა უკვე „გადამწვარი“ ნარკომანები არიან, ყველაზე დიდი საშინელება კი, მაინც ის არის, რომ გიგოლას მეც ყურებით ვყავარ დაჭერილი, რადგან თემოსაც და მთელ ცხოვრებასაც წამლით ჩემი დახმარებით ამარაგებსო...

გაგონილით თავზარდაცემულ დეას, ბედი ბოლომდე აღარ დაინდობს და იმავე ღამეს, დედასაც ხელიდან გამოაცლის. დედის სიკვდილით განადგურებული დეა ცვილის ფიგურასავით უტყვი ხდება და ელენეს ისე დაასაფლავებს, რომ ერთ ცრემლსაც კი არ გააყოლებს... თუმცა, სასაფლაოდან შინ მიბრუნებული, უკანასკნელ ძალებს მოიკრებს და ლონდას სთხოვს: მოდი, სუფრას მივუსხდეთ და დედაჩემის სული ვახსენოთო. სასტუმრო ოთახში გასულ დეას იქ მამამისი — სულხან ავალიანი ხვდება...

დეამ მამა ძლივსღა იცნო. ერთ დროს საკმაოდ ბრგე და წარმოსადეგი მამაკაცი, მოხუცივით მხრებში მოხრილიყო და მაგიდას შემთხვევით შემოსწრებული სტუმარივით ეჯდა, დეას დანახვაზე კი, მაშინვე ფეხზე წამოხტა.

— დეა, შვილო, მაპატიე... თბილისში არ ვიყავი... ჩამოვედი თუ არა, მაშინვე აქეთ გამოვქანდი, მაგრამ... — თვალები დამნაშავესავით დახარა სულხანმა.

— არა უშავს... — გულგრილად უპასუხა დეამ. — ზოგჯერ, უარესიც ხდება ხოლმე...

— ამაზე უარესი რაღა უნდა მომხდარიყო?!. — ქალიშვილის ირონიას ნამდვილად ვერ მიხვდა სულხანი. — მაინც, ასე უცბად რა დაემართა?.. აკი ექიმები იმედს გაძლევდნენ...

— ზოგჯერ, იმედიც კვდება... — გააწყვეტინა დეამ. — ასე რომ, მოვეშვათ ამაზე ლაპარაკს... დაჯექი, სუფრას გავშლით და დედაჩემს სული ვუხსენოთ...

დეას ბოლო სიტყვების გაგონებისთანავე, აქამდე უხერხულად მდგარი ლონდა მაშინვე სამზარეულოში გავარდა და წუთში, სასმელსაჭმლით აავსო მაგიდა, შემდეგ კი, როცა სამივენი სუფრას შემოუსხდნენ, ჭიქებში ღვინოც თავად ჩამოასხა.

— მამა, ეს ლონდაა, ჩვენი მდგმური... — გადაულაპარაკა დეამ სულხანს. — თუმცა, მდგმური კი არა, მთელი ამ ხნის მანძილზე, დასავით მედგა მხარში. მეზობლებიც ძალიან მომეხმარნენ. დედაჩემი მართლა ყველას ჰყვარებია...

— მეც ძალიან მიყვარდა... — ამოიოხრა სულხანმა.

— მართლა? — ისევ ირონიულად გაეღიმა დეას.

— ჰო, მართლა... — არაფერი შეიმჩნია სულხანმა და მაშინვე ჭიქას დასწვდა: — ჩემი ელიკოს ხსოვნა იყოს... გაუხარელი წავიდა... ღმერთმა იმ ქვეყნად მაინც მისცეს მის სულს შვება...

— ხსოვნა იყოს... — თავისთვის ჩაილაპარაკა დეამაც, შემდეგ ღვინით სავსე ჭიქა სულმოუთქმელად გამოცალა და მაგიდაზე კი არ დადგა, ლამის დაანარცხა.

ლონდას გაოცებისგან თვალები გაუფართოვდა:

— რამე მიაყოლე, თორემ, უცბად დათვრები... ისედაც მთელი კვირაა, პირში ლუკმა არ ჩაგიდვია...

დეამ თეფშზე ცოტა მხალი გადმოიღო, ჩანგლით გულგრილად გაქექა, შემდეგ თეფში გვერდზე გასწია და სულხანს მიუბრუნდა:

— ჭამე, მამა, მე ნუ მიყურებ. მე ჯერ საჭმლის დანახვაც კი არ შემიძლია...

სულხანმა ჯერ, ერთი უხერხულად ჩაახველა, შემდეგ, ხაშლამის რამდენიმე მოზრდილი ნაჭერი დაითრია და მართლა მთელი კვირის მშიერივით დაეძგერა. თუმცა, ცოტა ხანში, დეას დაჟინებული მზერა იგრძნო, პირისკენ წაღებული მორიგი ლუკმა ისევ თეფშზე დააბრუნა და თავი დარცხვენილმა დახარა. საქციელწამხდარი მამის შემხედვარე დეას გული სიბრალულით მოეწურა, ჯერ, ერთი ღრმად ამოიოხრა, შემდეგ, თავადაც ხორცის ნაჭერი გადაიღო, შოთის პურს ყუა წაატეხა და სულხანს გადაულაპარაკა:

— იცი, რა გამახსენდა?

— რა? — ნერწყვი ძლივსღა გადაყლაპა სულხანმა.

— ბავშვობაში დედა საჭმელს რომ მაძალებდა, შენ კი მშვიდად უსხნიდი: ბავშვს საჭმელი კი არ უნდა მიაძალო, გემრიელი ჭამა უნდა ასწავლოო, — და მერე, წყალწყალა „სუპსაც“ კი, მართლა ისეთ გემრიელ ხვრეპას აუტეხდი, რომ მეც მომანდომებდი ხოლმე...

— ჰო-ო... — თავისთვის ჩაილაპარაკა სულხანმა. — კარგი დრო იყო... ახლა დასაძალებელი საჭმელი სადღაა?! უმეტესობას, ძლივს გააქვს თავი... აგერ მე, ხანდახან, ყველას სამყოფი პურიც კი ვერ მიმაქვს ოჯახში... მართლა ძალიან გამიჭირდა..

— ვიცი. არც ჩვენ გვილხინს... ამიტომ ახლა, სანამ ამდენი საჭმელ-სასმელი გვაქვს, მოდი, ცოტა სული მოვითქვათ... — სევდიანად გაეღიმა დეას და მამას, თეფშზე ხაჭაპურის ნაჭერიც გადაუღო...

როგორც კი სულხანი ცოტა დანაყრდა, დეამ ჭიქები თავად შეავსო:

— მოდი, ახლა, ცოცხლებს გაგვიმარჯოს! ყველას ერთად...

სულხანმა ჭიქა უხმოდ დაცალა და ცოტა ხნის ყოყმანის შემდეგ, დაიწყო:

— ვიცი, ახლა ამის დრო არ არის, მაგრამ სხვა გზა არა მაქვს — მაინც უნდა გითხრა...

— მოხდა რამე? — ჰკითხა დეამ.

— კი, მოხდა, — უხერხულად ჩაახველა სულხანმა და შემდეგ, გვერდულად გახედა ლონდას.

— გასაგებია... — თავისთვის ჩაილაპარაკა დეამ და მდგმურს მიუბრუნდა: — ლონდა, ცოტა ხნით დაგვტოვე, რა, გეხვეწები...

— კი, გენაცვალე... — მაშინვე ფეხზე წამოხტა ლონდა. — გავალ ერთი ეზოში, ქეთუშას გავხედავ, მეზობლის ბავშვებმა არ დამიჩაგრონ...

— არა მგონია, შენმა შვილმა თავი ვინმეს დაჩაგვრინოს... — გაეღიმა დეას.

— ეჰ, დეიკო... — ამოიოხრა ლონდამ. — ჩემი შნო და მარიფათი მაგას ვინ მისცა?!. ხომ გითხარი — მთლიანად თავისი ბუნჩულა მამის ჯიშზეა-მეთქი წასული. თუ ბოლომდე ეგეთი დარჩა, დაღუპული ვარ და ეგაა...

— თავს ტყუილად ისაწყლებ... შენი ამბავი რომ ვიცი, ადრე თუ გვიან, მაგ ბავშვს მაინც საშენოდ გამოჩორკნი... — დაადევნა დეამ ოთახიდან თითქმის გასულ ლონდას და შემდეგ, ისევ სულხანს მიუბრუნდა: — გისმენ, მამა. მითხარი, რა გაგჭირვებია?

— სახლზე უნდა მოგელაპარაკო... — დაიწყო სულხანმა მორიდებით.

— რომელ სახლზე? — გაუკვირდა დეას.

— ამაზე... აბა, სხვა სახლი სადა გვაქვს?

— როგორ თქვი? — ჩაეკითხა დეა. — გვაქვსო?!.

— ჰო... გვაქვს... შენც კარგად იცი, რომ ამ სახლში წილი მეც მაქვს... — ქალიშვილს თვალი ვეღარაფრით გაუსწორა სულხანმა.

— მამა, ხუმრობ თუ სერიოზულად მეუბნები? — ხმა გაებზარა დეას. — რა წილზე ლაპარაკობ?

— სახუმაროდ მაქვს საქმე?.. — აქეთ-იქით დაბნეულად მიმოიხედა სულხანმა. — ხომ გითხარი, შვილები შიმშილით მიწყდებიან-მეთქი...

— კი, მაგრამ მე და თემოც ხომ შენი შვილები ვართ. ამაზე აღარ გიფიქრია?

— როგორ არ მიფიქრია. ცის ქვეშ არც თქვენ დარჩებით. ეს სახლი ყველას გვეყოფა... „დავახურდავოთ“ და...

— რა ვქნათ? — ნერვიულობისგან ხმა ჩაუწყდა დეას.

— გავყიდოთ და ფული პატიოსნად გავიყოთ-მეთქი... — გაუბედავად ჩაილაპარაკა სულხანმა.

— გესმის, რას ამბობ?! — ფეხზე წამოხტა დეა. — დედაჩემის სული ჯერაც ამ სახლში ტრიალებს და შენ უკვე მის გაყიდვაზე ალაპარაკდი?!.

— ხომ არ ვამბობ, ხვალვე გავყიდოთ-მეთქი... — სასწრაფოდ უკან დაიხია სულხანმა. — ჯერ დავსხდეთ, მოვილაპარაკოთ... მერე მუშტარი მოვძებნოთ... ამასობაში, შეიძლება, თვეებიც გავიდეს...

— არც იფიქრო! — დასჭექა უცბად დეამ. — არც იფიქრო-მეთქი!

— დეა, შვილო, დაწყნარდი და ისე მომისმინე... — დაიწყო ისევ სულხანმა.

— რა მოგისმინო?.. — ყვირილს განაგრძობდა დეა. — შენ რა — მართლა ხომ არ დაგავიწყდა, დედაჩემს ეს სახლი ვინ დაუტოვა?

— ვინ და თავისმა მშობლებმა... ერთადერთი შვილი ჰყავდათ და აბა, ვის დაუტოვებდნენ?!. — მშვიდად მიუგო სულხანმა.

— მერედა, შენ დედაჩემის მშობლების დანატოვართან რა ხელი გაქვს?!. რა უფლებით ითხოვ რამეს?..

— რა გაეწყობა?!. — ამოიოხრა სულხანმა, შემდეგ, თავადაც ფეხზე წამოდგა, პიჯაკის ჯიბიდან ოთხად გაკეცილი რაღაც ფურცელი ამოიღო და დეას გაუწოდა: — აი, აქ წერია, რა უფლებითაც ვითხოვ... წაიკითხე და დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთ...

— ეს რაღაა? — ფურცელი ხელის კანკალით ჩამოართვა დაბნეულმა დეამ.

— დედაშენის ანდერძი.

— ანდერძი? — თვალები გაუფართოვდა დეას. — რა ანდერძი?.. დედაჩემს მსგავსიც არასდროს არაფერი უხსენებია...

— ხომ გითხარი — წაიკითხე, მანდ წერიამეთქი ყველაფერი..

დეამ ჯერ მამას გადახედა დაეჭვებით, შემდეგ ფურცელი ნელ-ნელა გაშალა და ელენეს ხელით გამოყვანილი, კოხტად ჩამწკრივებული ასოები მაშინვე იცნო, შემდეგ ტექსტს თვალით სწრაფად გადაურბინა და გაშრა:

— გამოდის, რომ...

— ჰო, ეგრე გამოდის... — მშვიდად მიუგო სულხანმა და ისევ სკამზე ჩამოჯდა.

— კი, მაგრამ... როგორ?.. როდის დაწერა ეს ყველაფერი?.. მე რატომ არაფერი მითხრა?.. დარწმუნებული ვარ, თემოსაც არაფერი ეცოდინება...

— არც თემომ იცის, — დაუდასტურა სულხანმაც. — ელიკომ დამაფიცა: სანამ ცოცხალი ვარ, არც ერთს არ უთხრა, ვიცი — ვერ გამიგებენ და გულში წყენას ჩაიდებენო...

— ნამდვილად ვერ გავუგებდი... და არც ახლა მესმის, ეს რამ მოაფიქრებინა? ყველაფერი შუაზე როგორ გაყო და თანაც, ერთი ნახევარი იმ ქალის ქმარს როგორ დაუტოვა, ვინც ოჯახი დაუნგრია და ამდენი წყენა და ტკივილი მიაყენა?!.

— ჩემი ცოლი აქ არაფერ შუაშია... — შეეპასუხა სულხანი, მაგრამ დეამ აღარ აცალა:

— შუაში კი არა — თავშია! ეგ რომ არა, დღესაც ჩვენთან იქნებოდი და დედაც ცოცხალი მეყოლებოდა! მართალი ყოფილა თემო, რომ მეუბნებოდა: მამაჩვენს გული საერთოდ არა აქვსო. მართლა უგულო ყოფილხარ! ავადმყოფ ქალს ასეთი რამე როგორ დააწერინე?!. როგორ დააძალე?!.

— მე არაფერი დამიძალებია... — არ შეეპუა სულხანი. — ანდერძი თავად შეადგინა და ადვოკატის ხელით გამომიგზავნა... დამიჯერე,

ეს ფურცელი მეც შენსავით, უკვე ხელმოწერილ-დამოწმებული ვნახე, მანამდე ნამდვილად არაფერი ვიცოდი...

— არ ვიცოდიო?!. — იკივლა დეამ. — წელან არ მითხარი: დამფიცა, ბავშვებს არაფერი უთხრაო?!

— ეს მერე იყო, შვილო. ანდერძი რომ გამომიგზავნა, მერე ველაპარაკე... ტელეფონზე დავურეკე: ეს რა გიჭია-მეთქი?!. დამფიცა: ხმა არ ამოიღო, ეს ჩემი უკანასკნელი სურვილია და რომ მოვკვდები, როგორც მანდ წერია, ყველაფერი ისე უნდა ამისრულოო... რა უნდა მექნა? არ უნდა ამესრულებინა?..

უცბად დეამ ფურცელი გვერდზე მოისროლა, შემდეგ სამინიბელში გავარდა, ელენეს ლოგინზე დაემხო და აქვითინდა:

— დედა, დედიკო, მოგიკვდეს ჩემი თავი!.. ვის შეალიე შენი ქალობა და სიყვარული?!. ვისი გულისთვის ჩახვედი მიწაში ასე ნაადრევად?!.

ეზოში, ხის გრძელ სკამზე მეზობლებთან ჩამომჯდარი ლონდა, დეას კივილზე მაშინვე სახლში შემოვარდა და ოთახში მარტოდ დარჩენილი სულხანი რომ დაინახა, თავადაც აკივლდა:

— დეა სადღაა?.. ცუდად ხომ არ გახდა?..

მაგრამ სულხანმა პასუხი დაუგვიანა. ჯერ იატაკზე დაგდებული ფურცელი აიღო, გულმოდგინედ დაათვალიერა, შემდეგ ფაქიზად დაკეცა და ხელი ჯიბისკენ წაიღო, მაგრამ ბოლო წუთს გადაიფიქრა, ფურცელი მაგიდაზე დადო და ლონდასთვის არც კი შეუხედავს, ისე ჩაილაპარაკა:

— ამას დეას ვუტოვებ... უთხარით: ეს ასლია და შენთან იყოს, დანარჩენზე კი, რომ დაწყნარდები, მერე მოვილაპარაკოთ-თქო...

ამ სიტყვების შემდეგ, სულხანმა საკეტი რის ვაივაგლახით გადაატრიალა, კარი უხმაუროდ გამოაღო და ასევე უხმაუროდ გაიხურა... ლონდა ცოტა ხანს, ჩაფიქრებული იდგა, შემდეგ მაგიდას მაინც მიუახლოვდა, ფურცელი აიღო და ისე ფრთხილად გაშალა, თითქოს შიგ რაღაც ძალიან საშიში უნდა დახვედროდა. ანდერძის ტექსტი რამდენჯერმე გულმოდგინედ გადაიკითხა, შემდეგ ფურცელი ისევ მაგიდაზე დადო, ღონჯი შემოიყარა და კბილებში თითქმის უხმოდ გამოცრა:

— აუ-უ... ეს რა დამპალი ვინმე ყოფილა!.. საწყალი ელიჩა დეიდა. ის ხომ დროზე ადრე ჩაიყვანა შავ მიწაში და ახლა, შვილებსაც არ მიადგა?!. თანაც, მეც რომ ქუჩაში მიშვებს, ეს ახვარი?!. დამაცადოს! მე ვიცი მაგის წამალი... ლონდა არ ვიყო, თუ ამ სახლის მისამართი სამუდამოდ არ დავავიწყო...

— ლონდა, შენა ხარ? — მოისმა სამინიბლიდან დეას ხმა.

— ჰო, მე ვარ... — უპასუხა შემკრთალმა ლონდამ, შემდეგ ფურცელი მაგიდიდან აიღო და პირდაპირ უბეში გაიქანა.

— რას ჩურჩულებ?.. შემოდი, ერთი, დამენახვე...

ლონდა მაშინვე სამინიბელში შევიდა, დეას თავზე დაადგა და თან, მობოდიშებას მოჰყვა:

— არ შემოვიდოდი, მაგრამ შენი ტირილის ხმა გავიგონე. რა იყო?.. მამაშენმა ხომ არაფერი გაწყენინა?

— არა, რას ამბობ?! — სასწრაფოდ იუარა დეამ. — უბრალოდ, რაღაც-რაღაცები გავიხსენეთ და გული ამომიჯდა.

— ჰო-ო... — რაღაც უცნაურად გაწელა ლონდამ. — მეც არ გამიკვირდა — რა მოხდა-მეთქი?.. ისე, თვითონაც მაგრა იყო არეული...

— ვინ? — უცბად ვერ მიუხვდა დეა.

— ვინ და მამაშენი... სანამ კარს გააღებდა, საკეტი კინაღამ ბუდიდან გამოგლიჯა...

— არადა, ეგ საკეტი მაგის დაყენებულია. მაგრამ ეტყობა, აქაური ყველა და ყველაფერი დაავიწყდა... — ამოიოხრა დეამ და წამოდგა: — ისე, მეც მაგრად გამოვშტერდი — ხელცარიელი როგორ გავუშვი?!. ბავშვებისთვის მაინც გამეტანებინა რამე, მადლი იქნებოდა. ამდენ საჭმელ-სასმელს ჩვენ რანაირად მოვერევით?!.

დეას სიტყვებზე ლონდამ გაოცებისაგან პირი დააღო და ის იყო, სულხან ავალიანის სალანძღავ-საგინებელი სიტყვების კორიანტელი უნდა დაეყენებინა, რომ ბოლო წუთს, ჭკუა იხმარა და თავადაც მხარი აუბა დეას:

— აბა, აბა... ეგ მეც ვიფიქრე, მაგრამ შენ რომ არაფერი თქვი, მაინც თავი შევიკავე...

— ქალები ისევ ეზოში არიან? — საუბრის თემა სასწრაფოდ შეცვალა დეამ.

— ვინ ქალები? — უცბად ვერ მიხვდა ლონდა.

— მეზობლები.

— ა-ა... კი. ყველანი სკამზე სხედან, გუგულებივით...

— მიდი, რა, სთხოვე: საღამოს შემოდით, ჩვენთან ვივახშმოთ და ელენეს სული ვახსენოთ-თქო...

— ნეტავ, თხოვნა რაღად უნდათ? — ერთს დავუსტვენ და ყველანი აქ გაჩნდებიან...

— ისე, „დასტვენას“ მეც აღარაფერი მიკლია... — თავისთვის ჩაილაპარაკა დეამ...

გვიან ღამით, როგორც კი ბოლო მეზობელი გაისტუმრეს, ლონდამ დაღლილ-დაქანცული და ემოციებისგან საბოლოოდ დაცლილი დეა დასამინებლად გაისტუმრა, თავად სუფრა აალაგა, ოთახი ფაცხაფუცხით გამოგავა, მერე, როგორც კი ოდნავ სული მოითქვა, ტელეფონს ეცა და თავისი საყვარლის — კაკოს ნომერი აკრიბა.

ელენეს ლოგინში ჩაწოლილმა დეამ დედისეული ბალიში გვარიანად დაასველა ცრემლებით, შემდეგ, ლოგინში ბავშვივით მოიკუნტა, საბანი თავზე წაიფარა და მკვდარივით ჩაეძინა. გამთენიისას კი, უცნაური სიზმარი ნახა.

...დეა სიზმარშიც ელენეს ლოგინში იწვა, ოღონდ — საწოლი რაღაც უცნაურად ამაღლებულიყო. მის გვერდით, ტუმბოზე, ერთადერთი, თაფლის სანთელი ენთო და მისი მკრთალი შუქი დეას მძინარე სახეს ლიცლიცით ეფინებოდა. უცბად, საიდანღაც ოთახში ცივი ჰაერი შემოიჭრა და სანთელი ჩაქრო. ირგვლივ უკუნი სიბნელე ჩამოწვა. დეას მაშინვე გამოეღვიძა, მაგრამ შიშით თვალის გახელა ვეღარ გაბედა. შემდეგ იგრძნო, რომ თავზე ვიღაც წამადგა და მაშინვე მისი აჩქარებული სუნთქვაც მკაფიოდ გაიგონა.

შიშით საბოლოოდ გამტკნარებულმა დეამ თვალის გახელა სცადა, მაგრამ იგრძნო, რომ ქუთუთოები ტყვიასავით დამძიმებოდა. შემდეგ ლოგინზე წამოჯდომა მოინდომა, მაგრამ სხეული არაფრით დაემორჩილა. ბოლოს, დაყვირება სცადა, მაგრამ პირიც ვერაფრით გააღო და ის იყო, საბოლოოდ დაზაფრულს, გული უნდა შელონებოდა, რომ უცბად, თვალები რაღაც ძალამ ფართოდ გაახელინა და ადამიანის უცნაურად მოკაშკაშე სილუეტი დაინახა. დეა მაშინვე მიხვდა, რომ მის წინ დედამისი იდგა, უფრო სწორად — მისი უცნაური ანარეკლი თუ აჩრდილი, რომელიც მთელ სიმაღლეზე შემოვლებული, პაწაწინა მანათობელი წერტილების წყალობით, უკუნ სიბნელეში სრულიად მკაფიოდ მოჩანდა.

— დედა, დედიკო... — ამოიკვნესა დეამ. — რატომ მიმატოვე?.. რატომ მომიკვდი?..

უცბად „აჩრდილმა“ მანათობელი ხელი ჰაერში ისე აღმართა, თითქოს დეას ანიშნა — გაჩუმდიო, — შემდეგ მისკენ დაიხარა, „ხელი“ ბალიშქვეშ შეაცურა, იქიდან რაღაც გამოიღო, დეას ბალიშზე დაუდო და უკვალოდ გაქრა... აჩრდილის გაქრობა და სანთლის ხელახლა ანთება ერთი იყო. გაოგნებულმა დეამ მაშინვე ბალიშს დახედა და გრძელ თასმაზე შებმული, პაწაწინა ოქროსფერი თუ სულაც, ოქროს გასაღები დაინახა. დეამ გასაღებს ხელი წაატანა თუ არა, კიდეც გამოეღვიძა და ირგვლივ დამფრთხალმა მიმოიხედა. ოთახში ჯერ კიდევ ბნელოდა, ამიტომ თავიდან, იმასაც კი ვერ მიხვდა, თუ სად იმყოფებოდა... შემდეგ, როცა გამოერკვა და ოდნავ დამშვიდდა კიდეც, ისევ ბალიშზე მიესვენა და ცოტა ხნის წინ ნანახი სიზმრის ყველა დეტალი ისევ თვალწინ დაუდგა.

— ღმერთო, ნეტავ, ეს ყველაფერი რას უნდა ნიშნავდეს?! — წაიჩურჩულა შემდეგ და სანამ პასუხად თავში თუნდაც ერთი აზრი გაურბენდა, ისევ მკვდარივით ჩაეძინა.

თითქმის ნაშუადღევს გამოღვიძებულ დეას, სასტუმრო ოთახიდან ლაპარაკის ხმა შემოესმა და მაშინვე ფეხზე წამოხტა, თავი ოდნავ მოიწესრიგა და სამინიბლის კარი ნელ-ნელა გამოაღო.

სასტუმრო ოთახში გიგოლა, ლონდა და კაკო ესხდნენ მაგიდას. გიგოლა დუმდა, ლონდა და კაკო კი, რაღაცაზე გაცხარებით კამათობდნენ. ძირითადად, ცხადია, ლონდა ქაქანებდა,

კაკო კი, შიგადაშიგ, რაღაცას გაურკვევლად ჩაურთავდა ხოლმე. დეას დანახვაზე, ორივე სასწრაფოდ დადუმდა. დეასკენ ზურგით მჯდარმა გიგოლამ კი, მაშინვე უკან მოიხედა და ფეხზე წამოდგა:

— იმდენი იყაყანეთ, რომ დეაც გააღვიძეთ, ხომ? — დატუქსა მან უკვე ხმაგაკმენდილი საყვარლები.

— კიდევ კარგი, რომ გამაღვიძეს, — გაშლილ სუფრასთან ჩამოჯდა დეაც, — თორემ, ისეთი ძილქუში მქონდა დაცემული, იქნებ, საერთოდაც აღარ გამომღვიძებოდა...

— ჩემს მტერს აღარ გაეღვიძოს, დეიკო! — მაშინვე, ისევ აქაქანდა ლონდა. — მიდი, ხელპირი დაიბანე და შემოგვიერთდი. ყავა მოგიდუღო თუ ჩაის დალევ?

— რა ვიცი, აბა... — ბავშვივით აიჩეჩა მხრები დეამ. — ჩემთვის სულერთია...

— მაშინ ყავას მოგიდუღებ, უფრო მალე მოგამაგრებს... — დაასკვნა ლონდამ და სამზარეულოში გავარდა. დეამ სუფრის წევრებს კიდევ ერთხელ გადახედა და საბაზანოსკენ წავიდა. უკან შემობრუნებულს, ლონდამ ქაფქაფა ყავით სავსე ფინჯანი მოურბენინა. დეას, ყავა მართლა ეამა და ყველი და პურიც გემრიელად მიაყოლა...

როგორც კი ლონდამ სუფრა აალაგა, გიგოლამ ჯიბიდან ოთხად გაკეცილი ფურცელი ამოიღო და მის პირდაპირ მჯდარ დეას თვალი თვალში გაუყარა:

— ახლა კი საქმესაც მივხედოთ...

— რა საქმეს? — გაუკვირდა დეას.

— აი, ამას, — ფურცელი გაუწოდა გიგოლამ.

— ეს რაღაა? — ჰკითხა დეამ.

— მამაშენის ხელწერილი, — მშვიდად მიუგო გიგოლამ.

— რ-რა-ა? — თვალები გაუფართოვდა დეას, შემდეგ ფურცელი გაშალა, მამის გაკრული ხელი მაშინვე იცნო და სტრიქონებს სწრაფად გადაურბინა.

— ეს... ეს... რა არის ეს?.. — მიუბრუნდა შემდეგ გიგოლას.

— აკი გითხარი — მამაშენის ხელწერილი-მეთქი: დედაშენის ანდერძით მიცემულ ნახევარზე უარს ამბობს...

— კი, მაგრამ... — საბოლოოდ გაოგნდა დეა, — თქვენ ასე უცბად, ან მამაჩემი სად ნახეთ, ან დედაჩემის ანდერძის ამბავი როგორღა გაიგეთ?!

— ჩიტმა მომიტანა ამბავი, — გაეღიმა გიგოლას.

— ბატონო გიგოლა, — აღშფოთდა დეა, — მე ნამდვილად არ მეხუმრება.

— არც მე, — მოუჭრა გიგოლამ, შემდეგ ფურცელი გამოართვა, ფრთხილად დაკეცა და გულის ჯიბეში შეინახა. — ხვალ ამ ყველაფერს ნოტარიუსთანაც დავამოწმებთ და, როგორც რუსები იტყვიან: пошли-поехали...

— კი, მაგრამ თქვენ ვინ მოგცათ ამის უფლება?! — ნერვიულობისგან ხმა ისევ ჩაუწყდა დეას. — ეს ხომ მხოლოდ ჩვენი ოჯახის საქმეა!..

— რომელი ოჯახის?.. სადღა გაქვს ოჯახი?.. დედაშენი მიწაშია, ძმა — ციხეში, მამაშენი კი, უსინდისოდ აწერავს დაობლებულ შვილებს ბოლო ლუკმას... ამას შენ ოჯახს ეძახი?! — მაგიდას მუშტი დაჰკრა გიგოლამ.

მოულოდნელობისგან დეა ისე შეხტა, რომ ინსტინქტურად უკანაც კი გადაქანდა, შემდეგ სახეზე ხელები აიფარა და აქვითინდა... ლონდა და კაკო მაშინვე ფეხზე წამოხტნენ. გიგოლამ თვალით ანიშნა — აქედან მოწყდითო, — და დამფრთხალი საყვარლებიც ოთახიდან უკვალოდ გაქრნენ.

— კარგი, კარგი, — დაუყვავა შემდეგ გიგოლამ დეას. — ნამდვილად ზედმეტი მომივიდა, ბოდიშს გიხდი... მოდი, ახლა, ცოტა დამშვიდდი და ისე ვილაპარაკოთ.

— მე თქვენთან სალაპარაკო აღარაფერი მაქვს! — ცრემლიანი თვალები შეანათა დეამ გიგოლას.

— ხომ გითხარი, ბოდიშს გიხდი-მეთქი... მოდი, შევრიგდეთ და ისევ საქმეს მივხედოთ, კარგი?..

— კარგი, — როგორც იქნა, დაყაბულდა დეა. — მაშინ, ჯერ ის მითხარით, ანდერძის ამბავი ვინ გითხრათ, ან მამაჩემი სად ნახეთ?

— პირდაპირ სახლში მივადექი, — პირველი კითხვა უპასუხოდ დატოვა გიგოლამ.

— ესე იგი, საკუთარი თვალით ნახეთ, როგორც ცხოვრობს, ხომ?

— კი. ვნახე და მაგის ტყავში ყოფნას ნაღდად არ ვინატრებდი. მაგრამ ეგ რა შენი და თემოს გადასახდელია?!.

— თემო მამაჩემს დასანახად ვეღარ იტანს...

— ვიცი. სულ იმუქრებოდა: ციხიდან რომ გამოვალ, ერთი გემრიელად უნდა ვჟეჟოო. ახლა, ამ ამბავს რომ გაიგებს, ალბათ მგასაც არ აკმარებს...

— არა, არა, — შეშფოთდა დეა, — თემომ არაფერი არ უნდა გაიგოს, თორემ შეიძლება...

— შეიძლება კი არა, ნამდვილად მოკლავს... — მშვიდად მიუგო გიგოლამ. — და მაშინ მამაშენს ნორჩი ცოლ-შვილი სულ ულუკმაპაუროდ დარჩება... ამიტომ ურჩევნია, ამ სახლზე ოცნებას შეეშვას...

— მერე დედაჩემი? — სევდიანად ჰკითხა დეამ.

— რა დედაშენი? — ვერ გაიგო გიგოლამ.

— მის უკანასკნელ სურვილს რაღა ვუყო? არ შევუსრულო და საფლავში აღარ მოვასვენო?..

— სხვა გზა არა გაქვს, — ისევ მშვიდად მიუგო გიგოლამ. — ვარიანტი არ არის, დედაშენს, ან მამაშენის სიკვდილი ენატრა, ან თემოს „სროკის“ გაზრდა... არადა, თუ მის ანდერძს აასრულებთ, ერთიც გარანტირებული გაქვთ და მეორეც...

— ღმერთო, რა დაგიშავე?! — თავი ხელებში ჩარგო დეამ. — დედის სიკვდილი არ მეყოფოდა, ეს თავსატეხიც რომ არ დაგემატებინა?..

— კარგი, ჯანიც გავარდეს! — ცოტა ხნის ყოყმანის შემდეგ, მაგიდას მუშტი ენერგიულად დაჰკრა გიგოლამ. — ისე გავაკეთებ, რომ დედაშენის სურვილიც ასრულდება და ეს სახლიც არ გაიყიდება.

— ამას როგორღა მოახერხებთ?! — გაოცება ვეღარ დამალა დეამ.

— აი, ეს კი უკვე მხოლოდ ჩემი საქმეა...

— ბატონო გიგოლა, — შუბლი შეიკრა დეამ. — რაიმე საშინელება არ ჩაიდინოთ...

— ნამდვილად არ ვიცი, შენ საშინელებას რას ეძახი, მაგრამ „ატვეჩაი“ ვარ, რომ არც კაცს მოვკლავ და არც ვინმეს „მოვწველი“... და საერთოდ — ერთადერთი, ვინც ამ „სდელ-კისას“ დაზარალდება, ისევ მე ვიქნები...

— თქვე-ენ?

— ჰო, მე... ოღონდ, ერთი პირობა შენც უნდა მომცე.

— მაინც რა? — შეკრთა დეა.

— თუ ყველაფერი კარგად მოყომარდა, შენობით მელაპარაკე და „პროსტო“ გიგოლა დამიძახე, კარგი?

— კარგი, — თავი ბავშვივით მორჩილად დაუქნია დეამ.

მეორე დილით, ადრიანად გამოღვიძებულმა დეამ მაშინვე ლოგინის ალაგება დაიწყო და როგორც კი ბალიში ჰაერში ერთი-ორჯერ ააბურთავა, ბალიშის პირი გაიხსნა და გრძელ შავ თასმაზე შებმული, პატარა ოქროსფერი გასაღები გამოვარდა...

— აი, ახლა კი მართლა გავგიჟდები... — საწოლზე მოწყვეტით ჩამოჯდა აკანკალებული დეა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

უმა თურმანი

ჰოლივუდის ყველაზე პარადოქსული ვარსკვლავი

პოსტმოდერნისტული ბოევიკის – „ბილი უნდა მოკვდეს“ სცენარის დამთავრებისთანავე, კვენტინ ტარანტინომ თავისი ახალი ქმნილება უმა თურმანს გაუგზავნა. მთავარი გმირის როლი, ტარანტინომ სპეციალურად თურმანისთვის დაწერა – ეს გახლდათ დაქირავებული მკვლელის, მეტსახელად პატარძლის როლი, რომელიც თავის ბოს-საყვარელზე სასტიკად ძიობდა შურს. სიუჟეტის მიხედვით, მთავარ გმირს თითქმის ყველა სახის იარაღით უწევდა ბრძოლა, მათ შორის, სამურაის ხმლით, რომლის მეშვეობითაც ის კილერთა მთელ ურდოს ამარცხებდა. ამასთან გმირს ძალზედ სახიფათო სიტუაციებში საოცარი მოხდენილობა და მოხერხებულობა უნდა გამოევლინა.

უმა თურმანის უარმა საგონებელში ჩააგდო რეჟისორი. მსახიობმა განაცხადა, რომ მისთვის უდიდესი პატივი იქნებოდა ტარანტინოს ფილმში გადაღება, მაგრამ სწორედ ერთი კვირის წინ შეიტყო საკუთარი ორსულობის შესახებ. ამიტომ უახლოეს წელიწად-ნახევარში იგი ამ პროექტში მონაწილეობას ვერ მოახერხებდა.

სტუდიების წარმომადგენლები აჩქარებდნენ ტარანტინოს, ისინი გადაღებების სასწრაფოდ დაწყებას მოითხოვდნენ. მთავარ როლზე კი, ჰოლივუდის ყველაზე ცნობილ ვარსკვლავებს სთავაზობდნენ, მაგრამ რეჟისორი გაჯიუტდა: უმა თურმანის გარეშე ის თავისი ახალ ფილმის გადაღებას არ აპირებდა. მისი ხათრით იგი წელიწად-ნახევრის განმავლობაში ლოდინზეც თანახმა იყო!

სამაგიეროდ, როცა ბოლოს და ბოლოს, გადაღებები მაინც დაიწყო, ნათელი გახდა, რომ ტარანტინო არჩევანში არ შემცდარა. 2002 წლის შემოდგომაზე, გადასაღებ მოედანზე მისულმა ჟურნალისტებმა ხოტბა შეასხეს უმა თურმანის „მომაკვდინებელ ვნებიანობას“ და ფილმს უდიდესი წარმატება უწინასწარმეტყველეს.

დღეისათვის, სურათის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი შედარებით დაცხრა. ბოევიკის გადაღებები დამთავრდა, სპეცეფექტებზე მუშაობა გრძელდება, პრემიერას წლის ბოლოსთვის, „ოსკარების“ სეზონის წინ ელიან. გამორიცხული არაა, რომ მომავალ წელს უმა თურმანის სახელი კვლავ გამოჩნდეს ნომინანტების სიაში. 2003 წელს კი, მსახიობი მხოლოდ „ოქროს გლობუსის“ სატელევიზიო განყოფილების ჯილდოთი დაკმაყოფილდება, რომელიც მან ტელეფილმ „ისტერიკულ სიბრმავეში“ საუკეთესოდ შესრულებული როლისათვის მიიღო.

უმა თურმანი – ჰოლივუდის ყველაზე პარადოქსული ვარსკვლავი, ტიპური ინტელექტუალი, დიდი სიამოვნებით თანხმდება „მდაბალი ჟანრების“ ფილმებში მონაწილეობაზე. ამასთან, რეგულარულად უმართლებს: „კრიმინალური წყვილი“, „ბარონ მიუნჰაუზენის თავგადასავალი“, „გატაკა“ კინემატოგრაფის უმნიშვნელოვანეს საეტაპო ფილმებად იქცა.

უმას მოდის კანონმდებლის პრეტენზია არასოდეს ჰქონია, მაგრამ მას ყოველთვის დახვეწილი სტილის სამაგალითო მსახიობად ასახელებენ. „ოქროს გლობუსით“ დაჯილდოების ცერემონიაზე თურმანი საზღვაო, ღია ფეხსაცმელში გამოწყობილი მივიდა. მართალია, ლამაზ, ელეგანტურ, მაგრამ მაინც საზღვაო ფეხსაცმლით, რაც თავისთავად ჰოლივუდური ეტიკეტის აბუჩად აგდება გახლდათ. როგორ გგონიათ, რა მოჰყვა ამას? მისი საზღვაო ფეხსაცმელი მთელმა ჰოლივუდმა მსგავს ცერემონიებზე შედარებით არაფორმალური ქცევის სტილის დამკვიდრების მცდელობად აღიქვა!

უმა თურმანს ხშირად ადარებენ ჰოლივუდის ოქროს ეპოქის ვარსკვლავებს – გრეტა გარბოს, მარლენ დიტრიხს, ლორენ ბეკოლს. მის სილამაზეს იდუმალსა და მიუწვდომელს უწოდებენ, მის თვალებს – სფინქსის თვალებს, მის ღიმილს – ღვთისმშობლის ღიმილს. ის, ერთ-ერთია იმ მცირერიცხოვან ვარსკვლავს შორის, ვისაც არა მარტო კინომანები ეთაყვანებიან (ეს სრული-

ად ბუნებრივია), არამედ როკერებიც: უმა თურმანს ეძღვნება კომპოზიციები „უმა“ (ჯგუფი Majesty Crush) და „უმა-14-ჯერ“ (ჯგუფი Zoinks!).

უმა თურმანის უნიკალობა ალბათ მისმა წარმომავლობამაც განაპირობა. თურმანების ოჯახის ამბები იმდენად საინტერესოა, რომ მასზე საპნის ოპერის, პოლიტიკური ტრილერის ან სოციალური დრამის გადაღებაც კი არის შესაძლებელი.

უმას ბებია დედის მხრიდან – ბრიგიტ ჰოლმკვისტი, ცნობილი შვედი მენატურე გახლდათ. შვედეთის ქალაქ ტრელებორგში მისი ვეებერთელა, შიშველი ქანდაკება დგას. XX ს-ის 30-იანი წლების ბოლოს, ბრიგიტს ვესტფალსკელი ბარონი კარლ ფონ შლებრიუგე შეუყვარდა, რომელიც სულ მალე, ციხეში მოხვდა თავისი მეგობარი ებრაელების დახმარების მცდელობის გამო. საპყრობილიდან მის დასახსნელად ბრიგიტმა უამრავი ფული გადაიხადა, ამის შემდეგ კი, წყვილმა საზღვარი გადალახა და მექსიკაშიც გაიქცა. სწორედ იქ დაიბადა უმას დედა – ნენა ჰოლმკვისტი. გოგონა ჯერ სამხრეთ ამერიკაში, შემდეგ კი ჩინეთში იზრდებოდა... მაგრამ ბოლოს და ბოლოს, ბრიგიტი ბარონს დაშორდა და შვილთან ერთად შვედეთში დაბრუნდა.

ნენა სკოლას ამთავრებდა, როცა მას ცნობილ ფოტოგრაფ ნორმან პარკინსონისათვის (რომელიც ბრიტანული ჟურნალი Vogue-ისთვის ფოტოებს არჩევდა) პოზირება შესთავაზეს.

16 წლის ნენა უშიშრად შეეგება თავგადასავლებით აღსავსე ცხოვრებას: თავდაპირველად ლონდონში გაემგზავრა, შემდეგ კი, აშშ-ში გადაბარგდა. სალვადორ დალი მოხიბლული იყო მისით, ენდი უორჰოლი მას შემოქმედის გვირგვინს უწოდებდა. სულ მალე ნენა მანჰეტენის ბოჰემურმა წრეებმა საკუთარ რიგებში მიიღეს. 1964 წელს ის ცოლად გაჰყვა კონტრკულტურის იდეოლოგს ტიმოთი ლირს, რომელიც მასზე 20 წლით უფროსი იყო. მოკლე ხანში კი, ნენამ უმას მომავალი მამა, ბობ თურმანიც გაიცნო.

ბობი ცნობილი ამერიკელი თეატრის მსახიობის – ელიზაბეტ ფარარის ვაჟიშვილი გახლდათ. მან ჰარვარდის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ახალი სულიერი ღირებულებების ძებნის მიზნით, ინდოეთში გამგზავრება გადაწყვიტა. იქ მან დალაი-ლამა გაიცნო, შეისწავლა ტიბეტური ტრადიციები და ბოლოს, ბუდისტურ ტაძარში ბერადაც აღიკვეცა.

მონასტერში ბობმა რამდენიმე წელი გაატარა, შემდეგ კი სამშობლოში დაბრუნდა. აღმოსავლური რელიგიების თაობაზე ლექციების წასაკითხად, ის მაშინვე მიიწვიეს სულიერი აღორძინების ცენტრში, რომელსაც ტიმოთი ლირი ხელმძღვანელობდა. გადაპარსული თავითაც კი, ბობმა ნენაზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. ის გაშორდა ქმარს, ბობი კი მონასტრის აკრძალვებისაგან გათავისუფლდა და 1966 წელს წყვილმა იქორწინა.

მათ ოთხი შვილი შეეძინათ. 1970 წელს დაბადებული უმა ოჯახში მესამე შვილი გახლდათ. მისი სახელი სანსკრიტზე „კურთხეულს“, „განდობილს“ ნიშნავს.



ნენამ თავიდანვე გადაწყვიტა, რომ შვილები დამოუკიდებელ და თავისუფლებისმოყვარე ადამიანებად აღეზარდა. თუმცა ოჯახის მეგობრები ყოველთვის გაკვირვებულნი იყვნენ ნენას ლიბერალური აღზრდის მეთოდით.

მთელი ამ ხნის მანძილზე, ბობ თურმანისთვის ინდოეთი კვლავაც აღთქმულ ქვეყნად რჩებოდა. ოჯახი ორჯერ გაემგზავრა ტიბეტის მოსალოცად – პირველად, როცა უმა სულ პატარა გახლდათ, მეორედ კი, გოგონა 11 წლის იყო. უმა ფილოსოფოსების, სტუდენტებისა და ტიბეტიდან ლტოლვილთა გარემოცვაში იზრდებოდა.

ჯერ კიდევ სკოლაში სწავლისას უმამ გააცნობიერა, რომ ის ისეთი არ არის, როგორიც ყველა, – ძალზედ ჭკვიანია და ძალზედ... უშნო. ჯოხივით წვრილი აღნაგობის გოგონას, წაგრძელებული კიდურები საოცრად მოუხეშავ იერს აძლევდა – ასეთი იყო უმა მოზარდობის ასაკში. 15 წლისამ კი, თანაკლასელების გამუდმებული დაცინვით თავგაბეზრებულმა გოგონამ, სკოლისათვის თავის დანებება გადაწყვიტა.

დედას წინააღმდეგობა არ გაუწევია, როცა ქალიშვილმა გამოუცხადა, რომ სკოლიდან წამოსვლა და ცხოვრებაში თავისი მოწოდების პოვნა ჰქონდა განზრახული. ალბათ მხოლოდ ძალზედ გაბედულ დედას შეუძლია 15 წლის ასაკში ქალიშვილს დამოუკიდებლად ცხოვრების უფლება მისცეს, მაგრამ ყველას გასაკვირად, ნენა სწორედ ასეთი დედა აღმოჩნდა. ძველმა მეგობრებმა მის ქალიშვილს სამოდელო საგენტოში რეკომენდაცია გაუწიეს. სულ მალე, უმას ფოტოსურათები მოდის ჟურნალების გარეკანზეც გამოჩნდა.

16 წლისამ კინოასპარეზზეც სცადა ბედი და მცირებიუჯეტიან ტრილერში – „აკოცე მამას ძილის წინ“ პირველი როლიც მიიღო. იგი შეამჩნიეს და უფრო პრესტიჟულ პროექტებში მიიწვიეს.

ცნობილი რეჟისორი ტერი გილიემი დიდი ხნის მანძილზე ეძებდა ქალღმერთ ვენერას როლის შემსრულებელს ფილმისათვის „ბარონ მიუნჰაუზენის თავგადასავალი“, მაგრამ როგორც კი თვალი მოჰკრა უმას, მიხვდა, რომ ვენერა ნაპოვნი ჰყავდა.

ამ დროისათვის ნენას ეჭვი გაუჩნდა, რომ შესაძლოა, მის ლიბერალური აღზრდის მეთოდს სათანადო ნაყოფი არ გამოეღო... მით უმეტეს, მეგობრები განუწყვეტლივ იმას ჩასჩიჩინებდნენ, რომ გოგონა ბოჰემური გარემოსთვის უნდა ჩამოეშორებინა. პირველივე ჰონორარების აღების შემდეგ,

უმა ფასიან სკოლაში ჩაეწერა, სადაც დაუსწრებლად განაგრძო სწავლა. ნენა დიდხანს ყოყმანობდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, გადასაღებ მოედანზე დაურეკა შვილს და ჰკითხა, ხომ არ აპირებდა შინ დაბრუნებას და ჩვეულებრივი სკოლის დამთავრებას.

ბედის ირონიით, მის ქალიშვილს სწორედ იმ მომენტში იღებდნენ სცენაში, როცა ქალღმერთი ვენერა სრულიად შიშველი ამოდის ზღვის ქაფიდან. „გვიანია, დედიკო, – უპასუხა უმამ. – მე უკვე გავიხადე. უკან დასახევი გზა მოჭრილია.“

1988-90 წლებში მსახიობი სამ სექსუალურად ზედმიწევნით დამუხტულ როლში გადაიღეს („ბარონ მიუნჰაუზენის თავგადასავალი“, „სახიფათო კავშირები“ და „ჰენრი და ჯუნი“) და უმას სექს-ქალღმერთის იარლიყიც მიეკერა. სულ მალე კი, თურმანს პირველი სიყვარულიც ეწვია.

1990 წელს უმამ ინგლისელი მსახიობი – გერი ოლდმანი გაიცნო. მაშინ ის 18 წლის გახლდათ, გერი – 30-ის. ამერიკაში გერისთვის ახალი ცხოვრება იწყებოდა: ვეებერთელა ჰონორარები, ძვირად ღირებული სასტუმროები, მდიდრული ლიმუზინები... მისთვის უმა ამ ლამაზი, ფერადოვანი ცხოვრების განსახიერებად იქცა.

ყოველდღე იგი უმას საოცარი ხუმრობებით ართობდა. მაგალითად, ერთხელ, უმასთან დანაძლევებული ოლდმანი ქალის სამოსში გამოეწყო და თურმანთან ერთად საჩაიეში წავიდა, სადაც თავს ადგილობრივი ჭორიკნები იყრიდნენ. მათ საჩაიეში ორი საათი დაყვეს, ცნობილ ადამიანებზე უამრავი ახალი ჭორი მოისმინეს და ისე დატოვეს იქაურობა, რომ ოლდმანის ქალობაში ეჭვი არავის შეუტანია. ამ

უმა თურმანი ეტან ჰოუკთან ერთად



შემთხვევამ უმა იმდენად გაამხიარულა, რომ კინაღამ სიცილისაგან გაიგუდა. მეორედ გერიმ პოლიტიკური გადაცემის მთელი მსვლელობა თავად გაითამაშა და ყველა ცნობილი მოღვაწის ხმით ლაპარაკობდა.

რამდენიმე თვის ნაცნობობის შემდეგ ოლდმანმა თურმანს გული და ხელი შესთავაზა. ისიც უყოყმანოდ დათანხმდა. „ეს ჩემი პირველი, ნამდვილი სიყვარული გახლდათ, – თქვა მსახიობმა რამდენიმე წლის შემდეგ. – დიახ, ეს შეცდომა იყო – მერე რა? არაფერს ვნანობ. გერი გენიალური მსახიობი და გენიალური ადამიანია. ჩვენ სიგიჟემდე გვიყვარდა ერთმანეთი და ეს სიგიჟე ადრე თუ გვიან, უნდა დამთავრებულიყო“.

მხოლოდ ქორწინების შემდეგ შეიტყო უმამ, რომ მისი მეუღლე ალკოჰოლიზმით იყო დაავადებული. ყმაწვილობისას უმამობამ გერი ადგილობრივ პაბში მიიყვანა, სადაც ის მალე შეეჩვია სპირტიანი სასმელების სმას. იმხანად ოლდმანი საოცრად კარგად უკრავდა ფორტეპიანოზე, მაგრამ მუსიკალურ კარიერაზე უარი მხოლოდ იმიტომ თქვა, რომ ხელები ძლიერ უკანკალებდა. ამიტომ სამოღვაწეოდ სამსახიობო ასპარეზი აირჩია.

უმამ თავიდან ვერ გააცნობიერა, რომ ქმრის ალკოჰოლიზმი ნამდვილი დაავადება იყო. თანაც პირველ ხანებში ის და გერი საყვარლებივით ცხოვრობდნენ: ბევრს მუშაობდნენ, იშვიათად ხვდებოდნენ ერთმანეთს, ხოლო როცა ხვდებოდნენ, უმა პატარა ბავშვივით ელოლიავებოდა ოლდმანს.

ოფიციალური ქორწინების 18 თვის მანძილზე, მათ ერთად სამიოდე თვე თუ გაატარეს: მუდმივი მოგზაურობები, გადაღებები სხვადასხვა კონტინენტზე, სარეკლამო კამპანიები, ისევ გადაღებები. ისინი წყნარად და ყოველგვარი აჟიოტაჟის გარეშე გაიყარნენ. ამ ქორწინებამ და გაყრამ უმას მძიმე სულიერი ტრავმა მიაყენა, რომლის მოშუშებასაც საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა.

მხოლოდ 1996 წელს იპოვა თურმანმა კვლავ ნამდვილი სიყვარული. მისი პარტნიორი ფილმში „გატაკა“ – ეტან ჰოუკი ერთი წლით მასზე უმცროსი გახლდათ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მასაც საკმაოდ შთამბეჭდავი დოსიე ჰქონდა: თამაშობდა ფილმებში „მკვდარი პოეტების საზოგადოება“, „რეალობა იკბინება“, „განთიადამდე“; ნიუ-იორკში დააარსა თეატრალური დასი Malaparte, დაწერა რომანი „ყველაზე ცხელი მდგომარეობა“.

ჰოუკი, რომელიც ჰოლივუდის საზოგადოებისათვის საკმაოდ არასტანდარტულ პიროვნებად გამოიყურებოდა, თავდაპირველად, ერიდებოდა სექსის ქალღმერთად წოდებულ პარტნიორს, მაგრამ უმამ იაქტიურა და ჰოუკსაც სხვა გზა აღარ დარჩენოდა და ის ვახშამზე რესტორანში დაპატიჟა. რესტორანში თურმანმა ეტანი გააკვირვა 12 ენაზე სადილის შეკვეთის ცოდნით, ჰოუკმა კი თავის მხრივ – ღრმა ლიტერატურული ერუდიციითა და კინოსადმი არასერიოზული დამოკიდებულებით.

ოფიციალური ჯვრისწერა 1998 წლის მაისში შედგა, როცა მათი პირველი გოგონას დაბადებამდე ორი თვეღა რჩებოდა. ცერემონია საკმაოდ პომპეზური გახლდათ: თურმანი მანჰეტენის ნეოგოტიკურ ტაძარში ლიმუზინით მიბრძანდა, რომელსაც ესკორტად ხუთი პოლიციის მანქანა ახლდა. პრესა ქორწილზე არ მიუწვევიათ, ამით განაწყენებულმა ჟურნალისტებმა თავდაპირველად განაცხადეს, რომ თურმანისა და ჰოუკის ქორწინება იძულებითი გახლდათ. მაგრამ ქორწილის მონაწილეებმა ეს ბრალდება უარყვეს. ეკლესიის მსახურებმა განაცხადეს, რომ სასიძომ ყვავილების ურიცხვი რაოდენობა შეუკვეთა და ჯვრისწერის დროს მთელი ტაძარი იის ნაზი სურნელით იყო გაჟღენთილი. ჯვრისწერის ცერემონიის დამთავრების შემდეგ კი, მღვდელმა აღნიშნა, რომ ეს ამქვეყნად ყველაზე ბედნიერი წყვილი გახლდათ.

ქორწილის შემდეგ თურმანმა დიასახლისობას მიჰყო ხელი. ახალნაყიდი სახლის მოწყობა საკუთარ თავზე აიღო, რათა ბავშვის დაბადებამდე ყველაფერი მოესწრო. ნიუ-იორკის ბინაში, სადაც მანამდე ეტანი და უმა ცხოვრობდნენ, ამ უკანასკნელის თქმით, იმის ადგილიც კი არ იყო, რომ სადმე ბავშვის საწოლი დაედგათ. ჰოუკი სახლის რემონტსა და მოწყობაში ცოლს ვერ ეხმარებოდა, რადგან კანადაში გადაღებებზე იმყოფებოდა. სახლში ყველაფერი უმას უშუალო ხელმძღვანელობით გაკეთდა.

უმა თურმანი ჰოლივუდის წესებით არასოდეს თამაშობდა. მაშინ, როცა თავისი კარიერის მწვერვალზე იმყოფებოდა და საოცრად პრესტიჟულ პროექტებში მონაწილეობას სთავაზობდნენ, მან ამას ქალიშვილის – მაია რეის გაჩენა ამჯობინა, ხოლო როცა გოგონა ცოტა წამოზარდა, ვაჟიშვილი – როუნიც მიაყოლა. დღესდღეობით მსახიობი ირწმუნება, რომ დიდი სიამოვნებით გააჩენს მესამე შვილსაც და კინოში კიდევ ერთი დიდი შესვენების საწინააღმდეგო არაფერი აქვს.

„ძალიან მომწონს ჩვეულებრივი დიასახლისის როლში ყოფნა, – ამბობს უმა, – ბავშვებთან ურთიერთობა საოცრად მსიამოვნებს, მიყვარს ბაღში მცენარეების მოვლა, კითხვა, მუსიკის მოსმენა. ამით ჰარმონიის მოპოვება შეეძელი“.

■

აკაკი გეგენავა

როცა ციხეში გეუბნებიან – Welcome to America

როცა ვინმე ტრაგიკომიკურ სიტუაციას ახსენებდა, ყოველთვის გაოცებული ვიყავი. ჩემი აზრით, ძალიან ძნელი წარმოსადგენი იყო, ადამიანი ერთსა და იმავე დროს მტირალიც ყოფილიყო და მოცინარიც, მწუხარეც და ხალისიანიც, მაგრამ ამერიკულმა საპყრობილემ დამარწმუნა, რომ ცხოვრებაში ზოგჯერ ისეთი მოულოდნელი რამ შეიძლება შეგემთხვეს, რომლის წარმოდგენაც კი შეუძლებელია.

ტრაგიკომედია იყო, აბა, რა — როცა ნარკოტიკი მხოლოდ ფილმებში ან სატელევიზიო კრიმინალურ სიუჟეტებში თუ მენახა და ამ დროს, ბრალი მედებოდა ნახევარი კილოგრამი ჰეროინის შენახვა-გადაზიდვაში! რაღა კაცის მკვლელი და რაღა ნარკოდილერი! მოკლედ, იმხელა ხათაბალაში გავეხვიე, სულ თავბედს ვიწყევლიდი. თანაც ისიც ხომ მშვენივრად ვიცოდი, რომ ამერიკაში კანონთან ხუმრობა არ უყვართ.

მართლაც, იმ პერიოდში, ჩემზე უბედური არავინ მეგულებოდა. არც არავის და არაფრის იმედი მქონდა. ახლა, ჩემი მომავალი რაღაც სასწაულზე იყო დამოკიდებული. სასწაული კი, მოგეხსენებათ, ხშირად როდი ხდება! თანაც გონება ისე მქონდა შიშისგან დაბინდული, რომ არც მშველელი მეგულებოდა ვინმე. რომ იტყვიან, ჰაერში ვიყავი გამოკიდებული — არც აქეთ — არც იქით...

ცემას უნდა გაუძლოო, – მითხრეს და... მეც გავუძელი!..

საკანში, სადაც ისე ბნელოდა, რომ შეუჩვეველი თვალი ძნელად გაარჩევდა, თუ რა ხდებოდა, ჩემ გარდა, კიდევ ხუთნი იყვნენ. ორი ზანგიდან ერთი ათლეტური აღნაგობისა იყო, თანაც საკუთარ ძალაში დარწმუნებული — ყველას ზემოდან უყურებდა; მეორე — ჩია და გამხდარი, პირველის ნამდვილი ანტიპოდი. სამ თეორკანიანს შორის ერთი, აშკარად ლოთი იყო — სახე შეშუპებოდა და ისეთი უაზრო გამოხედვა ჰქონდა, მგონი, რომ გვიყურებდა, ვისკის ბოთლებად აღგვიქვამდა... დანარჩენი ორი, სერიოზული კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა; თავიანთ ნაჭუჭში იყვნენ შეყუჟულები და გარეთ რა ხდებოდა, არ აინტერესებდათ.

გაცნობა, როგორც საერთოდ, საკანში ხდება ხოლმე, იმით დაიწყო, რომ თავი ყველას უდანაშაულოდ წარვუდგინე. მათაც „დამიჯერეს“, რომ ციხეში მხოლოდ „კაი ბიჭები“ ხვდებიან და ამასობაში დაღამდა კიდეც.

არც მახსოვს, როგორ ჩამეძინა ულეიბო და უხეშ საწოლზე... ღამით რამდენჯერმე გამეღვიძა, მაგრამ თვალი არც გამიხელია — არ მინდოდა, გამოვფხიზლებულიყავი...

დილაადრიანად კი, ისეთმა ღრიალმა და გინებამ გამომაღვიძა, რომ შიშისაგან დამფრთხალი, ორიოდე წამში ფეხზე წამოვხტი.

ათლეტი ზანგი უყვიროდა ჩიას — „პარაშის“ მოწესრიგებას სთხოვდა (უფრო — უბრძანებდა).

— კარგი, რა, ჯეკ, ახლა მაინც შემეშვი! ვერ ხედავ, საკანში ახალი კლიენტი მოვიდა და ის მიხედავს, უკვე ერთი დღეა, არავის შეუწუხებია! — გაწიწმატებული ამბობდა ჭიაყელასავით გამხდარი ჩია და დამცინავად მათვალიერებდა.

თავიდან ვერც მივხვდი, რომ ჩემზე ელაპარაკებოდა „ბოსს“. უფრო სწორად, ვერც წარმოვიდგენდი, თუ „ახალმოსულს“ პირდაპირ „პარაშის“ გარეცხვას მომთხოვდნენ. ისევ ნარზე მივწექი და გავიტრუნე. რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, რომ მომესმა, თითქოს ჩემზე ლაპარაკობდნენ. საუბედუროდ, ჩემი ვარაუდი არ გამართლდა.

— ეი, მეგობარო, დღეს შენი მორიგეობაა. საკანში სარკესავით უნდა პრიალებდეს ყველაფერი. დალაგება კი „პარაშიდან“ უნდა დაიწყო!.. — პირდაპირ შეტევაზე გადმოვიდა ჩია ზანგი.

გაოცებულმა შევხედე.

— ჰო, ჰო, შენ გეუბნები, ამიგო (ეტყობა, ესპანელი ვეგონე)! დროზე მიხედე საქმეს, თორემ ზედამხედველი მოვა და პასუხს ჩვენ კი არა, შენ მოგთხოვენ... — აგრძელებდა ჩია.

— თუ არ ვცდები, დღეს შენი მორიგეობაა და თვითონ მიხედე შენს „პარაშას“. როცა ჩემი რიგი დადგება, მე მივხედავ!.. — გავაპროტესტე, რადგან მივხვდი, რომ თავისი საქმე ჩემთვის უნდოდა გადმოელოცა.

— ახლა ბევრი ნუ გაახურე, გაიგე? — შეტევაზე გადმოვიდა ზანგი.

— ვერ გავიგე! — გავჯიქდი.

— ვერ გაიგე და გაგაგებინებ! — ეს უკვე მუქარა იყო.

— შენ ხომ არაფერი გეშლება?! — წამოვდექი და ბოლო სიტყვა დამთავრებულიც არ მქონდა, რომ ჩიამ პირდაპირ სახეში მთხლიშა მუშტი. ამაზე მთლად გადავირიე... წამოვხტი და... ახლაღა მივხვდი, რა უბედურებაც მჭირდა: ჩემთვის ხელბორკილის მოხსნა დავიწყებოდათ, მეც მაშინ, ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია, ისე ვიყავი შეშინებული... რაღას ვიზამდი? — ორივე ხელი ერთად მოვიქნიე და პირდაპირ თავში მოვარტყი თავდამსხმელს. მაგრამ ჩემი დარტყმა იმდენად სუსტი იყო, რომ მან თითქოს ვერც იგრძნო და... დამაყარა და დამაყარა მუშტები. რამდენადაც შემეძლო, წინააღმდეგობას ვუწევდი, მაგრამ ბორკილი აშკარად მიშლიდა ხელს, არაფერი გამომდიოდა. ჩია აშკარა უპირატესობას ფლობდა... ვატყობდი, უკვე ძალას ვკარგავდი და გვარიანად გალახულიც ვიყავი, მაგრამ დანებებას არ ვაპირებდი. მოულოდნელად შევამჩნიე, რომ ახლა გოლიათი ზანგი წამოიმართა და ჩვენკენ წამოვიდა. ხელი ქეჩოში ჩამავლო, მაღლა, ჰაერში, ბავშვივით ამწია და ისეთი მუშტი მითავაზა, რომ საკნის კედელს

მივასკდი და... გონებაც დავკარგე.

თვალი რომ გავახილე, ჯეკი დავინახე, ლოყაზე „მსუბუქად“ მირტყამდა ხელს და წყალს მასხამდა. გარშემო ყველაფერი კარუსელივით ტრიალებდა... თანდათან ქრებოდა ვარსკვლავები და თეთრი ნაპერწკლები თვალთაგან. თანდათან ყველაფერი კალაპოტს უბრუნდებოდა. რომ იტყვიან, ჭკუაზე მოვდიოდი...

ჩია და გოლიათი თავ-თავიანთ საწოლებზე არხეინად ჩამოსხდნენ, ფეხების ქნევას მოჰყვნენ და ცინიკურად დამიწყეს მზერა. აშკარად ჩანდა, კმაყოფილები იყვნენ თავიანთი „ნამუშევრით“. დანარჩენი პატიმრებისკენ გავიხედე. ლოთი იწვა და თვალები ჭერისათვის უაზროდ მიეშტერებინა. დანარჩენი ორი, ჩემზე უფრო დამფრთხალი იყურებოდა. ბოლოს, ეტყობა, სინდისმა შეაწუხა და ერთ-ერთი მომიახლოვდა.

— მე ბობი მქვია, „კოკა-კოლის“ საამქროში ვმუშაობ, ჩემს უფროსს თავი გავუტეხე და იმიტომ ვარ აქ. ასეა — შენზე ძლიერს თუ არ დაემორჩილები, ყოველთვის დამარცხდები... — დაიწყო ფილოსოფოსობა და ჭკუის დარიგება.

გაოცებით შევხედე და მივუგე: თუ რამის თქმა გინდა, პირდაპირ მითხარი-მეთქი.

ბობმაც მითხრა:

— ეტყობა, კარგი ბიჭი ხარ, მაგრამ ამ ველურებს ნამდვილად ვერ გაუმკლავდები, ამიტომ რასაც გიბრძანებენ, უსიტყვოდ უნდა შეასრულო. ციხეს თავისი კანონები აქვს!

— მაგათ ვუჩვენებ სეირს!.. — მუქარით წამოვიწიე.

— გეყოფა ახლა. მალე, ზედამხედველები მოვლენ და ხმა არ ამოიღო, თავი შეიკავე. შენთვისვე ავჯობებს... — ბოლო სიტყვები ჩურჩულით მითხრა და მივხვდი, რომ ეს საწყალი მაგრად დაებეჩავებინათ ზანგებს.

ბობმა ფეხზე წამომაყენა, ჩემს საწოლთან მიმიყვანა, რაღაც ჭუჭყიანი, ტილოსმაგვარი სველი ნაჭერი დამადო შუბლზე და ახლა მოისვენეო, — მითხრა მზრუნველი ხმით. ერთი შეხედვით, თვინიერი ბავშვივით მოვლბი, მაგრამ ბოღმით ვივსებოდი. როგორი საქმეა — ვიღაც პატიმრისთვის გალახვა უნდა შემერჩინა?! არა, ამას ნამდვილად ვერ დავუშვებდი! ეტყობა, ბობმაც იგრძნო, რა ცეცხლი გიზგიზებდა ჩემს გულში და ჩემი „ვაჟკაცობით“ აღფრთოვანებულმა კიდევ ერთი განმარტება მომცა:

— შენ არც პირველი ხარ და არც უკანასკნელი იქნები, ვინც საკანში სცემეს. შეიძლება, კიდევ ერთხელ მოგიწიოს წინააღმდეგობის გადალახვა და უნდა გაუძლო! როდესაც მიხვდებიან, რომ მაგარი ხარ, შეგეშვებიან. თუ არა, მაგათი „პარაშის“ წმენდა არ აგცდება! აბა, მე წავედი, გული არ გაიტეხო...

— კი, მაგრამ რისთვის მექცევიან ასე? მე ხომ ამათთვის არაფერი დამიშავებია... — დავიწუწუნე.

— არაფერი დაგიშავებია? მაგრამ აქ ასეთი წესია და რას იზამ?! კიდევ გიმეორებ — უნდა გაუძლო!.. — ბოლო სიტყვები ისე ჩუმად წარმოთქვა, რომ ძლივს გავიგონე. ბობმა მხარზე მომითათუნა ხელი და თავისი საწოლისკენ წალასლასდა.

— თქვენ რა, შეთქმულებას აწყობთ? — გესლიანად წამოიძახა ხეკმა.

თავმოყვარეობაშელახული, ზამბარასავით ვიყავი დაჭიმული. შურისძიებაზე ფიქრი ლამის ტვინს მიხვრეტდა, მაგრამ ვინ მაცალა ფიქრი? — შევამჩნიე, როგორ წამოიმართა ჯეკი და ჩემკენ წამოვიდა. რაღაც კიდევ მითხრა ამრეზილმა, მაგრამ მისი სიტყვებისთვის ყურადღება არც მიმიქცევია. ვიცოდი, რისთვისაც მოაბოტებდა. კიდევ ერთხელ უნდოდა საკუთარი უპირატესობის დამტკიცება! ორიოდე ნაბიჯი ჰქონდა დარჩენილი, რომ მოულოდნელად წამოვვარდი, რაც ძალა და ღონე მქონდა, წიხლი მოვიქნიე და პირდაპირ ფეხებშუა „ვჭედე“... ატყდა, მაგრამ რა ატყდა! ეს გოლიათი ისე აღრიალდა, მეგონა, კედლები ჩამოინგრეოდა. მისმა არაადამიანურმა ბღავილმა ლამის შოკში ჩამაგდო და აი, ამ დროს დავუშვი დიდი შეცდომა — ადგილზე გავშეშდი და მოვლენების განვითარებას დაველოდე...

გოლიათი ზანგი სიმწრისგან იკლაკნებოდა და იატაკზე გორავდა. მისი ცქერით გართულმა ვერ შევამჩნიე, როგორ მომეპარა ჩია ზანგი უკნიდან და თავში რაღაც მძიმე საგანი ჩამარტყა.

იმ დღეს ჩემთვის ყველაფერი დამთავრდა...

Welcome to America

როგორც მერე შევიტყვე, მთელი სამი დღე რეანიმაციულ განყოფილებაში უგონოდ ვყოფილვარ.

... ჩემი ახალი ქუთაისელი მეგობარი დიმა ბაზელი, წნორელი გივი და ათამდე ქართველი ბიჭი შრომის ბირჟიდან, მთელი ეს პერიოდი თურმე საავადმყოფოს რკინის ჭიშკარს არ მოშორებიან. გაგიჟებულა მედპერსონალი: ვინ არის ეს აკაკი გეგენავა ასეთი — პრეზიდენტია თუ ჩვეულებრივი პატიმარიო?! ძმაკაცების ასეთი ერთგულება უჩვეულო იყო მათთვის.

... თავი ისე მქონდა გატეხილი, რომ ქირურგებს ეჭვი შეჰპარვიათ — ვაითუ, სრულ ჭკუაზე ველარ იყოსო... ღვთის მადლით, ყველაფერი კარგად დამთავრდა. არც სერიოზული ოპერაცია დამჭირვებია — რამდენიმე ნაკერი დამადეს მხოლოდ... ასე იყო თუ ისე, ეს აბსურდული შოკში (ახლა უკვე ნამდვილში!) ჩავარდნა ჩემთვის მშვიდობიანად დამთავრდა. ამერიკელი ექიმების ეჭვი არ გამართლდა — მკურნალობამ შედეგი გამოიღო. კიდეც გადავრჩი და გონებაც საღი შემრჩა! უფრო მეტიც — თვალი გავახილე თუ არა, ღიმილად დავიღვარე: უმშვენიერესი, ქერათმიანი ამერიკელი გოგონა მადგა თავს და ღვთაებრივი ხმით მეუბნებოდა: Welcome to America — კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ამერიკაშიო!..

ლამაზ მედდას მადლობა გადავუხადე და... ახლაღა მივხვდი, თუ სად ვიყავი. გაქათქათებული, უახლესი აპარატურით აღჭურვილი სარეანიმაციო ოთახი რადიკალურად განსხვავდებოდა ციხის ბნელი საკნისგან... მედდის თბილი ღიმილით გათამამებულმა, წამოდგომა დავაპირე, მაგრამ ცოტა არ იყოს, გამიჭირდა. მაჯაზე ახლა, ბორკილის ნაცვლად, წვეთოვანი სისტემა მქონდა მიერთებული... მკლავზე ვენა ვერ უპოვიათ ჩემთვის თურმე... არადა, ხომ ბედის დაცინვაა — ნარკომანად ჩამთვალეს და ვენა კი ვერ მიპოვეს?..

მიუხედავად იმისა, რომ საავადმყოფოში ძალიან კარგად მივლიდნენ, მაინც პატიმარი მერქვა. ამ გაქათქათებული საწოლიდან „პარაშიან“ საკანში დაბრუნება მელოდა...

ვინაიდან სიარული ჯერ კიდევ არ შემეძლო, გამომძიებელი ყოველდღე მოდიოდა

ფრაზა გენიალური

ბუნებრიობას რომ მიაღწიო, თვალთმაქცობა უნდა შეგეძლოს.

ოსკარ უაილდი



ჩემთან, პალატაში. ერთსა და იმავე კითხვებს მისვამდა, პასუხებსაც ერთნაირს ვაძლევდი. ვერანაირი დასკვნა ვერ გამოჰქონდა, არც საქმე მიდიოდა წინ. ვგრძნობდი — გამომძიებელი ჩემდამი თანაგრძნობით იყო გამსჭვალული, მაგრამ ვერაფრით მეხმარებოდა. არადა, როგორი დასამტკიცებელი იყო, რომ ჩემს მანქანაში, ჩემი სკამის ქვეშ, საგულდაგულოდ შენახული, ნახევარკილოგრამიანი ჰეროინით სავსე პარკი შემთხვევით მოხვდა და რომ ჰეროინი ცხოვრებაში არასოდეს მინახავს?! არა, ხომ მეთანხმებით, რომ მე და ჩემი გამომძიებელი ძალზედ უიმედო, გაურკვეველ სიტუაციაში ჩავცვივდით? უფრო სწორად — მე ვიყავი საცოდავ დღეში, თორემ გამომძიებელს რა უჭირდა!..

ლაბირინთიდან გამოსავლის ძიებაში

დიმა ბაზელი ციბრუტივით ტრიალებდა. ძალიან უნდოდა, როგორმე დამხმარებოდა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. ცამდე მართალი ვიყავი, მაგრამ ჩემს სიმართლეს ვერაფრით ვამტკიცებდი.

იმ დღეს, დიმა ისეთი სერიოზული იყო, ვიფიქრე — ალბათ მართლაც უნუგეშო მდგომარეობაში ვარ ჩავარდნილი-მეთქი. ეს ეჭვი კიდევ უფრო გამიძლიერდა, როცა დიმა საწოლთან ახლოს მომიჩოჩდა და უცერემონიოდ დაიწყო:

— კაცო, პირდაპირ უნდა გითხრა ყველაფერი, დამალვას აზრი არა აქვს...

— რა უნდა მითხრა ამისთანა?! — ვიგრძენი, რომ ენა აღარ მემორჩილებოდა.

— მეტისმეტად უაზრო სიტუაციაში ამოვყავით თავი. ვერაფრით ვამტკიცებთ ჩვენს სიმართლეს! აქედან გასასვლელი მხოლოდ ორი გზა არსებობს...

შვებით ამოვისუნთქე. დიმა ციხიდან ჩემს გამოსაყვანად, ორ გზას „მთავაზობდა“, მე კი მეგონა, რომ ერთიც არ იყო! საწოლზე წამოვჯექი და სმენად ვიქეცი.

— მოკლედ, პირველი გზა ის არის, რომ ვიღაცამ შენს სახელზე თავდებში, 40 ათასი დოლარი(!) დადოს, ოღონდ პროცესი ჩვენ უნდა მოვიგოთ. მეორე კიდევ, ის არის, რომ მაგარი ადვოკატი უნდა დავიქირაოთ. ადვოკატის აყვანაც ერთი ამდენი დაჯდება... — თავიდან მშვიდად დაიწყო, მაგრამ ბოლოს, უკვე ანერვიულდა დიმა.

— ეჰ, ჩემო დიმა! ორი კი არა, ერთი გზა გვქონია. საქმე რომ მოვიგოთ, კარგი ადვოკატი გვჭირდება. კარგ ადვოკატს ბევრი ფული უნდა. ფული გვინდა, თანაც ბევრი!.. — ნერვიულობისგან აღარ ვიცოდი, რა მექნა...

— სამწუხაროდ, ასეა! სხვა გამოსავალი არ არსებობს. თუმცა, იმ ნარკოდილერმა რომ აღიაროს — ჰეროინი მე დავმალე მანქანაშიო... — თვალები აუციმციმდა დიმას.

— ეს ვერსია ყველაზე ნაღდია! თანაც, მართლაც ასეა. შენ ხომ მაინც იცი, რომ ჰეროინი თვალით არ მინახავს. — გახარებულმა წამოვიძახე, მეგონა, გამოსავალი ვიპოვე...

— ასეთი გულუბრყვილო თუ იყავი, არ მეგონა. კი, მაგრამ რომელი ნარკოდილერი აღიარებს დანაშაულს? — ცივი წყალი გადამასხა ძმაკაცმა.

— გამოდის, რომ ფული უნდა ვიშოვოთ, თანაც — ბევრი... ეჰ, აქედან არაფერი გამოვა.. — სასოწარკვეთილი ვიყავი.

— ასეა... სხვა გზა არ არის... — თქვა დიმამ და და თავი ჩაღუნა.

— ედმონდი ხომ არ გინახავს? — ახლაღა გამახსენდა ჩვენი ფირმის მფლობელი.

— ვნახე, არ არის დარწმუნებული, რომ ამ საქმეში სუფთა ხარ. ჯონიზე — შენს მეწყვილეზეა გაბრაზებული. შენ კი არ გიცნობს და ამხელა თანხას შენთვის ვერ დადებს. ეშინია, არ დაკარგოს!..

— აბა, ეგ არის კაცობა?! — გავბრაზდი ჩემს ახალ შეფზე, მაგრამ რამ გამაბრაზა — მე თვითონაც არ ვიცოდი.

ბოლოს და ბოლოს, სამი კვირის მიღებული ვიყავი მის ფირმაში და რა ვალდებული იყო, ჩემთვის თავი გაეგიჟებინა?!

— ბიჭებმა თქვეს, მოვაგროვებთო... — განაგრძო დიმამ.

— სად უნდა მოაგროვოთ ამხელა თანხა? რაღაც გროშებს ძლივს აგზავნით საქართველოში.

— თანაც, მარტო ფული რომ შველოდეს საქმეს, რაღაცას მოახერხებდა კაცი. ისეთი ადვოკატიც გვჭირდება, საქმეს რომ აუცილებლად მოგვაგებინებს, თორემ ფულიც იკარგება და... — დიმამ აღარ გააგრძელა. უამისოდაც ვგრძნობდი, რომ თავი ყულფში მქონდა გასაყოფი. წყალწაღებულივით ისევ ხავსს მოვეჭიდე.

— მერე სად ვიპოვოთ ეს ადვოკატი?

— მოდი, დეიდა სვეტას — ჩვენი ყოფილი დასახლისის სიძეს, ნიკს დავურეკოთ. თან გადავყევით მაგის სიდედრს. ჩვენს ხელში დალია სული, შვილებივით ვუპატრონეთ. თანაც, ხომ გახსოვს — ნიკმა როგორ გვითხრა: ნებისმიერ საქმეზე შემაწუხეთო. მეც ხომ ნიკმა მიშოვა სამუშაო... — გაახსენდა დიმას.

— ნიკი, ნიკი... — უაზროდ ვიმეორებდი ამ სახელს. — მერე უხერხული არ იქნება?

— არა, არ იქნება! მე ხვალვე წავალ ნიკთან და ყველაფერს ავუხსნი. ნუ გეშინია, ნიკი აუცილებლად დაგვეხმარება!.. — და თითქმის სირბილით გაიქცა დიმა — ისე, რომ ჩემს პასუხს აღარც დალოდებია.

... მართლაც, ერთადერთი, ნიკი თუ შეძლებდა ამ საშინელი ლაბირინთიდან ჩემს გამოყვანას. სხვა, უფრო ახლობელი, ამერიკაში ნამდვილად არავინ მეგულებოდა.

■

VW Passat-ი 30 წლის გახდა

ეს გერმანული კონცერნის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და პოპულარული მოდელია, რომელიც ამასთანავე, ფირმის აღორძინების ხანასთან ასოცირდება. საქმე ის გახლავთ, რომ გასული საუკუნის 70-იან წლებში, „ფოლკსვაგენს“ მძიმე დრო დაუდგა: მისი მოდელების უმეტესი ნაწილი, თავისი კონსტრუქციით საკმაოდ მოძველებული იყო, მანქანის უკანა ნაწილში ძრავას მოთავსებამ, რომელსაც საჰაერო გაცივების სისტემა ახლდა, ვერ უწევდა კონკურენციას სხვა მწარმოებელთა მიერ გამოშვებულ, უფრო თანამედროვე, წინაამძრავიან ავტომობილებს. კონცერნის მესვეურებმა ნათლად დაინახეს, რომ ხსნა მხოლოდ სამოდელო რევოლუციის განხორციელებაში იყო. პირველ სიახლედ, ავტომოყვარულებს სწორედ Passat-ი მოევლინა, რომელიც პუბლიკის წინაშე 1973 წლის მაისში წარდგა. ის „ფოლკსვაგენის“ შვილობილი კომპანიის – Audi-ს კონსტრუქტორებმა შეიმუშავეს, ამიტომ „პასატი“ ფაქტობრივად, Audi 80-ის ნაირსახეობას წარმოადგენდა. თავდაპირველად, მას მოკრძალებული საქარხნო სახელი – „მოდელი 511“ მიანიჭეს, მაგრამ შემდეგ, ფირმის მესვეურებმა მისი „მონათვლა“ გადაწყვიტეს და კარგი არჩევანიც გააკეთეს: პასატი ხომ იმ ქარის სახელია, რომელიც აფრებს ბერავს და გემებს დააქროლებს დედამიწის კიდიდან კიდემდე...

წინაამძრავიან, წყლით გაცივების სისტემით აღჭურვილ, პირველ „პასატებს“, 55, 75 და 85 ცხ.ძ-ის სიმძლავრის ძრავები ჩაუყენეს. მოწინავე ტექნოლოგიებიდან, მასში, მსოფლიოში პირველად გამოიყენეს პლასტიკისგან დამზადებული, საწვავის ავზი. მომხმარებლებს იმთავითვე მოეწონათ მოზრდილი გაბარიტების ავტომანქანა. და უკვე 1976 წლის დეკემბერში, ვოლფსბურგის ქარხნის კონვეიერიდან მემილიონე „პასატი“ ჩამოვიდა. ცოტა ხნით ადრე, კერძოდ 1974 წელს, ფირმამ უნივერსალისძარიანი „პასატიც“ გამოუშვა. დღეს კი, ანალოგიური მოდელი – ოღონდ, რასაკვირველია, წინამორბედებისგან ბევრი რამით განსხვავებული – თავის კლასში კვლავ ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ მანქანად რჩება. ■

Seat Ibiza — ესპანური ჩეკოჩდსმენი

„ფოლკსვაგენის“ ჯგუფის ესპანური ფილიალის სერიულმა ავტომობილმა – Seat Ibiza 1.9TDI-იმ, ერთდროულად 20 მსოფლიო რეკორდი დაამყარა იმ მანქანებს შორის, რომლებიც 2 ლ-მდე სამუშაო მოცულობის ტურბოდიზელის ძრავათია აღჭურვილი. დათვალიერება გერმანიაში, ლაუზიცრინგის პოლიგონზე ჩატარდა. 22 საათში Seat-მა 3186 კმ დაფარა; მისი საშუალო სიჩქარე 150 კმ/სთ-ს აღწევდა; 3251 მ სიგრძის წრიული დისტანცია ესპანურმა მანქანამ 1 წთ-სა და 7,56 წმ-ში გაიარა. მანქანას საუკეთესო ჩქაროსნული მაჩვენებლები აღმოაჩნდა, 0,5, 1, 100 და 1000 მილის (1 მილი – 1300 მ) მანძილებზე და ანალოგიურ, კილომეტრებით გაზომილ დისტანციებზე. აღსანიშნავია, რომ გამოცდამდე, ის საგანგებოდ არ მოუმზადებიათ – კონვეიერიდან გადმოსული, რამდენიმე ეგზემპლარიდან ამოარჩიეს. პოლიგონზე კი, საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის მესვეურებმა შეამოწმეს, თუ რამდენად შეეფერებოდა იგი სერიულ Seat Ibiza 1.9TDI-ს. ბოლოს დავძენთ, რომ მანქანა 130 ცხ.ძ. მქონე ძრავათი და 6-საფეხურიანი გადაცემათა კოლოფითაა აღჭურვილი; 100 კმ/სთ სიჩქარეს 9,4 წმ-ში ავითარებს; მაქსიმალური სიჩქარეა 207 კმ/სთ. ■

Focus ახალი დიზელით აღიჭურვა

ავტომწარმოებელი, რომელიც უგულებელყოფს დიზელის ძრავებს, ევროპულ ბაზარზე წარმატებას არ უნდა ელოდოს. რაოდენ შთამბეჭდავიც არ უნდა იყოს, ბენზინის ძრავათი აღჭურვილი, სისწრაფითა და სხვა ტექნიკური მახასიათებლებით გამორჩეული მანქანები, ისინი, დიზელის ეკონომიურძრავიან მანქანებთან შედარებით, ხშირად, მაინც გაუყიდავი რჩება. კორპორაცია „ფორდმა“ უკვე კარგა ხანია, ალღო აუღო ამ ტენდენციას. სწორედ ამიტომ, ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მოდელია კომპაქტური „ფოკუსი“, რომელიც იმთავითვე იყო აღჭურვილი 1,8 ლ მოცულობის, 115 ცხ.ძ. სიმძლავრის, დიზელის ძრავათი. სულ ახლახან, მას 100-ძალიანი აგრეგატი ჩაუყენეს, რომლის მაქსიმალური სიჩქარე 185 კმ/სთ-ს აღწევს, 100 კმ/სთ სიჩქარეს კი, 11,4 წმ-ში ავითარებს. საწვავის საშუალო ხარჯი ყოველ 100 კმ-ზე, მხოლოდ 5,2 ლ-ს შეადგენს. მანქანა აღჭურვილია მუხრუჭების ანტიბლოკირების სისტემით, უსაფრთხოების ორი ბალიშით, სპორტული სავარძლებით, ელექტროპაკეტითა და ცენტრალური საკეტით. ■

„ისეთი რეჟისორისთვის, როგორიც ლარსია, ყველაფერს გავაკეთებ“

„პირველსავე დღეს, როცა სტუდიაში „დოგვილის“ გადაღებებზე მივედი, ფონ ტრიერმა დეკორაციების ერთ-ერთ კუთხეზე მიმითითა და მითხრა: ხედავ იმ ძაღლს? შენ უნდა მოეფერო მას, რომ არ იყეფოსო. მიწაზე დახატული ძაღლის პროფილის გარდა ვერაფერი შევამჩნიე. ეს არის ძაღლი-მეთქი? – რა თქმა უნდაო. – კარგი-მეთქი, – ვუპასუხე მე. ასე დაიწყო ჩემი თავგადასავლები ლარსთან.“ ლამაზი, თვალისმომჭრელი ღიმილით სავსე, მოკლე და თხელ ვარდისფერ პალტოში გამოწყობილი მაღალფეხება ნიკოლ კიდმანი კანის ფესტივალს ტრიერის ყველაზე სასურველი ფილმით – „დოგვილით“ ესტუმრა. პირველი რეაქციის მიხედვით ფილმს წარმატება ელოდა. ვარსკვლავი კანში, სადაც მას უამრავი თაყვანისმცემელი ელოდა, მრავალრიცხოვანი დაცვის თანხლებით გამოჩნდა. ნიკოლი ძალიან მხიარული და გულისხმიერი ჩანდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ მას ავსტრალიელი გოგონას უშუალობა კვლავაც შენარჩუნებული ჰქონდა.

– სადაც არ უნდა წახვიდე, ყოველთვის გახსოვდეს, საიდან ხარ, – ეს ჩემი დევიზია. როცა ჩემით აღფრთოვანებულ ადამიანებს ვუყურებ, მაშინვე იმაზე ვფიქრობ, რომ მეც ერთ-ერთი იმათგანი ვიყავი. ცნობილი ადამიანების ყურება მეც ძალიან მიყვარდა. მახსოვს, 11 წლის რომ გავხდი, როგორღაც მოვახერხე გადასაღებ მოედანზე შეღწევა. იქ კი მელ გიბსონი დავინახე. „მან შემომხედა!“ – ვუყვებოდი ჩემს მეგობრებს და ისეთივე ბედნიერებას განვიცდიდი, როგორსაც შობის დღესასწაულზე. ახლაც კი, როცა რომელიმე საუცხოო სასტუმროს ნომერში აღმოვჩნდები ხოლმე, სურვილი მიჩნდება საწოლზე შევხტე და, როგორც პატარა ბავშვმა, ისე ვიხტუნო.

– ახლა თქვენ უკვე იმ მსახიობთა რიცხვს მიეკუთვნებით, რომელთაც თავად შეუძლიათ რეჟისორების ამორჩევა. მართალია, რომ ფონ ტრიერს თქვენ ეძებდით?

– რა თქმა უნდა. მე ვნახე მისი „ბედის ტალღები“ და მივხვდი, რომ ასეთ რეჟისორთან ყველაფერს შევძლებდი.

– ამბობენ, რომ ლარსი მსახიობებს საკმაოდ უხეშად ექცევა.

– ეს მართალია. ამის თაობაზე ბიორკისგანაც მსმენია. თავიდან, მისდამი, ცოტა არ იყოს, უნდობლად ვიყავი განწყობილი, მაგრამ ერთხელ, ტყეში ოთხსაათიანი გასეირნების შემდეგ, საოცრად გულახდილები ვიყავით და დავმეგობრდით. ჩვენ ახლაც ვმეგობრობთ. ეს რომ არა, არავითარ შემთხვევაში არ დავთანხმებოდი მის მომავალ პროექტებში მონაწილეობაზე. „დოგვილი“ ეს იმ ტრილოგიის დასაწყისია, რომლის საერთო სახელწოდებაა U.S. of A. ავვისტოში დაიწყება მეორე ნაწილის გადაღებები სათაურით Manderlay.

– რატომ არ გიყვართ ჰოლივუდში გადაღება?

– ძალიან მსიამოვნებს მოგზაურობა. მიყვარს, როცა ვეცნობი სხვა ხალხთა კულტურას. ჩემთვის დიდ ბედნიერებას წარმოადგენს საინტერესო რეჟისორთან მუშაობა. ასეთ პერიოდებს ცხოვრების დაუსრულებელი კვლევის ობიექტად აღვიქვამ, მაგრამ ვიცი, რომ არც ეს გაგრძელდება მარადიულად. შესაძლოა, ამით ყოველთვის არც კი ვიყო დაკავებული. როცა შეყვარებული ვარ, მიყვარს შეჩერება, ოჯახური სითბოს შეგრძნებით ტკბობა. ასეთი რამ ერთხელ უკვე მქონდა, იმედია, კვლავ მექნება.

რაც შეეხება ფილმის ჩვენების შემდგომ მოვლენებს, უნდა ითქვას, რომ პრესკონფერენციის სიუჟეტის გაშუქებამ მოულოდნელი რეაქცია გამოიწვია ნიკოლის სამშობლოში. საქმე ის გახლავთ, რომ მსახიობმა ტელეეკრანის წინ გააბოლა სიგარეტი. ავსტრალიის პარლამენტის წევრმა ლინ ელისონმა ნიკოლის ასეთ საქციელს სახიფათო მაგალითი უწოდა: „ვარსკვლავის თაყვანისმცემელთა უმრავლესობას პატარა გოგონები წარმოადგენენ, მისი მიბაძვის მიზნით კი ისინი შეიძლება ნიკოტინის ზეგავლენის ქვეშ მოექცნენ. თუკი კანში მყოფი კიდმანი მსოფლიო პრესის თვალწინ ეწევა, ის უკვე თამბაქოს ინდუსტრიის ელჩად გვევლინება“. ავსტრალიის არამწეველთა ორგანიზაციის თავმჯდომარემ, ანა ჯონსმა კი დაადასტურა, როცა ასეთი ცნობილი ადამიანები საჯაროდ ეწევიან, ეს თამბაქოს ინდუსტრიისთვის მილიონიან შემოსავალს ნიშნავსო.

■

სკორსეზე ქედს იხრის მომ დილანის წინაშე

ჰოლივუდის აღიარებული კლასიკოსი სკორსეზე აპირებს გადაიღოს დოკუმენტური ფილმი თანამედროვე ამერიკელი როკის პოეზიის კლასიკოსზე – ბობ დილანზე. რეჟისორს სურს დაადგინოს, როგორია მისი ზეგავლენა შეერთებული შტატების პოლიტიკასა და კულტურაზე. მართალია, პოეტი კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწევა, მაგრამ მან „ტაქსისტისა“ და „ბინძური ქუჩების“ ავტორს უკვე მისცა პრინციპული თანხმობა. უკანასკნელი 20 წლის მანძილზე ეს იქნება დილანის პირველი ინტერვიუ კამერის წინ. ფილმი განსაზღვრულია ტელევიზიისთვის, მაგრამ ასევე შესაძლებელი გახდება მისი შეზღუდულად კინოგაქირავებაც. სკორსეზე პროექტზე მუშაობის დამთავრებას 2004 წლისთვის გეგმავს.

■

ნიკოლას კეიჯი ყოველთვის მართალია

„ადაპტაციის“ შემდეგ ნიკოლას კეიჯი მთავარ როლს ასახიერებს ცნობილი ვიდეოთამაშის Dead to Rights-ის ეკრანიზაციაში. ამ პროექტში იგი ლორენცო დი ბინავენტურესთან ერთად პროდიუსერადაც გვევლინება. სცენარი დაწერილია კევინ ბროდ ბაინომის მიერ („ღამის მონადირე“), რომელიც უმნიშვნელოდ ცვლის თავად თამაშის წესებს. საუბარია პოლიციელ ჯეკ სლეიტზე. ფილმის გმირი სიუჟეტის მიხედვით, მამის მკვლელს ეძებს.

■

qarTveli msaxiobi kruazetis sanapiroze

კანის ფესტივალის „კრიტიკის კვირეულში“ მონაწილე რეჟისორი ქალის — ჟიული ბერტუჩელის ფილმის — „რაც ოთარი წავიდა“ — სარეკლამო ბუკლეტში წერია: „ეს არის სათუთი ამბავი ტყუილსა და სიყვარულზე, რაც ცვლის სამი ქალის, სამი განსხვავებული თაობის ცხოვრებას დღევანდელ საქართველოში“. ფილმმა ძალიან დიდი შესარჩევი ეტაპი გაიარა და 8000-დან იმ 16 სურათს შორის მოხვდა, რომელიც ფესტივალზე წარმოადგინეს. გადაღებები ძირითადად, საქართველოში მიმდინარეობდა. მთავარ როლებს ასრულებენ: პარიზელი ესტერ მორენტენი, რუსი დინარა დრუკაროვა და ქართველი ნინო ხომასურიძე. ქალბატონი ნინო კანიდან სულ რამდენიმე დღის წინ დაბრუნდა.

ნათია თენიეშვილი

— ჩვენი წარდგენა — ე.ი. ფილმის ჩვენება შედგა უზარმაზარ, „მირამარის“ სასახლეში. ეს არის დაპატარავებული ვარიანტი — იმ დიდი დარბაზისა, სადაც კანის ფესტივალის მთავარი პრიზით — „ოქროს პალმის რტოთი“ დაჯილდოება ხდება. ეს ჟიულის პირველი ფილმია, კანის ფესტივალის წესებით კი, სადებიუტო ფილმი არ შეიძლება წარდგენილი იყოს „პალმის რტოზე“. ჩვენი ფილმი ძალიან საპატიო — „კრიტიკის კვირეულის“ პროგრამაში მონაწილეობდა. წარდგენის დღეს, სურათი ნახა ფესტივალის დიდმა ჟიურიმ. ჟიურის თავმჯდომარე იყო ძალიან ცნობილი, აღიარებული და უდიდესი გერმანელი რეჟისორი — ვიმ ვენდერსი. პირველივე კადრიდან, სამივე გმირი ვჩანვართ. როცა ჩვენება დაიწყო, ვნერვიულობდი. უცებ მხარზე ხელის შეხება ვიგრძენი და ყურში ვიღაცამ ჩამჩურჩულა „ნუ ნერვიულობთ, თქვენ ძალიან ლამაზი ხართ“. მივიხედე და ცოცხალი ვიმ ვენდერსი შემრჩა ხელში! ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, უფრო მეტად ვინერვიულე. ფილმი ოთხასმა კრიტიკოსმა ნახა და ყველამ მხოლოდ აქო — კრიტიკული შენიშვნები არ ყოფილა. მეორე ჩვენებაზე, უკვე დარბაზში მოხვედრის მსურველთა რიგები იდგა და მეპატრონე გვეკითხებოდა: ეს რა გადაგიღიათ ასეთი, რა ლამაზი ამბავიაო!.. პროგრამით, ფილმი ოთხჯერ უნდა ეჩვენებინათ, მაგრამ მაყურებლის მოთხოვნით, ერთი ჩვენებაც დაამატეს. ჩამოგვართვეს უამრავი ინტერვიუ, რომელიც სხვადასხვა ჟურნალსა და გაზეთში დაიბეჭდა და ტელევიზიებით გადაიცა. მეკითხებოდნენ: მართლა ასეთი ლამაზია საქართველო? მართლა ასეთი ლამაზი ხალხი ცხოვრობსო? ესტერ მორენტენი, რომელიც ფილმში დედაჩემს თამაშობს, საქართველოზე უზომოდ შეყვარებულია. ის თავის ინტერვიუებს საქართველოს ქებით იწყებდა.

პარიზელი ესტერ მორენტენი, რუსი დინარა დრუკაროვა და ქართველი ნინო ხომასურიძე

რაც მთავარია, ძალიან დაინტერესდნენ საქართველოთი და ალბათ რეჟისორების დიდი არმია ჩამოვა ჩვენთან ფილმების გადასაღებად. ჩემ გარდა, ამ ფილმში ბევრი ქართველი მსახიობი თამაშობს: დუტა სხირტლაძე, რუსიკო ბოლქვაძე, თემო კალანდაძე და ა.შ. უბრალოდ, მე მთავარ როლში ვარ და ამიტომაც ვიყავი ფესტივალზე.

— საქართველოში არ მოეწყობა ამ ფილმის ჩვენება?

— ფესტივალი „საჩუქარი“, როგორც იცით, ორად გაიყო. კინემატოგრაფიული ნაწილი სექტემბრისთვისაა დაგეგმილი. ქართულ მხარეს — „სტუდია 99“-ს, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელი ნანა ჯორჯაძეა, ხოლო პროდიუსერი ჟანა სარდლიშვილი, — უნდა, რომ ფესტივალი ამ ფილმის ჩვენებით გაიხსნას. ფრანგულ მხარესაც ძალიან უნდა, კიდევ ერთხელ საქართველოში ჩამოსვლა. ვნახოთ, რა იქნება. თუ არ ვცდები, ზამთარში ფილმი იქნება ნაჩვენები ამერიკის (ნიუ-იორკის), ესპანეთის (ბარსელონის) და იტალიის ფესტივალებზე.

— თვითონ კანი როგორია და რა ხდებოდა ფესტივალის დღეებში?

— კანი ჰგავს ძველ გაგრას — ოღონდ, რა თქმა უნდა, ძალიან მოვლილი და სუფთაა. ულამაზეს ვილებში უმდიდრესი ხალხი ცხოვრობს. ის ქუჩა, სადაც საფესტივალო ფილმებს აჩვენებენ, საზეიმოდ არის მორთული. ყველა დონის ვარსკვლავი იყო ფესტივალზე. ისინი ჩამოფრინდნენ საკუთარი

თვითმფრინავებით და 10-10-კაციანი დაცვის ჯგუფებით. კანში იგრძნობოდა ის დაძაბულობა, რაც ნიკოლ კიდმანისა და პენელოპა კრუსის ერთდროულად იქ ყოფნით იყო გამოწვეული. ორგანიზატორებმა თავი დაიზღვიეს და ისინი ერთმანეთისგან განცალკევებით დააბინავეს. ჩვენ გვემსახურებოდა ავტომანქანები, რომელზეც ორ-ორი დროშა იყო დამაგრებული წარწერით: „კანის ფესტივალი". თუ ამ მანქანაში აღმოჩნდი, ეს იმას ნიშნავს, რომ რაღაცას წარმოადგენ... ამ მანქანებს განუწყვეტლივ დასდევდნენ პაპარაცები თავ-თავიანთი მოტოციკლეტებით. სახლებთანაც საათობით იყვნენ ჩასაფრებულები. მე, რა თქმა უნდა, ვაძლევდი გადაღების საშუალებას – თან მსიამოვნებდა და თან მეცოდებოდნენ...

— რაიმე ახალი შემოთავაზება ხომ არ მიგიღიათ?

– ახალზელანდიელმა, ახალგაზრდა რეჟისორმა პიტერ ბურგერმა შემომთავაზა როლი მხატვრულ ფილმში. სცენარს გამომიგზავნის, გავეცნობი და აუცილებლად წავალ. თუმცა, თავიდანვე გავაფრთხილე, რომ ეროტიკულ სცენებს მე არ ვითამაშებ. ერთ-ერთ ფრანგ რეჟისორთანაც ახლა მიმდინარეობს მოლაპარაკებები. ფილმში არის რამდენიმე ეროტიკული სცენა, რომლის შესრულების წინააღმდეგიც ვარ. თუ ამაზე ვერ მოვილაპარაკეთ, ალბათ საერთოდ უარს ვიტყვი ფილმზე. რა ვქნა? – პირდაპირ ვამბობ, რომ ვარ გოიმი მსახიობი და არ ვთამაშობ ეროტიკას... ■



რა ვქნა? – პირდაპირ ვამბობ, რომ ვარ გოიმი მსახიობი და არ ვთამაშობ ეროტიკას...

„DJ ბუკლეს" (ჟურნალი „რეიტინგი") ბოლო სტუმარი (კერპებთან თაყვანისმცემელთა შეხვედრები სექტემბრიდან განახლდება) ეკა კვალიაშვილი გახლდათ. მომღერალს მეუღლე, ბესო ბაკურაძე არ ახლდა, თუმცა, მთელი სალამოს მანძილზე, სამჯერ მაინც დაურეკა და ჰკითხა — სად ხარო? როგორც ყოველთვის, სალონი სავსე იყო თაყვანისმცემლებით — დაწყებული ბავშვებით, დამთავრებული ასაკოვანი ქალბატონებით, რომლებიც ყველაზე მეტად აქტიურობდნენ.



ეკა კვალიაშვილი:

„ერთ კაცზე ერლეკაზე ვიდევ ო

მოითმინე, კიდევ ორი თვე! ისიც მოთმინებით იცდის, როდის მოვიცლი მისთვის...

— თქვენმა შვილმაც რომ მომღერლობა აირჩიოს, ამაში ხელს შეუწყობთ?

— თუ ისეთ დონეზე იმღერებს, როგორც მე დამაკმაყოფილებს — კი, ბატონო, იმღეროს. თუ არა და, ავუხსნი, როგორ უნდა მოიქცეს.

— ფონოგრამებზე რა აზრის ხართ?

— საერთოდ, ეს მტკივნეული თემაა. ფონოგრამები ყოველთვის იყო და იქნება. მქონია შემთხვევა, როცა ფონოგრამაზე პირი მეც გამიღია — ვთქვათ, ტელეგადაღების დროს ან ავად რომ ვყოფილვარ და იძულებული გავმხდარვარ ფონოგრამა ჩამერთო.

— თქვენი იმიჯის მკვეთრი ცვლილება რამ გამოიწვია?

— მომბეზრდა ძველი იმიჯი და შეცვლა გადავწყვიტე. ერთ დილით, წავედი სალონში თმის დასავარცხნად. რომ წარმოვიდგინე, რომ ჩემთვის ისევ ისე უნდა დაევარცხნათ თმა და ისევ ისეთი ვყოფილიყავი, შეცვლა მომინდა. სალონის პირდაპირ არის მაღაზია, სადაც პარიკები იყიდება. გადავედი და შავი პარიკები მოვიკითხე. დავიხურე და მომეწონა. წამოვიღე მუქი შავი ფერის საღებავი, მივედი სალონში და ჩემს სტილისტს ვუთხარი: თმა ამით შემიღებე-მეთქი. რას ამბობ, კაცო?!. — შეიცხადა. — შავათა?! — ჰო, ჰო, შავათა-მეთქი, — ვუპასუხე. — ვაიმე, რაღა ვქნა — რო არ მოგიხდეს?.. — და ა.შ. მოკლედ, შემიღება შავად, დამვარცხნა; ჩავიხედე სარკეში და კლეოპატრას დავემსგავსე... იქიდან გამოვედი და ჩემს მეუღლეს შევხვდი. — მოიხადე ეგ პარიკი, რას დაგიხურავს ამ სიცხეშიო?! — მითხრა. მერე ვიფიქრე: ეს გრძელი, შავი თმა რაღაც, გიორგი სააკაძის მუზარადივით მაქვს-მეთქი; მთლად „ბაბუაჩემს“! *(ეკას დიდი ბებია — მარო თარხნიშვილი, გიორგი სააკაძის პირდაპირი შთამომავალია. — ავტ.)* ხომ არ დავემსგავსებოდი და დემი მურის ვარცხნილობა შევარჩიე...

— რას შეცვლიდით თქვენს პირად ცხოვრებაში?

— ვერაფერს ვერ შევცვლი. როგორც ვიცხოვრე — საკუთარი შეცდომებიანად — ყველაფერი უფლის ნება იყო.

— როგორი დიასახლისი ხართ?

— სად მცალია, შენ შემოგევლე?!. თუმცა, ძალიან კარგი დიასახლისი ვარ. აბსოლუტურად ყველაფრის კეთება შემიძლია.

— თქვენი მეუღლე სად, როდის და როგორ გაიცანით?

— წელიწადი და ორი თვეა, რაც მე და ბესო ერთ უღელს ვეწევით. ორი წლის წინ გავიცანი რესტორანში. ბაკურ ბაკურაძის ძმა არის. არც ვიცოდი, თუ ბაკურს უფროსი ძმა ჰყავდა. ვნახე და — დედა, ეს რა ნახა ჩემმა თვალებმა!..

— რომანტიკული თუ ხართ?

— ძალიან რომანტიკული ვარ. თუმცა, ამის დროც არ მრჩება. რამდენიმე დღის წინ, ვეუბნებოდი ბესოს: რომანტიკა მომენატრა და როგორც გინდა, ისე მომიწყვე-მეთქი... ისიც დაიბნა: როგორ „გავაკეთოთ“ ახლა, რომანტიკაო?!. — იფიქრე-მეთქი, — ვუპასუხე.

— მოიფიქრა?

— ბესო რაჭველია და ჯერ ისევ ფიქრობს. თუ მოიფიქრებს, ვიცი, რომ კარგს მოიფიქრებს. ბესომ, არა რაჭულად, ისეთი რაღაც გადაწყვიტა... რესტორანში რომ ვიყავით, უცებ მომიტრიალდა და მითხრა: ასი წელი რომ გავიდეს, შენ თუ ჩემი ცოლი არ გახდე და ჩემს მხარზე თუ თავი არ დაგადებინო, კაცი არ ვიყოო!.. გაოცებულმა გავხედე. დათო ძიძიგური მეჯდა გვერდით და ჩუმად ვუთხარი: ამ ბიჭს საკუთარ თავზე ძალიან დიდი წარმოდგენა აქვს-მეთქი. ამის შემდეგ, მეგობრულ შეხვედრებზე ვხვდებოდით ხოლმე ერთმანეთს, მაგრამ ხმას აღარ იღებდა. ამაზე გავბრაზდი, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ერთმანეთი მოგვწონდა. ერთხელაც, რესტორანში შევხვდით. მალევე დავაპირე იქიდან წამოსვლა, მაგრამ ბესომ მთხოვა, დარჩიო და სად წავიდოდი?!. მეორე დღეს, დამირეკა, შევხვდით და მითხრა: ნახევარ საათს გაძლევ მოსაფიქრებლად — ცოლად გამომყვები თუ არაო? — ერთი საათი რომ იყოს, არ შეიძლება-მეთქი? — არა, მე უკვე დიდი ხანია ამაზე ვფიქრობო... ბავშვები აღარ ვიყავით, ორივემ ვიცოდით, თუ რა გვინდოდა და ნახევარ საათში გავყევი ცოლად.

— თქვენმა შვილმა როგორ მიიღო ბესო?

— ძალიან კარგად. ბესო გიჟდება ბავშვებზე. ამის გამო მათ არაჩვეულებრივი ურთიერთობა აქვთ.

— თქვენს შვილს პატარა დედმამიშვილი არ უნდა?

— ჩემი შვილი მოითხოვს დას. კკითხე: ძმა რომ იყოს-მეთქი? — დაფიქრდა და... ძმას ხომ ვერ გადავაგდებ, მაგრამ მე მაინც და მინდაო... შვილზე კი მიფიქრია, მაგრამ იმდენი საქმე გვაქვს, რომ ალბათ ჯერ ვერ ვიყოლიებთ, თუმცა ერთ პატარა არსებას კიდევ მოვავლენთ ამ ქვეყანაზე.

— როგორი წარმოგიდგენიათ საკუთარი თავი ოცი-ოცდახუთი წლის შემდეგ?

— დაფიცებული მაქვს — როგორიც სოფი ლორენია თავის ასაკში, მეც ისეთივე ვიქნები მის ასაკში. ჯიშითაც მომდგამს.

შეხვედრის ბოლოს, ეკამ საჩუქარი — „მომღერალი“ ბურთები თავის ყველაზე პატარა თაყვანისმცემელს — 13 წლის თიკო ჯანჯღავას გადასცა.

ამით „DJ ბუკლე“ სექტემბრამდე გემშვიდობებათ, ხოლო სასექტემბროდ, ახალი იდეებითა და სიურპრიზებით, შეხვედრები კვლავ განახლდება.

■

ამით „DJ ბუკლე“ სექტემბრამდე გემშვიდობებათ

გაუფრთხილდით მელოტს

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

ზოგი ფიქრობს, რომ სიქაჩლე მაღალი ინტელექტის ნიშანია, ზოგს კი, დაავადების, აგრეთვე ბრაზიანობის ნიშნად მიაჩნია. ასეა თუ ისე, სიქაჩლე მრავალი ადამიანის პირად ცხოვრებაზე ახდენს გავლენას, ადამიანის ბედზე მისი ზეგავლენის ყველა სფეროს ჩამოთვლა კი ძნელიცაა.

მეცნიერულად

გამელოტების ანუ ალოპეციის მიზეზები გასული საუკუნის 40-იან წლებამდე, გამოცანად რჩებოდა. ამ პერიოდში კი, ექიმმა ჰამილტონმა დაამტკიცა, რომ თავიდან თმის გაძლიერებულ ცვენას მამაკაცური სასქესო ჰორმონების მომატებული შემცველობა იწვევს. რა თქმა უნდა, ანდროგენები ერთადერთი ფაქტორი არ არის – სტრესებმა, ცუდმა ეკოლოგიურმა გარემომ, არასწორმა კვებამ, ზოგიერთმა დაავადებამ, განსაზღვრულმა პრეპარატებმა და რადიაციის ზემოქმედებამ აგრეთვე შეიძლება მიგვიყვანოს გამელოტებამდე.

ცოტა ხნის წინ გაირკვა, რომ სიქაჩლე გულის იშემიური დაავადების რისკ-ფაქტორსაც წარმოადგენს. ამერიკელმა მედიკოსებმა ექსპერიმენტი ჩაატარეს... საკუთარ თავზე. გამოკვლეულ იქნა 22000 ექიმი. გამოყვეს თმიანობის ხუთი ტიპი: ნორმალური, მცირე გამელოტება შუბლზე, მცირე გამელოტება თხემზე, ზომიერი გამელოტება თხემზე და შიშველი კანი თხემზე, რომელიც ერთვის შიშველ კანს შუბლზე.

11 წლის განმავლობაში, ყველა სახის მელოტთა შორის დაფიქსირდა გულის იშემიური დაავადების (მათ შორის ინფარქტისა და სტენოკარდიის), გულის სისხლძარღვთა დაზიანების 1500 შემთხვევა. მამაკაცებში, რომელთაც გამელოტება არ აღენიშნებათ, გულის იშემიური დაავადების განვითარების რისკი რამდენიმე ერთეული იყო. შედარებით ნაკლები გამელოტების მქონე მამაკაცთა რისკის კოეფიციენტი აღმოჩნდა 1,1-ის ტოლი, ხოლო ყველაზე ძლიერ გამელოტებულებისა – უკვე 1,4. იშემიის რისკი მატულობს წნევიან მელოტებში (1,8), ხოლო პირველ ადგილზე გადავიდნენ ქოლესტერინის მაღალი დონის მქონე ქაჩლები, რომელთა რისკის კოეფიციენტი 2,8-ს უტოლდებოდა.

რა ვქნათ?

თანამედროვე მამაკაცს გამელოტებასთან ბრძოლის ოთხი გზა აქვს.

პირველი – არ მიაქციოს მას ყურადღება. ეს გამელოტების დამარცხების ყველაზე მარტივი და ეფექტური ხერხია.

მეორე – დაუჯეროს ყველანაირ რეკლამას „სასწაულმოქმედი საცხებისა“ და „ძროხის ენის“ შესახებ. ეს ხერხი ახალი შთაბეჭდილების მომტანია, მაგრამ თითქმის უშედეგო: გამელოტებულ უბანზე თმის გასაზრდელი საშუალება ჯერჯერობით არ არსებობს.

მესამე – ეცადოს პროცესის შეფერხებას, რისთვისაც შეთხელებული უბნები უნდა კვებოს ლოსიონებით, სპეციალური შამპუნებით, სამკურნალო პრეპარატებით, აგრეთვე – მასაჟით.

მეოთხე – რადიკალური მეთოდები. მათზე დაწვრილებით შევჩერდებით.

რადიკალურად!

პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია ორი – პლასტიკური და რეკონსტრუქციული ქირურგიის მეშვეობით. პირველი იმაზეა დაფუძნებული, რომ ნებისმიერი ხარისხის გამელოტების დროს, თავზე თმის გარკვეული რაოდენობა მაინც რჩება და შესაძლებელია მათი გადანერგვა. უფრო სწორად, ინერგება არა თვითონ თმა, არამედ კანის კუნძულაკები ორი-სამი თმის ფოლიკულით. ტრანსპლანტაციისათვის გამოიყენება მხოლოდ საკუთარი თმა, რადგან სხვისი (თუნდაც ახლო ნათესავის) არ ცოცხლდება. ეს იუველირული ოპერაციაა: თავის 8X8 სმ მონაკვეთზე საჭიროა 500-მდე ასეთი კუნძულაკის გადანერგვა. შედეგად, ხშირ თმასა თუ კულულებს ვერ მიიღებთ, მაგრამ თმა თანაბრად იზრდება და საკმაოდ ესთეტიკურად გამოიყურება.

რეკონსტრუქცია, სიმართლე რომ ვთქვათ, საზარელი მეთოდია. მას ჩვეულებრივ, ტრავმის შემდგომ იყენებენ ხოლმე. კანის იმ გამელოტებული უბნის ქვეშ, რომელიც მელოტი ნაწილის გვერდით მდებარეობს, ჩააკერებენ ელასტიკურ იმპლანტანტს და 2-3 თვის განმავლობაში „რწყავენ“: შეჰყავთ სითხის მიკროდოზები. იმპლანტანტი მოცულობაში მატულობს და ჭიმავს თმიან კანს. შემდეგ, გამელოტებულ უბანს ამოჭრიან და მის ადგილას გადაჭიმავენ თმიან კანს. გასაგებია, რომ პროცედურა საკმაოდ ხანგრძლივია. 50 კვსმ უბანზე რეკონსტრუქციისას, დაახლოებით ორი თვე სჭირდება.

ვიდრე ასეთ რადიკალურ ზომებს მიმართავდეთ, ჯერ მოსინჯეთ უფრო მარტივი საშუალებები: ლოსიონები, შამპუნები, ჟელეები, სამკურნალო პრეპარატები. ზოგიერთი მათგანი სწორი და რეგულარული გამოყენებისას უმკლავდება თმის ცვენას. ■

რა ვიცით ხილის შესახებ

გამოთქმამ — „ყველა ბოსტნეულს თავისი დრო აქვს“ — დღეს, დიეტოლოგთა აზრით, ახალი შინაარსი შეიძინა: ხილ-ბოსტნეულის სიჭარბე ყოველთვის არ არის სასარგებლო ორგანიზმისათვის. უნდა ვიცოდეთ, როდის და როგორ ვჭამოთ ის.

ძველად, გაზაფხული ასოცირდებოდა ახალი ხილისა და ბოსტნეულის გამოჩენასთან. ახლა კი „წითელლოყება“ ვაშლი, არომატული მსხალი და ატამი, წლის ნებისმიერ დროს, სეზონის მიუხედავადაა ხელმისაწვდომი.

ხილ-ბოსტნეულის რაოდენობის ზრდას ჩვენს მენიუში ყველა მედიკოსი ერთხმად მიესალმება, რადგან ეს ჯანსაღი კვებისა და ცხოვრების წესის აუცილებელი ნაწილია, მაგრამ ვიდრე ხილის დანას მოვიმარჯვებთ, უნდა დავფიქრდეთ, სწორად ვღებულობთ თუ არა ამ დოვლათს. ხილის შერჩევისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობა. ზოგიერთი დაავადების დროს, სასურველი არ არის ხილის დიდი რაოდენობით მიღება. ასეთებია:

- გასტრიტები (მომატებული მჟავიანობის დროს, უმჯობესია, უარი თქვათ მჟავე ხილსა და ბოსტნეულზე);
- კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება;
- კუჭნაწლავის მოტორული ფუნქციის დარღვევა;
- ნახშირწყლოვანი ცვლის დარღვევა (შაქრიანი დიაბეტის, სიმსუქნის დროს მენიუდან უნდა ამოვიღოთ ტკბილი ხილი).
- კუჭქვეშა ჯირკვლის დაავადებები (ახალი ხილ-ბოსტნეული არ არის რეკომენდებული, რადგან მათში შემავალი უჯრედისი ვნებს ჯირკვალს).

ძალზედ მნიშვნელოვანია იმის ცოდნაც, თუ რომელი ხილი როდის უნდა ვჭამოთ, რომ მასში შემავალმა სასარგებლო ნივთიერებებმა ორგანიზმს მაქსიმალური სარგებლობა მოუტანოს.

რისგან შედგება ნაყოფი

ხილისა და კენკრის უმრავლესობა დიდი რაოდენობით შეიცავს:

- შაქარს (ნახშირწყლებს);
- ორგანულ მჟავებს;
- ვიტამინებსა და მინერალებს;
- უჯრედისს, რომელიც ხელს უწყობს მონელების პროცესებს;
- სხვადასხვაგვარ, ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს;
- ანტიოქსიდანტებს, რომელიც ორგანიზმში უჯრედებს ზეჟანგოვანი ნაერთებისაგან იცავს.

გემოს მიხედვით ხილი შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად — ტკბილი და მჟავე.

ტკბილი ხილი

ტკბილ ხილში შაქარი უფრო მეტია, ვიდრე ორგანული მჟავები.

მოქმედება: ნახშირწყლები აქვეითებს მადას და თრგუნავს კუჭის წვენის სეკრეციას. ასე რომ, თუ სადილის წინ, ბავშვი შეჭამს ტკბილ მსხალს, მას უბრალოდ აღარ მოუნდება ძირითადი კერძის მიღება.

როდის ვჭამოთ: ჩვეულებრივ — ჭამის შემდეგ, მაგრამ თუ აუცილებელია მადის დაქვეითება და საკვების მოხმარების შემცირება, მაშინ ტკბილი ხილი ჭამამდე ან საჭმლის ნაცვლად შეიძლება მივირთვათ. ამაზეა დაფუძნებული გასახდომი, ე.წ. ინგლისური დიეტა: რაციონი შედგება დიდი რაოდენობით ტკბილი ხილისაგან, ყველა დანარჩენი კვების პროდუქტი საგრძნობლადაა შემცირებული.

მჟავე ხილი

მჟავე ხილი შეიცავს ნაკლები რაოდენობით შაქარს და მეტ ორგანულ მჟავებს.

მოქმედება: მჟავები ასტიმულირებს კუჭის მუშაობას, აღაგზნებს კუჭქვეშა ჯირკვლის სეკრეციას, ზრდის მადას, აძლიერებს ნაწლავის პერისტალტიკას.

როდის ვჭამოთ: ადამიანებისთვის, რომელთაც აქვთ კუჭის წვენის დაბალი მჟავიანობა ან კუჭქვეშა ჯირკვლის გარესეკრეტორული ფუნქციის დაქვეითება, რეკომენდებულია ორგანული მჟავებით მდიდარი ხილის, ჭამამდე მიღება — ის ხელს შეუწყობს საჭმლის მონელებას.

მაღალი მჟავიანობის მქონე ადამიანებმა კი, მჟავე ხილზე უმჯობესია, უარი თქვან.

ვისაც მჟავიანობა ნორმალური აქვს, შეუძლია მიირთვას ყველანაირი ხილი: მადის დასაქვეითებლად — ჭამის წინ, ტკბილი, მოსამატებლად — ჭამის წინ, მჟავე; სიამოვნებისათვის — ნებისმიერ დროს.

ხილის ხარისხი

ხილის შეძენისას უნდა გავითვალისწინოთ, როდის დამწიფდა იგი: რაც უფრო ცოტა ხანს ინახებოდა, მით მეტია მასში სასარგებლო ნივთიერებები. გაზაფხულობით, დახლებზე, როგორც წესი, იმპორტული ხილ-ბოსტნეული ჭარბობს. მათი უარყოფითი მხარე ის არის, რომ საექსპორტოდ განკუთვნილ ხილს, დაუმწიფებლად კრეფენ, რადგან სხვაგვარად იგი ვერ მიაღწევს დანიშნულების ადგილამდე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ასეთი ხილი ღარიბია სასარგებლო ნივთიერებებით, რადგან ვერ მოასწრო მათი დაგროვება.

როგორ მოვიქცეთ: რაციონში შევიტანოთ მეტი სამამულო ხილ-ბოსტნეული, რომელიც მდიდარია ვიტამინებით, მინერალებით, ორგანული მჟავებით და ორგანიზმისათვის სასარგებლო სხვა ნივთიერებებით. ამ სიმდიდრეს განსაკუთრებით ხანგრძლივად ინარჩუნებს ბაღჩეული მცენარეები: ჭარხალი, სტაფილო, კარტოფილი, ბოლოკი, თალგამი, მწვანილეული. გოგრა და ყაბაყი, სხვათა შორის, მაისამდე ინარჩუნებს კვებით ღირებულებას. ■

სეზონური რჩევები

ეგზოტიკური ნიღბები

კანს ელასტიკურობასა და სინორჩეს შემატებს ეგზოტიკური ნიღბები. ისინი კვირაში 2-ჯერ უნდა მოამზადოთ, დაიდოთ სუფთა კანზე და დროულად ჩამოიბანოთ თბილი წყლით. სასურველია, რომ წვენები ახალგამოწურული იყოს.

სახისთვის: აიღეთ 2-2 ჩ/კ ფორთოხლის წვენი და თაფლი, 3 ჩ/კ ნებისმიერი ცხიმიანი საცხი, 1 ჩ/კ ზეითუნის ზეთი და 2 ს/კ კარგად დაფქული შვრია. ყველაფერი კარგად აურიეთ. გაიკეთეთ ნიღაბი სახეზე (ტუჩებისა და თვალების ირგვლივ არეების გარდა). გაიჩერეთ 20 წთ. გაითვალისწინეთ, რომ თაფლის წასმა არ შეიძლება კანის იმ ადგილებში, სადაც სისხლძარღვები ზედაპირთან ახლოსაა განლაგებული.

ხელისთვის: აურიეთ 2 ს/კ ანანასის წვენი, ათქვეფილი კვერცხის გული და 2 ჩ/კ ვაშლის ძმარი. წაისვით ეს ნარევი ხელებზე; ჩამოიბანეთ 3 წუთის შემდეგ.

ფეხისთვის: მოამზადეთ პასტა 2 ს/კ ლიმონის წვენის, 3 ს/კ ზეითუნის ზეთისა და 1 ჩ/კ შვრიის ფქვილისაგან, დაუმატეთ წყალი და მიღებული ლოსიონი შეიზილეთ ფეხებში თითის წვერებიდან ბარძაყებამდე. გაიჩერეთ 20 წუთი.

აბაზანაში მარილის ტომარასთან ერთად

აბაზანა შეგიძლიათ გაიკეთოთ არა მხოლოდ ზღვის მარილით, არამედ ჩვეულებრივი, სუფრის მარილითაც. მარილხსნარი ხელს უწყობს კანიდან ტენის გამოყოფას, იგი უკეთ მარაგდება სისხლით და ამის შედეგად, უკეთ იკვებება. აბაზანის მომზადება მარტივია: 2 შეკვრა მარილი გახსენით თქვენთვის სასურველი ტემპერატურის წყლით სავსე აბაზანაში.

შეგიძლიათ მხოლოდ აბაზანით არ შემოიფარგლოთ. მარილი თმის ცვენისა და თავის კანის სიმშრალის საწინააღმდეგო, მშვენიერი საშუალებაა.

დაიბანეთ თავი თბილი წყლით, შემდეგ, მსუბუქად შეიზილეთ მარილი 15 წუთის განმავლობაში, ბოლოს, კარგად ჩამოიბანეთ თმა. საკმარისია 6 ყოველკვირეული პროცედურა – შედეგი აუცილებლად გექნებათ!

■

თუ დაგავიწყდათ

იმისათვის, რომ თავიდან ამოვარდნილი სიტყვა (თარიღი, ტელეფონის ნომერი და ა.შ.) გაიხსენოთ — ნუ ეცდებით დავიწყებულის აღდგენას. გამოაღეთ ფანჯარა, მოდუნდით, გაიშალეთ მხრებში. მოახერხეთ კონცენტრირება სუნთქვაზე და ორი წუთი, ღრმად ისუნთქეთ ისე, რომ არაფერზე იფიქროთ. საჭირო ინფორმაცია თავისთავად ამოტივტივდება.

ადამიანთა უმრავლესობა, რომლის მეხსიერებიდან მოულოდნელად იკარგება ცალკეული წვრილმანი, აბსოლუტურად ჯანმრთელია. სტრესის მდგომარეობაში ჩვენი ტვინი იტვირთება ინფორმაციით და თავისთავად იწყებს მის „ჩამორეცხვას“ ოპერატიული (მოკლევადიანი ანუ მიმდინარე) მეხსიერებიდან, რათა გაათავისუფლოს ადგილი.

მეხსიერების არასასურველ „ჩავარდნებს“ შეიძლება დავაღწიოთ თავი.

● გაიუმჯობესეთ ტვინის სისხლმომარაგება ვარჯიშების, გასეირნების ან გინგკო ბილობას მსგავსი მცენარეული პრეპარატებით.

● გაზარდეთ B ჯგუფის ვიტამინების მოხმარება. ყოველდღიურად, თქვენ გესაჭიროებათ:

1,2 გ თიამინი (B1) – ამ ვიტამინს შეიცავს ბარდა, ხორბალი;

1,6 გ პირიდოქსინი (B6) – იგი ბევრია ძროხის ღვიძლში, ბანანში, ორაგულში;

15 მგ ნიკოტინის მჟავა (B3) – შეიცავს ღვიძლი, ორაგული, ღორის ხორცი, თეთრი სოკო.

● შეცვალეთ ყავა (განსაკუთრებით დილაობით), მწვანე ჩაით. ჩაიში შემავალი თეობრომინი და თეოფილინი აფართოებს ტვინის სისხლძარღვებს, აუმჯობესებს სისხლმომარაგებას, ხოლო A, C ვიტამინები და რუტინი ამაგრებს სისხლძარღვთა კედლებს.

● ავარჯიშეთ ტვინი. კროსვორდები, რებუსები, თავსატეხები კარგი სავარჯიშია გონებისთვის. სპეციალისტები გირჩევენ აგრეთვე ლექსების წერას – უნდა შეარჩიოთ, რაც შეიძლება მეტი რითმა.

■



სტრიპტიზი ნდობის უმაღლესი გამოვლინება ყოფილა

ბლოკბასტერში – „ჩარლის ანგელოზები“ მონაწილე ვარსკვლავები: დრიუ ბერიმორი, კამერონ დიასი და ლიუსი ლიუ, ამ ფილმის ორი ნაწილის გადაღებისას იმდენად დაუმეგობრდნენ რეჟისორ მაკგის (სრული სახელი – ჯოზეფ მაკგინტი ნიკოლ), რომ მისი თქმით, სტრიპტიზითაც იქცევდნენ ხოლმე თავს მასთან ერთად. „ისინი საკმაოდ თავისუფალი გოგონები არიან, – იგონებს მაკგი. – სამივეს მეც ვუნახივარ შიშველი და მეც მინახავს ისინი. ეს ჩვენს ტრაილერში ხდებოდა – ჩავრთავდით ხოლმე Motley Grue-ს ძველ ფირფიტას და ცეკვა-ცეკვით, გაშიშვლებას ვიწყებდით. ამგვარად, დავუმტკიცეთ ერთმანეთს, რომ თითოეული ჩვენგანი უსაზღვროდ ენდობა დანარჩენებს, განსაკუთრებით – დრიუ; მას საუცხოო სხეული აქვს და ის ძალზედ თავისუფალი გოგონაა, რაც შესანიშნავია“, – დასძენს მაკგი. ■

გვინეტ პელტროუ ჯულინარიის ხელოვნებას ეუფლება

პოპულარული კინოვარსკვლავის, გვინეტ პელტროუს 26 წლის მეგობარი – ჯგუფ Coldplay-ის ვოკალისტი, კრის მარტინი, თურმე გასტროლებზე ყოფნისას იმდენად ნატრობს ბრიტანულ საჭმელებს, რომ გვინეტმა გადაწყვიტა, ზედმიწევნით შეისწავლოს გემრიელი ძველმოდური საოჯახო სადილების მომზადება. ეს კი, შეიძლება ითქვას, მოვლენაა, რადგან, როგორც მსახიობის ახლობლები ირწმუნებიან, გვინეტს კვერცხის მოხარშვაც კი არ შეუძლია. თუმცა, იქვე დასძენენ, რომ იგი ჭკვიანი ქალია და კარგად იცის, რომ მამაკაცის გულისკენ მიმავალი ყველაზე ნაცადი გზა კუჭზე გადის. მას ხომ გულით სურს უფრო გააბედნიეროს კრისი.

ფილმების – „ფრთხილად, კარი იკეტება“ და „შეყვარებული შექსპირის“ მთავარი როლის შემსრულებელი, 30 წლის გვინეტ პელტროუ, რომელიც ყველა დროის ელეგანტურ ქალბატონად აღიარეს, იმედია, სამზარეულოშიც შეინარჩუნებს მომხიბვლელობას და ელეგანტურობას. ■

როგორ დაითრია სუპერმოდელი უბრალო სტუდენტმა

Estee Lauder-ის მოდელი კეროლინ მერფი, სამხედრო-საზღვაო აკადემიის სტუდენტთან, რობერტ მადელთან პაემანზე იმის შემდეგ დათანხმდა, რაც გულადმა სტუდენტმა ამის შესახებ თვით კომპანიის თავკაცს – ლეონარდ ლაუდერს სთხოვა. საქმე ის გახლავთ, რომ ყმაწვილმა უბრალოდ, სიტყვაზე დაიჭირა ლაუდერი: აკადემიის სტუდენტებთან შეხვედრისას მან თქვა – გამბედაობა ჯილდოს ღირსიაო; ამის გაგონებაზე, მადელი ადგილიდან წამოდგა და იკითხა: თუ ასეა, იქნებ, წითურთმიან ლამაზმანთან შეხვედრა მომიწყოთო? უარის თქმა ლაუდერს იმდენად ეუხერხულა, რომ ის მომავალ ოფიცერს დაჰპირდა – კეროლინთან ერთად რესტორანში წასვლას ჩაგიწყობო. როცა ეს შეიტყო, კეროლინი დაფიქრდა და... დათანხმდა. ■

უსიამოვნო სიმართლე პრინცზე

გასული საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური პოპვარსკვლავის, პრინცის პირადი ცხოვრების დეტალები ცნობილი გახდა სასამართლო პროცესის დროს, რომელიც მისმა ყოფილმა მეგობარმა, ვინმე შარლინ ფრენდმა წამოიწყო. იგი ამტკიცებს, რომ მომღერალთან უჩვეულო ინტიმური კავშირის წესმა სერიოზულად შეარყია მისი ფსიქიკა. პროცესზე მან გამოამზეურა პრინცის არასტანდარტული სექსუალური ჩვევები: „ჩვენი მეგობრობის ჯერ კიდევ საწყის ეტაპზე გამაფრთხილა, რომ იგი სწორედ ფიზიკურ ურთიერთობებს ანიჭებდა დიდ მნიშვნელობას, მაგრამ მაშინ, სერიოზულად არ აღმიქვამს მისი სიტყვები“. როგორც შემდგომ გაირკვა, ვარსკვლავურმა ავადმყოფობამ პრინცში რაღაც განსაკუთრებული ფორმა მიიღო: მან რატომღაც წარმოიდგინა, რომ სექსუალურ მესიას განასახიერებდა და თუკი ოდესმე ვინმესთან ჰქონდა ინტიმური კავშირი, ამის შემდეგ იგი მათთან გამთლიანდა. რაც შეეხება ფრენდს, პრინცი მასთან შემდეგნაირად ატარებდა დროს: იგი გოგონას თავისი სასცენო კოსტიუმებით მოსავდა ხოლმე და შემდეგ, ვიდეოჩანაწერებს აყურებინებდა, რომელზეც დაფიქსირებული იყო მისი შეხვედრები სხვა პარტნიორ ქალებთან. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან „სწყინდა“ გოგონას (რაც რთული გასაგები არ უნდა ყოფილიყო მოსამართლისთვის). მისივე მონათხრობიდან, მომღერალი ხშირად აწყობდა სექს-საღამოებს, რომელშიც დომინირებდა სადო-მაზოხისტური ელემენტები. ასეთ დროს, მის მსახურს ეკრძალებოდა, ეყურებინა სტუმრებისათვის, სტუმრებს კი – პირიქით. ცხადია, ყველაფერმა ამან მოუშუშებელი კვალი დატოვა ახალგაზრდა ქალის სულში, რომელმაც მთელი ეს სიბინძურე მას შემდეგ გამოამზეურა, როცა პრინცმა ბრალდება წაუყენა იმის თაობაზე, რომ ფრენდმა მისი ნაჩუქარი, ოქროს სამკაულები გაყიდა.

პროცესზე გამჟღავნებულ ამბავს პრინცი სრულ სისულელეს უწოდებს. ■


საღეგ-
რძელოს
შეთავა-
ზება
შავკურძნი-
ანი ვაზის
ჯიში
ბრტყელი
ყბაკი
მოსდგნ
ჯდელ ოყმ
მსხვილი
ადგილ-
მპყრი
ძველ რომში
სპორტული
ნაწარმის
გერმანული
ფირმა
კროუ-
ფორდი
„მილა-
ნის“
თავდამ-
სხმელი
ჯერ
კიდევ ბენ
აფლეკის
საცოლე
თიხის
მუცელ-
გაბერილი
ჭურჭელი
ფ ქართული
გუნდური
შეჯიბრება
ცხენოსნობაში
საუკე-
თესო
შვედური
არაყი
სასაცივე
ფრინველი
თივის
ზვინების
ხატვის
მოყვარული
თაოსნობა
შავი ზღვა
ბერძნები-
სათვის
გლენ ...
ჰონდურასის
დედაქალაქ
სასროლეთი
ქართ. რაგბი
სამართ-
ლის
მცოდნე
ხულიო
ან ენრიკე
...
ესპანელი
მეზღვაური,
მექსიკის
დამპყრობი
ლეო
დელიბის
ოპერა
თეორიულ
ცოდნას
აღრმავებს
დაქირავე-
ბული
მკვლელი
ბედისწერა
ვიტორიო
დე ...
ჩინეთის
დამოუკი-
დებელი
კუნძული
ტბა
თურქეთში
ებრაელთა
მოძღვარი
უსინათ-
ლოთა
ანბანის
შემქმნელი
საჭადრაკო
ფიგურა
ს/ამერიკული
საუკეთესო
მატყლი
სამაჯური
ადრინდელი
სახელმწ.
ჩინეთის
ტერიტორიზე
ლენინის
მოკვლას
ცდილობდა
გამოსახ-
ულების
მასშტაბი
კადრში
სპორტული
თანრიგი
იაპონურ
ორთბრძლში
შეადგინა
რამაზ ალანიამ

კვირის (2 – 8 ივნისი) ასტროლოგიური პროგნოზი

ტარიგები – 22/V-21/VI

როგორც ცნობილია, ორ წერტილს შორის უმოკლესი მანძილი, სწორი ხაზია. ჰოდა, თქვენც სწორი გზით იარეთ – სხვაგვარად, არაფერი გამოგივათ. რაც მთავარია, მტკიცე ნაბიჯით უნდა იაროთ დასახული მიზნისაკენ და აუცილებლად მიაღწევთ მას.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

დროა, დასვენებაზე იზრუნოთ, რადგან საქმეზე ფიქრიც კი, ახლა, თქვენში ალერგიას იწვევს. თუმცა, კვირის შუა პერიოდში, თქვენ წინაშე დასახულ ყველა ამოცანას წარმატებით გაართმევთ თავს. უქმეებისთვის კი, ჯობს, ბუნებაში გასვლა დაგეგმოთ.

ლომი – 23/VII-23/VIII

ეს კვირა ხელსაყრელია ინტელექტუალური შრომის ან შორსმიმავალი გეგმის შედგენისთვის. შემოქმედებითი სფეროს წარმომადგენლებს კი, შეიძლება, საოცარი იდეა დაებადოთ. ეს კვირის დამლევისთვის მოხდება. შუა პერიოდში კი, შეყვარებულთან ერთად სასიამოვნო საღამო გელით.

ქალწული – 24/VIII-23/IX

უამრავი სამუშაო გექნებათ და თქვენც მთლიანად მისი შესრულებით იქნებით დაკავებული. ეს იმითაც იქნება განპირობებული, რომ ოჯახის წევრებთან თქვენი ურთიერთობა მთლად ჰარმონიულად არ ვითარდება.

სასწორი – 24/IX-23/X

სერიოზული ფინანსური საკითხების გადაჭრა მოგიწევთ. ბოლო დროს, მფლანგველი გახდით და ახლა, ამის ნაყოფს იმკით. მაგრამ შესაშინებელი არაფერია – უბრალოდ, ფინანსური დისციპლინა უნდა ისწავლოთ და ყველაფერი თავთავის ადგილზე დადგება.

დრიანკალი – 24/X-22/XI

სწორედ ამ კვირაში, შეიძლება დამთავრდეს რაღაც ისეთი საქმე, რომელიც დიდი ხანია წამოიწყეთ და მოსვენებას არ გაძლევდათ. შეიძლება, ეს რაღაც სამუშაო პროექტი იყოს ან უბრალოდ, ამბავი, რომელიც ადრე შეგემთხვათ. ნებისმიერ შემთხვევაში, უქმეებისთვის, ბოლოს და ბოლოს, ამ პრობლემისგან მოისვენებთ.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

ნუ იქნებით მეტისმეტად გულჩვილი და ბუტია, განსაკუთრებით – კვირის დასაწყისში. თუ ამ რჩევას არ გაითვალისწინებთ, დეპრესია არ აგცდებათ. ამიტომ თავიდანვე მოიკრიბეთ ძალები და მძიმე მომენტებში, იუმორის გრძნობაც მოიშველიეთ.

თხის რქა – 22/XII-20/I

ძალზედ მოსაწყენი სამუშაო – უმეტესად, ქაღალდებში ქექვა მოგიწევთ. შეეცადეთ, საფუძვლიანად გაერკვეთ ყველაფერში, რისი წაკითხვაც ან დაწერაც მოგიხდებათ. თუ ამას მოახერხებთ, ნებისმიერი პოლემიკის დროს, მტკიცედ დაიცავით საკუთარი პოზიცია.

მერწყული – 21/I-19/II

ხელიდან ნუ გაუშვებთ, მაღალ საზოგადოებაში გასვლის შანსს. ახალი ნაცნობობა გელით, რომელიც არა მარტო ახლა, არამედ მომავალშიც დაგეხმარებათ. კვირის დამლევისთვის, ნაკლებად კომუნიკაბელური იქნებით, მაგრამ გირჩევთ – გარშემომყოფებთან ქედმაღლობას ნუ გამოიჩენთ.

თევზები – 20/II-20/III

თუ სამუშაოსა და დასვენების ჰარმონიულ ურთიერთშერწყმას მოახერხებთ, კვირის ბოლოსთვის, ბედნიერ ადამიანად იგრძნობთ თავს. მთავარია, ეს გამოგივიდეთ. დაკვირვებული მოქმედების შემთხვევაში, საუცხოოდ გაუმკლავდებით ამოცანას, თანაც ისე, რომ არავის ინტერესებს არ შელახავთ.

ვერძი – 21/III-20/IV

ამ კვირაში, აუჩქარებელ საუბრებსა და საინტერესო წიგნების კითხვას მიჰყოფთ ხელს. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ სამსახურში ზედმეტად დაგტვირთავენ, საამისოდ უქმეები გამოიყენეთ.

კვრო – 21/IV-21/V

ყველა თქვენი საზრუნავი ახლა, ოჯახსა და შინაურებს უკავშირდება. შესაძლოა, მცირე კონფლიქტები გქონდეთ უახლოეს ადამიანებთან. გაითვალისწინეთ, რომ მის მოსაგვარებლად, თქვენვე უნდა გამოიჩინოთ ინიციატივა. სიფრთხილით მოეკიდეთ ფინანსურ საკითხებს და არ დახარჯოთ ზედმეტი.



ასტროლოგიური რჩევები ელჩებისთვის

ყველაფერი იმდენად კარგად მიდის, რომ ყურადღება სრულიად მოადუნეთ და ნებისმიერ წინადადებას ადვილად თანხმდებით. იყავით ფხიზლად, რადგან შესაძლოა, ბედი გცდით.

ეს განსაკუთრებით ეხება მათ, ვინც 21-დან 31 მაისამდე დაიბადა. თქვენ მიიღებთ უამრავ, არა მარტო საქმიან, არამედ პირადი ხასიათის წინადადებას და თუ ღრმად არ ჩაუფიქრდებით თითოეულის არსს, შეიძლება შეცდომა დაუშვათ. მთავარია, მტკიცედ მიჰყვეთ წინასწარ დასახულ გეგმებს და ჭეშმარიტი ღირებულება მოჩვენებითისგან განასხვავოთ.

თუ 1-დან 6 ივნისამდე მოევლინეთ ქვეყანას, წინასწარ დაუგეგმავი რომანი გელით, რომელიც შეიძლება ძალიან მოულოდნელი აღმოჩნდეს თქვენთვის. თუ ყურებამდე შეიყვარეთ „ის“, გირჩევთ, ყველა ღონე იხმაროთ, რომ თქვენი რჩეულის დედას მოეწონოთ...

11-დან 21 ივნისამდე დაბადებულთათვის ძალზედ საინტერესო პერიოდი იწყება. ჩვეულ რიტმს (სამსახური–სახლი–სამსახური), საოცარ ადამიანებთან ურთიერთობები, უჩვეულო პროექტები დაემატება და თქვენთვის ახალ, თანაც ისეთ სფეროსთან შეხება მოგიწევთ, რომელიც მუდამ გხიბლავდათ. ამ სიტუაციაში, მთავარია, გონების გაფანტვას მოერიდოთ და მთავარზე გაამახვილოთ ყურადღება. ■

რამდენად სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენთ ადამიანებთან ურთიერთობისას?

1) ცდილობთ თუ არა კოლეგასთან შერიგებას სამსახურში მომხდარი უსიამოვნების შემდეგ?

ა) ყოველთვის – 1;

ბ) ხანდახან – 2;

გ) არასოდეს – 3.

2) უმეტესად, როგორ იქცევით კრიტიკულ სიტუაციებში?

ა) სრულ სიმშვიდეს ინარჩუნებთ – 2;

ბ) შინაგანად ღელავთ – 1;

გ) საკუთარ თავზე კონტროლს საერთოდ კარგავთ – 3.

3) თქვენი აზრით, როგორი ადამიანი ხართ კოლეგების თვალში?

ა) მშვიდი და უზრუნველი – 3;

ბ) მეგობრული – 2;

გ) თვითდაჯერებული და შურიანი – 1.

4) როგორი რეაქცია გექნებათ, თუ მოულოდნელად, საინტერესო, საპასუხისმგებლო სამუშაოს შემოგთავაზებენ?

ა) კარგად აწონ-დაწონით და შემდეგ დათანხმდებით – 1;

ბ) უყოყმანოდ მიიღებთ წინადადებას – 2;

გ) უარს იტყვით – 3.

5) როგორ მოიქცევით, თუ თქვენი საწერი მაგიდიდან ვინმე გაუფრთხილებლად აიღებს რაიმე სათუთს?

ა) მაშინვე დააბრუნებინებთ – 2;

ბ) მაგრად შეჯორავთ – 1;

გ) ჰკითხავთ – სხვა რამითაც ხომ არ შეგიძლიათ დაეხმაროთ – 3.

6) რა სიტყვებით შეხვდებით, სამსახურიდან ჩვეულებრივზე გაცილებით გვიან დაბრუნებულ მეუღლეს?

ა) „რატომ შეგაგვიანდა, ძვირფასო?“ – 1;

ბ) „სად ეგდე აქამდე?“ – 2;

გ) „მე უკვე ვნერვიულობდი“ – 3.

7) როგორ იქცევით მანქანის მართვისას?

ა) ცდილობთ, ყველა მანქანას გაუსწროთ – 1;

ბ) ძალზედ სწრაფად დააქროლებთ მანქანას – 3;

გ) ნელა, აუღელვებლად დადიხართ და საერთოდ არ აქცევთ ყურადღებას მანქანებს, რომლებიც გისწრებენ – 2.

8) როგორ იქცევით, როცა დასახული მიზნის მიღწევა გიჭირთ?

ა) ცდილობთ, წარუმატებლობა სხვას გადააბრალოთ – 1;

ბ) ცდილობთ, საკუთარ თავში იპოვოთ ამის მიზეზი – 3;

გ) ეგუებით მდგომარეობას – 2.

9) როგორ მოიქცევით, თუ ვაკანსიას, რომელიც ძალიან გხიბლავთ, მოულოდნელად სხვა დაიკავებს?

ა) ინერვიულებთ – 1;

ბ) იფიქრებთ, რომ უფროსმა თავისი საქმე უკეთ იცის – 2;

გ) საკუთარ თავს ეტყვით: მეტად მოვინდომებ და სხვა დროს, მეტსაც მივაღწევ – 3.

10) რას განიცდით საშინელებათა ფილმის ყურებისას?

ა) ის სიამოვნებას გგვრით – 3;

ბ) გაშინებთ, მაგრამ მაინც უყურებთ – 1;

გ) ის თქვენთვის მოსაწყენია – 2.

11) როგორ იქცევით, როცა საავტომობილო საცობის გამო, მნიშვნელოვან შეხვედრაზე აგვიანებთ?

ა) დაურეკავთ პარტნიორს და გააფრთხილებთ, რომ გაგვიანდებათ – 2;

ბ) ნერვიულობისგან თავი აგტკივდებათ – 1;

გ) ხასიათი წაგიხდებათ – 3.

12) როგორ მოიქცევით, თუ თქვენს შვილს სკოლაში თანაკლასელი გაბრაზებს?

ა) მასწავლებელს დაელაპარაკებით – 1;

ბ) „დამნაშავის“ მშობლებს წაეჩხუბებით – 2;

გ) დაარიგებთ შვილს, რომ ფიზიკურად გაუსწორდეს მას, ვინც წინა დღეს გააბრაზა – 3.

13) თქვენი აზრით, როგორი ადამიანი ხართ?

ა) ნორმალური – 1;

ბ) თავდაჯერებული – 2;

გ) შემტევი – 3.

14) წარმოიდგინეთ, რომ გთავაზობენ, კიდევ ერთხელ მოევლინოთ ქვეყანას, ოღონდ – როგორც ცხოველი. რომელს მიანიჭებდით უპირატესობას?

ა) კატას – 2;

ბ) დათვს – 3;

გ) ვეფხვს – 1.

დაჯამეთ ქულები

14-22 ქულა: მშვიდობისმოყვარე ადამიანი ხართ, საკუთარი თავის რწმენა და თავდაჯერებულობა აშკარად გაკლიათ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვებს თქვენით მანიპულირების საშუალებას აძლევთ. საკუთარ შეხედულებებს ბოლომდე იცავთ. სხვებთან ურთიერთობაში კი უმეტესად, თბილად და ლოიალურად იქცევით, ოღონდ — მანამდე, სანამ ვინმე ძალით არ გამოგიწვევთ. თუ ეს მოხდა, ბრაზდებით, თუმცა, თქვენი კიდევ ერთი დადებითი თვისება ის არის, რომ თავადვე ეძებთ გაფუჭებული ურთიერთობის აღდგენის გზებს.

23-32 ქულა: ზომიერად აგრესიული ხართ, თუმცა, ამ თვისების წყალობით, ცხოვრებაში წარმატებას ადვილად აღწევთ. თავმოყვარეობაც ზომიერად გაქვთ განვითარებული და თავდაჯერებულიც ხართ, ადამიანებთან ურთიერთობა არ გიჭირთ, რადგან კარგად იცით, თუ ვის როგორ უნდა მოექცეთ.

33-42 ქულა: გარშემომყოფნი ზედმეტად აგრესიულ ადამიანად მიგიჩნევენ, ამიტომ ხშირად ვარდებით კონფლიქტურ სიტუაციაში და ბევრი მტერიც გყავთ. მუდამ წინსვლაზე ფიქრობთ, ურთიერთობის საკუთარ მეთოდებს მიმართავთ და წარმატების მისაღწევად, გარშემომყოფთა ინტერესებს სრულიად უგულებელყოფთ. ამიტომაც არის, რომ უმეტესობას არ უყვარხართ. ამას თქვენც გრძნობთ, მაგრამ შემწყნარებლობის ნაცვლად, პროტესტის გრძნობა გიჩნდებათ და მათ დასჯაზე ფიქრობთ, ვინც წინ გადაგეღობებათ.

ბეთჰოვენის ხელნაწერი უცნობმა მილიონერმა შეიძინა

„სოთბის“ აუქციონზე, რომელიც ლონდონში გაიმართა, ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიის უნიკალური პარტიტურა 2,133 მლნ გირვანქა სტერლინგად (3 მლნ დოლარზე მეტი) გაიყიდა. თავდაპირველად, 575-გვერდიან რარიტეტს სპეციალისტები 3 მლნ გირვანქა სტერლინგად აფასებდნენ. არადა, შარშან, ნიუ-იორკში კომპოზიტორის ხელით დაწერილი ერთ-

ფურცლიანი ხელნაწერი 1,3 მლნ გირვანქა სტერლინგად გაიყიდა, რაც 10-ჯერ აღემატებოდა სასტარტოს. მისგან განსხვავებით, ახალგაყიდული რარიტეტი ნაბეჭდია, ის 1826 წელსაა დაბეჭდილი. იმ დროისთვის, თურმე ბეთჰოვენის საყვარელი გადამწერი გარდაცვლილა, მისი ორი შემცვლელი კი, კარგად ვერ არჩევდა გენიოსის საშინელ კალიგრაფიას და ხშირად უშვებდა შეცდომებს. ჰოდა, სხვა შენიშვნებთან ერთად, განრისხებულ გენიოსს ერთ-ერთი მათგანის მისამართით მიუწერია: „უსაშველოდ შტერი ხარ!“ თითქმის ყველა გვერდზე ბეთჰოვენის ხელით გაკეთებული შესწორებებია, ზოგი კი მთლიანადაა გადაწერილი და ჩაწებებულია. აქედან გამომდინარე, ეს ხელნაწერი სრულად ასახავს კომპოზიტორის ჭეშმარიტ ჩანაფიქრს, რომელიც გამოცემის სახით არ არსებობს.

პარტიტურა შეიძინა კოლექციონერმა, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ამჯობინა. ■

ჩინური ვენეცია და პიზა

მთელ მსოფლიოში ცნობილი, ჩინური კოშკი ხუციუ, რომელიც იტალიური პიზის კოშკის მსგავსად, იხრებოდა და შველას საჭიროებდა, უახლოეს ხანებში, კვლავ მიიღებს დამთვალიერებელს. 47,7-მეტრიანი კოშკი 959 წელს აიგო, 34 მ სიმაღლის გორაკზე. თვით ქალაქ სუჯოუს კი, რომლის ყველაზე მნიშვნელოვან ღირსშესანიშნაობასა

და ჭეშმარიტ სიმბოლოს ხუციუ წარმოადგენს, ადგილობრივი მოსახლეობა „ჩინურ ვენეციას“ უწოდებს, რადგან ის ძველებური არხების მთელი სისტემის ტერიტორიაზე მდებარეობს.

კოშკის დაქანება ჯერ კიდევ ე.წ. მინის დინასტიის (1368-1644 წწ.) დროს დაიწყო. ჩინელ სპეციალისტთა მონაცემებით, მისი დაქანების კუთხე ამჟამადაც უფრო დიდია, ვიდრე პიზის კოშკისა. 1961 წელს, ხუციუ სახელმწიფო საგანძურად გამოაცხადეს, 1975 წელს კი, ის დამთვალიერებლისთვის დაიკეტა. ■

ნობელის პრემიის laureატს ნარკობარონების ქომაგობა დააბრალეს



გამოჩენილმა მწერალმა, გაბრიელ გარსია მარკესმა უარყო პრესით გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს მან კოლუმბიის მთავრობას, ნარკოტიკების ლეგალიზებისკენ მოუწოდა. „ჟურნალისტებმა ეს მომაწერეს. მე ნარკოტიკების ლეგალიზების წინააღმდეგიც ვარ და ნარკოტიკების მოხმარებისაც“, – განაცხადა ლიტერატურის დარგში 1982 წლის ნობელიანტმა, ვიდეოფირზე ჩაწერილ მიმართვაში. ჩანაწერი ნაჩვენები იქნა ქალაქ მედელინის უნივერსიტეტის საქტო დარბაზში, სადაც ინტელიგენციის წარმომადგენლები შეიკრიბნენ და ქვეყნის პრეზიდენტი, ალვარო ურიბეც მივიდა, რომელმაც ბრძოლა გამოუცხადა ნარკოსაქმოსნებს. მიმართვა, რომელსაც მწერალმა უწოდა: „საყვარელ, თუმცა შორეულ სამშობლოს!“ – მედელინაში მექსიკის დედაქალაქიდან მიიღეს, სადაც ამჟამად ცხოვრობს გამოჩენილი მწერალი. „მე არ მითქვამს, რომ საჭიროა ნარკოტიკების ლეგალიზება და არასოდეს მიმიმართავს კოლუმბიის მთავრობისთვის მსგავსი წინადადებით“, – აღნიშნა მარკესმა, რომელმაც ამასთანავე, კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა აშშ-ის მიერ კოლუმბიელი ნარკობარონების მიმართ განხორციელებული ზომები. მწერალს მიაჩნია, რომ ის, ამერიკელთა „იმპერიული მადით“ იყო ნაკარნახევი. ამის შედეგად – მწარედ აღნიშნავს მარკესი, – „დაახლოებით 400 ათასი კოლუმბიელი იძულებული გახდა, დაეტოვებინა მშობლიური კუთხე, რათა თავი დაეღწია ძალადობისათვის“. ■

ნახევარი მილიონი დოლარი – ნაგავში

საკუთარ სახლში დაწყებული რემონტის დროს, რუმინელმა მიხაი მანტუმ ფულით სავსე 2 ტომარა იპოვა. როგორც გაირკვა, ეს თანხა, 500 ათასი დოლარის ეკვივალენტური ყოფილა, ოღონდ – იმ რუმინული კუპიურებით, რომელიც უკვე ამოღებულია ხმარებიდან. მანტუმ მაინც სცადა რამდენიმე კუპიურის დოლარებზე გადაცვლა, მაგრამ ბანკში უთხრეს: კომუნისტური რუმინეთის დროინდელ ფულს არანაირი გასავალი არა აქვსო. ■

ფოტოკუთხეები



N11(45) 29/V-11/VI-2003

ოჯახის მეუღლეები

სამედიცინო ჟურნალი

ფასი 70 თ.

ფსორიაზი, ეგზემა

უძილობა

მარწყვი — სასიამოვნოც, სასარგებლოც

„პარი პოტერი“ და ბავშვის ფსიქიკა

მთავარი თემა
დამის ცხოვრება

თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის